



# მეგობარი

ტომი №29

მეჩაბე ელიოზიშვილი

შეგიძლიათ შეიძინოთ  
„გზის“ ამ ნომერთან ერთად!  
წიგნი და „გზა“ ერთად  
4 ლარი ღირს

შედეგი ტომი

ალექსანდრე ყაზბეგი

„ამერიკელბთან  
ვმეგობრობ“...

მეგობრობა და  
ცხუი ფრანს –  
ცნობილებთან ერთად



რით მოხიბლას  
იბალიაღა ქალებს კაბს

რატომ გაიზარდა  
სელოვნური  
განაყოფიერების  
მსურველთა რიცხვი

გაუვილებული და სამათხოვროდ  
განწერილი ჩვილები


თემა  
სინჯარის  
გავრცელება

ქართული ზილოტი ქალის  
რისკიანი ცხოვრება



რით სჯობნიან  
თბილისელ ლამაზბანებს  
თელაველი გავრცელები

ღვთის სასწაული თუ  
ჯარისკაცების მოძღვრის  
სამაგალიტო გვირობა



„თმის ღრის ანაფორა  
ჩვეიში და ღაჭრილი  
ზურგზე მოვიკიდებ“



SOS! ტრეფიკინგის მსხვერპლი ქართული მოსახლეობა

# Airzena



**სიასლა ავიაკომპანია აირზენასგან!**

**15 სექტემბრიდან  
ბათუმში!**

ყოველდღე პირდაპირი რეისები

ჯვიხაში ეთხედ ფიენები

**ეგვიზბეში, სურგალასა და შარმ-ელ-შეისში!**

ჯვიხაში 3-ჯეი

**თბილისი - ანბალია**

1 ოქტომბეიდან ჯვიხაში 2-ჯეი

**თბილისი - თაირანი**

T: (+995 32) 505-005  
[www.airzena.com](http://www.airzena.com)

# პირველი ნაბიჯები სკოლასა და საბავშვო ბაღში - როგორ გავუადვილოთ ბავშვს ადაპტაცია

ბავშვის ადაპტაციის ანუ შეგუების პერიოდი უცხო გარემოსთან (საბავშვო ბაღი, სკოლა) ითვლება მისი ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და რთულ ეტაპად. მშობლები ხშირად უჩივიან, რომ სკოლამდელ ან სასკოლო დანესებულებაში მისვლის პირველი დღეების შემდეგ ბავშვი იცვლის ხასიათს, ხშირად ხდება აგრესიული, გაღიზიანებული, ყველაფერზე ტირის და რაც მთავარია, უარს აცხადებს სკოლაში ან ბაღში წასვლაზე. სტატისტიკური მონაცემებით პრაქტიკულად ჯანმრთელ ბავშვთა 50%-ს აღენიშნება ახალ გარემოსთან ადაპტაციის გაძნელება.

## რა არის ახალ გარემოსთან ადაპტაციის გაძნელების ძირითადი მიზეზები?

- ახალ გარემოში მოხვედრა (ბაღი, სკოლა) ბავშვთა გარკვეული ნაწილისთვის წარმოადგენს სტრესულ მდგომარეობას, რომლის ზემოქმედებით შესაძლებელია დაირღვეს შეგუების ნორმალური მიმდინარეობა და გამოიხატოს ადაპტაციის გაძნელება, რაც დაახლოებით 20-50%-ში შემდეგი ნიშნებით ვლინდება: ძლიერი გაღიზიანება, მოუსვენრობა, აგრესიულობა, უცნობ გარემოში მიტოვების შიში, მეტყველების და ძილის დარღვევა, ღამის კომპარები. ხშირ შემთხვევაში ვითარდება ფსიქო-სომატური პრობლემები - მადის დაქვეითება, გულისრევა, ღებინება, თავის ან მუცლის ტკივილი, ხშირი ინფექციები და სხვა.

## - როგორ ხდება ახალ გარემოსთან ადაპტაციის პროცესის სწორი მართვა?

- ადაპტაციის პერიოდში სტრესის მოსახსნელად განსაკუთრებით ეფექტურია დამამშვიდებელი პრეპარატების გამოყენება. ამ ჭკუფიდან მაღალი უსაფრთხოებისა და ეფექტურობის გამო უპირატესობა მცენარეულ საშუალებებს ენიჭებათ.

## - რას გთავაზობს შვეიცარიული კომპანია ნოვარტისი?

- შვეიცარიული კომპანია ნოვარტისი გთავაზობთ პრეპარატ პერსენს, რომელიც წარმოადგენს სამი მცენარის: კატაბალახას, პიტნის და ბარამბოს ბალანსირებულ კომბინაციას.



**NOVARTIS**  
ნოვარტისი, შვეიცარია


- პერსენი იცავს ბავშვის ორგანიზმს სტრესის ნეგატიური ზემოქმედებისგან და ეხმარება შეინარჩუნოს აქტიური და ჰარმონიული ცხოვრების რითმი, მათ შორის უცხო გარემოშიც.
- პერსენს აქვს დამამშვიდებელი ეფექტი და ახდენს ძილის ნორმალიზაციას, აადვილებს ჩაძინების პროცესს, თანაც ისე, რომ არ იწვევს ძილიანობას დღის განმავლობაში.
- პერსენს, დამამშვიდებელ მოქმედებასთან ერთად, გამოარჩევს ანტიჰიპოქსიური ეფექტი, რითაც იგი ახდენს მადის სტიმულაციას, აუმჯობესებს თავის ტვინის სისხლით მომარაგებას, შესაბამისად უმჯობესდება მეხსიერება და კონცენტრაციის უნარი.

**პერსენი, მნიშვნელოვნად ამცირებს სტრესის ზემოქმედებას და ეხმარება ბავშვს, შედარებით ადვილად შეეგუოს უცხო გარემოს. მეხსიერების და კონცენტრაციის გაუმჯობესება კი, თავის მხრივ, მოზარდს უადვილებს ახალი ინფორმაციის აღქმასა და ათვისებას.**

**გახსოვდეთ, რომ მოზრდილი ადამიანის ჯანმრთელობას საფუძველი ბავშვობის ასაკში ეყრება, ამიტომ მნიშვნელოვანია, სწორედ ადრეულ ასაკში მინიმუმამდე შევამციროთ სტრესის ზემოქმედება, მივხეზაროთ ბავშვს, ადვილად გადალახოს ყველა წინააღმდეგობა და უმტკივნეულოდ მოახდინოს ადაპტირება მისთვის ახალ და უცხო გარემოში.**

**დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით შვეიცარიული კომპანია „ნოვარტის“-ის წარმომადგენლობას საქართველოში ტელ.: 98 27 30; 98 27 50**


პრეპარატის გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს



მოთავაძი ნაოქაბის ბაჩაშე ივ ხომეს  
მსახეჩაილი ჟოსმასიხის მავშეკობით!

მცენაჩეული ჟოსმეტიყის მწახმოებეღმა თხანგეღმა ჟომწანამ  
ივ ხომემ გამომეშეა ექსელეზიოჟი სახის მოვლის საშეკლებათა  
ჟოდეკია - 35 ნელსგადეკილეული ქაღბაჟონებისათვის -  
Serum Vegetal ვამლის ოღოგობიღებით! Serum Vegetal  
ეს ახის:


- გამოყვეღების 8 ნელი მცენაჩეული ჟოსმეტიყის დეგში
  - 3 ექსელეზიოჟი ანეი ასაჟობიოჟი (ასაჟის სანინაღმდეგო)
  - ჰაეტენეი მცენაჩეული ჟოსმეტიყაში
  - საფხანგეთსა და მთელ მსოფლიოში
  - ინოვაცი - ვამლის ოღოგობიღებო
  - ჟომწონენეკები ხომღელიც
  - ებხეღვან ნაოქებსა და ჟანის დეჟაჟეღ ბიხნიღვალეღას
  - 9 საშეკლება ედეკეჟი ბიხლიღსთვის ნაოქების სანინაღმდეგოღ 35  
ნელს შემღეღ
  - 2 ჰომგამა სახის ჟანის მოსავლეღე:
  - 1. ნაოქების სანინაღმდეგოღ და ბიხნიღვალეღის ჟლსადენეღ
  - 2. ნაოქების სანინაღმდეგოღ და სიმეჟიღვისათვის
- ახელი ჰომღეღეა ეჟეე გეჟიღვამი ივ ხომეს მღლსათს ქელში!  
ივ ხომეს 50-ნელიღ გამოყვიღება და ცოღნა თჟენეი სიღამასისა და  
ჰახომლის სამსახეში!



თბილისი:  
ქაჟქაჟაძის ბაშ. 42,  
ელაშენაბის ბაშ. 110,  
ჰეიღის ქ. 13,  
ფაქენაშ მელის ბაშ. 1 (ბაჟიღი)  
ბათუმი: ბოიბიღეღას ქ.15



# მეხაბ ბეიქენიშვილის სამხატვრო სტუდია "მუზა"



სასუავლელად იოვებს მსურველებს 12  
ვლის ასეკიღან. სამხატვრო აკადემიის  
ქარსღამთავროღულთათვის და  
მოფხარულთათვის ფუნქციონირებს  
ქარსში. სტუღიღაში ისუავლება: მღლსაგბა,  
ფაროღრა, ხატგა, ხელოვნების ისტორიღა.  
სუავლის ხანბრღლიღობა და ვღღები  
შეირენება მსურველთღან შემთღსნემებით.  
სმრტიოვიგაბტი გეიღვება სრული, სემულიღანი  
ქარსის ღამთავრობისღსა.

მისემბრთი: გუშ ტბის მღბ 1

ტელეფონებო:

(995 32) 23 57 72  
(995 71) 23 53 53



## საეხთამოიხისო სახელი

საეხთამოიხისო სახელი - მსოფლიო ოგანინიზაციის ნეჟი

## International House

A Member of the International House World Organisation

ეცხოჟი ენების სნავლების ეენეჟი  
20 ნელიღნი გამოყვიღებით

2010 ნელი 14 და 15 სენებეღეის  
იწყება ინბელისჟიი ენის  
სნავლების  
ენაღ სანსნავლო სემესტის

მეყადინეობებო: 10.00; 12.15; 14.45; 17.00; 19.00

- სნავლების ყვადე ღოღა
- სანსნავლო ჰიოზაჟაბი ბავშვების, მოხაღეღბისა და მოხეიღლითათვის.
- საბამოსემ ჟბაღეაბი (TOEFL, IELTS, PET, FCE, CAE)
- ინბელისჟიი ჰიოფანოიღი მოხნაბისთთვის:  
(ბიონანს-ინბელისჟიი, სანანაჟო-საფინანსემო, ინბელისჟიი ეიოზებისა  
და ეეიღნელისბაბისთთვის)
- ინბელიღეღაღი სანსნავლო ჰიოზაჟაბი
- მესაღინოზაბი ჰიოზაჟი სემჟეი, 2 სანთი
- ნიღნასნაჟი ტუნბიღაბა და ბასნაბიღაბა
- ბაღსეღა სეჟიოფიღეაბი
- ტელეფონებო: 94-05-15, 33-01-79, 99 92 26, 93 26 80
- მისნაჟეიღი: ღოღიღის 2, ბიოსკის 1
- ეღბეჟბიოთი ინფოზაღსენა ჰებეჟეიღეა: [www.ihtbilisi.ge](http://www.ihtbilisi.ge)

ისნავლე და ისეუბეჟ  
მსოფლიოსთღან!



### საუი ფრანა, დრაკულას მუზაუმი და ტაშპარაშენტიანი იტალიელაბით მოსიზღული მსახიოზი

თუ ადამიანს ფრენის შიში არა აქვს, მისთვის მოგზაურობას არაფერი ჯობს. ეცნობი უცხო ქვეყნის კულტურას, ხალხს, ცხოვრების სტილს. მოკლედ, ეს ყველაფერი საინტერესოა...

7



### ქათი ქემოკლიქა იუზილას მოჯახუი ვერ უხვვდა

„კონსერვატორიაში ჩაბარებას კიდევ უფრო აქტიური საკონცერტო და საოპერო გამოსვლები მოჰყვა. 2002 წელს შედგა ჩემი დებიუტი საოპერო სტუდიის სცენაზე — მადალენას როლში ვერდის „რიგოლეტოდან“.“

20

## ცხოვრება

### აილოზი ქალის სახიფათო არჩევანი



„ექსტრემალი თუ არა ხარ, მფრინავი ვერც გახდები, მით უმეტეს, ისეთ თვითმფრინავს ვერ მართავ, რომელიც რეაქტიულია. თუ ეს ყველაფერი შინაგანად არ გიყვარს, ამას შენი სულიერი სამყარო არ გათხოვს, მუშაობა ძალიან რთული იქნება.“

26



- **მინიატიურაბი** 5  
„მისის ბებია“ და კენგურუს ხაშლამა
- **ჭრალი მსოფლიო** 6
- **ფაქტი და კომენტარი** 7
- **არდაღებუბი** 10
- **საზოგადოება** 12
- **კრიშინალური ქრონიქა** 15
- **სხანის შიღვა** 20  
ქეთი ქემოკლიძე ოჯახის წლისთავის იუბილეს ოჯახში ვერ შეხვდა
- **გამოვნება** 22  
„ტონა“ სამკაული, ფერადი სამოსი და გავლენიანი მამაკაცი გვერდით
- **ვარსკვლავუბი** 24
- **პროფესია** 26  
პილოტი ქალის სახიფათო არჩევანი
- **საზღვრებს შიღვა** 28
- **მონოღება** 30  
გაგრის სანაპიროზე დაჩოქილი პატარა ბიჭისა და ხის ჩარჩოებით შემოსავი ოსტატის ამბავი
- **LOVE STORY** 32  
სიყვარულის სევდიანი ამბავი
- **თემა** 33  
სინჯარის ბავშვუბი
- **მინია** 35  
ღვთის სასწაული თუ სამაგალითო გმირობა
- **მოღა** 38  
პრეზიდენტის სტიპენდია და 10.000-ლარიანი „შეკვეთუბი“
- **კოზი** 40  
ზღაპრული რეალობა და თოჯინებში გაცოცხლებული შეგრძნებუბი...

## გმბეგნილუბი

### ასა ვჭაბე სირსხვილი




„ერთხელ, პატარაობისას, აფთიაქში გამგზავნეს, წემსი და წამალი (ამპულა) მოიტანეო. აფთიაქში მისულმა გავარკვიე, რომ ჩემთვის საჭირო წამალი არ ჰქონდათ და მარტო წემსი წამოვიღე. სახლში გულიანად იცინეს, წამლის გარეშე წემსი რად გვინდოდაო? აბა, მე რა ვიცოდი?“

74

■ ანტილუარესანები	42
■ ავტო	42
■ საკითხავი ქალაქისათვის	44
■ ეს სამყაროა	46
■ ისტორიის ლაბირინთები	48
რატომ გამოაცხადეს რუსებმა აფხაზები „დამნაშავე ეროვნებად“?	
■ ბაქარი	51
პოლონელებისა და ქართველების საერთო წმინდანი	
■ ჯანმრთელობა	52
■ მოღვაწე	54
თელაველი ჯანმრთელი, შავტუხა ლამაზმანები და „მის თელავი“	
■ ემიგრანტი	56
ვენაში გაყოლილი მადლი...	
■ თინეიჯერული პონტები	59
მოლაღატე მშობლები და მაცდური ტექნიკა	
■ წვეთი პოეზია	62
■ სახსოვარი	63
დიმიტრი ყიფიანი	
■ ვინიროვანი	64
უნებისყოფი	
■ ფანტასტიკური დეტაქტივი	66
რუსუდან ბერიძე. ინტერვიუ მიცვალებულთან (გაგრძელება)	
■ რომანი	70
სვეტა კვარაცხელია. რომანტიკა თუ დანაშაული?!	
■ გზავნილები	74
ასე ვჭამე სირცხვილი	
■ ყველა ერთისათვის	78
„კომპიუტერთან ჯდომა ვილაცის ლალატს არ ნიშნავს“	
■ მოგილი-ზასია	83
■ მოზაიკა	86
■ მუნდიალი	88
■ საზრდო	90
■ ბასართობი	94
■ ასტროლოგია	96
■ სკანდორდი	97
■ საფირმო ქროსოვრდი	98

## სამყარო




## გაცოცხლებული შებენებები

„ბაბუაჩემი, არჩილ მუშკუდიანი, ვისი სახელიც მქვია, ხეზე კვეთის ოსტატი იყო. ხონში დიდი სახლი გვაქვს და იქ ყველაფერი ბაბუას ხელით არის გაკეთებული. ისეთი ლამაზია ყველაფერი, გაცოცხლებს ვერ დამალავ. ამბობენ, რომ ხელოვნების ნიჭი ბაბუასგან მერგო.“

38

## ადამიანი



## „მის თელავი“

„ლიკას ძალიან კარგი ფიზიკური მონაცემები აქვს. რამაც ყველაზე მეტად გამაოცა, ისაა, რომ თელავში არც ერთ ბავშვს სკოლიოზი არ ჰქონდა: ლამაზები, გამართლები, შავტუხები არიან!..“

54

## ბიბლუსი



ინტერვიუ მიცვალებულთან

„ჩინისა და ხელფასის რა გითხრა, მაგრამ ქმარი რომ ნაღდი მუტრუკი გყავს, ამას მარტო შენ როდი ამჩნევ“, — გულში გაელიმა ნიკას, თუმცა უკვე უთხრა: — აბა, როგორ ხარ აქ უჩემოდ? დავიჯერო, სულ არ მოგენატრე?

62

## ტაიმ-აუტი



## „არ მებონა, სარსულის სოდნას თუ დამეჩირდაოდ“

„თავად ლენინგრადში, იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა. მამაჩემი მის კვალს აღარ გაჰყვა და მთელ იმედებს ჩემზე ამყარებდა. უნდოდა, რომ მეც იურისტი გავმხდარიყავი. ამასთან, დედა რუსი მყავდა და იფიქრა, რომ სწავლაში ის დამეხმარებოდა. ბაბუას სიტყვა ოჯახში კანონი იყო!“

86

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“  
გამომცემი კვირაში ერთხელ, სთუშაბათობით  
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.  
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე  
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია  
პასუხისმგებელი რედაქტორი: მარი ჯაფარიძე  
მენეჯერი: მათე კბილაძე

დიზაინი: ნანა გიგოლაშვილი  
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ლიპარტელიანი,  
რეზო თხილიშვილი

მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. #49  
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com  
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

# „მისის ბენია“ და ჟენგურუს ხაშტაჟა



**შესავლის ნაცვლად** უმოსავლო შემოდგომაა... განახვერდა სექტემბერი და ოპოზიციას ჯერ ერთი სეროზული სისუფლეც კი არ ჩაუდენია... ხიდებზე, გვირაბებზე, მიწისქვეშა და მიწისზედა გადასასვლელებზე ხუმრობა კი აღარ არის აქტუალური... არადა, რო არ ჩერდება?! რაც მაგან წითელი ლენტო დახარჯა!..

ახლა გურიაში მონდომა ათიათასკაციანი საკონცერტო დარბაზი, ზღვის პირას!

წარმოდგინეთ — ათი ათასი გურული ერთად, თან — წყნარად რომ სხედან და კონცერტს უსმენენ! არა, არა — გადაგვარებისკენ მიექანება ქვეყანა...

გადაგვარებაზე გამახსენდა: ყველა სკოლის ყველა მასწავლებელმა ინგლისური უნდა ისწავლოსო! თანაც, ცეკვა სავალდებულო საგნად შემოაქვთ. მაგარი იქნება — ბავშვები „ასა“-ს მაგივრად „Yes“-ს რომ შემოსახებენ, ინგლისურად მოჟღერებულ მედოლის რიტმს აყოლილები... არა, ხუმრობა იქით იყოს და, ბატონო კი არა და, მისტერ შაშკინ, ერთი გამაგებინეთ, რა ჩემს, ბოდიში მომითხოვია და, ფეხებად უნდა ცეკვის მასწავლებელს, სკოლის მანდატურს ან მებუფეტეს ინგლისური?!

ადვილიაო — პრეზიდენტმა ბრძანა, — ბებიჩემო ორ წელიწადში ისწავლაო! ბუში რომ იყო ჩამოსული, ვერაფერი უთხრა, ახლა კი უცხოელებს ინგლისურად ელაპარაკებო!

არ არის მთლად მასე, ბატონო კი არა და, მისტერ პრეზიდენტო! ეგ თქვენ გეადვილებათ, ნათესავებიან-ოჯახის წევრებიანად რომ ნიჭიერები ხართ, თორემ უბრალო მოკვდავნი ისე ადვილად კი ვერ ვითვისებთ, როგორც „მისის ბენიათქვენი“!

ისე, ბებიაზე გამახსენდა — ბებიჩემო ცოცხალი რომ ყოფილიყო, პირველ „გაკვეთილზე“ იმას იკითხავდა — „თქვენი სინსილა განყდა“ როგორ იქნება ინგლისურადო? როგორც ბაბლუანის „უძინარო მზეშია“ — „ნეხვი როგორ იქნება ფრანგულად, ბიჭო?!“ კიდევ, პოლიციელებმა უნდა ისწავლონ ინგლისურიო — ქართულად ხო „სხლავს“ ზოგიერთი, მთლად უფროსის ჩათვლით, ახლა ინგლისურად „იუზნისინსპექტორებენ“...

სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ამ ინგლისურის სწავლას „მუქთად“ კი არ გვთხოვს, არამედ — თვეში 200 (ორას) ლარს გვიმატებს ხელფასზე! ვისაც ხელფასი არ გააჩნია, იმას — პენსიაზე; ვისაც არც ხელფასი აქვს, არც პენსია, არც დახმარება და არც

არაფერი, იმას რა ჯანდაბად უნდა ინგლისური?!  
სოფლებს რომ მასწავლებლები „ჩამოურიგეს“ — უცხოეთიდან ჩამოყვანილები, ერთი ეგეთი გავიცანი გურიაში; რონი ჰქვია, ავსტრალიელია და ორი მეტრია სიმაღლეში. კარგი ბიჭია, მაგრამ სეროზული ეჭვი მაქვს, რომ მაგან რალაცნაირი „სხვა“ ინგლისური იცის... თანაც თვითონ სულ ქართულად ლაპარაკობს და მისი საყვარელი საჭმელი — ტყემალი და მჭადია (ოლონდ ხანდახან ამოიხრებს: ამ ტყემალთან ახლა ცივად მოხარული კენგურუს ბეჭი მომცა და მერე მოვკვდე, აღარ ვჩივიო... მოკლედ, გაგურულდა თვალსა და ხელს შუა; ახლა ერთი სხარტი გურული გოგოც მადლია მაგისტვის და მერე რა ინგლისურს ასწავლის, მაგასაც ვნახავ... („პრიმის“ „ბიჩოკების“ მოწვევა უკვე „დაამხეცა“).

...თბილისის საკრებულოს სხდომები განახლდა და ჩვენი ინგა, გრიგოლია, უკვე ახალი ინიციატივით გამოვიდა —

დეტალებზე არ ვისაუბრებ, რადგან ასეთ დროს სიცილს ვერ ვიკავებ ხოლმე: წარმოვიდგენ, რომ ინგა საკრებულოს თავმჯდომარეა, დიმა ობოლაძე — შინაგან საქმეთა მინისტრი, შალვა რამიშვილი — ქალაქის ავტობუსების უფროსი, მე — გარემოს დაცვის მინისტრი, ჩემი რედაქტორი — ჩემი მოადგილე... და კარგ ხასიათზე ვდგები...

...ნეტავ სადაური სიტყვაა „აბდაუბდა“? კარგი სიტყვაა...

არადა, „ნორმალურ ქვეყნებში“ ცხოვრება დულს და გადმოდულს — რუსეთში ოპოზიციური

მიტიგის მონაწილეებს თავები გაუხეთქეს, უნგრეთში რეციდივისტი ქალების სილამაზის კონკურსს ატარებენ, საფრანგეთში კარლა ბრუნის შესახებ ნიგნი გამოდის, თავისი სკანდალური პასაჟებით... მე კი აქ ვიხრჩობი „ინფორმაციული წყურვილით“ და „პროვოკაციული დეფიციტით“.



**P.S.** სულ პატარა და ძველი ანეკდოტი — მაშინდელი, როდესაც სახელმწიფო არ ზრუნავდა ხალხზე და ბებიებიც უფრო უნიჭოები იყვნენ: კახელი შინ დაბრუნდა საღამოს და 5-6 თვის ზანგის ბავშვი მოიყვანა.  
— რა არი ესა, კაცო, ექვსი ჩვენი გვეყავ, ეს რალად გინდოდა?! — შემოიკრა მარომ თავში ხელი.  
— ეგდოს, ბალებე ინგლისურს ასწავლის!..

**პროვოკატორი**

# მსოფლიოში პირველი სინჯარის ბავშვი დედა გახდა



1981 წელს, მილიონობით ადამიანი თვალყურს ადევნებდა მსოფლიოში პირველი სინჯარის ბავშვის დაბადებას. ახლახან აშშ-ის მოქალაქემ, ელიზაბეტ კარმა, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში ყურნალისტებს ემალებოდა, ყოველგვარი გართულების გარეშე იმშობიარა და ბიჭის დედა გახდა. თავდაპირველად ოჯახი ამ ფაქტს ასაიდუმლოებდა, მაგრამ მოგვიანებით, ელიზაბეტმა თავად დაწერა წერილი საკუთარ ცხოვრებასა და შვილის დაბადებაზე. ახალგაზრდა დედამ აღნიშნა, რომ მას პაპარაცები

მთელი სიცოცხლე, მოსვენებას არ აძლევდნენ, ბავშვის გაჩენით კი საბოლოოდ დაამტკიცა, რომ სხვებისგან არაფრით განსხვავდება.

# ჩვენ გოგონებს პეინტბოლის თოფებიდან ესვრიან

გროზნოში, რამზან კადიროვის ინიციატივით, იმ ქალების დაშინების კამპანია დაიწყო, რომლებიც მუსლიმანურ წესთან „შეუფერებლად“ იცვამენ. ჩეჩენი მამაკაცების მსხვერპლად უკვე ათეულობით ქალი იქცა. მათ შეურაცხყოფენ და პეინტბოლის თოფებიდან ესვრიან. ერთ-ერთ გოგონას ეს „ხუმრობა“ ცალ თვალში მხედველობის დაკარგვად დაუჯდა. „რადიკალ-მუსლიმანი“ ქალებისგან თავსაბურავის ტარებას, გრძელი ქვედაბოლოებისა და გრძელმკლავიანი ჟაკეტების ჩაცმას მოითხოვენ. როგორც წესი, რადიკალურად განწყობილი მუსლიმანები თავდასხმას ვიდურობენ და შემდგომ, მსხვერპლისა და მისი ოჯახის შესარცხვენად, ჩანაწერს ინტერნეტით ავრცელებენ, რაც ადგილობრივ კონსერვატორულ საზოგადოებაში სახუმარო საქმე სულაც არაა.



ოჯახის შესარცხვენად, ჩანაწერს ინტერნეტით ავრცელებენ, რაც ადგილობრივ კონსერვატორულ საზოგადოებაში სახუმარო საქმე სულაც არაა.

# ლარი კინგს შემსვლელი მოუძებნა

ტელეარხ CNN-ზე ცნობილ ტელენამყვან ლარი კინგს საინფორმაციო გამოშვების ყოფილი რედაქტორი პერს მორგანი შეცვლის. CNN-ის პრეზიდენტის, იონ კელის თქმით, „ბატონ მორგანს ნებისმიერი სიახლის კოხტა იუმორითა და ინდივიდუალური სტილით გადმოცემის უნარი აქვს“. ამერიკელი აუდიტორია პერს მორგანს ტელეშოუდან — America's Got Talent — იცნობს. ლარი კინგს CNN-ზე შოუ — Larry King Live — 1985 წლიდან მიჰყავდა. ცოტა ხნის წინ კინგის შოუ, როგორც ერთსა და იმავე არხზე ერთი და იმავე ნამყვანის ყველაზე ხანგრძლივი საავტორო გადაცემა, გინესის რეკორდების წიგნში შევიდა. ბოლო, საიუბილეო გადაცემაში ნამყვანს ლედი გაგა, ბილ გეიტსი და აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა ჰყავდა მინვეული. ოფიციალური ბიოგრაფიის მიხედვით, ლარი კინგის კარიერა 30000 ინტერვიუს ითვლის.

# პუტინი ლუკაშენკოს ლიკვიდაციას გეგმავს

უცნობმა პირმა, რომელიც რუსეთის სპეცსამსახურის ყოფილ თანამშრომლად ასალებს თავს, Youtube-ზე ვიდეორგოლი განათავსა: უცნობი, სინთეზირებული ხმით, რუსეთის პრემიერ-მინისტრის გეგმებს ახმოვანებს. როგორც სპეცსამსახურის ყოფილი თანამშრომელი ირწმუნება, პუტინის დავალებით, უშიშროების ყოფილი თანამშრომლებისგან ჩამოყალიბდა სპეცდაჯგუფება, რომელმაც უკვე განიხილა ლუკაშენკოს ლიკვიდაციის რამდენიმე სცენარი, მათ შორის — საავტომობილო ან საავიაციო კატასტროფა, დაინფიცირებული საფოსტო გზაზე, სნაიპერის ტყვია... წარმოდგენილი ვარიანტებიდან ოპტიმალურად მიიჩნის მასშტაბური ტერაქტი, რომელიც ერთ-ერთ ხალხმრავალ ღონისძიებაზე ლუკაშენკოს გამოჩენისას უნდა განხორციელდეს. სცენარი უახლოეს თვეებში ბელორუსის მოსახლეობაში პანიკის ატეხასაც ითვალისწინებს — საამისოდ, ქვეყანაში აფეთქებათა სერია იგეგმება. ინკოგნიტოს ცნობით, რუსული სპეცსამსახურები ბელორუსის საექსპორტო პროდუქციის მიმართ უნდობლობის გამოსანვევად, ამ ქვეყნის ნაწარმის რამდენიმე პარტი-



ის რადიოაქტიური ნივთიერებებით დაბინძურებასაც აპირებენ... მოსკოვში ამბობენ, რომ ვიდუროგოლი „სრული სიცრუე“ და „წინასაარჩევნო შიზოფრენიაა“, რომელიც ლუკაშენკოს, მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნებისთვის სჭირდება. ბელორუსის პოლიტოლოგთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ რგოლი მინსკსა და მოსკოვს შორის „საინფორმაციო ომის“ მორიგი რაუნდია.

გამოყენებულია ინტერნეტპორტალ ambebi.ge-ს მასალები





# ქვეყანა

## „რატომ მავალდებულავენ ინგლისური ენის სწავლას?!“

„პოლიციელმა აუხილაზლად უნდა იცოდეს კომპიუტერი და ინგლისური“

გასული კვირის განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი — პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ პოლიციელების, მასწავლებლებისა და სტუდენტების შესახებ გაკეთებული განცხადება აღმოჩნდა: „გადავწყვიტეთ, რომ იმ მასწავლებლებსა და პოლიციელებს, რომლებიც ინგლისურისა და კომპიუტერის გამოცდას ჩააბარებენ, ხელფასის გარდა დავუნიშნოთ 200-ლარიანი დანამატი... პოლიციელებსა და მასწავლებლებთან ერთად, ყველა უნივერსიტეტდამთავრებული უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას“.

### სათუნა პასტურიძე

პრეზიდენტის ეს ინიციატივა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში განსჯის საგნად იქცა. შევეცადე გამერკვია — რას ფიქრობს ხალხი ამის შესახებ და აქვთ თუ არა მასწავლებლებსა და პოლიციელებს ინგლისური ენის შესწავლის სურვილი.

**ნაირა არსოშვილი**, მათემატიკის მასწავლებელი, 51 წლის:

— კომპიუტერი ყველა განათლებულმა ადამიანმა რომ უნდა იცოდეს — ეს უდავოა, ამას არავინ გააპროტესტებს. იმასაც ვიტყვი, რომ ადამიანს რაც მეტი ენა ეცოდინება, მით უკეთესია, მაგრამ რატომ გვაძალევენ მაინცდამაინც ინგლისური ენის სწავლას? რაშია საქმე? მე ორი ეჭვი მაქვს: ან მშობლიური ენის დავინყება სურთ, ან ინგლისური ენის არცოდნის საბაბით, ასაკოვანი მასწავლებლების სკოლიდან გაშვებას აპირებენ. ახლა რომ მომკლათ, ინგლისურს მაინც ვერ ვისწავლი; ამის გამო ცუდი მასწავლებელი ვიქნები?! ჩემი საგანი გადასარევიად ვიცი. მე რომ ინგლისური მაინტერესებდეს, მათემატიკის მასწავლებელი კი არ ვიქნებოდი.

— ხელისუფლება ინგლისურზე იმიტომ აკეთებს აქცენტს, რომ ის საერთაშორისო ენაა.

— კი, ბატონო, საერთაშორისო ენაა, მაგრამ ვთქვათ, ფრანგული და გერმანული ვიცო; ამ ენების ცოდნით, საზოგადოებაში ღირსეულ ადგილს ვერ დავიმკვიდრებ? პოლიცი-

ლებელს რისთვის უნდა დასჭირდეს ინგლისური?.. ამ ხელისუფლებას ის ურჩევნია, ქართული ასწავლოს ხალხს ნორმალურად, მაგრამ ხალხს რას ასწავლიან, თავად არ იციან, ისე არეულ-დარეულად ლაპარაკობენ, ალბათ თავიანთი ნათქვამიდან თავადვე ვერ გამოაქვთ აზრი.

**ბანანა საღოჯალაშვილი**, ბიოლოგიის მასწავლებელი, 45 წლის:

— ინგლისური ენის შესწავლა ურიგო ნამდვილად არ იქნება, მაგრამ ხელფასის თითოეული ლარი და თეთრი წინასწარ მაქვს გაანგარიშებული. ნამდვილად არ მაქვს იმის საშუალება, ინგლისური ენის მასწავლებელთან ან რაიმე კურსებზე ვიარო. ეს რომ გავაკეთო, ჩემს შვილებს პურის ფული უნდა მოვაკლო.

ელებს შეიძლება, მართლაც დასჭირდეთ ინგლისური ენის ცოდნა — ბოლო დროს სულ უფრო მეტი ტურისტის ჩამოდის საქართველოში და შესაძლოა, პოლიციელებს, განსაკუთრებით — პატრულის თანამშრომლებს მართლაც დასჭირდეთ უცხოელებთან საერთო ენის გამონახვა, მაგრამ მათემატიკის ან თუნდაც ქიმიის, ფიზიკის, ქართულის მასწავ-

სამძინებელი	გასასულელი დივნები
<p>1365 ლარი</p>	<p>490 ლარი</p>
პეპსის სკოლის "კლასიკა" ინტერიერი პეპსის და ტექსტილის ფილიალში	
<p>2900 ლარი</p>	<p>390 ლარი</p>
ტყავის საწიფელი	
<p>პლ. მარაგაშის ბაზრ.14<sup>ბ</sup> ☎ 38 88 11</p> <p>პაპა ფხაველას ბაზრ.25 ☎ 37 11 11</p>	



— სამაგიეროდ, შემდგომში აგ-ინაზღაურდებათ...

— კი, აგვინაზღაურდება, მაგრამ მანამდე სული როგორ მივიტანოთ?.. გარდა ამისა, სხვა პრობლემაც არის: უკვე 45 წლის ვარ, ჩემთვის არც ისე იოლია, ახალი უცხო ენის შესწავლა — სკოლაში ფრანგული მაქვს ნასწავლი. ინგლისურის სწავლისთვის ბევრი დრო და ენერჯია დამ-



ჭირდება, არადა, ისედაც სულ გადარბენაზე ვარ.

— კომპიუტერის ათვისებაზე რალას იტყვი?

— კომპიუტერის ცოდნა სასიცოცხლოდ აუცილებელია.

**ბიორგი მახარაშვილი, პოლიციელი, 35 წლის:**

— მივესალმები პრეზიდენტის ახალ ინიციატივას. თანამედროვე პოლიციელმა აუცილებლად უნდა იცოდეს კომპიუტერი და ინგლისური — ასე პროფესიული მოვალეობის შესრულება გაცილებით იოლი იქნება. თუ ასეთი მნიშვნელოვანი საგნების სწავლისთვის ფულს აქვთ მოგვცემენ, მაგას რა აჯობებს?!

— აბრებთ ამ საგნების სწავლას?

— კომპიუტერი უკვე ვიცი; ჩვენ უკვე ელექტრონული გამოძიებაც შეგვასწავლეს. ინგლისურსაც ვისწავლი — იმედია, საამისო დროს გამოვინახავ. დროის დეფიციტი ნამდვილად მაქვს.

— თუ გქონია შემთხვევა, რომ პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს ინგლისური ენის ცოდნა დაგჭირვებია?

— კი, მქონია. რამდენჯერმე უცხოელებს დასჭირდათ ჩემი დახმარება. სულ მთლად უცოდინარი არა ვარ, რალაც კი გავაგებინეთ ერთმანეთს, მაგრამ უკეთ რომ მცოდნოდა ენა, აჯობებდა. იმასაც გეტყვით, რომ ჩემი პროფესიის ადამიანებისთვის ინტერნეტში ძალიან ბევრი საინტერესო ინფორმაცია დევს ინგლისურ ენაზე.

**ბიან ჩაფიძი, სტუდენტი, 19 წლის:**

— კომპიუტერიც ვიცი, ინგლისურიც და ორივეს ძალიან კარგად ვიყენებ. ეს ორი „საგანი“ რომ არ ვიცოდე, არც კი ვიცი, რა მემშველბოდა. მაგრამ პრობლემა რა არის, იცით? დედაჩემიც მასწავლებელია; უკვე 49 წლის არის და ძალიან უჭირს ინგლისური ენის ათვისება.

— უკვე სცადა და არ გამოუვიდა?

— კი, სცადა — მე მთხოვა, მასწავლეო, მაგრამ ვერ სწავლობს, გერმანული აქცენტით გამოთქვამს ინგლისურ სიტყვებს, ძალიან სასაცილოა... აქცენტს ვინ ჩივის — გერმანულ და ინგლისურ სიტყვებს ურევს ერთმანეთში. კომპიუტერის ათვისებაც გაუჭირდა, მაგრამ რალაც-რალაცები მაინც ისწავლა.

— იქნებ, ინგლისური ენის სპეციალისტმა უკეთ შეძლოს მისთვის ინგლისურის სწავლება?

— რას ამბობთ, დედა მაგისტრის ფულს ვერ გაიმეტებს. ფურო სწორად, საშუალება არ არის იმდენი, რომ მასწავლებელს ფული გადაუხადოს. ოჯახში ორი სტუდენტი ვართ, ერთიც — სკოლის მოსწავლეა. მამა მშენებლობაზე მუშაობს. დედას ხელფასი კი საჭმლის ფულად ძლივს გვყოფნის. ერთი სიტყვით, პრეზიდენტის იდეა ძალიან კარგია, მაგრამ რალაც ფორმაა მოსაძებნი. არა მგონია, უკვე მოქმედ მასწავლებლებს იმის საშუალება და დრო ჰქონდეთ, რომ ინგლისურის გაკვეთილებზე დაიწყოთ სიარული.

**ბაძა ბასპიაში, პატრულის თანამშრომელი, 29 წლის:**

— კომპიუტერი ვიცი, ინგლისური — ისე რა... სწავლა კი კარგია, მაგრამ სად მაქვს მაგის დრო?! იცით, რა დატვირთული სამუშაო გვაქვს?! თუ სამსახურში გამოგვიყოფენ გარკვეულ საათებს ინგლისურის შესასწავლად, კარგი იქნება, თუ არა და, არ ვიცი, როგორ მოვახერხებ...

**თინა არსოშვილი, ისტორიის მასწავლებელი, 37 წლის:**

— კი, მაგრამ რა ხდება? რუსეთის იმპერიას დავალწიეთ თავი და ახალ თავსატეხს ვიჩენთ?! ამ ხელისუფლებაში მოგზავნილები ხომ არ არიან?! რას მავალდებულებენ ინგლისური ენის სწავლას, იქნებ მე ფრანგული ან იტალიური მომწონს?! თუ დააკვირდით, ბოლო დროს „რუსთავი 2“-ზე

ფილმები ინგლისურ ენაზე გადის. ადრე რუსულ ენას გვახვედნენ თავს, ახლა ინგლისურს გვაძალბენ; რა, უკვე დაგვიპყრო ამერიკამ?..

— არაფის დაუჭრიხართ და არც ინგლისურის ცოდნას გაძალბენ, ეს ნებაყოფლობითია.

— ეს ახლა გვეუბნებიან, ნებაყოფლობითიაო, მაგრამ ინგლისური ენის ცოდნის გარეშე სამსახურს რომ ვეღარ იშოვით, მერე ნახავთ!.. დღევანდელმა პოლიტიკოსებმა და, სხვათა შორის, ჟურნალისტებმაც ისედაც არ იციან ქართული; ბარბარისმებზე რომ არაფერი ვთქვათ, სასწაულად დანყობილი წინადადებებით ლაპარაკობენ. ხელისუფლება დღემდე უბრალოდ, ყურადღებას არ აქცევდა ქართულ ენას, ახლა კი დაუნდობელი ბრძოლა გააჩაღა მშობლიური ენის წინააღმდეგ.

— კომპიუტერის სწავლაზე რა აზრის ხართ?

— ეს ძალიან კარგი იდეაა. მაგრამ ხელისუფლებას კომპიუტერი კი არა, ინგლისური ენა ალღევებს, უბრალოდ, მარტო ინგლისურის სწავლებაზე რომ დაიწყოთ ლაპარაკი, მათი ფარული მიზნები აშკარა გახდებოდა. ახლა პრეზიდენტი ცდილობს, ფარულად, ქართველი ხალხის განათლების საბაბით, მშობლიური ენა დაგვაწინდოს. მერე, ხომ იცით, ქართველები რა მატრიაკვეციები არიან?! ბავშვებს ინგლისურ ბალებსა და სკოლებში შეიყვანენ, ერთმანეთთანაც ინგლისურად დაიწყებენ ლაპარაკს და ქართულს სულ დაივიწყებენ.

— ინგლისური სკოლები და ბალები სად არის?

— ჯერჯერობით არ არის, მაგრამ ასე იქნება. ხომ ხედავთ — სააკაშვილსაც რომ წამოსცდა თავის განცხადებაში, — კარგი იქნება, თუ უნივერსიტეტში ინგლისურ ენაზე იქნება სწავლაო. გერმანიაში, საფრანგეთში ან იტალიაში ჩვენზე ნაკლებად განათლებული ხალხია, მშობლიურ ენაზე რომ იღებენ უმაღლეს განათლებას და ტელევიზორშიც თავიანთ ენაზე რომ უყურებენ ფილმებს?!

— სააკაშვილმა თქვა, — უმაღლეს სასწავლებლებში ინგლისურად ვერ იქნება სწავლება, სტუდენტებმა ქართულიც კი არ იციან ნორმალურადო.

— ჯერ ერთი, მაგ სიტყვებში ჩანს მისი იმედგაცრუება იმის გამო, რომ უახლოეს მომავალში უმაღლეს სასწავლებელში ინგლისურად სწავლება ვერ იქნება; მერე კიდევ, ახალგაზრდებმა ქართული რომ არ იციან ნორმალურად, ეს ისევ ამ ხელისუფლების ბრალია და არა — ჩვენი.

# FutureWorld-ს 5 წელი უეუსრულდა

ბოლო წლებში ჩვენს ქვეყანაში საგანმანათლებლო სისტემა სრულიად შეიცვალა. ბუნებრივია, ეს უცხო ენების შესწავლასაც შეეხო. სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, სტუდენტებს განახლებული წიგნებით, უახლესი მეთოდებითა და რადიკალურად განსხვავებული პროგრამებით უხდებოდა სწავლა.

ცხადია, წარმატებული მომავლისათვის აუცილებელია უცხო ენების საფუძვლიანი ცოდნა. ამიტომაც დაინტერესდით ამ აქტიუ-ალური თემით და თბილისში არსებულ ბრიტანულ ორგანიზაცია Futureworld-ს ვესტუმრეთ, რომელსაც ახლახან მოღვაწეობის 5 წელი შეუსრულდა.

Futureworld-ი ინტენსიური კვლევის, სისტემატიზებული შრომის, წარმატებული ექსპერიმენტების და საინტერესო მეთოდების წყალობით საკმაოდ დიდ შედეგებს აღწევს.

საუბარი ცენტრის დირექტორ **ელიზა კანთილაქსთან** შედგა.

**— ბრველ რეგში, 5 წლის იუბილეს ვულოცავ Futureworld-ს! ალბათ იოლი არ იყო პრესტიჟული სახელის მოხვეჭა და ნდობის დამსახურება, მაშინ როცა ქალაქში ენის შემსწავლელი ბევრი ცენტრი ფუნქციონირებს. ქალბატონო ელენე, რამ განაპირობა თქვენი წარმატება?**

— დიდი მადლობა მოლოცვისათვის და ასეთი შეფასებისათვის! წარმატების რამდენიმე მიზეზი არსებობს, მათ შორის მნიშვნელოვანია უახლესი მეთოდების ძიება და დიდი შრომისმოყვარეობა. ჩვენ ყოველ წელს საინტერესო პროექტებს ვახორციელებთ.

1. ცენტრს ექსკლუზიური უფლება ჰქონდა Discovering English-ზე, არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ცენტრალურ ევროპაში. ამ შემთხვევაში ინგლისური ენა კომპიუტერული პროგრამებით ისწავლებოდა, რომლის შედეგებსაც Online-რეჟიმში ავსტრალიაში მდებარე სათავო ოფისი აფასებდა.

2. ასევე ექსკლუზიური უფლება გვაქვს Helen O'Grady Children's Drama Academy-ის საბავშვო პროგრამაზე, რომელიც, მსოფლიოს 23 ქვეყანაშია წარმატებული.

3. FW-ი უზრუნველყოფს სავიზო მხარდაჭერას და მსურველებს 3-კვირიან სასწავლო პროგრამებს სთავაზობს ევროპაში. ჩვენ, უცხოელ პარტნიორებთან ერთად ვგზავნით სტუდენტებს საზაფხულო და ზამთრის ბანაკებში. ამით ჩვენი კავშირები უფრო ღრმავდება და საინტერესო პროგრამებიც შესაბამისად მრავლდება, რაც წარმატების საწინდარია.

**— ახალი სასწავლო წლისთვის რა სიახლეებს წერგავთ?**

— სექტემბრიდან არანაკლებ საინტერესო პროგრამას ვუმზადებთ ბავშვებს კერძოდ — Speaking Corner, რომელშიც ინგლისური ენის შესწავლა მხოლოდ ინგლისურად, მხიარული თამაშებით აქტიურ პროცესში ხდება. ბავშვების გონება მთლიანად კონცენტრირებულია სხარტ აზროვნებაზე, ისინი ცდილობენ იაქტიურონ და თუნდაც მინიმალური სიტყვათა მარაგით გაკვეთილზე ინგლისურად იმეტყვი-ლონ. ეს ფაქტი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ბავშვებს აქვთ მოტივაცია და გაუცნობიერებლად ქსნებათ უცხო ენაზე მეტყველებ-ის კომპლექსი. შედეგი საბოლოოდ აკუმულირდება და ნათლად, სემესტრის ან სასწავლო წლის ბოლოს წარმოჩნდება. კერძოდ:

1. ბავშვებს ჩამოყალიბებული აქვთ დამოკიდებულება უცხო ენისადმი;
2. გაუმჯობესებული აქვთ ლექსიკური მარაგი;
3. სასაუბრო უნარ-ჩვევები.

**— რას გვეტყვიოთ რუსული ენის შესწავლასთან დაკავშირებით?**

— ეს არის სტუდია სკოლაშდელი ასაკის ბავშვებისთვის. 3-დან

— 6 წლამდე ბავშვებთან მუშაობისას ენას ხელსაქმე ემატება: ხატვა, აბლიკაცია. ძერწვა, ორიგამი, სუვენიერების და სათამაშოების კეთება, ლექსებისა და სიმღერების სწავლა. რუსულ ენაში ცენტრს საკუთარი საბავშვო სახელმძღვანელოები აქვს, წიგნებში თავმოყრილია წლების განმავლობაში შემუშავებული მასალა.

**— ცენტრში სწავლა ნებისმიერ ასაკშია შესაძლებელი?**

— რა თქმა უნდა, ასაკი შეზღუდული არ არის და ყველა პროგრამა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფზეა განკუთვნილი. პრაქტიკაში სწორად ვანყდებით ასეთ გარემოებას: ადამიანი ფლობს ინგლისურ, რუსულ ენებს, მაგრამ აქვს მეტყველებასთან დაკავშირებული კომპლექსები, უჭირს კომუნიკაცია, აკლია თავდაჯერებულობა. ასეთ შემთხვევაში, ჩვენ მათ მოკლე კურსებს ვთავაზობთ. გაკვეთილი მიმდინარეობს მხოლოდ უცხოურ ენაზე. იქმნება უცხოენოვანი გარემო, სადაც საინტერესო თემებზე მიდის მსჯელობა. ჩვენთან ასევე გაკვეთილებს ატარებენ უცხოელი კვალიფიცირებული პედაგოგები. მაქსიმალურად ვქმნით ისეთ გარემოს, რომელშიც მერწმუნეთ, ენის



სწავლა ბევრად საინტერესოდ და იოლად მიმდინარეობს.

**— რა ღირს თქვენთან ცენტრში სწავლა?**

— ჩვენი ვითვალისწინებთ ქვეყანაში შექმნილ ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას და მიუხედავად შრომატევადი მუშაობისა, ფასები შექლებისდაგვარად ყველასთვის მისაღები და ხელმისაწვდომია. ამას თან ერთვის ინდივიდუალური შეღავათებიც.

წლების განმავლობაში უცხო ენის ცოდნის გასაღრმავებლად მოგვმართავდნენ ისეთი მსხვილი კომპანიების თანამშრომლები, როგორებიც არიან: „ტკბილი ქვეყანა“, PSP, „ავერსი“, Georgian Bank, Procredit Bank, British Pipeline, Bank Republic და სხვები. მათთვის დგება ინდივიდუალური, მოქნილი გრაფიკი.

მინდა აღვნიშნო კიდევ ერთი ფაქტი, რომ FutureWorld მჭიდროდ თანამშრომლობს მშობლებთან და ყოველთვის საქმის კურსში აყენებს მათ. ასევე ვითვალისწინებთ მშობლების სურვილებსა და ინიციატივებს.

**— ქალბატონო ელენე, თქვენთან საუბარი ძალიან საინტერესოდ წარმოგონდა, რისთვისაც დიდ მადლობას გიხდით. კიდევ სომ არაფერს დაამატებდით?**

— ჩვენ, FutureWorld-ს გვეამაყება განვლილი წლების შრომის შედეგები და მომავლის სამყაროს, წარმატებული წარსულით, უახლესი პერსპექტივებით ვეგებებით. ჩვენთან სწავლის მსურველებს კი ჩვენი პროფესიონალი პედაგოგები შემოეგებებიან!

გელთ ნებისმიერი ასაკის და ნებისმიერი კურსის მსურველს; გპირდებით წარმატებას!

ჩვენი მისამართია: **საბურთალო; მიცკევიჩის ქ. 17, ტელეფონი: 38 22 96, 899 53 61 96**

[www.futureworld.ge](http://www.futureworld.ge)



# საუი ფრენა, დრაკულას მუზეუმი და ტემპერამენტიანი იტალიელებით მოხიზლული მსახირობი

თუ ადამიანს ფრენის შიში არა აქვს, მისთვის მოგზაურობას არაფერი სჯობს. ეცნობი უცხო ქვეყნის კულტურას, ხალხს, ცხოვრების სტილს. მოკლედ, ეს ყველაფერი საინტერესოა, მაგრამ ბევრი, საჭირო ფინანსური რესურსის უქონლობის გამო, არათუ ქვეყნიდან, არამედ ქალაქიდან გასვლასაც ვერ ახერხებს. საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი ადამიანები კი, გასტროლებისა თუ დასვენების მიზნით, საზღვარგარეთ ხშირად დადიან, მით უმეტეს — ზაფხულში. სწორედ ამიტომ, რამდენიმე მათგანს დავუკავშირდით და მოგზაურობით მიღებულ შთაბეჭდილებებზე ვესაუბრე.

## ნათია ჭივიკა

### „ვსდილობ, ქუჩაში მარტო ვინატიალო...“

ლელა ავაუაშვილი, მსახიობი:

— ბოლოს ერევანში გახლდით, სადაც „ზაფხულის ლამის სიზმარი“ გქვონდა წაღებული. მანამდე კი, იგივე სპექტაკლი ამერიკაში ჩავიტანეთ და, როგორც ვიცი, იქაური მსაყურებელი აღვავრთოვანეთ. სპექტაკლს საკმაოდ ბევრი ადამიანი ესწრებოდა და ჩვენი მისამართით დიდი სიმპათიაც გამოხატეს. ისე კი, ჩემდა სამწუხაროდ, ბევრ ქვეყანაში არა ვარ ნამყოფი. ნელს მინდოდა, იტალიაში დასასვენებლად წავსულიყავი, რადგან ეს ქვეყანა ძალიან მომწონს, მაგრამ სამწუხაროდ, ვერ მოვახერხე. ვიზაზე ჩანერა დამიგვიანდა. თანაც, ახალი სერიის გადართობები საკმაოდ გვიან დამთავრდა და ამიტომ, აქ დარჩენა მომიხდა. რაც შეეხება მოგზაურობას — მართლა ძალიან მიყვარს, თუმცა იშვიათად ვმოგზაურობ. მთელი წლის განმავლობაში ვგეგმავ ხოლმე, რომ სადმე წავიდე, მაგრამ არ გამოდის. მოგზაურობისთვის კი ერთ დღეში ვემზადები. არ მიყვარს, რამდენიმე კვირით ადრე ბარგის ჩალაგებას რომ იწყებენ ხოლმე. მე სპონტანურად ვახერხებ ამ ყველაფერს.



გარემოს შეცვლა ძალიან კარგია, თან, ბუნებასთან ყოფნა მიყვარს.

— ფრენის გეშინია?

— არა, ფრენის შიში საერთოდ არა მაქვს.

— უცხო ქვეყანაში ჩასული,

პირველ რიგში, რას ათვლიერებ ხოლმე?

— რაც იმ ქვეყანაში ღირსშესანიშნოა, ჩვენი ჯგუფის წევრებთან ერთად, მეც ყველაფერს ვათვლიერებ, მერე კი ვცდილობ ხოლმე, ქუჩებში მარტომ ვიხეტილო, რათა იქაური ხალხის ხასიათსა და ცხოვრების სტილს გავცნო.

— ეი. უცხო ხალხთან კონტაქტს ადვილად ამყარებ.

— მგონი, არ მიჭირს კონტაქტის დამყარება. ამერიკელებზე ამბობდნენ, ძალზე უყურადღებო ხალხიაო, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ, რადგან თუკი რომელიმე გამვლელს ვკითხავდი, — ესა და ეს მალაზია სად არისმეთქი? — გამოგყვები და გაჩვენებო, — მპასუხობდნენ. საერთოდ, ძალიან მიყვარს შოპინგი. მართალია, ერევანში არაფერი შემოქინია, მაგრამ სამაგიეროდ, ამერიკაში მოვიარე მალაზიები, ამაში კი იქაური ხალხი დამეხმარა. სხვათა შორის, ჩემთვის აბსოლუტურად უცხო ადამიანებმა საჩუქრებიც კი მომიძღვნეს. მოკლედ, ამერიკელებზე დადებითი შთაბეჭდილება მაქვს...

### „ფრენის შიში საერთოდ არა მაქვს“

კახა ავაუაშვილი (კახუ), მსახიობი:

— ბოლოს რუმინეთში გვექონდა გასტროლები. იქაურ ფესტივალზე სპექტაკლი „ფაუსტი“ წავიღეთ. რასაკვირველია, მოგზაურობა ძალიან მიყვარს, მით უმეტეს, რომ ფრენის შიში საერთოდ არა მაქვს. სადმე გასამგზავრებლად მხოლოდ სულითა და გულით ვემზადები ხოლმე თორემ ბევრი ნივთი ნამდვილად არ მიმაქვს. ერთი პატარა ჩანთაც საკმარისია. ნივთები რად მინდა, მთავარია, თვალეები მქონდეს თან.

— თვალეებით ვის ან რას აკვირდები?..

— ზოგადად, ქვეყანას ვათვლიერებ. რომ გითხრა, მუზეუმების თვალეებით თავს ვიკლავ-მეთქი, მოგატყუებ, თუმცა არც უამისობაა. მაგალითად, ახლა რუმინეთში ყოფნისას დრაკულას მუზეუმის ნახვა მსურდა, მაგრამ სამწუხაროდ, ვერ მოვახერხე, რადგან ჩვენ ქალაქ სიდიუში

## შ.პ.ს კაისა

საოფისა ავაჯი,  
საანცხლარო ნივთები

- ▶ საბითუმო ფასები
- ▶ ადგილზე მიტანა
- ▶ ხარისხიანი მომსახურება

ვაჟა-ფშაველას №14  
ტელ: 37 21 22



www.kaisa.ge



ვიყავით, ის მუზეუმი კი სულ სხვა ქალაქშია, რომელიც იქიდან საკმაოდ შორს მდებარეობს. არა უშავს, იმედია, კიდევ მოვხვდები ამ ქვეყანაში და მაშინ ამ მუზეუმს აუცილებლად მოვიხაზულე.

— უცხოელ ქალებს არ ათვალიერებ სოლმე?

— აბა, კაცებს ხომ არ დავათვალიერებ! ქალებს პირველ რიგში ვაკვირდები. ყველაზე მეტად იტალიელმა ქალბატონებმა მომხიბლეს. „პერკე, პერკე“ — ამ სიტყვას ძალზე ხშირად იმეორებენ და ძალიან სექსუალურადაც გამოსდით (იციინის). ვხუმრობ, რა თქმა უნდა. საერთოდ, იტალიელებს ტემპერამენტიანი ქალები ჰყავთ და ამიტომაც ვანიჭებ უპირატესობას. ისე კი, ბევრ ქვეყანაში ნამდვილად არა ვარ ნამყოფი. ახლაც, მაღე კორეაში გავემგზავრებით, სადაც ისევ „ფაუსტს“ წარმოვადგენთ და იქიდან რომ დავბრუნდები, ჩემს შთაბეჭდილებებს აუცილებლად გაგიზიარებ.

„უფრო მეტად, ამერიკალებთან ვმეპოზრობ“

თიკა ფაცაცია, მომღერალი:

— როგორც ყველა ადამიანს, მოგზაურობა მეც ძალიან მიყვარს. უცხო ქვეყანაში გამგზავრების წინ კი აუცილებლად ვადგენ იქაურ ტემპერატურას და ამის მიხედვით ვარჩევ ნასაღებს ნივთებს, თუმცა ამას წასვლის წინ, ორ საათში ვახერხებ სოლმე. ისედაც, ნახევრად სავსე ჩემოდნით მივდივარ, რადგან შოპინგი ძალიან მიყვარს და რა ვიცი, რა მომეწონება იქაურ მაღაზიებში?! ბევრი ბარგი კი არ მიყვარს. ამიტომ,

თუ რამე მომეწონება, იმ ნახევარ ჩემოდანს ვავსებ და უკან ისე ვბრუნდები. სადმე გამგზავრებამდე ყოველთვის ვცდილობ, მოსახერხებელი ფეხსაცმელი და ქურთუკი წავიღო, რადგან ფეხით სიარული მიყვარს და მთელ დღეს ხეტიალში ვატარებ. იქაურ ტრანსპორტს არ ვწყალობ. გავდივარ ქალაქის ცენტრში და მთელ ქალაქს ფეხით შემოვივლი სოლმე, რომ ყველაფერი კარგად დავათვალიერო. სიმართლე გითხრა, მუზეუმებში სიარულით თავს არ ვიკლავ, რადგან, როგორც წესი, ყველა მუზეუმის წინ უშველებები რიგი დგას და ამით ბევრ დროს დავკარგავ. მაგალითად, პარიზში საკმაოდ ბევრჯერ ვარ ნაყოფი და ლუვრის დათვალიერება მხოლოდ ბოლო ჩასვლისას მოვახერხე. ვატიკანშიც მთელი დღე ვიარე. რატომღაც, ეს ქალაქი ტურისტებისთვის უფრო მოსახერხებელია და მუზეუმების წინ

არც ისე დიდი რიგები დგას, ამიტომ საფუძვლიანად დავათვალიერე და ამაში ნაკლები დრო დავხარჯე.

— უცხოელებთან თუ ურთიერთობ?

— ნაკლებად. ხომ იცი, ყველა ერში არიან კარგი და უფუფური ადამიანები (იციინის). უფრო მეტად, ამერიკელებთან ვმეგობრობ; ალბათ იმიტომ, რომ იქ ყველაზე მეტხანს მომიხდა ცხოვრება. ისე კი, ფრანგებიც საკმაოდ გულგახსნილი ხალხია...

— უცხოელს რაიმე დასამახსოვრებელი საჩუქარი ხომ არ მოუძღვნია შენთვის?

— მსგავსი რამ არ მახსენდება. ან რატომ უნდა ეჩუქებინა?! არ მეგულება არც ერთი ქართველი, რომელიც აბსოლუტურად უცხო ადამიანს რამეს აჩუქებს, თუ მისგან რამეს არ ელის...

— ბევრ ქვეყანაში ხარ ნამყოფი?

— არც ისე. უფრო ხშირად,

ერთი და იმავე ქვეყანაში მიწევს რამდენჯერმე ჩასვლა, თორემ მაგალითად, გერმანიის არც ერთ ქალაქში არ ვყოფილვარ, არც აზიაში. ამერიკასა და ევროპის რამდენიმე ქალაქში ვარ ნაყოფი. ახლაც მიწდა, სადმე გავემგზავრო დასასვენებლად და ვნახოთ, მოვახერხებ თუ არა.

— სამოგზაუროდ ვისთან ერთად დადიხარ სოლმე?

— ძირითადად, მეუღლესთან. ახლა უკვე ჩემი შვილიც წამოიზარდა და ვცდილობ, მასაც გავაცნო უცხო ქვეყნის კულტურა.

— ფრენის გემონია?

— არა, პირიქით, ფრენა ძალიან მიყვარს. თვითმფრინავი საშუალებას გაძლევს, 3 საათში აბსოლუტურად სხვა სამყაროში აღმოჩნდე, — ეს ხომ ძალიან კარგია! თანაც, აფრენამდე ვიძინებ სოლმე და მხოლოდ დაშვებისას ვიღვიძებ. ასე რომ, ფრენა ჩემთვის სიამოვნებასთან ასოცირდება...



ფეხსაცმლის მაღაზია „ტირალი“ ბთაშავოვით

100%-იანი უსაბაზო

14 ივლისიდან სსპს-ს

ახალი კოლექცია

- ბალი,
- მასაჟის და
- ბავშვის

ფეხსაცმლის ფაქტორი აკრედიტაცია, ხელისაწვდომი ფასები, 30 დღის განმავლობაში

მის ქართულ ნაგებობას გავზ. №92 (მინანთან) ტელ 77 65 82; 858 68 55 48





რომ გინდოდეს, ვერ იძალავებ... ზოგჯერ გვიმართლებს. ვილატებს მიაჩნიათ, რომ დილას თუ კარგ საქმეს გააკეთებს, მთელი დღე წარმატებული ექნება, თუ ერთ-ორ ტკბილ სიტყვას მიაყოლებ, „ვისი“ — „კანფეტ“, თანხასაც აუცილებლად მიიღებ... ყველაზე ცუდი ის არის, რომ ახლა კონკურენცია ბევრად მეტია — ქუჩიდან აყრილი მათხოვრები კორპუსებს მიაწყდნენ, ისევე, როგორც ჩვენ.

— მხოვ, კითხვა იცი?

— ცოტა... ბავშვთა სახლში რომ ვიყავი, იქ მასწავლეს... ის სახლი თბილისის იქით იყო, სადღაც ახლოს, მაგრამ იმ სახლის სახელი არ ვიცი... ლამეც იქ გვტოვებდნენ. არ მომეწონა იქაურობა. უმრავი, ჩვენსავით ქუჩაში ნამყოფი ბავშვი იყო, ძირითადად — „თათრები“. რადგან შავგვრემანი ვარ, მეც „თათარი“ ვეგონე. სხვათა შორის, ქუჩაშიც მომისმენია, ორი გამვლელი ერთმანეთს ეუბნებოდა, — ფული თუ გაქვს, ქართველს მიეცი, მაგ „თათრისთვის“ არ გენანებაო?.. ბავშვთა სახლში გვცემდნენ. „სახლშიც“ მცემენ და თუ ორივეგან გვცემენ, რა მნიშვნელობა აქვს, სად ვიქნები?! ნორმალური საქმელი იყო, წვინანი და

— არა... ბავშვებისგან ვიცი, რომ იქ მასწავლებლებიც ეჩხუბებიან ბავშვებს... კითხვას ერთი გოგონა მასწავლის. მალაზიაში მუშაობს და მასთან მე და ჩემი მეგობრები ხშირად მივდივართ. ზამთარში ვთბებით, ზაფხულში ცივ წყალს გვასმევს... პირველად მას ხაჭაპური მოვპარე, მაგრამ არ უჩხუბია. როცა მისი მალაზიის კართან დავდექი, თვითონ მომცა. მას შემდეგ მისთვის არაფერი მომიპარავს. ამას წინათ „ბებიაც“ შემომყვა იმ გოგოსთან, ძალიან ცხელოდა და ცოტა ხანს ვენტილატორთან დავსხედით გასაგრილებლად. „ბების“ ჰგონია, მე ვერაფერს ვხვდები, მაგრამ ყველაფერი მესმის... ხანდახან ვილატ გოგო მოდის ჩვენთან და რაღაცები — ტანსაცმელი, კანფეტები და ათასი რამე მოაქვს, რომელიც შემდეგ „დეიდებს“ მიაქვთ და სასმელზე ცვლიან... „ბებიამ“ მითხრა ერთხელ, — ის შენი ნამდვილი დეიდა, დედაშენის და არისო... ერთხელ ყური მოგვარი, რაღაცას ლაპარაკობდნენ, მივხვდი — დედაჩემი უცხოეთში ყოფილა. წერასაც რომ ვისწავლი, მას ყველაფერს მივწერ.

— რას მისწერ?

— მივწერ, რომ ქუჩაში ცხოვრება ძნელია. იმასაც მივწერ, რომ თან ნამიყვანოს და მეც იქ ვიმუშავებ, ყველაფერს გავაკეთებ და ჩემი ფული მექნება... არ ვიცი, როგორ მიდიან უცხოეთში, ჯერ პატარა ვარ... ჩემი გვარიც კი არ ვიცი, თორემ თუნდაც მარტო წავიდოდი და მოვქებნიდი დედაჩემს...

ქუჩის პატარა „ბინადარმა“ თავისი

მეგობარი, ბავშვთა სახლში გაცნობილი დათოც მოიყვანა. რადგან დედამ მიატოვა, ხოლო მამამ ცოლი მოიყვანა, მას მ წლამდე მამიდა ზრდიდა, მაგრამ მერე ის რაიონში გათხოვდა. ახლა



კატლეტი, მაგრამ ის ქალები სულ გვეჩხუბებოდნენ, ბიჭებს — განსაკუთრებით. მე ხანდახან ვწვევი, დღეში ერთი ლერი სიგარეტი მყოფნის, მაგრამ მაინც უნდა მოვწიო. ისინი კი ამის გამო მცემდნენ... მერე მე და დათო (ჩემთან ერთად პატარა ბიჭიც იყო, რომელიც „ნახალოვკის“ ტრასაზე „მუშაობდა“) გამოვიპარეთ და თბილისიდან ამოსულ ტაქსის გამოვყვეით. მთავარი იყო, თბილისამდე ჩამოვსულიყავით და მერე რა გვიჭირდა?! ქუჩაში ცხოვრება ძნელია, ახლა ზამთარი მოდისო, „ბებიამ“, და ვიცი, უარესად გაგვიჭირდება, მაგრამ იქ ყოფნა აღარ გვინდოდა. ერთი ქალი ისე ძალიან გაუბრაზდა დათოს, საცემრად რომ ვერ დაიჭირა, მდულარე წყალი შეასხა...

— სკოლაში სიარული და წერაკითხვის სწავლა არ გინდა?

მოზარდი 12 წლის არის და თავს მუშაობით ირჩენს.

— როცა მამა სახლში არ იყო, დედინაცვალი მცემდა და რამდენჯერმე სახლში არ მივედი. მაგრამ მამამ მიპოვა და ისე ძალიან მცემა, რამდენიმე დღე ფეხზე ვერ ვდგებოდი. როგორც კი წამოდგომა შეეძელი, გავიპარე და მას შემდეგ, სახლში აღარ დავბრუნებულვარ. არც დავბრუნდები... თავიდან ჩვენს უბანში ვტრიალებდი, ვიმალებოდი. ლამე ხან მანქანების „პროფილაქტიკაში“ ვრჩებოდი, ხან სასადილოს დარაჯთან... მეშინოდა, მამაჩემს არ ვენახე. მერე თანდათან სხვა უბნებშიც ვისწავლე და ახლა მთელი თბილისი ვიცი... სანამ სახლიდან წამოვიდოდი, სკოლაშიც დავდიოდი. წერა-კითხვაც ვიცი. მე არ ვმათხოვრობ, ვმუშაობ და ჩემი ფული მაქვს. ხან რას ვაკეთებ, ხან — რას: „პროფილაქტიკის“ მუშებს ვუმარები. დღეში 5 ლარს მაძლევენ, თან მაჭმევენ და ლამეც იქ მძინავს, „ლეფანკაზე“... მესმოდა, ამას წინათ როგორ ლაპარაკობდნენ ერთმანეთში შვილებზე, — სკოლაში წასვლა არ უნდათო; ყველაფერი ისეთი ძვირია, იმხელა ფულს რომ გადაიხდი და არ ისწავლიან, ხომ უნდა მოკლა ცემითო?! წერაკითხვა კი ვიცი და მგონი, ისევ ჯობია, თავისუფლად ვიყო. ჯერჯერობით ასე მირჩევნია, მერე არ ვიცი, რას ვიზამ. „დედიკოს ბიჭივით“, სკოლაში სიარული და ჩანთის თრევა არ მინდა.

— სკოლაში სიარული „დედიკოს ბიჭობა“?

— აბა, რა არის?! ჩემი მეზობლები სანამ გაკვეთილებს არ ისწავლიდნენ, დედები ეზოში არ უშვებდნენ. მე კიდევ ჩემს გემოზე ვარ. მიმატება-გამოკლება, კითხვა და ფულის ცნობა კი ვიცი და... იმდენი ვინმე ვიცი, სულ წიგნებში ჰქონდათ თავი ჩარგული, მაგრამ ახლა სამსახური არა აქვთ... მე გამიმართლა — სამუშაო მაქვს, მაგრამ უამრავი ჩემი ტოლი ვიცი, რომელიც ქუჩაში ცხოვრობს და ფულის ცნობაც კი არ იცის... მარტო ჩემს უბანში სახლიდან წამოსული 7 ბიჭი ვიცი; ქართველები არიან. იმ „თათრების“ უმეტესობას აქვს სახლი; ისინი დილას გარდაბნიდან და

**სიასლე!** ავეჯის გარეგანი „ლუი XV“ გთავაზობთ:

ტყავის და ხავერდის ბელგიურ სამეულებს დაბალ ფასებში

200-დან 2000- ლარამდე

მისამართი: ქვემოქვეან ნაგებობის ბაგ8. №92 (M ისტანბულ)

ტელ: 77 65 82; 858 68 55 48

მარნეულიდან ჩამოდიან და ღამე სახლში ბრუნდებიან.

— ბავშვთა სახლში ყოფნა არც შენ მოგეწონა?

— არა... იქ ვიღაც ქალმა ოთახის დახვეტა მომთხოვა. გოგო კი არა ვარ, ცოცხი ავიღო ხელში!.. იმავეს მოითხოვდა ჩემგან დედინაცვალი და იმიტომ გამოვიქეცი სახლიდან.

**ზაზა ვარლიაშვილი**, ბავშვთა ფსიქოლოგი:

— ქუჩიდან ბავშვთა სახლში მიყვანილი მოზარდების ისევე ქუჩისკენ ლტოლვა სხვადასხვა მიზეზით აიხსნება. მათ უჭირთ, გრაფიკში ჩაჯდომა უჭირთ. საერთოდ, თავისუფლებას უფრო ადვილად ეჩვევა ადამიანი, ვიდრე გრაფიკში ჯდომას და მათ სწავლას, მუშაობას ან უბრალოდ დასვენებას ურჩევნიათ, თავიანთ გემოზე იყვინენ... გარდა ამისა, ჩვეულებრივ გარემოში აღზრდილი ბავშვებისგან განსხვავებით, ასეთ მოზარდებში ძალიან მწვავეა მიჩვევის სინდრომი — ისინი ქუჩასა და ერთმანეთს ძალიან ეჩვევიან და სხვა გარემოში გაჩერება უჭირთ... მაგალითისთვის, ერთი ამბავი მინდა მოგიყვეთ: მეორე მსოფლიო ომის დროს, საკონცენტრაციო ბავშვთა ბანაკში აღმოაჩინეს შემთხვევით გადარჩენილი სამი მოზარდი;



ფსიქოლოგიური ცენტრი თუ თავშესაფარი არსებობს, ქუჩის პატარა „ბინადართა“ რაოდენობა არ მცირდება, პირიქით — იზრდება კიდევ ერთ არის ეს გამოწვეული?

— სხვადასხვა ფაქტორით. ამას ხშირად, ბავშვთა სახლებში არაპროფესიონალი კადრების მუშაობით ხსნიან, რაც არ მიმაჩნია მართებულად... მათში ისევე ძლიერია ქუჩისკენ ლტოლვის სურვილი. მით უმეტეს, რომ ბევრი მათგანი დამოუკიდებელ პიროვნებად ყალიბდება, საკუთარ თავში იკეტება და გარემოსთან ადაპტაცია ძალიან უჭირს... ბოლო დროს ქუჩის პატარა „ბინადართა“ რაოდენობის გაზრდა სოციალური და ეკონომიკური ფაქტორებით არის გამოწვეული. ბავშვები ხშირ შემთხვევაში, მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო მიდიან ოჯახიდან, მაგრამ მე ვიცი შემთხვევები, როცა მოზარდები მშობლების ზედმეტად მკაცრ და არასწორ მიდგომას გაექცნენ; ან პირიქით — იმის გამო, რომ საერთოდ ვერ აქცივეს ყურადღებას შვილებს; ამ დროს ბავშვი ზომიერად მეტად გრძნობს თავისუფლებას და მას ქუჩაში ყოფნის სურვილი უჩნდება. შემდეგ უკვე, ქუჩის „ბინადარი“ ხდება... ■

მშობლები ყველას დალუპული ჰყავდა... ისინი სხვადასხვა ოჯახში გადაანანილეს, მაგრამ იქ ადაპტაცია ვერც ერთმა ვერ შეძლო. სამივეს ე.წ. ანაკრიტიული დეპრესია დაემართა, რომელიც ერთ ბედქვეშ ჩავარდნილ და ერთმანეთზე გადაჯაჭვულ მოზარდებს ახასიათებს. მედიკოსებმა ყველანაირ ექსპერიმენტზე ხელი აიღეს და ამ სამმა ადამიანმა მთელი ცხოვრება ერთად გაატარა...

— მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში საკმაოდ ბევრი ბავშვთა





### ჩინოსნები ქრთამის ალებიას დააკავეს

კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლები თითქმის ყოველდღე ქრთამის ალებიას სხვადასხვა თანამდებობის პირს აკავებენ. ამ დღეებშიც რამდენიმე ფაქტი მოხდა. შპს „ჰერმისი“ ვაკის სასაფლაოს დირექტორი დიმიტრი პოპოვი გამოძალკვის ბრალდებით აიყვანეს. გამოძიების მტკიცებით, პოპოვმა, სამარხის ადგილის გამოყოფის სანაცვლოდ, მოქალაქეს 4 ათასი დოლარი გამოსძალა, მაშინ, როცა ოფიციალური გადასახადი 92 ლარს შეადგენს. დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, მას 5 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

ქრთამის ალების გამო ასევე პატიმრობაში აღმოჩნდა ოზურგეთის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი მინდია დოლიძე. ძალოვანთა მტკიცებით, დოლიძემ მენარმეს მშენებლობის ნებართვის გაცემის სანაცვლოდ, ქრთამის სახით 13 ათასი დოლარი გამოართვა. დოლიძესაც, ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, 9 წლამდე პატიმრობა ელის.

ვეტერანთა მომსახურების საკითხებში კასპის გამგეობის თანამშრომელი, ნიკოლოზ ყაზარაშვილი კი 600 ლარის ქრთამის ალებაშია ეჭვმიტანილი. ამ თანხის სანაცვლოდ, მოქალაქეს, ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანობის დამადასტურებელი მონუმენტის გაცემას შეპირდა.

ასევე დაკავებულია სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პრობაციის ბიუროს ოფიცერი ქალაქ ფოთში, ზურაბ ბირკაია. მას, პრობაციონერთათვის 100-100 ლარის სისტემატურად გამოძალკვა ედება ბრალად. კანონით, ყველა პრობაციონერი ვალდებულია, დანიშნულ დროს ბიუროში გამოცხადდეს; ძალოვანთა მტკიცებით, ბირკაია, ქრთამის სანაცვლოდ, გამოცხადების დღეებთან დაკავშირებით მათ შელავათს უწესებდა. თუ ბრალი დაუმტკიცდა, მასაც 9 წლამდე პატიმრობა ელის.

# დაპატიმრებულია გამოძალკველთა ჯგუფი

კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა ორი პირი დააკავეს. ძალოვანთა მტკიცებით, დაკავებულები ბათუმში მოქმედი, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები არიან. თურქეთის მოქალაქეს, ჩეთინ ადინს და საქართველოს მოქალაქეს, რუსულან ნაცარაშვილს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეეფარდათ. სამართალდამცველთა განმარტებით, დაკავებულებმა ქვეყანაში ჩამოსულ უცხოელ ინვესტორებს, დაშინებითა და სიცოცხლის მოსპობის მუქარით, 80 ათასი დოლარის ღირებულების „ბენტლის“ მარკის ავტომანქანა და 600 ათასი დოლარის ქონება გამოსძალკეს. დაზარალებულები დაკავებულებს ამხელენ. „მე გერმანელი ბიზნესმენი ვარ, ჩვენი კომპანია ბათუმში, ტენდერში გაიმარჯვა და 400 ათას დოლარად ტრანსფორმატორების ქარხანა შეისყიდა. ჩვენი პარტნიორები იყვნენ: თურქეთის მოქალაქე ჩეთინ ადინი და საქართველოს მოქალაქე რუსულან ნაცარაშ-

ვილი. ისინი მუდმივად გვაშინებდნენ, გვძარცვავდნენ და გვაშანტაჟებდნენ. გამოგვართვეს ავტომანქანა „ბენტლი“ და ათასობით დოლარი. საბოლოოდ, კომპანიის მათ სახელზე გადაფორმება მოითხოვეს. კომპანიის ზარალი 600 ათას დოლარს შეადგენს. მაძლობას ვუხდით საქართველოს ძალოვან სტრუქტურებს გაწეული დახმარებისთვის“, — აცხადებს ერთ-ერთი დაზარალებული. თურქეთის მოქალაქე, თეიმ თაიარიც ამხელს მათ. „თურქეთის მოქალაქე ვარ, 24 წელია, გერმანიაში ვცხოვრობ. დავაარსე ფირმა. თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა. შემდეგ დაიწყო მუქარები. შიშისგან იძულებული გავხდით, მათთვის ფირმის დოკუმენტებიც გადაგვეცა...“ — ამბობს იგი. ჯერჯერობით უცნობია დაკავებულების პოზიცია. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, მათ 9 წლამდე პატიმრობა ემუქრებათ.

გაგრძელება იხ. გვ. 17

საპრობაციო ცენტრის საქონის განყოფილება  
 GROUP OF PROBLEMATIC BOARD MANAGEMENT

თქვენს განსაცხადებულ ფულს ვინ დაიკავებს?  
 ვინ არ გიბრუნებთ?

**მოგვმართეთ!**  
 ჩვენ დაგხმარებით  
 სასხის უკან ამოღებაში

**პროფესიონალები**  
**თქვენს სამსახურში**  
 თქვენი დაცვა ჩვენი ღირსება!

მის. ალ. კუთათაიძის №2 (ა. თბილისის პარკის ტიპი)  
 ტელ.: 14 35 35; 877 90-90-74; 877 717 444

# „კვირის პალიტრის“ კულაშხისა „დიდი მხატვრები“

წიგნების სერია რჩეულ ფერმწერებზე - შუდევეები და ისტორიები  
**წიგნი XI**

# ვედასკესი 30 სექტემბრამდე

მხოლოდ „ველის პატივის“ მეთხველისთვის სპეციალური ფასი 15 ლაში!



I, II, III, IV, V, VI, VII, VIII, IX და X  
წიგნის გააფიჩიებაში გააქვია.

„კვირის პალიტრის“ სელმომწერთა საყურადღებოდ! წიგნის შექმნის მსურველები  
დაუკავშირდით „ველაჟი“-ს ტელ: 38-26-73/38-26-74 კურიერი სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ





დასაწყისი იხ. გვ. 15

# ავტოსაგზაო შემთხვევა მსხვერპლით დასრულდა

ბოლო დროს ჩვენში ძალიან გახშირდა ავტოსაგზაო შემთხვევა, რომელმაც არაერთი ადამიანის სიცოცხლე შეინირა. მორიგი ფაქტი 13 სექტემბერს თბილისში მოხდა. კალუბნის ქუჩაზე №71 სამგზავრო ავტობუსი ფეხით მოსიარულე ქალბატონს მამინ დაეჯახა, როცა ის გზის გადაკვეთას ცდილობდა. დაზარალებული — 73 წლის მარიამ დიდუბაშვილი სასწრაფოდ მესხეთე საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმები მის გადარჩენას ცდილობდნენ, მაგრამ მიყენებული ტრავმები იმდენად მძიმე აღმოჩნდა, რომ მოხუცის გადარჩენა ვერ შეძლეს. ექიმების განმარტებით, მას ქალა-ტვინის დაზურული ტრავმა, გულ-მკერდის დაზურული ტრავმა და წვივის მოტეხილობა აღენიშნებოდა. მომხდარზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და გამოძიება დაიწყო. ძალოვნებმა უკვე დაპატიმრეს თვითმხილველები. მათი მტკიცებით, მარიამ დიდუბაშვილი გზაზე გადარბენას ცდილობდა, როცა მას ავტობუსი დაეჯახა. იყო თუ არა მძლოლი დამნაშავე და დადგება თუ არა მისი პასუხისმგებლობის საკითხი, ეს მოგვიანებით გაირკვევა.



# უბედური შემთხვევა მარნეულის მარინოში მოხდა

უბედური შემთხვევა მარნეულის რაიონში მოხდა. 35 წლის დავით ზუმბურდიე თევზაობდა, როცა მას ფეხი დაუტყდა და წყალში ჩავარდა. შემთხვევის ადგილზე სამაშველო სამსახურის წარმომადგენლები მივიდნენ და 20 წუთის განმავლობაში ეძებდნენ მამაკაცს, რომელიც სამწუხაროდ, უკვე გარდაცვლილი იპოვეს.

# პოლიციის ყოფილი უფროსი ბარდასვლილი იპოვეს

14 სექტემბერს ღამით, ლაგოდეხის პოლიციის ყოფილი უფროსი, ალბერტ კაპანაძე გარდაცვლილი იპოვეს. კაპანაძე ლაგოდეხის რაიონის სოფელ ვარდისუბნის მკვიდრი იყო. სოფელში გავრცელებული ერთ-ერთი ვერსიით, იგი გვიან ღამით თბილისში, საკუთარ სახლში ჩაცხრილეს. ამ ინფორმაციას რადიო „ჭერეთი“ ავრცელებს. ადგილობრივებისავე ცნობით, მომხდარის შესახებ საქმის კურსშია ვარდისუბნის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული, ზაზა ქველაძეც, მაგრამ მისთვის მომხდარის დეტალები უცნობია. ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება. ალბერტ კაპანაძე პოლიციის უფროსად ლაგოდეხში 1990-იან წლებში მუშაობდა.

# მოსკოვში ქართული მოკლეს

გასულ კვირას მოსკოვში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი ძალოვანი მოკლეს. ელგუჯა ჯინჭარაძე, მეტსახელად რემბო, ასლან აბაშიძის დროს აჭარაში შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ მუშაობდა. ელგუჯა ჯინჭარაძემ საქართველო დატოვა და ბოლო წლებში ოჯახთან ერთად, მოსკოვში ცხოვრობდა. მოკლულის ცხედარი მილიციელებმა ტარას შევჩენკოს სანაპიროზე იპოვეს. როგორც ამბობენ, მკვლელობა 11 სექტემბერს, ღამის პირველ საათზე მოხდა და მას თვითმხილველებიც შეესწრნენ. 46 წლის ჯინჭარაძე ქუჩაში ორ მამაკაცს ესაუბრებოდა, შემდეგ ისინი შეკამათდნენ და ამას გასროლაც მოჰყვა. მიყენებული ჭრილობებისგან ჯინჭარაძე ადგილზევე გარდაიცვალა, დამნაშავეებმა კი მიმალვა მოახერხეს. ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და გამოძიება მიმდინარეობს. სამწუხაროდ, რამდენიმე წლის წინ ასევე მოსკოვში მისი ბიძაშვილი, ცნობილი ბიზნესმენი მამუკა ჯინჭარაძე მოკლეს. ბოროტმოქმედმა იგი საკუთარ მანქანასთან ჩაცხრილა.



**ა.ი.პ. „აღამიანი და გუნება“**

**გ. ჰასაყერის სახელობის სამედიცინო სასწავლებელი აცხადებს მიღებას 2010-2011 სასწავლო წლისთვის**

**პროფესია — მედიცინის სახე**

**სწავლება ეფუძნება საქართველოში და დასავლეთ ევროპაში არსებულ სასწავლო პროგრამებს და ავადმყოფის მოვლის თანამედროვე მოდელებს.**

**სწავლის ხანგრძლივობაა 2 წელი.**

**წარჩინებული სტუდენტები გაივლიან პრაქტიკას გერმანიაში.**

**საბუთების მიღების ბოლო ვადაა 5 ოქტომბერი.**

**დაწვრილბაითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ:**

**ტელ: 61 01 89; 65 40 49; 893 63 22 85**  
**ელ-ფოსტა: umn@access.sanet.ge**

**სასწავლებლის მისამართი: თბილისი, 0141, გურამიშვილის გამზირი (სანზონა) № 72**



# „კანონიერება ქურდმა“ საკანში თავი ჩამოიხრჩო



რუსეთში, ჩიტის საგამოძიებო იზოლაციის საკანში, გელა ქობულეთელის სახელით ცნობილმა კრიმინალურმა ავტორიტეტმა, გელა ტაკიძემ თავი ჩამოიხრჩო. წარ-

მოშობით აჭარელ, 39 წლის „კანონიერ ქურდს“ მკაცრი რეჟიმის კოლონიაში 18-წლიანი პატიმრობა ჰქონდა მისჯილი.

რუსი სამართალდამცველების ინფორმაციით, ტაკიძე ნარკოტიკებს მოიხმარდა და გამორიცხული არ არის, თვითმკვლელობა ნარკოტიკული შიმშილითაც ყოფილიყო გამოწვეული. გელა ტაკიძის ნეშტი ერევნის გავლით, თვითმფრინავით ჯერ თბილისში ჩამოასვენეს, ხოლო თბილისიდან — ქობულეთში, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე, სადაც მისი მშობლები ცხოვრობენ. წარმოშობით აჭარელ 39 წლის „კანონიერ ქურდს“ მკაცრი რეჟიმის კოლონიაში 18-წლიანი პატიმრობა ჰქონდა მისჯილი.

# კრიმინალების სილაგაზის კონკურსი

უნგრეთში უჩვეულო სილაგაზის კონკურსის ორგანიზატორებმა ახალგაზრდა და ლამაზი კრიმინალები შეარჩიეს. წესების თანახმად, კონკურსის მონაწილეებს კრიმინალური წარსულის დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარედგინათ. ორგანიზატორები ითვალისწინებდნენ აგრეთვე ბრალდების სიმძიმესა და ციხეში გატარებული დროის ხანგრძლივობას. კონკურსის ერთ-ერთი ფინალისტი ინკოგნიტო ანა გახდა, რომელიც სილაგაზის კონკურსში გამარჯვებაზე ყოველთვის ოცნებობდა. „მეგობრები ყოველთვის მირჩევდნენ, ბედი მეცადა, მაგრამ კანონთან პრობლემების გამო უარით მისტუმრებდნენ“, — აღნიშნა კონკურსის მონაწილემ. გამარჯვებული, რომელიც ბუდაპეშტში ბინასა და ავტომობილს მიიღებს საჩუქრად, ფინალური ჩვენების დროს დედაქალაქის ერთ-ერთ ბარში გამოვლინდება, სადაც წლების წინ ორ დანაშაულებრივ დაჯგუფებას შორის შეტაკება მოხდა. ორგანიზატორთა აზრით, ფინალი, რომელშიც ქურდები და თაღლითები მიიღებენ მონაწილეობას, საკმაოდ სანტერესო იქნება.

## ბიბლუსი

ბიბლის მალაზიათა ქსალი  
ბითლ საარქივოლო

## სიასლე!

13 საქვამბრიდან  
ახალი  
ფილიალი  
ბოლნისში!

სულხან - საბას 106  
(ბამბაოზის გვერდით)

**თბილისი:**  
რუსთაველის 40/1  
აღმაშენებლის №121  
იოსების №49  
რობაქის №7  
ბახტრიონის №12

**ბათუმი:**  
მეზღ აბაშიძის №62  
ზ.ბაშასხარდიას №18

**რუსთავი:**  
მეზღრობის №12

**ოფორეთი:**  
9 აპრილის პარკი

**ზუგდიდი:**  
რუსთაველის №92

**სანაი:**  
რუსთაველი №239

**ფოთი:**  
შარნავაზ მეფის №15

**ქუთაისი:**  
ლ.ნუსუბის №1

**სამგრაფია:**  
სააქაძის №6

**საზური:**  
რუსთაველის №69

**დუშეთი:**  
რუსთაველის №11

**სასკოლო წიგნები**  
**ბიბლუსის ყველა**  
**მაღაზიაში**

☎ 307 402  
www.biblusi.ge

წაიკითხო წიგნები -  
უწყობს იქნები!





გამოყენებულია სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ ცნობები

რუბრიკა მოამზადა თეა ხურსილავაძე

# „მსოფლიო დეტექტივის სეიფი“

ყოველ თრეზაბათს! ჟურნალ „რეიტინგთან“ ერთად  
თითო კრიმინალური საქმე!



13-დან - 20 სექტემბრამდე

საინტო მაცხუმეტო  
აკვიდრთა საყვარო


20 სექტემბრიდან

ფასი 2 ლარი!

(ჟურნალთან ერთად 3 ლარი)

უკვე გამოსული წიგნები - საქმე №1-დან - №13-მდე  
(ჯეიმს ჰელდი ჩეიზი, ართურ კონან დოილი, სიდნი შულდონი, აგათა ქრისტე, ჯადსონ ფილიპსი, როს მაკლონაღლი, ჯონ ლიქსონ კარი, ჯო კორჯი, დევილ ჰემეტი, ბორის აკუნინი, ჩარლზ კ. სნოუ და დიკ ფრენსი )

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში





# სასნა

## ქეთი ქემოკლიძე ოჯახის წლისთავის იუბილას ოჯახში პირ შესვდა

ცნობილ საოპერო მომღერალს — ქეთი ქემოკლიძეს გასულ სეზონში თავბრუდამხვევი წარმატებები ჰქონდა. სეზონი „ვაშინგტონ ოპერაში“ გამოსვლით დაიწყო, სადაც პლასიდო დომინგომ მიიწვია, შემდეგ, მისი სურათებით დამუშავებული, კარლოს საურას გახმაურებული ფილმის — „მე, დონ ჯოვანი“ — აფიშები მთელ საფრანგეთში იყო გამოკრული; იტალიაში „მაჩერატას“ ფესტივალზე ახალგაზრდა მომღერალს „ფესტივალის აღმოჩენა“ უწოდეს... წლევანდელ სეზონს კი იგი ლონდონის „კოვენტ-გარდენიდან“ იწყებს და წინ ისევ გადატვირთული რეჟიმი ელოდება... მიუხედავად ამისა, ქეთიმ ჩვენთან საუბარი ბავშვობის გახსენებით დაიწყო.

### მანანა ბაბრიჭიძე

— თბილისში დავიბადე. ჩემი მშობლები ქიმიკოსები არიან და მუსიკასთან მხოლოდ მოყვარულის დონეზე აქვთ შეხება... როგორც ამბობენ, ბავშვობაში მრავალმხრივი ნიჭით ვიყავი დაჯილდოებული: ვმღეროდი, ვხატავდი, სასცენო წარმოდგენებში ვმონაწილეობდი და ხშირად ვმართავდი კიდეც სექტაკლებს. მახსოვს, ჩემს მეგობრებთან ერთად, რომელიმე ლიტერატურულ ნაწარმოებს ავირჩევდი და მე ვიყავი რეჟისორიც, მხატვარიც, კოსტიუმების ავტორიც, სცენოგრაფიც და, რაც მთავარია, მსახიობიც... ყოველთვის მიტაცებდა სცენა და აპლოდისმენტები. ძალიან მცირე ასაკში გადავწყვიტე, მქონოდა ჩემი ფული და სახლში, როდესაც სტუმრები მოდიოდნენ, სხვადასხვა კოსტიუმს ვიცვამდი, შოუს ვმართავდი, შემდეგ სტუმრებისგან ხურდა ფულს ვაგროვებდი და ყულაბაში ვყრიდი. შეგროვებულ თანხას ჩემს დას ვაძლევდი, რადგანაც ვფიქრობდი, რომ ფული მას უფრო სჭირდებოდა. ჩვენი ოჯახის მეგობრები და ნათესავები განსაკუთრებულად ისხენებენ ამ საოჯახო შოუებს, როდესაც დაირითა და დიდი მოსახსნამით, ბომა ქალის როლს ვასრულებდი... მოგვიანებით, როგორც ბავშვების უმრავლესობა, მეც მიმიყვ-

ანეს მუსიკალურ სკოლაში, ფორტეპიანოს კლასში; აგრეთვე ვმღეროდი ხალხური სიმღერის ანსამბლში, დაედოდი სამხატვრო სკოლაში და სხვა უამრავ წრეზე... ჩემი სასკოლო ასაკი, საქართველოსთვის ძალიან მძიმე პერიოდს დაემთხვა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ტყვიების წვიმაში დიდ მანძილს გავდიოდი ფეხით და არც ერთ გაკვეთილს არ ვაცდენდი. ჩემი ცხოვრების ეს ნაწილი, (როგორც საქართველოში ყველა მცხოვრებისთვის) დალდასმული იყო: დენის, წყლისა და გაზის მოლოდინით, „შთამომავლობით გადმოცემული“, გადაკეთებული ტანისამოსით, პურის უკიდევანო რიგებითა და მეტროში უშუქობის გამო გვირაბში ჩარჩენით... და მაინც, არასდროს მიგრძნია თავი უბედურად... ერთ-ერთი ფოლკლორული კონცერტის შემდეგ ჩემს ოჯახს ურჩიეს, რომ ვოკალში მეცადა ბედი. მათ გულგო კარიაულთან მიმიყვანეს და სრულიად შემთხვევით, პირდაპირ ექსპერიმენტული სკოლის გამოცდაზე აღმოვჩნდი, სადაც ნოდარ ანდლულაძის თანხმობით, მიმიღეს... მიუხედავად ამისა, საერთაშორისო ეკონომიკურ ფაქტორებზე ჩავაბარე მისაღები გამოცდები, რაც ჩემი ახალი გატაცება იყო. ერთი წლის შემდეგ უკვე კონსერვატორიაში ჩავაბარე, რად-



გან ვიგრძენი, რომ სიმღერის გარეშე სიცოცხლე არ შემეძლო. მანამდე უკვე აქტიურ საკონცერტო საქმიანობას ვწვნივდი. სოლო კონცერტი გავმართე, ვიყავი ორი ახალგაზრდული კონკურსის ლაურეატი და ამის ლოგიკური გაგრძელება გახლდათ კონსერვატორიაში ჩაბარება, მაგრამ სამწუხაროდ, ქულები დამაკლდა და მხოლოდ ადგილების დამატების შემდეგ ჩავირიცხე. ამ, ჩემთვის საკმაოდ მძიმე პერიოდში უდიდესი მხარდაჭერა მქონდა ჩემი ოჯახის. ამ ტრადიციას ახლა ჩემი მეუღლე აგრძელებს, რომელიც ყველაფერში მესმარება, რაც ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს.

### — დავბრუნდეთ ოდნავ უკან და სასწავლებლები გავიხსენოთ...

— კონსერვატორიაში ჩაბარებას კიდე უფრო აქტიური საკონცერტო და საოპერო გამოსვლები მოჰყვა. 2002 წელს შედგა ჩემი დებიუტი საოპერო სტუდიის სცენაზე — მადალენას როლში ვერდის „რიგოლეტოდან“. ამავე სცენაზე განვასახიერე სხვადასხვა საინტერესო პერსონაჟი, სტუდიაში მოლ-



ვანე საოცარ ადამიანებთან თანამშრომლობით. ჩემდა სასიხარულოდ, ამ პერიოდში აქტიურად ვმონაწილეობდი კონცერტებში ვახტანგ კახიძის, ზაზა აზმაიფარაშვილის, ვახტანგ მაჭავარიანის, გიორგი ჟორდანიას, დავით მუქერიას, შალვა შილაკაძისა და სხვათა დირიჟორობით, საქართველოში პრესტიჟულ ფესტივალებში, დავდიოდი გასტროლებზე...

— თქვენ ურთულესი კონკურსები გაიარეთ, ერთადერთი ქართველი ხართ, რომელსაც პლასიდო დომინგოს კონკურსიდან „ოპერალია“ პრიზი გერგოთ...

— ამ ზღვა გამოცდილებით, რომელიც ჩვენს ქვეყანაში დავაგროვე, გადავწყვიტე, კონკურსებზე მეცადა ბედი, რაც ძალიან ზრდის მომლერალს. პირველი იყო საქართველოს მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსი, სადაც ლაურეატი გახვდი და ქართული ნაწარმოების საუკეთესო შემსრულებლად დამასახელეს. ამას მოჰყვა წარმატება ელენე ობრაზცოვას კონკურსზე, სადაც მივიღე პრიზი ფრანგული ნაწარმოების საუკეთესო შესრულებისათვის; შემდეგ იყო ტულუზა, სადაც გრან-პრის მფლობელი გახვდი. მერე გავიმარჯვე ბარსელონაში, ასევე ძალზე პრესტიჟულ — ვინისის სახელობის კონკურსში. ჩემი ბოლო კონკურსი იყო პლასიდო დომინგოს „ოპერალია“, რამაც უდიდესი წარმატება და წინსვლა მომიტანა. რაც შეეხება ბელვედერის კონკურსს — იქ „ლა სკალას“ იმდროინდელმა დირექტორმა მომისმინა და გადმომცა პრიზი, რაც უფლებას მაძლევდა, უგამოცოდ გამეგრძელებინა სწავლა „ლა სკალას“ აკადემიაში. ამ აკადემიაში სწავლა, რასაკვირველია, ბევრის მომტანია, რადგან წარმატებულ სტუდენტებს აქვთ

საშუალება, მონაწილეობა მიიღონ როგორც აკადემიის, ასევე თვით „ლა სკალას“ სპექტაკლებში, უდიდესი მომლერლების გვერდით. ჩემდა სასიხარულოდ, ბევრჯერ მომინია ამ სცენაზე მემლერა. ყველაზე ძლიერი მოგონება, რომელიც აკადემიასთან მაკავშირებს, ეს არის პედაგოგები, რომლებიც მასწავლიდნენ... საერთოდ, პედაგოგებში თავიდანვე გამიძარტა, რადგან მოხვდი გულიკო კარიაულთან, რომლის წყალობითაც, სცენაზე დაცულად და თავდაჯერებულად ვგრძნობ თავს... კონსერვატორიაში სწავლისას მქონდა შემოქმედებითი ურთიერთობა მნიშვნელოვან დირიჟორებთან და პიანისტებთან, რომლებიც საოპერო სტუდიაში, ანსამბლებსა და კამერულ მუსიკაში მოღვაწეობენ. გამოიყოფი დარეჯან მახაშვილს, რომელიც ჩემი ანსამბლის პედაგოგი იყო. უკვე უცხოეთში სწავლისას ჩემი პედაგოგები იყვნენ უდიდესი საოპერო მომლერლები: ლეილა გენჯერი, ლუჩანა სერრა, მირელა ფრენი, რენატო ბრუზონი... ამ ხალხის ნამღერია უკვე უდიდესი გაკვეთილია და წარმოიდგინეთ, მათთან მუშაობა მხვდა წილად. მინდა გამოვყო ლეილა გენჯერი, რომელმაც უდიდესი კვალი დატოვა ჩემს შემოქმედებაზე. უკვე თითქმის 3 წელია, რაც აკადემია დავამთავრე, მაგრამ როცა ახალი ნაწარმოების სწავლას ვინწყებ, ყოველთვის ვცდილობ, მისი რჩევები გავისხენო.



ლოდ, ბევრჯერ მომინია ამ სცენაზე მემლერა. ყველაზე ძლიერი მოგონება, რომელიც აკადემიასთან მაკავშირებს, ეს არის პედაგოგები, რომლებიც მასწავლიდნენ... საერთოდ, პედაგოგებში თავიდანვე გამიძარტა, რადგან მოხვდი გულიკო კარიაულთან, რომლის წყალობითაც, სცენაზე დაცულად და თავდაჯერებულად ვგრძნობ თავს... კონსერვატორიაში სწავლისას მქონდა შემოქმედებითი ურთიერთობა მნიშვნელოვან დირიჟორებთან და პიანისტებთან, რომლებიც საოპერო სტუდიაში, ანსამბლებსა და კამერულ მუსიკაში მოღვაწეობენ. გამოიყოფი დარეჯან მახაშვილს, რომელიც ჩემი ანსამბლის პედაგოგი იყო. უკვე უცხოეთში სწავლისას ჩემი პედაგოგები იყვნენ უდიდესი საოპერო მომლერლები: ლეილა გენჯერი, ლუჩანა სერრა, მირელა ფრენი, რენატო ბრუზონი... ამ ხალხის ნამღერია უკვე უდიდესი გაკვეთილია და წარმოიდგინეთ, მათთან მუშაობა მხვდა წილად. მინდა გამოვყო ლეილა გენჯერი, რომელმაც უდიდესი კვალი დატოვა ჩემს შემოქმედებაზე. უკვე თითქმის 3 წელია, რაც აკადემია დავამთავრე, მაგრამ როცა ახალი ნაწარმოების სწავლას ვინწყებ, ყოველთვის ვცდილობ, მისი რჩევები გავისხენო.

— როდის დაიწყო თავბრუდამხვევი წარმატებები?

— ჩემი დებიუტი შედგა მადალენას პარტიაში საოპერო სტუდიის სცენაზე, სადაც მე თვითონ შევეკერე კოსტიუმი და შევექმენი აქსესუარები. ჩემი ევროპული დებიუტი კი გაიმართა „ლა სკალას“ სცენაზე, „სევილიელ დალაქში“. მასსოვს საოცარი შეგრძნება, რომელიც ამ სცენაზე დადგომისას გან-

ვიცადა, და ტაში, რომლითაც მაყურებელმა დამაჯილდოვა... ამ სცენაზე კიდევ ბევრჯერ მომინდა გამოსვლა. ჩემი ესპანური დებიუტი ბარსელონაში, ულა-

მახეს „ლიცეუს თეატრში“, „ოტელოში“ შედგა. მქონდა გამოსვლები საფრანგეთში, ჩილეში, საბერძნეთში, ავსტრიაში... იტალიაში ხშირად ვბრუნდები კონცერტებში, ფესტივალებსა და დადგმებში სამონაწილეოდ... შარშან, „სევილიელ დალაქში“ ჩემი ამერიკული დებიუტი შედგა ვაშინგტონში, სადაც კონკურსის შემდეგ, მავსტრო დომინგომ მიმინვია და ამერიკელმა მსმენელმა უდიდესი სიყვარული და სიბოლო დამანახვა... მუშაობისას უამრავ გამოჩენილ მომლერალთან, რეჟისორებთან და დირიჟორებთან მუშაობა მიწევს, რომლებთან ურთიერთობა მართლაც რომ უდიდესი სიამოვნებაა. ასევე ცნობილი ადამიანების გაცნობა, რომლებიც ჩემს სპექტაკლებს ესწრებიან და კომპლიმენტებითაც მანებივრებენ...

— ახლა ის გვითხარით, კინოში როგორ აღმოჩნდით?

— კინო ნამდვილი საჩუქარი იყო ჩემთვის. სრულიად შემთხვევით მოხვდი ე.წ. კასტინგზე: მოსმენაზე ავსტრიაში, ქალაქ გრაცში გავემგზავრე. მოსმენის შემდეგ დამირეკეს და მითხრეს, რომ ცნობილი ესპანელი დირიჟორი, კარლოს საურა ფილმისთვის — „მე, დონ ჯოვანი“ — რომში კასტინგს აწყობდა... მომცეს ეტიუდი, რომელიც, როგორც ჩანს, წარმატებით შევასრულე. შემდეგ მკითხეს, თუ ვიცოდი პარტია იმ როლისა, რომელზეც მნიშვნავდნენ. სამწუხაროდ, რეპერტუარში არ მქონდა დონა ელვირას არია. სხვა გზა არ იყო — სადამოსთვის უნდა მასწავლი... ასე, რამდენიმე საათში მასწავლი არიით მივედი უკვე მოსმენაზე. საბედნიეროდ, ძალიან კმაყ-



ოფილები დარჩნენ და როლზე დამ-  
 აპტიცეს... გადაღებები რომში მიმ-  
 დინარეობდა. მუსიკალური ფილმი  
 და აღწერს, თუ როგორ დაინერა  
 ოპერა „დონჯოვანი“. ძალიან საინ-  
 ტერესო იყო გადაღებები და, რა-  
 საკვირველია, კარლოს საურასთან  
 მუშაობა. ფილმში გამოჩენილი იტა-  
 ლიელი მსახიობები მონაწილეობდ-  
 ნენ. ორი თვე ვიყავი რომში და ეს  
 ორი თვე დაუფინყარი იქნება, რად-  
 გან მოულოდნელად, საოცარ სამ-  
 ყაროში აღმოვჩნდი... ფილმი ზა-  
 ფხულში გამოვიდა; ტორონტოს და  
 რომის საერთაშორისო ფესტივალე-  
 ზზე იყო წარდგენილი. ჩემდა სამ-  
 ნუხაროდ, რომის ფესტივალის წი-  
 თელი ხალიჩაზე ვერ მოვხვდი, რად-  
 გან ამ დროს ვექსფორდის საერთა-  
 შორისო ფესტივალზე პრემიერა  
 მქონდა. ფილმს უდიდესი წარმატე-  
 ბა ხვდა წილად, უამრავი კომპლი-  
 მენტი მივიღე; სურათი ახლა უკვე  
 მალე გამოვა დი-ვი-დიზე და წიგნიც  
 ამ ფილმის შესახებ. მინდა სიხარუ-  
 ლით აღვნიშნო, რომ ჩემს როლს  
 უდიდესი მოწონება ხვდა წილად.

**ქართველებთან ერთად გა-  
 მოსვლზე რას გვეტყვი?**

— რასაკვირველია, ყოველთვის სასი-  
 ხარულოა თანამემამულესთან ერთად  
 გამოსვლა, რადგან ეს კიდევ უფრო  
 ამყარებს აზრს, რომ ქართული ვოკა-  
 ლური სკოლა ნამდვილად ამდიდრებს  
 მსოფლიოს საოპერო მუსიკას... წილად  
 მხვდა ბედნიერება, მემღერა ბატონ  
 ლადო ათანელთან ერთად ორჯერ:  
 ერთხელ — ბარსელონაში „ოტელო-  
 ში“ და მეორედ — ტურინში „ტაის-  
 ში“. მინდა აღვნიშნო — ორივე ამ  
 სპექტაკლის ჩანაწერი დი-ვი-დის სახ-  
 ით გამოვიდა. წელს ბატონ პაატა ბურ-  
 ქულაძესთან ერთად ვიმღერე „სევი-

ლიელ დალაქში“ ბერლინში, რაც  
 ჩემთვის დიდი პატივი იყო. აკადემია-  
 ში სწავლისას მიწვედა ასევე ჩვენს  
 თანამემამულეებთან ერთად გამოსვლა.

**— როგორც ვიცი, განსაკუთრე-  
 ბულ ყურადღებას აქცევთ სცენის  
 ჩაცმულობას. ასეა?**

— დიხ. მიყვარს დღე, როცა კო-  
 სტიუმების გასინჯვის ვიწყებთ. გან-  
 საკუთრებით, როდესაც ქალის როლს  
 ვმღერი, რადგან ნაირ-ნაირ კაბას  
 ვარჩევთ. სამწუხაროდ, ეს არც ისე  
 ხშირად ხდება, რადგან ჩემი როლების  
 ნახევარზე მეტი ე.წ. შარვლიანი  
 გმირები არიან და აქედან გამომ-  
 დინარე, მამაკაცის სასცენო ჩაცმუ-  
 ლობაში უკეთ ვერკვევი. უამრავი  
 საინტერესო დეტალი აქვს წინა საუკუ-  
 ნეების კოსტიუმებს; გამორჩეულია  
 აგრეთვე ჩაცმის წესები, თანამიმ-  
 დევრობა. მინდა აღვნიშნო, რომ მიხ-  
 არია, ამ საუკუნის შვილი რომ ვარ,  
 რადგან ძალიან რთული სატარებე-  
 ლი იყო წინა საუკუნეების ტანსაცმე-  
 ლი... ყველაზე სახალისო კოსტიუმე-  
 ბი მქონდა წელს მადრიდში, „დიანას  
 ხეში“. სპექტაკლში შვიდზე მეტი კო-  
 სტიუმი მქონდა და ასევე უამრავი  
 პარიკი. სულ 2-2 წუთი მქონდა გა-  
 მოსაცვლელად. მახსოვს, ერთი ადგ-  
 ილიდან მეორეზე გავრბოდი და ვიხ-  
 დიდი, თან მანოდებდნენ და ახალს  
 ვიცვამდი; ვიღაცა პარიკს მიცვლი-  
 და, ვიღაცა — მაკიაჟს...

**— პირად ცხოვრებას როგორ  
 უთავსებთ ამ რთულ რეჟიმს?**

— ჩემი ოჯახი ერთი წლისაა. სამ-  
 ნუხაროდ, ჩვენი ქორწინების „დაბადე-  
 ბის დღეს“ მე და ჩემი მეუღლე ერთად  
 არ ვიყავით, რადგან მე იტალიაში  
 მაჩერატას ფესტივალზე ვმღეროდი...  
 ვენაში ვცხოვრობთ, რადგან ჩემი  
 მეუღლე იქ მუშაობს და იქიდან დავდი-  
 ვარ სამღერად. ჩემი მეუღლე ცდი-  
 ლობს, ყოველთვის ჩამოვიდეს პრე-  
 მიერაზე და ჩემთან ერთად იყოს ასეთ  
 მნიშვნელოვან მომენტში.

**— როგორა თქვენ სამომავლო  
 გეგმები?**

— ახალი სეზონი იწყება უმნიშ-  
 ვნელოვანესი პრემიერით ლონდონის  
 „კოვენტ-გარდენში“. ამ თეატრის  
 დირექტორმა ჯერ პლასიდო დომინ-  
 გოს კონკურსზე მომისმინა, შემდეგ  
 — ვექსფორდის ფესტივალზე და  
 დამინიშნა სტეფანოს როლი გუნოს  
 „რომეო და ჯულიეტაში“, რაც უკვე  
 ვიმღერე ვენეციაში. ამას მოჰყვება  
 „სევილიელი დალაქი“ მონპელიესა და  
 ტულუზაში. ტულუზაში ასევე —  
 მოცარტის „ასე იქცევა ყველა ქალი“,  
 ხოლო ბარსელონაში — ზიბელის პარ-  
 ტია. დაგეგმილია აგრეთვე კონცერტე-  
 ბი დიუსელდორფში, მალაიაზიასა და  
 სოლო კონცერტი ტულუზაში. ■

რუბრიკისთვის მორიგი ინტერ-  
 ვიუს ჩასაწერად, მთაწმინდაზე, ერთ-  
 ერთ ვინრო ქუჩას ავუყვები. ჩემ  
 გარდა ქუჩის სიმყუდროვეს არაფერ  
 არღვევდა. ზაფხულის ცხელი დღე  
 იყო და ყველა ალბათ დასვენების  
 სხვადასხვა სერეს მიმართავდა. მე  
 კი, ბევრი ვიარე თუ ცოტა, ჩემი  
 რესპონდენტის სახლს მივუახლოვდი.  
 ე.წ. იტალიურ ეზოში, კიბე ავი-  
 არე და მინის კარზე დავაკაკუნე.  
 უკვე ყველასათვის ნაცნობმა, „დღის  
 შოუს“ ერთ-ერთმა წამყვანმა, დოდო  
 ხურცილაძემ გამილო მერე მალა  
 ხმაზე ჩართული ტელევიზორი გამო-  
 თო, მაგიდაზე გაშლილ პასიანსს დახე-  
 და და ინტერვიუს ჩაწერა დაიწყო.

**მერი კოხიაშვილი**

**— პასიანსს სწორად შლით?**

— ეს ჩემთვის რელაქსაციის ერთ-  
 ერთი საშუალებაა. კარტს ვშლი, რომ  
 გავიგო, ხედავ რა მელის (იციანის). სამსახ-  
 ურიდან რომ ვბრუნდები, ასე ვერთობი.  
 ამ დროს სხვა რამეზე აღარ ვფიქრობ.  
 მერე სახლის საქმეებს ვაკეთებ.

**— კარტი ყოველთვის მართალს  
 გუვუნებათ?**

— არადა მას არასდროს ვუჯერებ. ეს  
 უბრალოდ, დროის გასაყვანი საშუალებაა.

**— პასიანსის გარდა, რითი ერ-  
 თობით?**

— მიყვარს, როდესაც ჩემი მეგობრები  
 მესტუმრებიან და მათ ვუმასპინძლები. მაშინ  
 ბევრს ვერთობი, ვიხსენებთ ძველ და კარგ  
 ამბებს. ზოგჯერ ისეთი რამეც გვახსენდება,  
 რომ ვტირით... გეგმებსაც ვსაბავთ. ძალიან  
 მიყვარს მათი გამასპინძლება. საქმელების  
 კეთება ძალიან მიყვარს. ჩემი მომზადებუ-  
 ლი საქმეები რომ მოსწონთ, ისე მიხარ-  
 ია, გაგიჟებული ვარ ხოლმე სიხარულით.  
 თეატრში, გამოფენაზე თუ კინოში სიარუ-  
 ლი ჩემთვის გართობის ფორმა არ არის,  
 ეს ჩემი სამუშაოა. თეატრმცოდნე ვარ პრო-  
 ფესიით და შესაბამისად, თეატრში გასარ-  
 თობად არ დავდივარ. ჩემს ახალგაზრ-  
 დობაში ნაკლებად იყო კაფე და ლამის  
 კლუბი. მახსოვს, აფხაზეთში დასვენებისას,  
 ერთხელ წავედი ლამის კლუბში. მაშინ ახალ-  
 გაზრდა ვიყავი და ძალიან დამალა, —  
 მალა ხმაზე ჩართული მუსიკა და ხმაური  
 მღლის. შესაძლოა, ასე იმიტომ ხდება, რომ  
 ცოტა ჩაკეტილი ადამიანი ვარ.

**— ცეკვა გეხერხებათ?**

— მესხერხება და მიყვარს კიდევ. ახ-  
 ლაც ვცეკვავ. ერთხელ ჩემმა სტუდენტებმა  
 ინსტიტუტი რომ დაამთავრეს, გამოსაშ-  
 ვებ საღამოზე რესტორანში დამპატიჟეს.  
 მაშინ იმდენი ვიცეკვე, რომ მთელი დარ-  
 ბაზი გაოცებული მიყურებდა. ყველა ცეკ-  
 ვა ვიცეკვე — ქართულიც და თანამედ-  
 როვეც. ძალიან დავიღალე და რომ დავჯე-  
 ქი, ერთი ძალიან ახალგაზრდა კაცი წამ-  
 მოვიდა ჩვენი სუფრისკენ. ჩემს სტუდენტ  
 გოგონებს ვუთხარი, — მოემზადეთ; ნახ-  
 ეთ, რა კარგი ბიჭი მოდის-მეთქი... მოე-  
 იდა და მე გამომიცეკვა. ძალიან ბევრი  
 ვიცინებ. ალბათ იმ ბიჭისთვის ეგზოტიკა







# „ტონა“ სამკაული, ფერადი სამოსი და გავლენიანი მამაკასი გვერდით...

იყო ხანში შესულ ქალთან ცეკვა (იკინის).

— ერთხელ ინტერვიუს დროს მითხარით, რომ მამათქვენი დიროჟორი იყო. მისგან გამოგყვავთ სიმღერისა და მუსიკის სიყვარული და ნიჭი?

— სიმღერის ნიჭი არ მაქვს, მაგრამ მუსიკა კარგად მესმის და მუსიკის ისტორიაც კარგად ვიცი. მიმაჩნია, რომ კარგი მუსიკალური გემოვნებაც მაქვს. მიყვარს კლასიკა. მომწონს XX საუკუნის კომპოზიტორები, როგორც საბჭოთა, ასევე — ევროპელები. XX საუკუნის ამერიკელი მუსიკოსებიც ძალიან მიყვარს. ვგიჟდები ქართველ კომპოზიტორებზე: გია ყანჩელი, ოთარ თაქთაქიშვილი... მიყვარს ქართული ხალხური მუსიკა.

— თვალს მჭრის თქვენი სამკაულები. გადაცემის წაყვანის დროსაც ხშირად გიკეთიათ; როგორც ჩანს, ძალიან გიყვართ მძივები და სამაჯურები.

— მართლა, ძალიან მიყვარს. სამკაულების გარეშე არასდროს დავდივარ. ჩემი ახლობლები მიეჩვივნენ, რომ სახლშიც კი მიკეთია სამკაულები. მათ ნელ-ნელა ვაგროვებდი. მე თვითონაც ძალიან მიყვარს მათი კეთება. სხვადასხვანაირ თვლებს ვაგროვებ და მერე ერთმანეთს ვუხამებ ხოლმე. საბოლოოდ, უცხო ნაკეთობა გამოდის. ქალს უნდება სამკაული. როდესაც ქუჩაში ისე გავდივარ, რომ ბევრი სამკაული არ მაქვს ასხმული, მეკითხებიან, — დოღმუკა, რა გჭირს, ცუდად ხომ არა ხარო?... სულ ვცდილობ, ფორმამი ვიყო. როდესაც ლექციაზე შევდივარ, გარეგნული ესთეტიკაში დადებითად განაწყობს ჩემ მიმართ ადამიანს. თუ მოვლილი ხარ, კარგად და გემოვნებით გაცვია, სტუდენტები ცდილობენ,

მოგბაძონ. ხშირ შემთხვევაში ბავშვებს მართო პროფესიულ ცოდნას კი არ აძლევ, არამედ თავის დაჭერისა და მანერის გაკვეთილებს უტარებ, ასწავლი ჩაცმისა და მაკიაჟის გაკეთების კულტურას. სტუდენტი სულ გაკვირდება. ლექტორი ერთი წუთით არ უნდა მოდუნდეს.

— თქვენ თვითონ როგორ შეაფასებთ „დღის შოუს“, მოგწონთ? ეს გადაცემა ჯდება თქვენს გემოვნებაში?

— ბევრ ხარვეზს ვხედავ ჩემს საკუთარ ნამყვანობაში. სხვაზე ვერაფერს ვიტყვი. კარგი იქნებოდა, უფრო მეტად ყოფილიყავი ჩართული გადაცემის მსვლელობაში. თუ თემა არ მაინტერესებს, სტუმარს კითხვას არ ვუსვამ. შესაძლოა, უფრო ნაკლები უესტიკულაციაა საჭირო. მგონი, ეთერში ნელა ვლაპარაკობ... მაგრამ ამბობენ, რომ ასეთი — ბუნებრივი ვარ და მაყურებელს მოგწონვარ. სხვა ნაკლებ ვერაფერს ვიტყვი, კიდევ დავაკვირდები ჩემს თავს. ჩემს გემოვნებაში ყველაზე მეტად ჯდება ის, რასაც თეატრმცოდნეობა და სტუდენტებთან ურთიერთობა ჰქვია, მაგრამ ეს სულ სხვა სფეროა. ახლა ჩემთვის ახალი სფერო აღმოვაჩინე — ტელევიზია. გაოცებული ვარ: თურმე ადამიანმა 50 წლის შემდეგაც შეიძლება, ახალ საქმეს მოჰკიდოს ხელი. ჩემთვის ეს ძალზე მნიშვნელოვანია. „სამოთხის ვაშლებში“ ვიყავი ერთხელ მინვეული. ჩემს ნათქვამ ფრაზას მერე ხშირად ატრიალებდნენ ეთერში. მაშინ ვთქვი, — არასდროს უყურო ცხოვრებას შორიდან. მართლაც ასეა. ცხოვრება რასაც შემოგთავაზებს, უნდა მიჰყვე, თუ ეს გზა პრინციპულად არ ეწინააღმდეგება შენს მორალურ-ეთიკურ იდეალებს, და მგონი, „დღის შოუ“ არ არის არც ამორალური და არც არაეთიკური. მამ, რატომ უნდა ვთქვა უარი?! მით უმეტეს, რომ გადაცემა ახალი სიხარული მომიტანა. ადამიანები ქუჩაში მცნობენ და დიდ სიყვარულსა და სითბოს გამოხატავენ ჩემ მიმართ.

— „სამოთხის ვაშლები“ ასხენეთ. მოგწონთ „დღის შოუს“ მსგავსი გადაცემა?

— გადაცემები ერთმანეთს მართლაც ჰგავს. სამი ჭკვიანი და ძალიან ლამაზი ქალი („სამოთხის ვაშლები“ მაქვს მხედველობაში) სხვადასხვა საკითხზე ლაპარაკობს, ოღონდ — ჩვენგან განსხვავებული ფორმით. ჩვენ ცოტა სხვანაირები



ვართ. მგონი, კონკურენტები არა ვართ. მათი მადლობელი ვარ. თუნდაც იმიტომ, რომ თავიანთ გადაცემაში ბევრჯერ მიმიწვიეს და ინტერესი გააჩინეს „იმედში“ ჩემ მიმართ. მგონია, იქ რომ მნახულობდნენ „იმედის“ ხელმძღვანელები, იმიტომ დამიძახეს კასტინგზე, აბა, სხვა შემთხვევაში რატომ უნდა დაეძახათ?! მიმაჩნია, რომ „სამოთხის ვაშლებში“ ძალიან კარგი ადამიანები არიან და ჩემი კარგი მეგობრები თუ არა, კარგი მოყვასები მაინც არიან.

— ბევრი ფული რომ გქონდეთ, თქვენს გარეგნობაში რაქც შეცვლიდით?

— არაფერს. როგორც არის ადამიანი, ბუნებამ როგორც შექმნა, ისეთად უნდა მიიღოს საკუთარი თავი. უნდა მოახერხოს, თავისი გარეგნობა ისე წარმოაჩინოს, რომ საინტერესო იყოს გარშემო მყოფებისთვის. მართო გარეგნობაში ხომ არ არის საქმე — ადამიანი არის: ჭკუა, ინტელექტი, იუმორი, კომუნიკაციის უნარი... ახლა ჭამის სხვა რეჟიმზე გადავდი. ცხრა თუ ათი თვის განმავლობაში საკმაოდ ბევრი დავიკული. მგონი, არც ისეთი შეუხედავი ვარ, რომ ოპერაციების გაკეთებაზე ვიფიქრო...

— არა, რას ამბობთ?! სიმპათიური ქალბატონი ბრძანდებით.

— გმადლობ! თუ წონაში დავიკლებ, შეიძლება, უფრო საინტერესო გავხდე. კიდევ იმიტომ არ მინდა ოპერაციის გაკეთება, რომ როდესაც კანი ხელოვნურადაა დაჭიმული, ადამიანი ემოციების გამოხატვას ვერ ახერხებს. არ გინახავთ, ბებერ ბარბს რომ ჰგავს ზოგიერთი? მე არ მინდა, ასეთი ვიყო. მინდა, რაც მომწონს და არ მომწონს, ან რაც მაცინებს თუ მაბრაზებს, ყველაფერზე თავისუფლად გამოვხატო ემოცია. არ მინდა, შექმნიდეს, ძალიან თუ გავიციან, — სადმე ნაკერი არ „მოემვას“-მეთქი!..

— მახსოვს, ერთხელ ისიც მითხარით, რომ მოგზაურობაზე ოცნებობთ და გინდათ, აფრიკაში წახვიდეთ. მინცდამაინც ეს კონტინენტი რატომ მოგწონთ?

— ევროპის რომელ ქალაქზეც უნდა მიმითითოთ, ყველაგან არ ვყოფილვარ, მა-





გრამ ბევრი რამ ვიცი. ერთხელ იტალიურ თეატრზე დაინწყე ლექციაზე საუბარი; ვენეციაზე ისეთი გატაცებით ვლაპარაკობდი, ბავშვები ინტერესით მიყურებდნენ და მერე მკითხეს, — დიდხანს ცხოვრობდით ვენეციაშიო?... ევროპაზე ბევრი რამ ვიცი; იმავეს ვერ ვიტყვი აფრიკაზე. მარტო ეგვიპტეში მთელი წელი რომ ვიარო, ყველაფერს ვერ დავათვალიერებ. უამრავი წიგნი მაქვს წაკითხული კენიაში ნადირობის შესახებ, თუნდაც „კლიმინჯაროს თოვლიანი მთა“. სულ მინდა, რაც პრინციპში გამოცადა, მეც გავიმეორებო, თუმცა ვერ ვიტყვი, ვინადირებდითქო... ბუნებასთან უშუალო კავშირი სულ სხვა რამაა — ამ დროს გრძნობ, რომ ბუნების შვილი ხარ. ლომს გალიაში რომ ხედავ, ერთია, და სულ სხვაა, ბუნების მეფეს მის ნიაღში რომ ნახავ. ერთხელ ისე გავერთე ტელევიზორში ლომზე ნადირობის ყურებით, რომ ლექციაზე დამაგვიანდა.

**— დარწმუნებული ვარ, ბევრი წიგნი გეკნებათ წაკითხული. თქვენი საყვარელი მწერალი და პოეტი დაგვისახელოთ.**

— ცოტა რთული კითხვაა. ძალიან ბევრი მწერალი და პოეტი მიყვარს. ოთარ ჭილაძე მომწონს ძალიან; უფრო ადრინდელი მწერლებიდან — ვაჟა-ფშაველა, შოთა რუსთაველი და დავით გურამიშვილი. ევროპელებიდან დანტე მომწონს; დანტეს მსგავსი ლიტერატურა არავის შეუქმნია. კიდევ, გოეთე მიყვარს და შექსპირი. უი, სერვანტესი გამომრჩა. „ღონ კიხოტის“ მსგავსი ნაწარმოები მსოფლიოში თითებზე ჩამოსათვლელია. თვით ამ ნაწარმოების გმირი — დონ კიხოტიც ძალიან მიყვარს.

**— მამაკაცებზეც ვისაუბროთ. — ვისაუბროთ. რა გაინტერესებთ?**

**— თქვენ გვერდით როგორი მამაკაცის ყოლას ისურვებდით?**

— როგორც წესი, ტანმოორჩილ ქალებს ძალიან მაღალი და მოსული ბიჭები მოსწონთ. მეც ასეთი ბრგე ბიჭები მომწონს. ეს ატავიზმია: ქალებს ოდითგანვე, ასეთი მამაკაცები იმიტომ იზიდავდნენ, რომ ისინი კარგი დამცველები იყვნენ; ლიდერი მამაკაცი თუ ყველგანაა ქალს გვერდით, ის გადარჩებოდა. მოგვიანებით, მარტო „ფიზიკურობა“ აღარ იყო გადამწყვეტი მამაკაცის არჩევისას. დრომ მოიტანა, რომ ბუნებასთან ჭიდელიში ის მამაკაცი იმარჯვებდა, ვისაც ინტელექტი ჰქონდა; მამონტზე მონადირე კაცმა ხერხს მიმართა. როდესაც ერთმანეთს ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობები შეერწყა, ჩამოყალიბდა მამაკაცის გარკვეული ტიპი, ძლიერი და მბრძანებელი.

**— ეი. ძლიერი და მბრძანებელი მამაკაცები მოგწონთ.**

— დიასაც. მომწონს მამაკაცი, რომელსაც შეუძლია, გავლენა მოახდინოს არა მარტო ჩემზე, არამედ გარემოზეც. ისეთ მამაკაცს ვცემ პატივს, რომელიც საკუთარ ღირსებებში მარწმუნებს. ყოველთვის ასეთი მამაკაცები მიყვარდებოდა.

**— სამწუხაროდ, ეს სიყვარული არც ერთხელ არ დამთავრებულა ოჯახის შექმნით...**

— რას ვიზამ?!. ამ შემთხვევაში, ბედის მეჯერა და დარწმუნებული ვარ, ოჯახის შექმნის საკითხი სადღაც ზეცაში წყდება...

**— კარგი კულინარი ხართ? შეგიძლიათ, თქვენი კულინარიული შესაძლებლობებით მოხიბლოთ მამაკაცი?**

— ხომ ხედავთ, რომ ვერ მოხიბლავ (იციინს)!.. თუმცა ამბობენ, რომ ძალიან გემრიელ საჭმელებს ვამზადებ. ჩემი აზრით, ჭკვიანი კაცების გულისკენ გზა კუჭზე არ გადის. მე კი, როგორც წესი, ასეთი მამაკაცები მომწონს.

**— ალბათ უზრატესობას მეგრულ სამზარეულოს ანიჭებთ.**

— რა თქმა უნდა, მაგრამ ქართლ-კახური სამზარეულოც არანაკლებია. ელარჯის გაკეთება მეხერხება. დედაჩემს თავადური გვარი — „მიდვანი“ ჰქონდა. მჭადის გაკეთება ვერაფრით ისწავლა. რაღაცნაირი, უშნო მჭადები გამოსდიოდა. მამაჩემი ამაზე ბევრს ხითხითებდა ხოლმე. მე რომ დავინწყე მჭადის გამოცხობა, ძალიან ლამაზი გამოვიდა. მამამ უთხრა, — შენ რა გჭირს, ვერ ხედავ, დოდოშა რა ლამაზ მჭადებს აცხობსო?! დედამ ადგებული ტონით უბასუხა, — გლეხის ქალია და მჭადის გაკეთება უნდა იცოდეს, აბა, როგორ გინდაო (იციინს)!..

**— თავად, გლეხის ბიჭზე რომ იყო გათხოვილი, ეს ამბავი არ ადარდებდა?**

— როგორც ჩანს, სიყვარულმა გლეხის ბიჭობა და თავადობა არ იცის. დედა და მამა ძალიან ბედნიერები იყვნენ ერთად, მიუხედავად იმისა, რომ დედა გლეხის ბიჭს გაჰყვა ცოლად (იციინს).

**— როგორ სამოსს ანიჭებთ უზრატესობას?**

— კონსერვატიული ტანსაცმელი მომწონს. შარვლები ახალგაზრდობაშიც არ ჩამიცვამს, მაშინ, როდესაც 40 კილოთი ნაკლები ვიყავი დღევანდელთან შედარებით.

**— რატომ?**

— ვერ მოვირგე. შარვალი ერთხელ ჩავიცვი და გადავწყვიტე, რომ კაბა უფრო მიხდებოდა. თუმცა შარვალში უშნო ნამდვილად, არ ვყოფილვარ. მაგრამ კაბაში უფრო კარგად ვგრძობდი თავს. აქამდე მიჩვეული ვიყავი შავი ფერის სამოსს. ახლა ფერად ტანსაცმელზე გადავედი. არ ვიცი, სიბერეში რამ გადამრია, მაგრამ ფერადი სამოსი მომწონს. მაქმანებიან ფერად მოსასხამსაც დიდი სიამოვნებით ვხმარობ. ბევრი მეუბნება, რომ ეთერში შავ ტანსაცმელზე მეტად, ფერადი მიხდება. ჩემს თავს რომ ვუყურებ, ხანდახან მეც მომწონს, როგორ გამოვიყურები.

**— ეთერში როდის დაგვიბრუნდებით?**

— ამას ძალიან ბევრი მეკითხება. თურმე „დღის შოუს“ ფანკლუბიცაა შექმნილი. ძალიან მეცინება, თურმე ჩემი ფანკლუბიცაა შექმნილი. 20 სექტემბერს აუცილებლად დაგიბრუნდებით. მანამდე კი რამდენიმე დღით შავ ზღვაზე წავალ და დავისვენებ. სექტემბერში გარუჯული დავბრუნდები ეთერში.

**ნატალი პორტმანი ანჯელინა ჯოლის ნაცვლად**

ნატალი პორტმანს ალფონსი კუარონის ფანტასტიკურ ფილმში — „გრავეიტაცია“ — მონაწილეობა შესთავაზეს. ცოტა ხნის წინ ანჯელინა ჯოლიმ ამ როლზე უარი თქვა. ხმები იმის შესახებ, რომ კუარონის ფილმში შესაძლოა, ნატალი პორტმანმა ითამაშოს, კარგა ხანია, გავრცელდა, მაგრამ ეს ფაქტი ოფიციალურად მხოლოდ ახლა დადასტურდა.

სურათის სიუჟეტის თანახმად, ასტრონავტი ქალი, კოსმოსური სადგურის ასტროიდიდან შეჯახებისა და ჯგუფის დანარჩენი წევრების დაღუპვის შემდეგ, სადგურზე მარტო რჩება... ფილმის — „2112“ — მსგავსად, „გრავეიტაციის“ სიუჟეტის დიდი ნაწილი მხოლოდ ერთი გმირის გარშემო ვითარდება. ცნობილია, რომ ამ ფილმში მეორე პლანის როლს რობერტ დაუნი-უმცროსი ითამაშებს.

სურათის ბიუჯეტი 80 მილიონი დოლარია. კომპანია რამესტორე, რომელიც სპეცეფექტებზე მუშაობს, მაყურებელს ჰპირდება, რომ მომავალი ნაწარმოების სანახაობითი მხარე ჯეიმს კამერონის „ავატარს“ არაფრით ჩამოუვარდება.

ნატალი პორტმანის ბოლო ნამუშევრის — „შავი გედის“ (რეჟისორი დარენ არონოფსკი) პრემიერა სულ ახლახან ვენეციის კინოფესტივალზე შედგა. ფილმის შესახებ კრიტიკოსთა აზრი ორად გაიყო, მაგრამ ყველამ ერთხმად დაადასტურა, რომ ნატალიმ მისი როლი შესანიშნავად ითამაშა. ზოგიერთი კრიტიკოსი ამ როლისთვის მსახიობს „საუკეთესო მსახიობი ქალის“ ნომინაციაში „ოსკარსაც“ კი უწინასწარმეტყველებს.





# ჯოლი და პიტი ოჯახურ პრობლემებს ფსიქოთერაპევტის დახმარებით ებრძვიან

ანჯელინა ჯოლისა და ბრედ პიტის მრავალშვილიან ოჯახში სერიოზული პრობლემები მომნიფდა. მუდამ გადაღებებით დაკავებული მშობლები შვილებს სათანადო ყურადღებას ვერ უთმობენ. ამის გამო, ოჯახში შექმნილი სიტუაცია კონტროლს აღარ ექვემდებარება და სახელგანთქმულმა წყვილმა დახმარებისთვის ფსიქოთერაპევტს მიმართა. საქმე იქამდე მივიდა, რომ უმცროსი შვილები, ტყუბი და-მმა — ნოკს ლეონი და ვივიენ მარჩელინი ძიძას „დედას“ ეძახიან, უფროსები კი მშობლების ყურადღების მისაპყრობად ერთმანეთს ექიმპეობიან. ბავშვები გამუდმებით ყვირიან, ჩხუბობენ და ტირიან.



პირველი დანიშნულება ასეთია: მშობლებმა თითოეულ ბავშვთან დღეში მინიმუმ 10 წუთი მაინც უნდა დაყოს... ■

პრესა იუწყება, რომ სიტუაციის ნორმალიზაციის მისაღწევად ექიმის



## პოლ მაქკარტნი – კენედის პრემიის ლაურეატი

„ბითლზის“ ყოფილ წევრს, სერ პოლ მაქკარტნის ჯონ კენედის სახელობის პრემია მიაკუთვნეს. დაჯილდოების 33-ე ცერემონია, რომელსაც სხვა სტუმრებთან ერთად, ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამაც დაესწრება, 2010 წლის დეკემბერში ვაშინგტონში გაიმართება.

კენედის ცენტრის წარმომადგენლებმა 68 წლის ბრიტანელ მომღერალს „ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი და წარმატებული სიმღერის ავტორი“ უწოდეს. ამ განცხადებას მაქკარტნი შემდეგი სიტყვებით გამოეხმაურა: „60-იან წლებში ჯონ კენედი ჩვენთვის ხატი იყო, მისი მმართველობის პერიოდმა კი იმდენ ადამიანს შთაბერა შთაგონება, რომ უბრალო ლივერპული ბიჭისთვის მისი სახელობის პრემიის მიღება უდიდესი პატივია“.

აღსანიშნავია, რომ 8 წლის წინ სერ პოლ მაქკარტნი ერთხელ უკვე იყო ნომინირებული კენედის პრემიაზე, მაგრამ მაშინ მუსიკოსმა ბიძაშვილის ქორწილის გამო, ვაშინგტონში ჩასვლა ვერ შეძლო. „ამიტომ უპირველეს ყოვლისა, იმიტომ დავინტერესდით, დეკემბრის პირველ კვირაში მის რომელიმე ნათესავს ქორწილი ხომ არ ჰქონდა დანიშნული“, — იხუმრა ამის თაობაზე ცერემონიის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, ჯორჯ სტივენსმა.

1978 წელს დაარსებული ამ პრემიის ლაურეატები წინა წლებში იყვნენ: ბარბარა სტრეიზანდი, ჯგუფ The Who-ს წევრები — როჯერ დოლტრი და პიტ ტაუნსენდი, მორგან ფრიმენი, მარტინ სკორსეზე, სტივენ სპილბერგი, რობერტ დე ნირო, ბრაიან უილსონი, დაიანა როსი, ტინა ტერნერი, ენდრიუ ლოიდ ვებერი, ელტონ ჯონი, ბრიუს სპრინგსტინი და სხვები. ■

**რუბრიკა მოამზადა ნატო მანჯაპიძემ**

## ყენარ დეპარდიე ინვალიდის ეტლს არის მიჯაჭვული



მსახიობი ყენარ დეპარდიე ინვალიდის ეტლში აღმოჩნდა. საფრანგეთის ერთ-ერთი საუკეთესო მსახიობის თავყვანისმცემლებისთვის ეს ცნობა სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა, რადგან

მანამდე პრესაში არ გავრცელებულა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მსახიობი თავს შეუძლოდ გრძობდა.

პაპარაცებმა ეტლში მჯდომ დეპარდიეს რამდენიმე დღის წინ, მონრეალის აეროპორტში გადაუღეს სურათი, სადაც მსახიობი Montreal World Film Festival-ზე დასასწრებად ჩავიდა.

დეპარდიემ თვითმფრინავიდან დაშორებულად ჩასვლა ვერ შეძლო. იგი ფერმკრთალი და დასუსტებული ჩანდა. მსახიობი, რომელიც 100 კილოგრამს იწონის, ავტომობილამდე აეროპორტის თანამშრომელმა ქალმა მიიყვანა.

თავყვანისმცემელთა გასახარად, დეპარდიემ ძალ-ღონე მოიკრიბა და ეტლიდან ავტომობილში თავად გადაჯდა, მაგრამ ეს ძალების დიდი დაძაბვის ფასად დაუჯდა. ■

## ვენეცია – საჩუქრად...

რუსი ბიზნესმენი ვლადისლავ დორონინი ნაომი კემპბელს ძვირფასი საჩუქრით ხშირად ანებივრებს, მაგრამ ამჯერად ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: ვლადისლავმა სატრფოსთვის ვენეციის ნაწილის, უფრო ზუსტად კი ქალაქის ლეგენდარული სასახლის — XV საუკუნის კონტარინი-ფაზანის მიძღვნა გადაწყვიტა. ვენეციელები ამ შენობას „დებდემონას სახლს“ უწოდებენ და ამბობენ, რომ ოტელოს გაცნობამდე დებდემონას სწორედ იქ ცხოვრობდა.

პრესა იუწყება, რომ ბიზნესმენი და სუპერმოდელი სასახლის ამჟამინდელ მფლობელებს უკვე შეხვდნენ და ყიდ-




ვა-გაყიდვის ხელშეკრულებასაც მალე გააფორმებენ. დორონინმა ნაომისთვის ახალი საჩუქარი მაშინ შეიგულა, როდესაც უმშვენიერეს ქალაქში ვენეციის 67-ე კინოფესტივალზე დასასწრებად იყო ჩასული. ■



# ცხოვრება

## პილოტი ქალის სასიფათო არჩევანი

### „მამაჩვენა, როგორც ხოხორანებს, ისე მიყურებდნენ...“



ახალგაზრდა, მშვენიერი გოგონა — ეკა ქვლივიძე თავდაცვის სამინისტროში რამდენიმე წელია, მუშაობს. ქართველი მამაკაცების გვერდით ბევრი ქართველი ქალი მსახურობს და ისინი საკმაოდ მოტივირებულები არიან. ალბათ, სუსტი სქესის წარმომადგენლისთვის ქვეყნის სადარაჯოზე დგომა რთულია, მაგრამ საქმის სიყვარულით, ისინი დაბრკოლებების გადალახვას ახერხებენ. აგვისტოს ომის დროსაც, მამაკაცების გვერდით, ჯარისკაცი ქალებიც იარაღით ხელში იცავდნენ სამშობლოს. ალბათ ბევრმა არც კი იცის, რომ თავდაცვის სამინისტროს საპაერო ძალებს მფრინავი ქალი ჰყავს. მეტისმეტად რთულ და საპასუხისმგებლო პროფესიას სერჟანტი ეკა ქვლივიძე კარგად დაეუფლა. მიზანსწრაფულ, ენერგიულ გოგონას საკუთარი არჩევანი ძალიან მოსწონს და დარწმუნებულია, რომ უფრო დიდი წარმატებები წინ ელის.

#### თბა სურსილაპა

ეკა ქალაქ საგარეჯოში დაიბადა და გაიზარდა. საშუალო სკოლაც იქ დაამთავრა და 2003 წელს თბილისის საავიაციო ინსტიტუტში, საინჟინრო ფაკულტეტზე გააგრძელა სწავლა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ

შეიტყო, რომ მფრინავების შერჩევა იყო გამოცხადებული. კონკურსში მონაწილეობა გადაწყვიტა, შერჩევის რამდენიმე ეტაპი წარმატებით გაიარა და თავდაცვის სამინისტროში დაინყო მუშაობა.

— ეკა, თავდაცვის სამინისტროში მუშაობა რატომ გადაწყვიტეთ?

— დაახლოებით მერვე კლასში სწავლისას უკვე გადაწყვეტილი მქონდა, სამხედრო მოსამსახურე გავმხდარიყავი, მაგრამ მაშინ არ ვიცოდი, კონკრეტულად რა სპეციალობას ავირჩევდი. მე-9 კლასში მივიღე გადაწყვეტილება, რომ 9 კლასის ბაზაზე, თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში გამეგრძელებინა სწავლა. რამდენიმე ფაკულტეტი იყო და ვფიქრობდი, რომელი პროფესია ამერჩია. საბოლოოდ, საავიაციო ფაკულტეტზე შევჩერდი, მივხვდი — მინდოდა, მფრინავი გავმხდარიყავი, მაგრამ იმ წელს გოგონები არ მიიღეს. სერიოზულად ვემზადებოდი: ვსწავლობდი უცხო ენებს და ვცდილობდი, სულ ფორმაში, ფიზიკურ მზადყოფნაში ვყოფილიყავი, რათა ის ნორმატივები, რომლებიც სამხედროს მოეთხოვება, მაქსიმალურად დამეძლია. ჰოდა, მიზანს მივაღწიე. თავდაცვის სამინისტროში 2007 წლიდან ვმუშაობ. ამ-

ჟამად მარნეულის სამხედრო-საავიაციო ბაზაზე ვარ, დაფრინავ საბრძოლო-სასწავლო თვითმფრინავით, ენ. „ალბატროსზე“. ჯერჯერობით სრული პროგრამა დამთავრებული არ მაქვს, ჯერ კიდევ კურსანტად მივიჩნევი.

— ბუნებით, ალბათ, ექსტრემალი ხართ. თქვენს სასიათსა და გატაცებებზე გვესაუბრეთ.

— ექსტრემალი თუ არა ხარ, მფრინავი ვერც გახდები, მით უმეტეს, ისეთ თვითმფრინავს ვერ მართავ, რომელიც რეაქტიულია; თუ ეს ყველაფერი შინაგანად არ გიყვარს, ამას შენი სულიერი სამყარო არ გთხოვს, მუშაობა ძალიან რთული იქნება. ვფიქრობ, ექსტრემალი ვარ, რადგან სირთულეები, ხიფათიანი ცხოვრება მიყვარს და საკუთარი არჩევანი ძალიან მომწონს. ჩემი პროფესია ლამაზი და საამაყოა. შეიძლება, ხმამაღლა ნათქვამი გამოივიდეს, მაგრამ როდესაც სამხედრო თვითმფრინავში ჯდები და ჰაერში ადინარ, ფიქრობ, რომ მთელი ქვეყნის დაცვა შეგიძლია, ყველაფერი შენი კონტროლის ქვეშ გგონია და ძალიან ამაყი ხარ.

— ქალისთვის რამდენად რთულია ეს საქმე და როგორ გაართვით თავი?



— ქალისთვის საკმაოდ რთულია. შესაბამისად, ყველა ჩემი ქმედება ორმაგი დაკვირვების ობიექტად იყო ქცეული. თუ მამაკაცებისთვის ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, ჩვენთვის ყოველთვის კითხვის ნიშნის ქვეშ დგას — გავაკე-

როდესაც სამხედრო თვითმფრინავში ჯდები და ჰაერში ადინარ, ფიქრობ, რომ მთელი ქვეყნის დაცვა შეგიძლია



თებთ თუ არა, შევძლებთ თუ არა დაკისრებული მისიის შესრულებას. ფსიქოლოგიური დატვირთვა უფრო რთული იყო, ვიდრე პროგრამის დაძლევა. ახლა ეს ეტაპი გავლილი მაქვს. როდესაც დამოუკიდებლად გავფრინდი, თითქმის არავის სჯეროდა, რომ ეს შეეძლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მამაკაცების მხრიდან უფრო მეტად, თანაგრძნობა და თანადგომა იგრძნობოდა, ყოფილა ისეთი შემთხვევაც, როდესაც როგორც კონკურენტს, ისე მიყურებდნენ. ეს გამაღიზიანებელია. გარკვეულწილად, მათიც მესმის — ბოლოს და ბოლოს, მეც ხომ იმავე საქმეს ვაკეთებ, ჩემს ფონზე გმირი აღარ ჩანს... არადა, მამაკაცებს სულაც არ ვეჯიბრები. მირჩვენია, ისინი ჩემზე მაგრები იყვნენ. უბრალოდ, ჩემებურად ვცდილობ, საქმე ვაკეთო და ქვეყანას ვემსახურო.

— იქნებ თქვენს პირველ ნაბიჯებზე ისაუბროთ ანუ იმ დღეზე, როცა პირველად, დამოუკიდებლად განახორციელეთ ფრენა.

— საავიაციო ინსტიტუტში ჩაბარებისას დიდი ბრძოლა დამჭირდა, რათა

თვითმფრინავი ავირჩიე, რადგან მეტი ექსტრემია... რაც შეეხება დამოუკიდებლად ფრენას, — ავიაციაში მიღებულია, რომ დამოუკიდებლად ფრენის დღე მეორე დაბადების დღეს ნიშნავს, ამას მეორე ნათლობას ეძახიან. ეს დღე არასოდეს გავიწყდება... დამოუკიდებლად 2009 წლის 27 მარტს გავფრინდი. ვიდრე დამოუკიდებლად იფრენ, შემონმეებას ჯერ ინსტრუქტორთან გადინებ, შემდეგ — ნაწილის მეთაურთან. საკმაოდ მკაცრი და მომთხონი პიროვნებაა. მეშინოდა, არაფერი შემშლოდა. აქ ყველა წვრილმანი მნიშვნელოვანია. თუ მიინჩიეს, რომ მზად არა ხარ, დაგიმატებენ პროგრამას, კიდევ — პრაქტიკას, რაც ვფიქრობ, სამარცხვინოა... ძალიან მოვიწოდებ, ფრენა კარგად გამომივიდა და მეთაურმა მითხრა, რომ გასაფრენად მზად ვიყავი. თავიდან შიში დამეუფლა, მაგრამ როგორც კი თვითმფრინავში ჩავჯექი, გავიფიქრე, რომ მივალწიე იმას, რისთვისაც ამდენი ხანი ვიბრძოდი; შიში საერთოდ გამიქრა, დაძაბულობაც მომესხნა. მერწმუნეთ, ეს ძალიან სასიამოვნო და მნიშვნელოვანი მომენტი იყო ჩემს ცხოვრებაში. დაჯდომის შემდეგ მითხრეს, — მთელი საჰაერო ძალების ნაწილი არ სუნთქავდა, სანამ ჰაერში იყავიო... ამის შემდეგ დამოუკიდებლად ფრენა ჩვეულებრივი მოვლენა გახდა.

— სიფათის წინაშე აღმოჩენილხართ?

— ჩემი პროფესია მუდმივად სახიფათოა. წვრილმანი სირთულეები მქონია, მაგრამ სერიოზული, სიცოცხლისთვის საშიში არ ყოფილა. ავიაციაში ძალზე მნიშვნელოვანია ნესების დაცვა. ნათქვამია, — თითოეული წესი სისხლით არის დანერილიო. ერთი მათგანის დარღვევითაც შეიძლება, კატასტროფა გამოიწვიოს ან საკუთარი თავი დააღუპო.

— ალბათ ბევრი კურორტული სიტუაციაც გქონათ. გვიამბეთ ამის შესახებ.

— საგარეჯოდან მარნეულში დავდივარ და დღეში დაახლოებით, 200 კილომეტრს ვფარავ. მაშინ მანქანის მართვა ახალი ნასწავლი მქონდა. დაახლოებით შუა გზაზე რომ

ვიყავი, მივხვდი, სარკეებში უნდა გამეხედა. გავიხედე და იმხელა სატივითო მანქანა დავინახე, შემემინდა... მერე მთელი კვირა სულ ვლოც-



იმ პერიოდში ყველანი მეთაურის ბრძანებას ვასრულებდით

ულობდი — ხმელეთზეც და ჰაერშიც, რომ ცოცხალი გადავრჩი. არადა, ჩემი ოჯახის წევრები დარწმუნებული იყვნენ, რომ ავტომობილის მართვა ვიცოდი და მშვიდად იყვნენ.

— როგორ შეხვდნენ თქვენს არჩევანს ოჯახის წევრები და რა რეაქცია აქვთ საზოგადოებაში, როცა იგებენ, რომ პილოტი ხართ?

— დედა მაქსიმალურად მხარში მედგა. ის რატომღაც ოცნებობდა, რომ ფარმაცევტი გამოვსულიყავი, მაგრამ ჩემი არჩევანი და სურვილი სხვა იყო და სამხედრო მფრინავი გავხდი. ბუნებრივია, ძალიან ნერვიულობს, მაგრამ ამას არ მაგრძნობინებს. საზოგადოების რეაქციას რაც შეეხება, — სხვადასხვაგვარი იყო; ისეთებიც იყვნენ, რომლებიც ამ პროფესიისთვის თაყვის დანებებას მირჩევდნენ, მაგრამ ამ ბოლო დროს ანუ მას შემდეგ, რაც გარკვეულ წარმატებებს მივალწიე, დადებით ემოციებს უფრო ხშირად გამოხატავენ, რაც ძალიან სასიამოვნოა.

— ალბათ ძნელია აგვისტოს ომის დღეების გახსენება; იქნებ გვიამბოთ ამ დღეებზეც.

— ნამდვილად ძნელია. იმ პერიოდში ყველანი მეთაურის ბრძანებას ვასრულებდით. ძალიან რთული მომენტებიც იყო. საბედნიეროდ, ჩვენს ნაწილში მსხვერპლი არ ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ არაერთხელ მოვხვდით დაბომბვაში.

— სამშვიდობო მისიით ერაყში, კოსოვოში ან ავღანეთში ხომ არ ყოფილხართ?

— სამშვიდობო მისიით ჯერჯერობით არ ვყოფილვარ. ისე, სიამოვნებით წავიდოდი.

— გმადლობთ, წარმატებებს გისურვებთ!



მამაკაცებს სულაც არ ვეჯიბრები. მირჩვენია, ისინი ჩემზე მაგრები იყვნენ

დამემტკიცებინა, რომ ამ ფაკულტეტზე სწავლას შევძლებდი. პირველი შემთხვევა იყო, როდესაც გოგონები მიიღეს. ვცდილობდი, მეჩვენებინა, რომ ამ სფეროში წარმატების მიღწევა ქალსაც შეეძლო... პირველ კურსზე სწავლისას, ბონგის სახელობის სტიპენდია მოვიპოვე. ინსტიტუტში 4 წელი ვისწავლე, ინჟინრის დიპლომი ავიღე. სახელმწიფო გამოცდებისთვის ვემზადებოდი, როდესაც საჰაერო სარდლობაში გასაუბრება გამოცხადდა. ვიცოდი, რომ მხოლოდ ბიჭებს იღებდნენ, მაგრამ გადაწყვიტეს, ჩემთვისაც მოეცათ შანსი. დადგა სააკითხი, რას ავირჩევდი — თვითმფრინავს თუ ვერტმფრენს. მაშინვე

# ქართველი მოცეკვავეებისთვის შექმნილი არაადამიანური პირობები და 300 დოლარად გაყიდული პროვინული ფოლკლორი

ცოტა ხნის წინ 20 წლის ქართველი მოცეკვავე ბიჭი (რომელიც ბავშვობაში ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლში ცეკვავდა, შემდეგ კი — თბილისის ერთ-ერთ რესტორანში) დაგვიკავშირდა. ის თურქეთის საკურორტო ქალაქიდან (სადაც სამუშაოდ გახლდათ) ახლახან დაბრუნდა და გაოგნებულმა, აღშფოთებულმა გვიამბო, როგორ პირობებში ამუშავებენ ქართველ მოცეკვავეებს თურქეთში, თუმცა კოლეგების მიმართ სიბრაღის გრძობა არ გასჩენია — თუ რატომ, ამას მისი ნამუშაოებიდან შეიტყობთ (ჯერ კიდევ თურქეთის სხვადასხვა საკურორტო ქალაქში მყოფი ქართველი მოცეკვავეების ინტერესების გათვალისწინებით, ბიჭმა მკითხველისთვის საკუთარი ვინაობის გამხელა არ ისურვა).

## ეთო ყორღანაშვილი

— თურქეთში გამგზავრებამდე, ქართველ მოცეკვავეებს ატყუებენ — კარგ ბინაში იცხოვრებთ, სამჯერადი კვება გექნებათ, დღეში 10 წუთს იცეკვებთ, დანარჩენ დროს კი დაისვენებთ და ხელფასაც აიღებთო. სადაც მე ვცხოვრობდი, ნამდვილი სარდავი იყო — მეტრნახევრიანი ჭერი, 2-სართულიანი ლოგინებით და საშინელი სინესტიო! იმ სარდაფში 25 ადამიანი ვიმყოფებოდით. ჩვენთან ერთად იმხელა ტარაქნები ცხოვრობდნენ, რომ თავები გეგონებოდა! ისეთ პირობებში ადამიანი არც უნდა შევიდეს, ცხოვრებაზე ხომ დაპარაკიც ზედმეტი! ერთი საშხაპე და საპირფარეო გვექონდა, კანალიზაცია კი ნორმალურად არც მუშაობდა. ერთხელ მენეჯერმა გვითხრა, — ბევრ წყალს ხარჯავთო და წყლის მილი გადაგვიკეტა. ის 25 ადამიანს 10 დოლარს გვაძლევდა და გვეუბნებოდა, — 2 დღის განმავლობაში, საჭმლისთვის უნდა გეყოთო. საკვები პროდუქტები იქ უფრო ძვირი ღირს, ვიდრე — თბილისში. პურს, შაქარს, პომიდორს ვყიდულობდით, რის გამოც მენეჯერი გვიყვიროდა: წყალწყალა საჭმელი მოამზადეთ, დიდხანს რომ გეყოთო! ყოფილა შემთხვევა, როცა მენეჯერს მოცეკვავეებისთვის ხელფასი არ მიუცია.

— თქვენ გაძლევდათ?



— დაგვიანებით, მაგრამ მაინც გვაძლევდა. ზოგს ხელფასი თავიდან მისცეს, მომდევნო თვეების განმავლობაში კი უხელფასოდ ამუშავეს. ქართველ მოცეკვავეებს სამუშაო ვიზა არა აქვთ, ტურისტული ვიზით ჩადიან. მენეჯერებს კომპანიებთან კონტრაქტი აქვთ გაფორმებული, რომელშიც წერია, რომ კომპანიებში თურქები მუშაობენ. ქართველი მოცეკვავეები სცენაზე ისე გადიან, ვითომ თურქები არიან. თუ ვინმეს ჯვარი უკეთია, ეს დიდი პრობლემაა: სთხოვენ, მოიხსნას. ერთ გოგონას ჯვრის მოხსნაზე უარი უთქვამს. ვიცი, რომ ამის გამო გოგონას სცემეს. იქ ცემის ფაქტი იშვიათობას არ წარმოადგენს. ქართველ მოცეკვავეებს შორის 15 წლის ბავშვებიც იყვნენ. საინტერესოა, ასეთ პატარებს მშობლები თურქეთში როგორ უშვებენ?!

— თურქეთში შენ როგორ მოხვდი?

— ერთი ქორეოგრაფის (ყოველ შემთხვევაში, თავად ამბობს, რომ ქორეოგრაფია) საშუალებით. ერთ-ერთ რესტორანში ვცეკვავდი. მოვიდა და მითხრა: თურქ მენეჯერთან ვთანამშრომლობთ. თუ გინდა, საკურორტო ქალაქში იმუშავე და ზღვაზეც დაისვენებო. მოკლედ, ძალიან კარგად იქნებო. რეალურად, სარდაფში ვცხოვრობდი. დღის განმავლობაში ხშირად, მხოლოდ 1 ჭიქა ჩაის ვსვამდი;

ისე მშობდა, რა მეღონა არ ვიცოდი და თან ყოველდღე 3-4 პროგრამა გვექონდა. ოტელებში ბეტონის, კაფელის იატაკზე (პროფესიონალური სცენა არაა) ვცეკვავდით. ბიჭებს მუხლები აღარ გვივარგოდა — დასივებული გვექონდა. ცეკვისგან დაღლილები, გახურებულები ნესტიან სარდაფში რომ შევიდოდით, ალბათ ხვდებით — კარგი არაფერი დაგვემართებოდა. ბევრს გულის პრობლემა გაუჩნდა. ქართველი მოცეკვავეები ჯანმრთელობას თურქეთში „ტოვებენ“, მაგრამ რის გამო?!

— კი, მაგრამ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები მოცეკვავეების გარეგნობაზეც ხომ აისახება?

— იქ ეს არ აინტერესებთ. მთავარია, სცენაზე რაღაც ხდებოდეს! იყო შემთხვევა, როცა მოცეკვავე ცუდად გახდა და მისმა მეგობარმა მენეჯერს მიმართა — ცუდადაა, სიცივე აქვს, მიიმედ სუნთქავსო, მენეჯერმა კი უყვირა: ფეხებზე მკიდა! მეძინა და ჩემი გაღვიძება როგორ გაბედეთ?! ვმუშაობდით, როგორც მონები! ყველაფრის მიუხედავად, ბავშვებს ერთად ყოფნა უხარიათ, ხანდახან ზღვაზეც მიდიან, მაგრამ მათი მშობლების ასეთი უყურადღებობა გაუგებარია. სხვათა შორის, საღამომობით გარეთ არ გვიშვებდნენ — ეშინოდათ, რაიმე შარში არ გავჭვუულიყავით, პოლიცია არ მოსულიყო. იქ პოლიციის ძალიან ეშინიათ, რადგან ჩვენი სამუშაო ოფიციალურად გაფორმებული არ არის. მენეჯერი მაშინვე ციხეში მოხვდება, რადგან მოცეკვავეებს უკანონოდ, საშინელ პირობებში ამუშავებს და თან, სახელმწიფო გადასახადს არ იხდის. სამუშაო ვიზა 1.000 დოლარამდე ღირს, მას კი ურჩევნია, ეს თანხა ჯიბეში ჩაიდოს, მოცეკვავეები კი ტურისტული ვიზით, არაადამიანურ პირობებში ამუშაოს.

კიდევ ერთ ფაქტზე გიამბობთ, რამაც საშინლად გამაცოცხა: „თურქული ღამე“ — ასე ჰქვია პროგრამას, რომელშიც ერთი მოცეკვავე აღმოსავლურ ცეკვას ასრულებს, სცენაზე ფაქილი ან იოგა გამოდის; შემდეგ „თურქული ხალხური ცეკვები“ იწყება. თურქული ცეკვა — „სემასენ“ პირველია (თუმცა ხშირად პირველი ცეკვა „აჭარულია“ ხოლმე), მერე — „ქართული“, „მთიულური“, „ჯუთა“, „ოსური“, „ხორუმი“...



სომხურ-არაბულ მელოდიაზე „ჯეირანს“ ცეკვავენ, ბოლოს ქურთულ ცეკვას — „დებკას“ ასრულებენ. დასასრულ თურქული ჰიმნი ჟღერს, მოცეკვავეები ეროვნულ დროშას კეცავენ, კოცნიან და სცენიდან გადიან. თუკი უცხოელ ტურისტს ეტყვი, — ეს ქართული ცეკვებიაო, გიპასუხებს: მენეჯერმა გვითხრა, რომ თურქული საღამოა, ქართული ცეკვები რატომ იქნებაო?! რამდენიმე ქართველი ბიჭი საქართველოში მალევე დაბრუნდა: სჯობს, ვიმშობილოთ, მაგრამ თურქეთში — არაო.

— ანუ უკან დაბრუნების პრობლემა არა აქვთ?

— ზოგს უკან დასაბრუნებლად გზის ფული არა აქვს, მენეჯერი კი ხელფასს დროულად არ აძლევს. ხელშეკრულება არა აქვთ გაფორმებული. ბავშვები არიან (15-დან 22 წლამდე) და ეშინიათ. რამდენჯერმე მენეჯერმა ჟანდარმერიაში ანონიმურად დარეკა და აცნობა: პლაჟზე იმყოფება ადამიანი, რომელიც თურქეთში არალეგალურად მუშაობსო. არალეგალს მამინვე „დეპორტი გაუკეთეს“.

— ამის გამო, მენეჯერს პრობლემა არ ექმნება?

— დაკავებისას ბიჭმა თქვა, სადაც მუშაობდა, მაგრამ მგონი, ჟანდარმერიამ ვერც გაიგო — ქართველმა მოცეკვავემ ინგლისური და თურქული არ იცოდა, რუსულ-ქართულად ლაპარაკობდა. დეპორტაციის გამო, მაღლობელიც კი იყო, რადგან თურქეთში დარჩენა აღარ უნდოდა.

— მოცეკვავეებს შორის ბიჭები მეტი იყავით თუ გოგონები?

— ბიჭები, რადგან ცეკვებში ჩვენ უფრო საჭირო ვართ.

— როგორც მითხარო, სარდაფში 25 ადამიანი ცხოვრობდით. ბიჭებიც და გოგონებიც ერთად იყავით!

— კი, ყველანი ერთად ვიყავით. არავითარი ჰიგიენა! სადაც საჭმელს ვჭამდით, რეპეტიციასაც იქვე გავდიოდით. საშინელი სუნი, სინესტი, ტარაკნები...

— როგორც ვიცი, თურქეთში სამუშაოდ ამ ზაფხულს პირველად იყავი. დანარჩენი მოცეკვავებო, რომლებიც იქ შარშანაც მუშაობდნენ, თურქეთში რატომღა გაემგზავრნენ?

— მართალია, ხელფასი სულ 300 დოლარია, მაგრამ მაინც უღირთ. ხან საქართველოში დარეკავ, ხან ინტერნეტ-კაფეში შეხვალ, ზოგჯერ ტკბილეულს იყიდი ან წვენს დალევ, რადგან ადამიანი ხარ და გჭირდება! იქ ყველაფერი ძვირია, ფული სწრაფად იხარჯება. ერთმა მოცეკვავემ თქვა, ჩემს ოჯახს 200 დოლარსაც თუ გავუგზავნი, მათთვის ეს თანხა ყველაფერიო! ვინც ინგლისური, რუსული იცის, ჯობია, მიმტანად ან დამლაგებლად იმუშაოს — 300 დოლარს აიღებს და

ნორმალურ პირობებში მაინც იცხოვრებს. რაც მთავარია, ქართულ ფოლკლორს არ „გაყიდის“! რუსი, უკრაინელი ტურისტები ხვდებიან, რომ მოცეკვავეები თურქულ ცეკვებს არ ასრულებენ, მაგრამ გერმანელები, ჰოლანდიელები?.. ერთხელ სომეხი ეროვნების რამდენიმე ადამიანი მოვიდა და გვითხრა: სომხურ მუსიკაზე რატომ ცეკვავთ („ჯეირანს“ ვასრულებდით)? ჩვენი კულტურის ფესვებზე გათელვის უფლება არა გქვიათ, საელჩოში გიჩივლებთო!

— ეს ამბავი როგორ დასრულდა?

— არ ვიცი. იმ ოტელში ჩვენ აღარ გვიცეკვია.

— საქართველოს გარდა, მოცეკვავეები თურქეთში სხვა ქვეყნებიდანაც ჩადიან?

— კი. ერთმა მენეჯერმა ერთ-ერთ აზერბაიჯანელ მოცეკვავეს ცხვირი გაუტეხა, ისე სცემა. ბაქოში დაბრუნებულმა მოცეკვავემ ეს ამბავი ყველას უთხრა. დღესდღეობით აზერბაიჯანელები თურქეთში სამუშაოდ იშვიათად მიემგზავრებიან, ხოლო ვინც მაინც მიდის, მას 500 დოლარს უხდიან. იცი, რატომ? მენეჯერს ეუბნებიან: ან ნორმალური საკვები მოგვეცი, ან პროგრამა არ იქნებაო! სხვათა შორის, აზ-

ერბაიჯანელები ქართველებს ესმარებოდნენ. ქართველებს ერთიანობა არ გვეხერხება: ერთი ამბობს, სხვები ჩუმად არიან...

— ალბათ ზედმეტია ამის კითხვა — თურქეთში კვლავ ჩასვლას შენც ხომ არ აპირებ?



— არა, იქ დაბრუნებას აღარ ვაპირებ! ძალიან მინდა, ხალხმა გაიგოს, თუ რა ხდება თურქეთში! ყველას ვურჩევ: თუკი ოფიციალურ კონტრაქტს არ გაგიფორმებენ, არსად გამგზავროთ, რადგან 80%-ია იმის შანსი, რომ უფულოდ დარჩეთ, იმშობილოთ... სად აღმოჩნდებით, ღმერთმა იცის!..

**პკითხველთა თსოვნით!**

**გაღე!**

ხალხური სამეურნალო რეცეპტები

**კარბალინი**

**სიახლე**

ხალხური მედიცინის მოყვარულებს!

**აგაჩააე გაგაჩიანი და იღუსტინაჯული!**



# გაბრიის სანაპიროზე დარჩილი პატარა ბიჭისა და ხის ჩარჩოებით ხატების უმეფოსავი ოსტატის ამბავი

მისი სამუშაო ყოველ დღით 10 საათზე იწყება და საღამოს 9 საათამდე გრძელდება. თუ შემთხვევით, სამსახურში მისვლა დააგვიანდა, ისეთი შეგრძნება ეუფლება, რომ იმ დღემ ნაყოფიერად არ ჩაიარა. სულ შრომაშია... ხის მჭრელს, შესანიშნავ ოსტატს — **მობარ რატიანს** რამდენიმე თვის წინ შემთხვევით შევხვდი. მისმა პიროვნებამ იმდენად მომხიბლა, გადავწყვიტე, ის თქვენთვისაც გამეცნო.



## ლალი ფასია

— დავიბადე თბილისში. სახლი თამარ მეფის გამზირზე გვექონდა, მაგრამ იმის გამო, რომ მამა სამუშაოდ აფხაზეთში გადავიდა, ოჯახსაც იქ მოგვინია ცხოვრებამ. ჯერ ბიჭვინთაში დავბინავდი, შემდეგ — გაგრაში... ბიჭვინთის მშენებლობა რომ დაიწყო, მამა მაშინ სამშენებლო მასალების ცენტრალურ სანაყობს ხელმძღვანელობდა, დედა კი — რაიონის მთავარი აგრონომი გახლდათ, მთელ იქაურ პარკებსა და გამწვანების სამსახურს კურირებდა. სკოლა რომ დავამთავრე, თბილისში, თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში შევედი, ხის ჩუქურთმების ჯგუფში ვსწავლობდი. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ისევ გაგრაში, ოჯახში დავბრუნდი და მუშაობა ერთ-ერთ სამხატვრო სანარმოში დავიწყე. 1986 წელს საცხოვრებლად საბოლოოდ, თბი-

გაუსკდა და გარდაიცვალა. საერთოდ, იმ პერიოდის გახსენება არც მინდა, რადგანაც ძალიან განვიცდი და ცუდ გუნებაზე ვდგები...

— **ახლა გაგრაში, თქვენს ყოფილ სახლში იცით, ვინ ცხოვრობს?**

— როგორც გავიგეთ, ჩვენი სახლი რუსებს აგარაკად უყიდათ და იქ ზაფხულობით ჩადიან... ძალიან მძიმეა ამასთან შეგუება.

— **დედა ჯანმრთელად არის?**

— დედა 75 წლის გახლავთ. შარშან ფეხი მოიტეხა და მოძრაობა უჭირს, სკამზე დაყრდნობის გარეშე ვერ გადაადგილდება. ოპერაციის გაკეთებასაც ვერ გუდავთ და თან, ის დიდ თანხას მოითხოვს.

— **გვარის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, წარმოშობით სვანი უნდა იყო...**

— კი, მაგრამ ჩემი ბებია-ბაბუა (მამის მშობლები) თბილისში არიან დაკრძალულები... ჩვენს ოჯახს სვანეთთან კავშირი განწყვეტილი ჰქონდა. დედა კი სერეთლის ქალბატონია...

— **ისე, სიმართლე გითხრათ, სვანს არც პგავხართ...**

— მართალია, „სვანობის“ 10%-იც რომ მქონდეს, რა მიშავდა?! ხასიათით რაჭველი უფრო ვარ...

— **თბილისში რომ ჩამოხვედით, მაშინვე თქვენი პროფესიით დაინწყეთ მუშაობა?**

— დიახ, აქ რომ ჩამოვედი, ავეჯის სანარმოში დავიწყე მუშაობა (ექსპერიმენტული ფაბრიკა იყო). იმის შემდეგ თვი-

კეთებლად საამქრო გამომიყვეს. — **სწორედ ის, სადაც ახლა ვიმყოფებით...**


— დიახ. აქ უკვე 7 წელია, ვმუშაობ და ხისგან საეკლესიო ნივთებს ვამზადებ.

— **რას ნიშნავს ამ საქმის კეთება თქვენთვის?**

— ხატვა ბავშვობიდან მიყვარდა... ადამიანს თუ არ სიამოვნებს ის საქმე, რომელსაც ემსახურება, ალბათ ვერც გააკეთებს და არც გამოუვა. როდესაც რაღაც ახალს ვქმნი, ვცდილობ, იმაზე უკეთესი გამომივიდეს, ვიდრე ოდესმე გამოიკეთებია. ნახელავი ჯერ თვითონ უნდა მოგეწონოს და მერე შემკვეთს ან მომხმარებელს, რაც ოსტატისთვის განსაკუთრებულად სასიამოვნოა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, როდესაც ესა თუ ის ნივთი მოძღვრებისთვის დამიმზადებია, თითოეულს ისე დავულოცივარ, რომ ამაზე დიდი ბედნიერება რა უნდა იყოს?! ისე, რომ გითხრათ, ამ საქმეს დიდი მატერიული დოვლათი შემოაქვს-მეთქი, არ იქნება მართალი. უბრალოდ, ღმერთი არ გასწირავს ადამიანს და მეც, ოჯახს ჩემი ხელობით ვინახავ. მაღალადა ღმერთს, საქმეც ყოველთვის არის!

— **როგორ ვიცო, ჩვენს ტაძრებში დაბრძანებული არაერთი დიდი ხატისთვის დაგიმზადებიათ ჩარჩო და კიოტი (ჩარჩო, რომელსაც კარი აქვს), ანუ ხატვის თქვენი ნახელავით შეგიმოსავთ.**

— კი, ასეა. მაგალითად, რესპუბლიკურ საავადმყოფოსთან წმინდა პანტელეიმონის სახელობის ეკლესიაა, სადაც მამა დავითი მოღვაწეობს. ცოტა ხნის წინ მან ანალოგიები, ხატების ჩარჩოები შემიკვეთა. გასულ შაბათს, ბევრეთის მონასტერში იოანე ნათლისმცემლის ტაძარი გაიხსნა და იქაც წაიღეს ჩემი ნახელავი. რამდენიმე თვის წინ ასეთი შემთხვევა იყო: იტალიიდან ჩვენს პატრიარქს წმინდა ნიკოლოზის ხატი გამოუგზავნეს და მისთვის კაკლის ხისგან ჩარჩო დავამზადე; ამის სანაცვლოდ კი იტალიაში აქ დანერგილი ივერიის ღვთისმშობლის ხატი გაიგზავნა. თურმე ვატიკანში მართლმადიდებლური ტაძარიც ყოფილა, სადაც მართალია, ნირვა-ლოცვა რუსულ ენაზე აღესრულე-



ვისაც ხესთან საქმე ჰქონია, იცის, რა გრძნობაა მასზე მუშაობა

ლისში დავბრუნდი. როგორც გითხრათ, აქ სახლი გვექონდა, რომელიც უპატრონოდ იყო მიტოვებული...

— **მშობლები აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ ალბათ, იძულებით გადაადგილებულ პირებად იქცნენ, არა?**

— დიახ, მშობლები და ჩემი ძმა. ისინი გაგრიდან წამოსვლის შემდეგ ჩემთან ცხოვრობდნენ. მამამ აფხაზეთის დაკარგვა ვერ გადაიტანა, ძალიან მალე გული

თონაც მქონდა, დამოუკიდებლად, საამქროები და ავეჯზე ვმუშაობდი... მოგვიანებით ტაძარში (ჩიტაძის ქუჩაზე მდებარე წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია) დავიწყე სიარული. ნირვა-ლოცვას ხშირად ვესწრებოდი. იმ პერიოდში უკვე საეკლესიო ნივთებსაც (ხატის ჩარჩოებს, ანალოგიებს) მიკვეთდნენ, ბოლოს კი ჩვენს ტაძართან არსებულ საეკლესიო მაღაზიათა ქსელისთვის, რომელიც საპატრიარქოს ეკუთვნის, საჭირო ჩარჩოების გასა-





ბა, მაგრამ ქალაქში ბევრი ქართული ოჯახი ცხოვრობს, რომელსაც ახლა ქართული ხატი დაიფარავს.

**რა გრძნობაა, როდესაც საეკლესიო ნივთზე მუშაობთ?**

— მუშაობის პროცესში მატერიალურ შემოსავალზე არ ვფიქრობ. ვფიქრობ იმაზე, რომ ნამუშევარი კარგი გამოივიდეს, დანარჩენი კი მეორეხარისხოვანია... საერთოდ, ძალიან მიყვარს ხე და მასთან „ურთიერთობა“...

**ამბობენ, ხე „ლაპარაკობს“...**

— ვისაც ხესთან საქმე ჰქონია, იცის, რა გრძნობაა მასზე მუშაობა. ზოგი ისეთი ჯიშისაა და ისეთი საოცარი ფერები აქვს, დასამუშავებლად მენანება კიდევ. მინდება, ის უბრალოდ გამოვჭრა, ჩარჩომი ჩავსვა და კედელზე ჩამოვკიდო...

**ყველაზე კარგად რომელი ხე მუშავდება?**

— კაკალი. ასევე ხის ისეთი იშვიათი ჯიშში, როგორც უთხოვარია — მეორენაირად, მას წითელ ხესაც ეძახიან. უთხოვარი ძნელად მრავლდება და იზრდება, ამიტომ მისი მოჭრა საცხისო საქმეა.

**ის ჩარჩოები, რომლებშიც ხატები ისმება და ჩვენს საეკლესიო მალაზიებში იყიდება, რა ხის მასალისგანაა დამზადებული?**

— საამისოდ, ძირითადად, წიფელსა და ცაცხვს იყენებენ.

**ეკლესიურმა ცხოვრებამ და რწმენამი გაძლიერებამ რა მოგიტანათ?**

— საერთოდ, ყველაფერი ღვთის ნებით ხდება. თუმცა ადამიანები, თუ რაიმე ცუდი ხდება, მიზეზს ხშირად ხსვან ვეძებთ, ჩვენს შეცდომას სხვას ვაბრალებთ და ცოდვაში ვვარდებით. არადა, პრობლემა საკუთარ თავში უნდა ვეძებოთ...

**ამ სამაქროში მართო მუშაობა?**

— არა, ერთი თანამშრომელი მყავს. ის ახალგაზრდა ბიჭია, წელს სამხატვრო აკადემიაში ჩააბარა და ახლა ცოტა ხნით დასასვენებლადაა წასული. ახლა აქედან გადასვლასა და გაფართოებას ვაპირებთ.

**თქვენი პედაგოგი ვინ იყო, ვინ გასწავლათ ეს ხელობა?**

— შესანიშნავი პიროვნება იყო, ხის ცნობილი მკვლელი — ვასო სალიანი. დღეს თუ ვინმე ხეზე მუშაობს, ყველა მისი ნამონაფარია. საოცრად კარგი ადამიანი გახლდათ.

**თვითონ როგორი პედაგოგი ხართ?**

— სწავლით ვასწავლი, მაგრამ მომთხოვნი არა ვარ.

— არც შვილების მიმართ ხართ მომთხოვნი? როგორც ვიცო, 4 შვილის მამა ხართ — ორი ვაჟი და ორი გოგონა გყავთ (თემურაზი, იოანე, თამ-

**არი და ბარბარე)...**

— შვილების მიმართაც ლობიერი ვარ. მათთან აღმზრდელივითი მუშაობა უმეტესად, მეუღლის კისერზე გადადის. ტრანსში წუ ჩამომართმევთ, მაგრამ ბავშვები დამჯერები და კარგები არიან. თუმცა არც ისე იფიქროთ, რომ მათ საერთოდ არ ვსაყვედურობ. მოკლედ, ღმერთმა როგორი ბუნებისანიც გააჩინა ისინი, ისეთები არიან. რომ დავდგე და ბავშვები ცეცქობისთვის ყოველდღე კუთხეში დავაყენო, ეს არასწორად მიმაჩნია. თან, როგორც გითხარით, ამას მაინცდამაინც არც იმსახურებენ. მათგან რასაც ვითხოვ, ის არის, რომ ისწავლონ. ბავშვს თუ აქვს რისიმე ნიჭი, საშუალებას ვაძლევ, განავითაროს, თუ არა და, არც არაფერს ვაძლევ.

**უფროსი შვილი რამდენი წლისაა?**

— 14 წლის გახლავთ. ახლა ჩემი სამი შვილი ბევრეთის მონასტერში, დედაობთანაა წასული, ცოტა ხანში ჩამოვლენ...

**შვილებიც მორწმუნეები გყოლიათ...**

— სიმართლე გითხრათ, ისინი ჩემზე მორწმუნეები არიან. ცოდვა გამხელილი სჯობს და, დილის ლოცვის წაკითხვა მე უფრო მეზარება, ვიდრე — მათ. ლოცვა უკვე ჩვევად აქვთ; არც საქმელს შეჭამენ ისე, რომ არ ილოცონ. ამასთან, სასულიერო სკოლაში დადიან. უმცროსი წელს პირველ კლასში შედის. ყველანი ერთად კი წმინდა ნინოს სახელობის ტაძრის, მამა თეიმურაზ ჩაჩიბაიას მრევლი არიან.

**მეუღლეზე რას გვტყვიან?**

— მეუღლე პროფესიით ეკონომისტი, მაგრამ დღეს ბავშვების აღზრდითაა დაკავებული.

**ალბათ კიდევ აპირებთ გამრავლებას, არა?**

— სურვილი კი გვაქვს, მაგრამ ოთხივე შვილი მეუღლემ საკეისრო კვეთით გააჩინა... ორივე 30 წლისები ვიყავით, როცა დავკორწინდით და 5 წლის განმავლობაში შვილი არ გვიჩნდებოდა... ღმერთს შევთხოვდით, ჩვენი შვილი მოეცა და მანაც შეისმინა ჩვენი ვედრება... ამიტომ არის, რომ არასდროს არაფერზე ვწუწუნებ. ღვთის მიმართ მადლობის

მეტი არაფერი მეტქმის, მან ხომ არაჩვეულებრივი ანგელოზები მაჩუქა...

**საოცარი ფაქტია... და მართლაც, დიდი მადლია...**

— ჩემს ძმასაც 4 შვილი ჰყავს...

**დღევანდელ დამაბულ ცხოვრებაში ქრისტიანული ოჯახისთვის თავის გატანა ადვილია?**

— თუ დიდი მოთხოვნილებები არა გაქვს, ცხოვრება ადვილია. ხანდახან ლარიც კი არა გვაქვს, მაგრამ ვიცით, ღმერთი არ გაგვწირავს და მეორე დღეს რაღაც საარსებოს გამოგვიჩენს. ადამიანი ღვთის გამობამდე არ უნდა მივიდეს: ამ შემთხვევაში, „ღვთის გამობამი“ სასონარკვეთილებაში ჩავარდნას გულისხმობ... ბავშვობაში — VIII კლასში ვიქნებოდი, — როცა ხილვასავით მქონდა და დღესაც ნათლად მახსოვს: გაბარაში, ზღვის სანაპიროზე მუხლმოყრილი და თავდახრილი ვიყავი; იქვე, ჩემსავით, ბევრი ადამიანი იყო დაჩოქილი. ირგვლივ ბევრი ცუდი რამ ხდებოდა. წარმოიდგინეთ, ისეთი განცდა მქონდა, რაღაცას რომ დაამავებ და გემინია. ცხარე ცრემლებით ვტიროდი. უეცრად ზემოთ რაღაც განათდა და საოცარი სიმშვიდე დამეფულა, თითქოს თავზე ნათელმა და თბილმა ხელმა გადამიარა, თანაც ისე, რომ არ შემხებია...

**როგორც ჩანს, უფალმა მისი მადლიანი ხელისა და კალთის ქვეშ იმთავითვე მოგაქციათ...**

— კი, ჩემი ცხოვრება ისე წარიმართა, რომ საბოლოოდ, ეკლესიის წიაღში აღმოვჩნდი. მოგეხსენებათ, შემთხვევით არაფერი ხდება. 5-ჯერ ამაზე დიდი სამაქრო მქონდა, მაგრამ ალბათ საჭირო იყო, ტაძართან ახლოს ვყოფილიყავი. ძალიან მიხარია, რომ ჩემი შვილები ეკლესიურად ცხოვრობენ და არც მე ვარ დედაეკლესიისაგან გარიყული. ვემსახურები ისეთ საქმეს, რომ ჩემს ნამუშევრებთან ადამიანები ლოცულობენ...ერთმა მოძღვარმა მითხრა, შენი ხელით დამზადებული ნივთებით საეკლესიო მსახურება სრულდება — ამაზე დიდი ბედნიერება რა უნდა იყოსო (ილიმება)?!

**სამომავლოდ რა სურვილი გაქვთ?**

— მინდა, შვილები ჯანმრთელები მყავდეს და მათ შესაბამისი განათლება მიეცე. ფუფუნებაზე პრეტენზია არც არასდროს მქონია. მამაჩემს რუსეთში ერთი მეგობარი ჰყავდა, ცნობილი მხატვარ-დიზაინერი იყო. ერთხელ, ძალიან პატარას, ხელის-გულზე მიმიკითხავა და მითხრა: ცხოვრებაში დიდი ქონება არასდროს გექნება, მაგრამ ბედნიერი კი იქნები. ასე რომ, დღეს ჩემი ქონება ჩემი შვილებია...

**დიდი მადლობა სანტერესო საუბრისთვის. წარმატებებს გისურვებთ!**

ოთარ რაგვიანი  
ოჯახთან ერთად





# სიყვარულის სავდიანი აზვავი

მედიკო ასპინძელი ქალია, ასაკოვანი. ამბობს, რომ მისი ცხოვრება განუმეორებელია, რადგან განუმეორებლად შეუყვარდა...

ვარძიდან ასპინძაში დაბრუნებული სტუმრები ვარძის ლეგენდაზე ვსაუბრობდით. ვდარდობდით, რომ მას მშველელი სჭირდება, რომ ბებერი ქვები იშლება და რომ ვარძის მუზეუმ-ნაკრძალში სამეცნიერო მუშაობა წარსულს ჩაჰბარდა. ჩვენს საუბარს მეზობლის ქალი, მედიკო შემოუერთდა. დასვედიანებულმა კარგა ხანს გვისმინა, შემდეგ ამოიხრა და დაიწყო:

## „მარი უაზრალაზლად მყავდა, სისხლი თქრიალით მდიოდა... არ ვაყრავოდი“

### ჯაბა ანანიძე

— იცი, სიყვარულის ნაკლებობაა! ყველა საქმეს სიყვარული სჭირდება. სანამ ადამიანები ერთმანეთის გულის აჩქარებას არ გავიგებთ, სამყარო ყოველთვის გაგვასწრებს. ერთგული სიყვარული უნდა შეგქმლოს; ისე, როგორც მე შევიყვარე! სიმართლე გითხრათ, ძალიან გამიკვირდა. ქალბატონი მედიკო მანამდეც მყავდა ნანახი, მაგრამ მხოლოდ ტრადიციული, ჩვეულებრივი ქალის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ის შვილებზე დარდობდა ხოლმე და ამბობდა, რომ ისინი ძალიან ენატრებოდა, მარტოობას განიცდიდა... ახლა კი, მოულოდნელად, საკუთარ სიყვარულზე ალაპარაკდა.

— ახლა სადღა იციან სიყვარული? — განაგრძო მცირე პაუზის შემდეგ სტუმარმა. — ერთ დღეს შევიყვარებენ, მეორე დღეს მტრად გადაეკიდებიან ერთმანეთს... თუშეთში ვიზრდებოდი. 15 წლისა ვიყავი, ბიჭი რომ შემეყვარდა. სანამ თვალეში შევხედავდი, მანამდე ვიგრძენი, რომ მთელი სამყარო ის იყო. თამაში გოგო ვიყავ. ნარდის თამაშიც მოუფუტე... ცოლად რომ წამიყვანა, ისევ ბავშვი ვიყავი, მაგრამ ჩემზე ბედნიერი ქალი არავინ იყო. სმა უყვარდა ჩემს ქმარს, პაატას. ნასვამი ისე მილენ-მოლენავდა ყველაფერს, ოჯახში აღარაფერი რჩებოდა. მხოლოდ ტირილი შემეძლო. ცოტა ხანში პაატამ ჩემი ცემაც დაიწყო. ისე შეუბრალებლად მცემდა, სისხლი თქრიალით მდიოდა... არ ვეყრებოდი. აბა, სიყვარული რასაჰქვიან?... მალე გავიგე, რომ პაატას სიბრაზის მიზეზი მეზობლის ქალი ყოფილა. ლეილას „დეიდას“ ვეძახდი — ასაკოვანი იყო, — მასა და პაატას კი ერთმანეთი ჰყვარებიათ. ეშმაკიც ვიყავ: ერთ საღამოს, როცა მომიტანეს ამბავი, შენი ქმარი ლეილასთან ერთობაო, მეუღლეს თავზე დავადექი... არაფერი მითქვამს. უსიტყვოდ წამოვედი უკან. პაატა შინ გაავებული მოვარდა, — აბა, როგორ გაბედე ჩემი კონტროლი?! დაგინახეო!.. ფეხმძიმედ ვიყავი. ისე სასტიკად მცემდა, ვესზე ადგომაც აღარ შემეძლო... როგორც კი ინათა, შინიდან გამოვიპარე. დედ-მამის ოჯახში დავბრუნდი. შვილი გავაჩინე, გიორგი და პაატას ჩემთან შეხვედრა ავუკრძალეთ.

ქალბატონი მედიკო თვალეში ჩამდგარი ცრემლების დამალვას ცდილობს, დუმს და თვალეებს დაბლა ხრის:

— არავისთან მომიყოლია ეს ამბავი. რატომღაც დღეს ამომიჯდა გული და თქვენთან ისე ვიგრძენი თავი, რომ ტკივილის გაზიარება მომინდა. არაა ლამაზი, შენს სიყვარულს ქვეყანას რომ დაანახებ... ჰოდა, იმას ვამბობდი: გავიდა წლები; მე უკვე პატარა ბიჭი მყავდა, პაატამ ის ლეილა რომ დაისვა ცოლად. თავად ასპინძაში გამოვთხოვდი. გერები დამხვედნენ ოჯახში და ისინი შვილებივით შევიყვარე. თავსატკივარი ის იყო, რომ ახალი ქმარი ვერაფრით შევიყვარე, ისევ მანამებელი და სასტიკი პაატა მიყვარდა... ჯერ ის გავაგებინე შორიდან, რომ შვილი გყავდა, მაგრამ რადგანაც არ გამოემხმავრა, მევე ვაცნობე, — გიორგი ახალი ქმრის გვარზე გავაფორმე-მეთქი, ამაზე კი გადაირია და დასთან ერთად, პირდაპირ ოჯახში მომადგა. ჩემმა ქმარმა, ნოდარმა, იცოდა ჩვენი სიყვარულის ამბავი; ისიც იცოდა, რომ თავად მას ვერაფრით შევიყვარებდი, მაგრამ მაინც დაეუმაღლე, სტუმარი კაცი ჩემი ყოფილი ქმარი რომ იყო. ნოდარს პაატა და მისი და თუშ ნათესავეებად გავაცანი. როცა დაღამდა და პაატამ დამიმარტოხელა, შერიგება მთხოვა, — თუ დამიბრუნდები, ლეილასაც გავეყრები და თითსაც არ დაგაკარებ; ეს რა ბიჭი გვეყოლია, სულ ჩემი თოლები აქვსო!.. ჯიუტი ვიყავი და უარი ვტკიცე, თუმცა კი გულით მიწოდოდა შერიგება. ისე მენატრებოდა, გული გამალეებით მიცემდა, ცუდად ვხდებოდი... გადიოდა წლები, მაგრამ ბედს არ ვურიგებოდი — ისევ მიყვარდა პაატა და ერთი სული მქონდა, გამეგო, როგორ ცხოვრობდა. სიგჟემდე მიწოდოდა მისი დანახვა, უფრო მეტად კი იმის გაგონება, რომ პაატა ლეილას გაყვარდა. ხან რას ვიგონებდი, ხან — რას და პაატა ასპინძაში ჩამომყავდა. დემოკრატიას რომ იძახიან, ზუსტადაც რომ ნოდარი იყო დემოკრატია: არაფერი უთქვამს სტუმრის მიღებაზე; სტუმრის, რომელიც ჩემი ყოფილი ქმარი იყო და ისევ გვიყვარდა ერთმანეთი. ეს იცოდა ნოდარმა. ორსამ წელიწადში ერთხელ ჩამოვიტყუებდი ხოლმე პაატას და მისი ხილვით ვტკებოდი.



— ახლა რა ხდება? — ვკითხე ქალბატონ მედიკოს, როცა ჩათვალა, რომ ამბავი დაასრულა.

— ახლაც მიყვარს პაატა. არ ვიცი, მას თუ ვუყვარვარ, მაგრამ რაც მთავარია, მე მიყვარს და ეს საკმარისია! მოვუხვდით ორივე, მაგრამ გული ხომ არ ბერდება?! ის დღეებაც მახსენდება, ცემით დასიებული როგორ ვათენებდი ღამეებს, მაგრამ ნეტავ იმ ღამეებს!.. ნოდარი წლების წინ გარდაიცვალა. გერები გავთხოვე, ჩემი გიორგი კი ახლა თუშეთშია, მამასთან. პაატაც ცოცხალია და ლეილაც.

— სიყვარულის დაბრუნება არ გიცდიათ? იქნებ არც ახლაა გვიან? — ვკითხვით ქალბატონ მედიკოს.

— გაგიჟდით?! სადაცაა 80-ს მივუკაკუნებთ... ისე, კი მინდა თუშეთში ასვლა, გემრიელ ქედებზე გადახედვა და ლეილაზე ჯავრის ამოყრა. პაატასთანაც მინდა, მაგრამ ეჰ...

— მისი სიკვდილის ამბავი რომ გაიგოთ, დაიტრუნებთ? — ვკითხვით უცნაურ წარსულში ჩაძირულ ქალს.

— არა, არა, არა, რას ამბობთ, მაგას არ გავიგებ, — უცებ ავდებ და ხელეხს აქეთ-იქით იქნევს ქალბატონი მედიკო. — პაატას სიკვდილი არ უნდა გავიგო, გაიგეთ?! ეს ყველამ იცის, ყველა სასტიკად გაფრთხილებულია და ამ ამბავს არავინ მეტყვის.

— მაშ, საიდან იცი, რომ პაატა ცოცხალია? — ფრთხილად ვუსვამ ბოლო შეკითხვას.

— ვიცი, — დარწმუნებით მპასუხობს „რესპონდენტი“. — გული გრძნობს მაგას!

P.S. მარტოდ დარჩენილი ქალბატონი მედიკოს ერთადერთი მეგზური ახლა ჟურნალი „გზაა“. საინტერესოა, თქვენ რას ურჩევდით მას?..



# სინჯარის ბავშვები

## ანუ რატომ გაიზარდა ხელოვნური განაყოფიერების მსურველთა რიცხვი

გამონაკლისების გარდა, ალბათ ყველა ქალი ქვეცნობიერად დედაა. პატარა გოგონა თოჯინებით თამაშობს, მათ უფლის, ეფერება და თავი მის დედად წარმოუდგენია. როცა გოგონა გაიზრდება, იგი რეალურ შვილზე ოცნებობს. ოჯახის შექმნით, ამ ოცნებამდე ერთი ნაბიჯი უკვე გადადგმული აქვს, მაგრამ ზოგ ქალს უმართლებს და დედა ხდება, ზოგიც კი წლების განმავლობაში ელოდება ამ ოცნების ასდენას. როცა მოლოდინი ამოიწურება, მაშინ ქალების უმრავლესობა მედიცინას მიმართავს. მიუხედავად იმისა, რომ მართლმადიდებელი ეკლესია ამ ფაქტს არ მიესაღებდა, ქალი ხომ დედობისთვისაა გაჩენილი და ისიც ამისთვის ყველაფერზეა წამსვლელი, მათ შორის ხელოვნურ განაყოფიერებაზეც კი... რასაკვირველია, ჩემი დღევანდელი რესპონდენტების ანონიმურობა დაცულია.



დიოდი, ცოდვების მოსანანიებლად და ჯანმრთელობის პარაკლისებსაც ვესწრებოდი. იმედი მქონდა, რომ ღმერთი შემინდობდა და დედა გავხდებოდი, მაგრამ არაფერმა მიშველა. საბოლოოდ, მკურნალ ექიმს ჩვენი დანახვა ყელში ამოუვიდა და მითხრა: ექიმი გოგო ხარ. ამდენი ხნის განმავლობაში არაფერი გეშველა და ხომ უნდა მიხვდე, რომ შვილი აღარ გეყოლება. არ ჯობია, ხელოვნური განაყოფიერება გაიკეთო? ისე მინდოდა, დედა გავმხდარიყავი, ეს წინადადება მაშინვე ავიტაცე. როცა ჩემს მოძღვარს ამის შესახებ ვუამბე, მითხრა, — ღმერთის წინ ნუ წახვალ. თუ მას სურს, ისედაც გახდები დედა, თუ არა და, ე.ი. ასე უნდა იყო. მას არ დაუფერე და მოსამზადებელი პერიოდის გავლის შემდეგ, ჩემი მეუღლის სპერმით განაყოფიერება გამიკეთეს.

### ნათია ჟივიკა

#### ნანა, 32 წლის:

— 20 წლის ვიყავი, როცა მე და ჩემმა მეუღლემ ოჯახი შექვემნი. გოჩა სკოლის დამთავრებისთანავე, გამოსაშვებ საღამოზე გავიცანი და მას მერე ერთმანეთს არ მოვეშორებოვართ. 3 წლის განმავლობაში შეყვარებულები ვიყავით, მაგრამ გათხოვებას არ ვჩქარობდი, რადგან იმავე წელს სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გავხდი, გოჩაც იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა და გადავწყვიტეთ, ჯერ გვესწავლა, ოჯახის შექმნაზე კი მოგვიანებით გვეფიქრა. სამწლიანი ურთიერთობის შემდეგ, ოჯახის წევრების დაჟინებული მოთხოვნით, დავექორწინდი. მოგეხსენებათ, იმ პერიოდში ჯერ კიდევ აქტუალური თემა იყო: რას იტყვის ხალხი?! რაც უნდოდათ, ის ეთქვათ — არც ჩემთვის და არც გოჩასთვის ამას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონია. ჩვენ, უბრალოდ, ერთმანეთი გვიყვარდა და მთელ თავისუფალ დროს ერთად ვატარებდით. მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკური ურთიერთობა არ გვექონია, ხალხი მაინც გვეცხაავდა და ჩვენს მშობლებს საყვედურებით ავსებდა, — შვილებს ყურადღებას რატომ არ აქცევით?! ჰოდა, ამიტომაც დავვექორწინდი. თავიდანვე მოვილაპარაკეთ, — ვიდრე სწავლას არ დავასრულებდით, შვილზე არ უნდა გვეფიქრა. მოგეხსენებათ, სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლას რამდენი მეცადინეობა სჭირდება... გავიდა კიდევ


სამი წელი. სიმართლე გითხრათ, ის ფაქტი, რომ შვილი არ გვიყავდა, საერთოდ არ მანუხებდა. მიმაჩნდა, რომ დედობისთვის ჯერ მზად არ ვიყავი და როცა მოვინდომებდი, შვილი მაშინ მეყოლებოდა...

რამდენიმე ხნის წინ ჩემი მეგობარი გათხოვდა, მალევე დაფხმძიმდა, 9 თვეში ულამაზესი გოგონა გააჩინა და მთხოვა, მისი ნათლია მე ვყოფილიყავი. ჩემი ნათლული ისეთი საყვარელი იყო, რომ სულ მის გვერდით მსურდა ყოფნა. ერთი სული მქონდა, მეცადინეობა დამესრულებინა, რათა ანასთან წავსულიყავი და მის მოვლაში მიმელო მონაწილეობა. მალე მივხვდი, რომ დედობა მეც მწყურვოდა. ამის შესახებ გოჩას ვამცნე. ჩემი წინადადებით ისიც აღფრთოვანდა და შვილის გაჩენა გადავწყვიტეთ, მაგრამ... მე ხომ თავიდანვე ცოცხა ჩავიდინე, როცა ვთქვი, — ჯერ შვილს არ ვაჩენ-მეთქი. ეს ხომ ღმერთის ნებაა და რა უფლება მქონდა, მის სურვილს წინ აღვდგომოდი? ჰოდა, ღმერთმა დამსაჯა კიდევ — არა და არ გავხდი დედობის ღირსი. ხან მე ვიმკურნალე, ხან — გოჩამ, უფრო ხშირად კი ორივე ერთად ვსვამდით წამლებს. ქართველი ექიმების ამბავი ხომ იცით, ოღონდ პაციენტი ხელიდან არ გაუშვან და ყველაფრით დააიმედებენ — 5 წელი „გვიხვევდნენ ხელზე“ და მთელი ამ დროის განმავლობაში გვეუბნებოდნენ, რომ მალე მშობლები გავხდებოდით. იმ პერიოდში ტაძარშიც დავ-

არ იკითხოთ, რა ჯდება ეს ყველაფერი, მაგრამ დედობა ისე მინდოდა, ფული არ მადარდებდა — ბანკიდან სესხი გამოვიტანე და ექიმს დიდალი თანხა ხელში ჩაუთვალე. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა. მართალია, მთელი 9 თვის განმავლობაში წოლა მომიხდა, რადგან მძიმე ორსულობა მქონდა, მაგრამ რაც მთავარია, ახლა ორი წლის ქალიშვილი მყავს, რომელსაც ჩემი ნათლულის, ანას სახელი დავარქვი და დღეს ძალზე ბედნიერი დედა ვარ. ჩემი აზრით, ქალი დედობის გამო ყველანაირ მსხვერპლზე უნდა წავიდეს. ხანდახან დავფიქრებდი ხოლმე იმ ფაქტზე, რომ მოძღვარს არ დაუფერე, მაგრამ ღმერთმა ხომ იცის, როგორ მინდოდა შვილი და იმედია, შეცოდებას მაპატიებს...

#### ნაზიზ, 37 წლის:

— ხელოვნურ განაყოფიერებაზე ლაპარაკი ჩემთვის საკმაოდ მძიმე და მტკივნეული თემაა. 19 წლის ვიყავი, როცა თანაკლასელს გავყვი ცოლად. მშობლები ჩვენი დაოჯახების წინააღმდეგნი იყვნენ, რადგან მიმაჩნდათ, რომ ამისთვის პატარები ვიყავით, მაგრამ მათ არ დაუფერეთ და გავიპარეთ. ზოგი წყვილი ხომ ფიქრობს, — ჯერ პატარები ვართ, რა დროს ჩვენი შვილიაო (ჩემი 16 წლის ნათესავემ, გათხოვებისთანავე, დედამთილის მოთხოვნით, სპირალი ჩაიდგა, რადგან მისი ქმრის ოჯახს მიაჩნია, რომ ჯერ რძალი ჰყავთ გასაზრდელი და მერე იფიქრებენ



შვილიშვილზე), ჩვენ კი დაქორწინების პირველივე დღიდან შვილებზე ვოცნებობდით და მათთვის სახელებსაც ვარჩევდით. სამწუხაროდ, ოცნება ოცნებადვე დარჩა... რამდენიმე წლის შემდეგ დედამ მთხოვა, — იქნებ ელემენტარული პრობლემები გაქვთ, ექიმთან მაინც მისულიყავითო. ასეც მოვიქცით და დაიწყო დაუმთავრებელი მკურნალობის კურსი: ვისთან აღარ ვიმკურნალეთ, არც ექიმბაშები დაგვენიწყებია, მაგრამ მაინც არაფერი გვეშველა. ბოლოს ყველაფერზე ხელი ჩავიქნიეთ... ქორწინებიდან 15 წლის შემდეგ გადავწყვიტეთ, ხელოვნური განაყოფიერება გავვეკეთებინა. მაშინ საქართველოში ეს არცთუ ისე დამკვიდრებული მეთოდი იყო, მაგრამ მაინც გავრისკეთ. როცა ხელშეკრულებას ვაფორმებდით, ხელი მიკანკალებდა, რადგან 9 ათასი ლარი გადავიხადეთ და ხელშეკრულებაში ეწერა, რომ თუ განაყოფიერება არ შედგებოდა, ექიმები ამაზე პასუხს არ აგებდნენ. სხვა რა გზა გვქონდა და ამ საბუთს ხელი მოვანერეთ.

ჩემი ორსულობა მხოლოდ ორი კვირა გაგრძელდა, შემდეგ მუცელი მომეშალა. დეპრესიაში ჩავვარდი, ლოგინიდან ადგომაც კი არ მინდოდა. საბედნიეროდ, მეუღლე გვერდიდან არ მომშორებია და მამშვიდებდა; მეუბნებოდა, რომ ძალიან ვუყვარდი, რომ ჩემ გარდა, არც ერთ ქალთან ყოფნა არ სურდა... შარშან ძალები მოვიკრიბეთ, ბანკიდან სესხი გამოვიტანეთ და კიდევ ერთხელ გავბედე ხელოვნური განაყოფიერების გაკეთება. მართალია, მთლად 9 ათასი ლარი აღარ გადავიხდია (ცოტა დაუკლიათ ფასი), მაგრამ მაინც ბევრი ფული გადავახდევინეს. პირველი წარუმატებელი ორსულობის გამო, მეორედ განაყოფიერების გაკეთებისთანავე მითხრეს, — ვიდრე ნაყოფი არ მოძლიერდება, ლოგინიდან საერთოდ არ წამოდგეო. ასეც მოვიქცევი, მაგრამ არც ამჯერად გამიმართლა — 4 კვირის ნაყოფი მომეშალა. მეგონა,

ამას ვეღარ გადავიტანდი და თავს მოვიკლავდი. ექიმებმა მითხრეს, რომ საშვილოსნოს სუსტი კედლები მაქვს და ნაყოფი მასზე ვერ მაგრდება, ამიტომ შვილი არასოდეს შეეძლება. დეპრესიიდან დღემდე ვერ გამოვედი. ყველა მირჩევს, ბავშვი ავიყვანო და ალბათ, ასეც მოვიქცევი, მაგრამ ჯერ დრო უნდა გავიდე, რათა ტკივილი ცოტათი მაინც გამინელდეს, რომ ბავშვის მოვლა შევძლო...

**ნინო, 34 წლის:**

— ეს თემა ჩემთვის საკმაოდ მძიმეა. ამის გამო უამრავმა ახლობელმა თუ ნათესავმა გამიცისხა, მაგრამ არაფერს ვნანობ, რადგან მე დღეს დედა ვარ! 25 წლის ასაკში გავთხოვდი. მაშინ მიმანდა, რომ მე და ჩემს მეუღლეს ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი და ყველა პრობლემას გადავლახავდით, მაგრამ, სამწუხაროდ, შევცდი. რამდენჯერაც დავვორსულდი, მუცელი იმდენჯერვე მომეშალა. იმის ნაცვლად, რომ ამ პერიოდში ქმარი გვერდით დამდგომოდა, მეუბნებოდა, — შენ რა ქალი ხარ, შვილიც კი ვერ გაგიჩენიაო და გარეთ გარბოდა. როცა მუცელი უკვე მესუთედ მომეშალა, ქმარმა უფრო დიდი შეურაცხყოფა მომაყენა, ჩემკენ ხელის დასარტყმელადაც კი გამოინიანა. ეს ბოლო წვეთი იყო და მისი სახლიდან წამოვედი. ერთ თვეში შევიტყვე, რომ მან სხვა შეირთო ცოლად, ჰოდა, მაშინ მივხვდი, როგორც ვყვარებივარ. გადავწყვიტე, მისთვის დამემტკიცებინა, რომ ჩვენი უშვილობის მიზეზი მე კი არა, თავად იყო და დახმარებისთვის მაშინვე, ხელოვნური განაყოფიერების ცენტრს მივმართე. რასაკვირველია, დონორი ანონიმურია და დღემდე აზრზე არა ვარ, ვინ არის ჩემი შვილის მამა, თუმცა ამას ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი ისაა, რომ განაყოფიერებამ წარმატებით ჩაიარა და 9 თვეში დაჩის დედიკო გავხდი. ჩემი შვილი ძალიან ლამაზია, რასაც ყველა აღიარებს. მე დღეს ბედნიერი დედა ვარ, ჩემს ყოფილ მეუღლეს კი არც მეორე ცოლთან შეეძინა შვილები...

**აია, 30 წლის:**

— ხელოვნური განაყოფიერება ნამდვილად გავიკეთე, მაგრამ ამას არ ვნანობ. საჭიროებამ მოითხოვა, ასე მოვქცეულიყავი. ადრეულ ასაკში, სიყვარულით გავთხოვდი,

მაგრამ ერთმანეთს იმდენად მალე დავშორდით, რომ შვილზე ფიქრიც ვერ მოვასწარი. მას შემდეგ ყურადღება მხოლოდ სწავლაზე, კარიერის აწყობაზე გადავიტანე და მერწმუნე, ჩემს ცხოვრებაში არც ერთი მამაკაცი აღარ ყოფილა. სამი წლის წინ, ჯანმრთელობის გაუარესების გამო ექიმს მივაკითხე. აღმოჩნდა, რომ ქალური პრობლემები მქონდა და ისეთი ოპერაცია უნდა გამეკეთებინა, რომლის ჩატარების შემდეგაც დედა ვეღარ გავხდებოდი. ექიმმა მირჩია, — მოდი, ვცადოთ, იქნებ შვილი გააჩინო და ოპერაცია მერე გაიკეთო, ძალიან ახალგაზრდა ხარ და მეცოდებიო. ჯერ ერთი, როგორც აღვნიშნე, ოჯახის დანგრევის შემდეგ არც ერთ მამაკაცთან არანაირი ურთიერთობა არ მქონია და შვილს როგორ გავაჩენდი? თანაც, ნამდვილად არ შემეძლო, ვიღაცასთან ურთიერთობა მხოლოდ იმიტომ გამეზომა, რომ შვილი გამეჩენა. ჰოდა, ამიტომაც გადავწყვიტე, ხელოვნური განაყოფიერება გამეკეთებინა. ამ წინადადებას ჩემი ოჯახის წევრებიც დადებითად შეხვდნენ. მათთვის ხომ ის იყო მნიშვნელოვანი, რომ კარგად ვყოფილიყავი...

საკმაოდ რთული ორსულობა მქონდა. ფაქტობრივად, 9 თვე ვინეკი და მთელი ამ დროის განმავლობაში, ჩემი მომავალი შვილის დაბადება-არდაბადების საკითხი გაურკვეველი იყო, მაგრამ ღმერთმა არ გამწირა და ბავშვი აბსოლუტურად ჯანმრთელი დაიბადა. საკეისრო კვეთის დროს ჩემთვის აუცილებელი ოპერაციაც გამიკეთდა და ახლა თავს არაჩვეულებრივად ვგრძნობ, მით უფრო, რომ 2 წლის ულამაზესი ქალიშვილი, ნიტა მყავს. სულ არ მაინტერესებს, ვინ არის მისი მამა. ის მხოლოდ ჩემი ქალიშვილია და სხვათა შორის, ძალიან მგავს...

*გადავწყვიტეთ გაგვერკვია, თუ რამ-*





დენად დიდია ხელოვნური განაყოფიერების მსურველთა რიცხვი და ამ საქმის სპეციალისტს, ექიმ-რეპროდუქტოლოგს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორსა და ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრის ხელმძღვანელს, **ბიბა ცაბარაიშვილს** დაუკავშირდით.

— რასაკვირველია, ხელოვნური განაყოფიერების მსურველთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. თავიდან, როცა საზოგადოება ამ დარგში კარგად გათვითცნობიერებული არ იყო, წყვილს რისკზე წასვლის ემინოდა და წელიწადში სულ რამდენიმე ადამიანი მიმართავდა განაყოფიერების ამ ხერხს, მაგრამ ბოლო დროს ძალიან ბევრი ადამიანი მოდის. მაგალითად, შარშან თუ 200 ოპერაცია გაკეთდა, წელს უკვე 250 გავაკეთეთ. დარწმუნებული ვარ, მომავალ წელს ეს რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება. ყველა უშვილო ცოლ-ქმარს სურს, მშობელი გახდეს და ხელოვნურ განაყოფიერებას იკეთებს. ამ ხერხით, მამაკაცის უნაყოფობის პრობლემა ბოლომდე აღმოფხვრილია.

**— თქვენთან მხოლოდ წყვილები მოდიან თუ დახმარებისთვის მარტოხელა ქალბატონებიც მოგმართავენ?**

— მარტოხელა ქალბატონების განაყოფიერება არც ისე ხშირია, თუმცა ასეთი პაციენტებიც გვყავს. სხვათა შორის, არც მათი მომსახურება წარმოადგენს სირთულეს, ამ ადამიანების დონორი კი ანონიმურია. მოკლედ, ჩვენი მეშვეობით უამრავი ადამიანი ხდება მშობელი, თუმცა კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ პაციენტები ძირითადად, უშვილო წყვილები არიან, რომელთაც ჩვენი დახმარებით ბიოლოგიური შვილი უჩნდებათ.

**— ბატონო გია, როგორც ჩემთვის ცნობილია, მართლმადიდებლური ეკლესია ხელოვნური განაყოფიერების ფაქტს დიდად არ მიესალმება...**

— როგორ გეკადრებათ, ეკლესია აღნიშნულ ფაქტს აბსოლუტურად ცივილიზებული თვალთა უყურებს და არც ერთი მოძღვარი პაციენტს ხელს არ უშლის, რომ მას ბიოლოგიური შვილი ჰყავდეს.

**P.S. რასაკვირველია, მართლმადიდებლური ეკლესიის პოზიციითაც დავინტერესდით და კომენტარისთვის არაერთ მოძღვარს მივმართეთ, მაგრამ მათ საუბრისგან თავი შეიკავეს და მითხრეს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით საპატრიარქოს სამშობიაროს ხელმძღვანელს, მამა ადამის უნდა დაგვაკავშირებოდით. მამა ადამის ვრცელ ინტერვიუს კი ჩვენი ჟურნალის მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.**

# ღვთის სასწაული თუ სამაგალითო გმირობა

**„ანაუორა ჩავიხვი, ჯვარი გავიკეთე, დაჭრილი ზურგზე მოვიკიდე...“**

ერთხელ ვეტერანმა მეომარმა მითხრა, — ომი საოცარი რამ არის, ადამიანის სულს ბოლომდე აშიშვლებს, ვერსად ამოიხსნება ისე კარგად კაცის ნამდვილ ხასიათს, როგორც ბრძოლის ველზე. მართლაც, აგვისტოს ომმა ბევრი ადამიანი სხვა თვალთა დაგვიანება და იმპიცი დაგვარწმუნა, რომ ჩვენი ქვეყნის ძალას ის ერთეული ქართველები წარმოადგენენ, რომლებსაც ჩუმად, მაგრამ ძლიერ, მთელი არსებით უყვართ სამშობლო და საკუთარ შესაძლებლობებს მხოლოდ მაშინ ავლენენ, როდესაც ეს ქვეყანას განსაკუთრებულად სჭირდება.

სულ ახლახან ჩემმა მეგობარმა სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადის კაპელანის, დეკანოზ იოსების საოცარი თავგადასავალი მიაშობო. 35 წლის კაპელანს, 5 შვილის მამას ჯარისკაცები მაშინაც კი არ მიუტოვებია, როდესაც მრავალრიცხოვანი მტრის პირისპირ აღმოჩნდნენ. უფრო მეტც, თავადაც დაჭრილს, სხვა დაჭრილები ზურგზე აკიდებული გამოჰყავდა ბრძოლის ველიდან. ისიც შევიტყვე, რომ ის ერთ-ერთი დაჭრილი ჯარისკაცის გადასარჩენად, პირდაპირ ოსების სახლშიც შესულა, — მაგრამ ამ ფაქტს თავად უარყოფს (ალბათ მათი უსაფრთხოების მიზნით) და ირწმუნება, რომ დახმარება ქართველებმა აღმოუჩინეს...



## სათუნა გახტურია

„სპის მოძღვარი“ — ასე წარმომიდგინა თავი **იოსებ მსაპინამ**, როდესაც მას სენაკში ვესტუმრე. მართალია, საკუთარ თავზე საუბარი ძალიან არ უნდოდა, მაგრამ სტუმარს უარი ვეღარ მითხრა და ინტერვიუც შედგა...

**— მამაო, რატომ გადაწყვიტეთ, რომ ჯარისკაცებს ბრძოლის ველზე გაჰყოლოდით?**

— ბიჭებისთვის დიდი იმედი ვიყავი და იმიტომ. როდესაც ცხინვალისკენ მიმავალი ჯარი დავლოცე და ნაკურთხი წყალი ვასხურე, სხვანირები გახდნენ, გამომეტყველება შეეცვალათ, სახეზე თავგანწირვის დაუოკებელი სურვილი გამოეხატათ. აბა, მათი მიტოვება როგორ იქნებოდა?! სპის მოძღვარი, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით გაგხდი. ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა. ვცდილობ, მისი უწმინდესობის იმედი გავაპართლო და ჯარისკაცებისთვის მისაბაძი მაგალითი გაგხდე.

**— ჯარისკაცებთან ერთად, წინა ხაზზეც იყავით?**

— ყველგან ვიყავი, სადაც კი საჭირო იყო.

**— ხელში იარაღის აღებაზეც თუ მოგიწია?**

— ჩემი იარაღი — ჯვარია. დარწმუნებული ვარ, უფალი იმაზე მეტ განსაცდელს არ მომივლენს, რისი ატანაც არ შემიძლია. საქართველოს ისტორიიდან არაერთი სასულიერო პირის გახსენება შემიძლია, რომელიც კრიტიკულ მომენტში რიგითი ჯარისკაცისვით იბრძოდა. თუ ამის აუცილებლობა იქნებოდა, თავსაც დავიცავდი და ჩემს ჯარისკაცებსაც.

**— იქნებ გვიამბოთ — თავად დაჭრილმა, სხვა მეომრების გადარჩენა როგორ მოახერხეთ?**

— ეს ღვთის სასწაული იყო...

**— ჰოდა, ამ ღვთის სასწაულზე გვიამბეთ...**

— აგვისტოს ომის დროს, როდესაც მორატორიუმი გამოცხადდა, სენაკის ბრიგადას შინდისში, რკინიგზის სადგურში შესვლა უბრძანეს. გვეგონა, რომ ტერიტორია „სუფთა“ იყო, მაგრამ იქ მძიმე ტექნიკით შეიარაღებული რუსები დაგვხვდნენ. ალყაში აღმოჩნდით. მეთაურის მანქანაში ვიჯექი და შესაბამისად, სადგურში პირველი შევედი. შესვლისთანავე დავინახე, რომ რუსები ჩვენს მანქანას ტყვიამფრქვევს უმიზნებდნენ. მირზა მალაზონიამ (მძლოლი) მანქანა დაამუხრუჭა და ორივე გადმოვხტით. მტერი რკინიგზის მთელ პერიმეტრზე ყოფილა ჩასაფრებული. ყველა მხრიდან ისროდნენ. მირ-



ზა დაიჭრა, მე ბენჯე გადავრჩი, რამდენიმე ტყვია მილიმეტრებში ამცდა. ჯავშანფილეთი გავისხადე (ძალიან მძიმე და მოუხერხებელი იყო, მოძრაობაში ხელს მიშლიდა) და მირზა ზურგზე მოვიკიდე. ვერ ვიტყვი, რომ რაიმე გეგმა მქონდა, მექანიკურად ვმოქმედებდი. ცოტა მოშორებით, ბუნებრივი საფარი დავინახე და იქით გავეშურე, მაგრამ ჭურვის ერთი ნამსხვრევი მუხლში მომხვდა, მეორე — მკლავში. ჩვენს მანქანას ცეცხლი წავეიდა. ვიფიქრე, — ეს რომ აფეთქდეს, ცოცხალი ვერც ერთი ვერ გადავრჩებით-მეთქი, ძალ-ღონე მოვიკრიბე და მირზა საფარში ჩავათრიე. იქ დიდხანს დარჩენა არ შეიძლებოდა, გარემოს დასაზვერავად გამოვფოფხდი. უცრად ჩემს ფეხებთან ჭურვი დავარდა. არ გასკდა — ღმერთმა გადაამარჩინა, თორემ ახლა ცოცხალი აღარ ვიქნებოდი... რუსული ვერტმფრენები ძალიან დაბლა დაფრინავდნენ და ყველაფერს ცხრილავდნენ. თავის წამონვეც კი სახიფათო იყო. როგორც იქნა, ფორთხვით სამშვიდობოსკენ გასასვლელი გზა მოვიპოვე. ამასობაში სროლებიც შეწყდა, საფრისკენ მივბრუნდი, მაგრამ მირზა აღარ დამხვდა (როგორც მერე გავარკვიე, იქიდან ამომძვრალა). მისი ძებნა დავინწყე, მაგრამ ვერსად მივაგენი. მის ნაცვლად 4 ჯარისკაცი ვიპოვე. ერთ-ერთი მათგანი ძალიან მძიმედ იყო დაჭრილი. ვუთხარი, დამლოდებოდნენ და ისევ მირზას ძებნა განვაგრძე, მაგრამ ამაოდ... ვეღარც მას ვპოულობდი და მძიმე დაჭრილი ჯარისკაციც სისხლისგან იცლებოდა. ანაფორა ჩავიცვი, ჯვარი გავიკეთე, დაჭრილი ზურგზე მოვიკიდე და გზას გავუდექი... მიტოვებულ სოფელს რომ მივუახლოვდი, უკვე ბნელიდა. ქუჩებში მხოლოდ ძროხების ბლავილი და ქათმების კრიახი ისმოდა, ადამიანის ჭახუნა არსად იყო. გორისკენ ავიღე გეზი. მალე ისევ მივაღდექი პატარა სოფელს. ეს სოფელიც ნახევრად ცარიელი იყო. მხოლოდ რამდენიმე სახლიდან გამოდიოდა შუქი. აღარ დავინწყე იმის ძიება, ქართველები ცხოვრობდნენ თუ ოსები და მასპინძელს ვუხმე. უღვაშიანმა, ჯგუფმა კაცმა გამოხედა. ვუთხარი, რომ საპატრიარქოს წარმომად-

გენელი ვიყავი და ჯარს ვახლდი. არც ის დამიბლავს, ჩემს ზურგზე მოკიდებული კაცი ერთ-ერთი ჯარისკაცი რომ იყო...

**— თქვენი მასპინძელი ქართულად ლაპარაკობდა?**

— კი, გამართული ქართულით ლაპარაკობდა. ჩემს მასპინძელს სხვა სტუმრებიც ჰყავდა. ერთ-ერთ მათგანს ჩვენი დანახვა დიდად არ ესიამოვნა და ოთახიდან ბურდლუნით გავიდა. ექიმი ან ექთანის მოვითხოვე. შუა ხნის ქალი მოვიყვანეს, რომელმაც ჯარისკაცს ჩრილობა ხმისამოუღებლად დაუმუშავა. იმ ღამით თავი არ მომიხუჭავს, გამთენიისას ჩამეძინა და მასპინძლებმაც გამაღვიძეს, — მანქანა მოსულია და ნაბრძანდითო.

**— მირზა ველარ იბოვეთ?**

— მირზა საფრიდან თავისით გამოფოფხებულა, მაგრამ შორს ვეღარ წასულა... როდესაც რუსი ჯარისკაცები საკონტროლო გასროლას ახორციელებდნენ, ავტომატის ჯერი მის ფეხებზეც გადაუტარებიათ, მაგრამ მირზას ხმა არ ამოუღია და რუსებსაც მიცვალუბულად მიუჩნევიათ. მერე ადგილობრივი მცხოვრებლებს — ახმედ ხუციშვილს უპოვია და სამშვიდობოს გაუყვანია.

**— თქვენს ჭრილობებზე არაფერი გითქვამთ, არ განუხებდათ?**

— მანუხებდა, მაგრამ ჩემი ჭრილობები თავად შევიხვიე, ვიდრე დაჭრილ ჯარისკაცს ზურგზე მოვიკიდებდი. ტყვივლს კი ვუძლებდი, ეგ არ იყო პრობლემა.

**— ეი. ფიზიკური მომზადება კაპელანსაც სჭირდება.**

— რა თქმა უნდა...

**— ვიდრე კაპელანი გახდებოდით, რას საქმიანობდით?**

— სპორტსმენი ვიყავი. ისე, საქართველოს ისტორია და ქვეყნისთვის თავგანწირული სასულიერო პირების ცხოვრება ყოველთვის მაინტერესებდა. განსაკუთრებულად თორნიკე ერისთავის ცხოვრებითა და მოღვაწეობით ვიყავი აღფრთოვანებული. არ ვიცო, რაიმე გამომივა თუ არა, მაგრამ ვცდილობ...

**— ალბათ რთულია, იყო, ჯარისკაცების მოძღვარი. რამდენად განსხვავდებიან ისინი სხვა დანარჩენი მრევლისგან?**

— რთული — არა, უფრო — საპასუხისმგებლოა. ჯარისკაცები მრევლის სხვა წევრებისგან იმით განსხვავდებიან, რომ მათ სულს სიმტკიცე მეტად მოეთხოვებათ.

**— როგორც ვიცო, სენაკის სამხედრო ბაზაზე ბევრი ქალი მასხურობს.**

— კი, ასეა...

**— მათ მიმართ უფრო მიმტევებელი ხომ არ ხართ?**

— არა. სხვათა შორის, ქალები უფრო მეტ სულიერ სიმტკიცეს იჩენენ. ისე, ჯარში ისეთ მამაკაც-

ებს უფრო უჭირთ, რომლებსაც ჭირვეული ცოლები ჰყავთ. აგვისტოს ომის დროს ზოგიერთ ჯარისკაცს ცოლი ურეკავდა და ეჩხუბებოდა, — ცხინვალში რა გინდა, სახლში დაბრუნდი, ცოლ-შვილს მიხედო!.. ზოგი გამუდმებით ეწუნუნება ქმარს, — მარტო ნუ მტოვებო. ასე არ შეიძლება. ცოლის ჭკუაზე მოსიარულე ჯარისკაცს მომავალი არა აქვს. ჯარისკაცს არავინ უნდა დაუსვას სამი შეკითხვა — სად ხარ? რას აკეთებ? სად მიდიხარ? ამ შეკითხვებს არც მე მისვამს ჩემი მეუღლე.

**— ალბათ მკაცრი მეუღლე და მამა ხართ...**

— მკაცრი არა ვარ, მაგრამ გარკვეული ნესების დაცვას მოვითხოვ. ოჯახში ყველას თავისი ფუნქცია და ადგილი აქვს. როდესაც სახლში შევდივარ, ცოლ-შვილი ფეხზე ადგომით მესალმება. ამას ისინი საკუთარი სურვილით აკეთებენ...

**— დიდი ხანია, დაქორწინებული ხართ?**

— კი. უფროსი შვილი უკვე 12 წლის არის. 20 წლის ვიყავი, როდესაც დავექორწინდი.

**— შვილები თავიანთ პრობლემებს თუ გიზარებენ?**

— ვერ ვიტყვი, რომ მათთან ძმაკაცური დამოკიდებულება მაქვს. შვილები იმას მუუბნებინ, რაც შვილმა მამას უნდა უთხრას. ასეთივე დამოკიდებულება მაქვს მეუღლესთანაც.

**— ოდესმე მეუღლისგან აღსარება თუ ჩაგებარებიათ?**

— არასოდეს. აღსარებას არც შვილებისგან ჩაგებარებ — ასეთი რამის გაკეთება მიზანშეწონილი არ არის. სხვათა შორის, ვიდრე დავექორწინდებოდი, ჩემი მეუღლე უფრო მორმუნე იყო, აქეთ მაძლევდა რჩევადარიგებებს...

**— შვილების სამომავლო გეგმების შესახებ თუ იცით რაიმე?**

— კი, რა თქმა უნდა, ვიცი და პატივს ვცემ მათ გადაწყვეტილებებს. ჩემი აზრით, ბავშვს მშობელმა დამოუკიდებელი არჩევანის გაკეთების საშუალება უნდა მისცეს.

**— ამჯერად როგორია მათი არჩევანი?**

— სამივე ბიჭს ჯარისკაცობა უნდა. გოგონები ვერ არაფერს მუუბნებინ. ჩემმა ბიჭებმა რთული და საპასუხისმგებლო პროფესია აირჩიეს; სანინალმდეგო არაფერი მექნება, თუ ბოლომდე ამ აზრზე დარჩებიან. იმედი მაქვს, ისინი მოწოდებით, ცხოვრების ნესით იქნებიან ჯარისკაცები. ჩვენ ისეთ რეგიონში ვცხოვრობთ, იმდენი მტერი გვახვევია გარს, თუ სულიერად არ გავძლიერდებით, პირადულზე მაღლა სამშობლოს არ დავაყენებთ, მომავალი არ გვექნება. დღეს ქართველებს თავის დაზოგვისა და ცხოვრებით ტკბობის უფლება არ გვაქვს. ჩემს ჯარისკაცებს რომ ვუყურებ, მინარია — ჭეშმარიტი მეომრები არიან. იმედი მაქვს, მომავალში კიდევ უფრო ძლიერი და მეტად მოტივირებული არმია გვეყოლება.

**— ფიქრობთ, რომ ქართულ არმიამ აგვისტოს ომის შემდეგ რაიმე სასიცოცხლო შეიცვალა?**

— კი. ადრე ჯარში ძირითადად, მა-



ჯარისკაცებს აღმსარებლობის მიხედვით არ ვყოფ. მუსლიმან ქართველებსაც არაერთხელ გაუწღვიათ ჩემთვის თავიანთი სულის საწუხარი



ლალი ხელფასის გამო მიდიოდნენ (ამას თავისი დადებითი მხარე ჰქონდა — ახალგაზრდები ბირჟებზე აღარ იდგნენ); ბევრ მათგანს ფიქრადაც კი არ გაუვლია, ომში თუ მოხვდებოდა. დღეს არმიის უმრავლესობას მებრძოლი ბიჭები წარმოადგენენ. ახლა მათ იციან, რომ ქვეყანას შესაძლოა, მათი თავგანწირვა დასჭირდეს და ამისთვის მზად არიან. აგვისტოს ომმა, უდიდეს ტრაგედიასთან ერთად, დიდი გამოცდილებაც შეგვძინა, ჯარისკაცებმა ბევრი რამ გადააფასეს...

**— თქვენზე რა გავლენა მოახდინა აგვისტოს ომმა? პიროვნულად ხომ არ შეცვალათ?**

— პიროვნულად არ შევცვლილვარ, რაც ვიყავი, ისეთივე დავრჩი; უბრალოდ, საკუთარი თავი უკეთ შევიცანი და ჩემს შესაძლებლობებში დავრწმუნდი. გარდა ამისა, უფრო გამომყარდა ღვთის რწმენა. შინდისში ისეთ სიტუაციაში აღმოვჩნდი, რომ არა ღვთის მფარველობა, ნამდვილად, ვერ გადავრჩებოდი. უფალმა მიხსნა!..

**— მამაო, მტერი თუ დაგინყველიათ ოდესმე?**

— არა. როდესაც ადამიანს წყველი, ცხოვნების გზას უკეტავს, — ამის უფლებას ჩემს თავს როგორ მივცემ?

**— როდესაც ჯარისკაცები აღსარებას გაბარებენ, მტრისადმი სიძულვილზე ხშირად გელაპარაკებიან?**

— ქართველი მეომრები მტრის სიძულვილის გამო კი არა, სამშობლოს დასაცავად იბრძვიან. ჩვენი ბიჭები სიძულვილის გრძნობას მაშინაც კი არ შეუწყრიან, როდესაც მუხანათური ღალატის მსხვერპლი აღმოვჩნდით.

**— რას გულისხმობთ?**

— როდესაც ქართულმა მხარემ, ქართველების დაცვის მიზნით, სუპრატისტების განეიტრალება გადაწყვიტა, რუსულ მხარეს შეუთანხმდა. როგორც ყოველთვის, რუსებმა ამჯერადაც გვიმუხთლეს, პირობა არ შეასრულეს. სწორედ იქ დაგვხვდნენ, სადაც არ ველოდით. ახლა ურცხვად ამბობენ, ომი ქართველებმა დაიწყეს, ჩვენ კი რუსეთის მოქალაქეების დასაცავად ავიღეთ იარაღი ხელში. ჩემი თვალთ მაქვს ნანახი რუსული ტანკების უზარმაზარი კოლონა, რომელიც ცხინვალს ომის დაწყების პირველივე წუთებში მოადგა.

**— თუ გახსოვთ, როგორი იყო ჯარისკაცების განწყობილება, როდესაც მიხვდნენ, რომ მცირერიცხოვანი, ოსი სუპრატისტების ნაცვლად, მრავალრიცხოვან რუსულ არმიასთან შეტაკება მოუწევდათ?**

— ამ ფაქტმა ზოგზე დამთრგუნველად იმოქმედა (რას იზამ, ყველას გმირობას ვერ მოსთხოვ): ზოგი გაცოფდა, შურისძიების გრძნობით დაიმუხტა. მართალია, აგვისტოს ომი წავაგეთ, მაგრამ ჯერ ყველაფერი წინ არის, ამით საქმე არ დამთავრებულა. ჩვენ ისეთი მეომრები გვყავს, ყველაფერს შევძლებთ. არ ვიცი, გსმენიათ თუ არა რაიმე ალექსანდრე ონიანის შესახებ, რომელიც თანამებრძოლთან ერთად, მტრის ალყაში მოექცა. სრულიად სალ-სალამათი იყო, გაქცევაც შეელო,

მაგრამ მტერს დაჭრილი თანამებრძოლი არ დაანება და მასთან ერთად აიფეთქა თავი.

**— არათუ მსმენია, მისი გმირობის შესახებ სტატიაც გამოვაქვეყნე. ხოლო ის ფაქტი, რომ თავი აიფეთქა, მართლმადიდებლური თეატრისთვის, რამდენად მართებულია?**

— ეს თვითმკვლელობა კი არა, მონამებრივი სიკვდილი იყო. ერთსაც გეტყვით: როდესაც ქალს გასაუპატიურებლად ეძალებიან და ის თავს იკლავს, ამით ცოდვას კი არ სჩადის, არამედ მონამებრივად აღსრულება თვითმკვლელობა ცოდვა მაშინ არის, როდესაც ცხოვრებაზე ხელს ჩაიქნევ, მომავლის იმედს გადაიწორავ და რწმენას დაკარგავ.

**— რჩევებისთვის მუსლიმანი ქართველებიც თუ მოგმართავენ?**

— კი, ძალიან ხშირად. ჯარისკაცებს აღმსარებლობის მიხედვით არ გყოფ. მუსლიმან ქართველებსაც არაერთხელ გაუხდევიათ ჩემთვის თავიანთი სულის სანახარი. ზოგიერთი მათგანი ქრისტიანულადც მომინათლავს, მაგრამ ეს მათი ინიციატივით მომხდარა და არა ჩემი ზეწოლით. ამ რამდენიმე ხნის წინ მუსლიმანი აჭარელი მოვნათლე. ჰასანი ერქვა და ონისე დავარქვი. სხვათა შორის, ქართველმა მუსლიმანებმა ავღანეთში ყოფნის დროს დიდი სამსახური გაგვინიეს — მათი წყალობით, ადგილობრივებთან ადვილად გამოვინახეთ საერთო ენა.

**— ავღანეთში თქვენი სურვილით ნახვდით?**

— დიახ, იქაც ჩემს ბიჭებს გავყვეი. პირველი წირვა „დავაყენეთ“ ავღანეთში. ყველა საბრძოლო დავალების წინ ვლოცავდი ბიჭებს; ისინიც მეტი შემართებით ასრულებდნენ თავიანთ საპატიო მისიას.

**— იმ ევლესიის შესახებაც გვეამბოეთ, რომელიც ავღანეთში თქვენი ინიციატივით ააშენეს...**

— არა, ეს ჩემი კი არა, ჯარისკაცების ინიციატივა იყო. ისიც კი ბიჭებმა გადამწყვიტეს, ეკლესია თუ რომელი წმინდანის სახელობის უნდა ყოფილიყო. კურთხევა საპატრიარქოსგან — მამა დავითმა (ლონდარიძე) მოგვცა. თავიდან ლოცვების ჩასატარებლად, ერთი კარავი გვეწონდა, ხატებიც იქ გვესვენა. მერე მეკავშირე ოფიცირის, ლევან სიხარულიძის დახმარებით, ფრანგულმა მხარემ ბაზილიკის სტილის ღამაში შენობა გადმოგვცა. ამის გამო ავღანელებისგან არანაირი პრობლემა არ შეგვექმნა, პირიქით — რომ დამინახავდნენ, თვალები უბრწყინდებოდათ, არ ვიცი, რატომ, მაგრამ პატივს მცემდნენ. ეს ალბათ ჩვენი ბიჭების დამსახურება იყო.

**— როგორც ვიცი, ავღანელებს**

**ქართველების მიმართ ისტორიულად აქეთ კეთილგანწყობილი დამოკიდებულება...**

— კი, ასეც არის. თურმე შუა საუკუნეებში ავღანელები ამბობდნენ, — ირანელები



შინდისში ისეთ სიტუაციაში აღმოვჩნდი, რომ არა ღვთის მფარველობა, ნამდვილად, ვერ გადავრჩებოდი. უფალმა მიხსნა!

ჩვენთან დედაკაცები არიან, ჩვენ კი ქართველებთან ვართ დედაკაცები. მებრძოლი ხალხია და ვაჟკაცების ფასიც იციან. რუსებს ვერ იტანენ, ეზიზღებათ. ამერიკელებს შედარებით კარგი თვალთ უყურებენ — ამ ხალხმა ინფრასტრუქტურა მაინც შეუქმნა ადგილობრივებს და ცივილიზაციას აზიარა, რუსებმა კი მხოლოდ მიწისაგან პირისა აღგავეს იქაურობა. ჩვენმა ქალებმაც თავიანთი პატიოსნებით განსაკუთრებული პატივისცემა მოიპოვეს. ერთხელ ხანდაზმულმა ფრანგმა ქალბატონმა მკითხა, — როგორ ცხოვრობენ თქვენი ქალები ბოიფრენდის გარეშე?.. მათთვის წარმოუდგენელია ასეთი საქციელი.

**— ადგილობრივებთან რა ენაზე საუბრობდით? ინგლისური თუ იციან?**

— ინგლისური ზუსტად ისე ვიცი, როგორც შენ — მეგრული (იციან).. რალაცებს ვიგებ და ჩემს სათქმელსაც ვაგებინენ ზოგჯერ.


**— კიდევ რომელიმე ცხელ წერტილში ხომ არ აპირებთ გამგზავრებას?**

— არ ვიცი, რასაც ჩემი მეთაური და საპატრიარქო მტყუვან, იმას მოვიმოქმედებ. ქართულ არმიაში ჩემი კონტრაქტი სამუდამოა: სანამ ოცხალი ვარ, ჯარში უნდა ვიყო.

**— წარმატებებს გისურვებთ!**

— გმადლობ! მშვიდობიან, ძლიერ საქართველოში ცხოვრებას გისურვებ, უფალი იყოს შენი შემწე!

*P.S. მამა იოსების შესახებ კიდევ ბევრი სხვა საინტერესო და შეიძლება ითქვას, საოცარი ამბავი შევითქვე, მაგრამ თავად მთხოვა, — ყველაფერი ნუ დანერო. გული მწყდება, მკითხველს სრულად რომ ვერ ვუამბობ სპის მოძღვრის გმირობის, თავდადებისა თუ საოცარი სულგრძელობის შესახებ, მაგრამ რას ვიზამ — მისთვის მიცემულ სიტყვას ვერ გავტყბ...*



# სამყარო

## პრეზიდენტის სტი პენდია და 10.000-ლარიანი „შეკვეთები“

სწორად გათვლილი პიარი, ნიჭიერება და შრომისმოყვარეობა — ის ძირითადი თვისებებია, რომელთა დახმარებითაც დიზაინერმა ბიჭულა თათარაძემ მოდის სფეროში წარმატებას მიაღწია. ამ საქმით საკმაოდ ადრეულ ასაკში დაინტერესებულა და თავისი მონდომებით პრეზიდენტის ჯილდოებიც დაუმსახურებია. მიაჩნია, რომ მის პოპულარობას ბოლო ხანს მისმა უღვაშმა და პატარ-პატარა, ნაირფერი ბალიშებით დამშვენებულმა სამოსმა და აქსესუარებმა შეუწყო ხელი. ახალგაზრდა დიზაინერს ბევრი თავყვანისმცემელიც გამოუჩნდა და როგორც ჩანს, შემოსავალსაც არ უჩივის. „ნაფიქრი და რისკიანი კოლექციები“ ბიზნესმენების მეუღლეებისთვის თუ გრანდიოზული ქორწილებისთვის შეკერილი კაბები „მატერიალური ეფექტის“ მომტანიცაა. ყველაფერი კი დიდი ხნის წინ, ასე დაიწყო:



### „არიბია ბევრია, მაგრამ შემიძლია „ავისხლიბო“

#### თათა დაღუაღი

— 10 წლის რომ ვიყავი, ჩემს დას თოჯინა „ბარბი“ აჩუქეს და მისთვის ტანსაცმლის შეკერვა ვცადე. ამ ასაკშივე უკვე თითქმის 200 თოჯინა მყავდა და მათთვის ბევრ კოსტიუმს ვკერავდი. 10-დან 14 წლამდე 7 პერსონალური გამოფენა მოვანწყე. ვსატავდი კიდევ. პრეზიდენტის სტიპენდიანტი და მისივე გრანტის მფლობელიც ვიყავი. ძალიან ბევრს ვშრომობდი. მერე რაღაც პერიოდი შევისვენე და სამხატვრო აკადემიაში ჩავაბარე. ჩემი სადიპლომო ნამუშევარი „ფემინინე-მასკულინე“-ის ტანსამოსის კოლექცია იყო, რომელიც გადაკეთების შედეგად, ქალისაც ხდებოდა და მამაკაცისაც. შემდეგ ლონდონში წავედი, სადაც წმ. მარტინის კოლეჯში ვსწავლობდი. 3 თვის განმავლობაში მოდის დიზაინის კურსი გავიარე, კიდევ 1 წელი დავრჩი და თბილისში ჩამოსვლის შემდეგ ქართული მოდის ცხოვრებაში აქტიურად ჩავები. საქართველოში ეს სფერო საკმაოდ განვითარებული დამხვდა — 2 „ფემენ ვიკი“ მივიღე მონაწილეობა. ჩემი კოლექციები საკმაოდ ნაყოფიერი და კომერციულად მომგებიანი აღმოჩნდა. ნელ-ნელა

წარმატებაც მოვიდა.

— ლონდონში ყოფნისას იქაურ ჩვენებებში თუ მონაწილეობდით?

— არა, მთლიანად სწავლით ვიყავი დაკავებული.

— პირველი ჩვენება სად მოაწყვეთ?

— სანამ ლონდონში წავიდოდი, ჩვენება კომპანია „კრუიზის“ გემბანზე გავაკეთე. ჩემი დებიუტი საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა.

— მაშინდელი კოლექციიდან რაიმე თუ გაიყიდა?

— არა, ეს ის სადიპლომო ნამუშევარი იყო, რომელიც წელან ვახსენე და კოლექცია არ გავყიდე. ბევრი მსურველი იყო, მაგრამ მხოლოდ რაღაც ნაწილი გაიყიდა.

— კოლექციისთვის ფეხსაცმელსაც ხომ თავად ქმნით?

— დიას, — ფეხსაცმელი, აქსესუარი, ჩანთა — ყველაფერს ვკერავ, რაც კოსტიუმის ასანწყობადაა საჭირო. იმდენად მიყვარს ჩემი საქმე, ბოლომდე მასში ვარ ჩაფლული და ვცდილობ, კარგად გამოიმვიდე.

— ლონდონიდან ჩამოსვლის შემდეგ რა სახის კოლექციები შექმნით?

— მამაკაცის, ქალისა და ბავშვის კოლექციები შევქმენი. 4 თვის

განმავლობაში 4 ჩვენება მქონდა. დამკვეთიც ბევრი მყავს.

— პოპულარული როდის გახდით?

— ვერ გეტყვით... ახლა უკვე თითქმის ყველა მცნობს, ცოტა დისკომფორტსაც კი განვიცდი, მაგრამ მაინც სასიამოვნოა. ამას ბევრი დადებით მხარე აქვს. რომ გითხრათ, რაღაც პერიოდში უცებ მოვიდამეთქი, მოგატყუებთ. ყოველ შემთხვევაში, ლონდონიდან ჩამოსვლის შემდეგ ჩემ მიმართ ყურადღება საგრძნობლად გაიზარდა. სწორად იყო გათვლილი ჩემი იმიჯი — უღვაში და ა.შ.

— ვისი იდეა იყო, რომ ასეთი იმიჯით წარმდგარიყავით საზოგადოების წინაშე? არ გიფიქრიათ, რომ ბევრს უარყოფითი რეაქცია ექნებოდა?

— ჩემი მოფიქრებულია და საკმაოდ კარგადაც (იციან). გაამართლა... მაგაზეც ვიფიქრე და ბევრს მართლაც უარყოფითი რეაქცია ჰქონდა, მაგრამ როცა რაღაცას ვაკეთებ, არასდროს ველოდები, რომ ამ ექსპერიმენტს ყველა დადებითად შეხვდება. რეზულტატი შეიძლება, ცუდიც იყოს და იმის პრობლემა არ მაქვს, ვინ, რას და როგორ შეხედავს. 22 წლის ვარ, ჩემი შეხედ-





ულებები მაქვს ცხოვრებაზე და შემოქმედება, თავად მივიღო გადაწყვეტილებები.

— როგორ იქმნება თქვენი კოლექცია? რა დროს ანდომებთ კოსტიუმის შექმნას?

— ყოველთვის მაქვს რაღაც კონცეფცია, რომელზეც აუცილებლად ნაფიქრი უნდა მქონდეს. სულ ახალი იდეები და აზრები მომდის. კრიტიკა ამაზეც ბევრია, მაგრამ შემოქმედება, „ავისხლიტო“ — არ არის პრობლემა.

— ძირითადად, რის გამო გაკრტიკებენ?

— მაგალითად, ბალიშების გამო. ამ დროს, ეს კოლექცია ყველაზე კარგად გაიყიდა. აღმოჩნდა, რომ კომერციული თვალსაზრისით ძალიან გაამართლა, რასაც არავინ ელოდა.

— საკმაოდ ორიგინალური იდეაა და როგორ მოგაფიქრდათ? ალბათ, ყველა ოჯახშია ნემსების დასამაგრებელი პატარა ბალიში, მაგრამ აზრად არავის მოსვლია, მისი თავზე დამაგრება ან კაბის განწყობა...

— არ ვიცი, ჩემდა უნებურად მომივიდა. ბევრი კონსტრუქცია და ფორმა მინდოდა გამეკეთებინა. ყველაფერი ნაცადი იყო და ეს გავაკეთეთ.

— რა ეტაპებს გადის კოლექცია, საბოლოო სახის მიღებამდე?

— ჯერ ხდება დახატვა, შემდეგ — კონსტრუქციულად გაშიფვრა და დამუშავება, რაშიც ხშირად მე თვითონ ვმონაწილეობ.

— როგორი სტილის სამოსი ქარბობს თქვენს კოლექციაში?

— კრეატიული, ნაფიქრი, „რისკზე ნასული“ კოლექციებია. მთელი ჩემი საქმიანობა ასეთია... შემდეგ უკვე, რაღაც ამართლებს, რაღაც — არა.

— ვინ გეხმარებათ?

— ახლა უფრო გაიზარდა ჩემი „სტაფი“ — მენეჯერი მყავს, ერთი დიზაინერი მეგობარი აქსესუარების კეთებაში მეხმარება, ადრე კი მარტო ვახერხებდი ყველაფერს. ამჟამად ბევრი ადამიანია, ვინც გვერდში მიდგას. ზოგადად კი, რომ არ ყოფილიყო ჯიჯი რეჯინი, ჩემი კარიერული წინსვლა ბევრად რთულად წარიმართებოდა. ჯიჯიმ ბევრი რამ მასწავლა. ჩემი მეგობარია და ადამიანური ემოციების გადალახვაშიც დამეხმარა, — დამანახვა, რომ ბევრ რამეზე ისე არ უნდა ვიდარდო, როგორც ადრე ვნერვიულობ-

დი. პატარა შოუბიზნესში, სადაც ყველა ერთმანეთს „ძიძგნის“, რთულია, შენი ადგილი დაიმკვიდრო.

— ვინმე გასპონსორებთ?

— ბევრი კომპანიაა, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე სპონსორობას მიწევდა. ზოგიერთი მათგანი ჩემი გადაღლილი გონების დასვენებაზეც

ამბიციურობა კი არაა, უზრდელობა და სიმდაბლეა.

— როგორი ფასებია თქვენს კოსტიუმებზე?

— ზუსტად ვერ გეტყვი, მაგრამ მაღალი არ არის. 39-40 ლარიდან იწყება. საქორწინო კაბის ფასი 10.000 ლარამდეც კი ადის. გრან-

## სულ ახალი იდეები და აზრები მომდის. კრიტიკა ამაზეც ბევრია, მაგრამ შემოქმედება, „ავისხლიტო“ — არ არის პრობლემა

კი ზრუნავს. ხალხი ცდილობს, ყურადღება არ მომაკლოს, რადგან ყოველთვის აქვთ იმის რწმენა, რომ ბიჭოლას თითოეული მომდევნო კოლექცია სიახლით სავსე და საინტერესო იქნება. ამისათვის დიდი მადლობა მათ!

— ამბიციური ხართ?

— ჯანსაღი ამბიცია, რა თქმა უნდა, მაქვს. საკუთარი თავის ფასიც ვიცი და რისი გამკეთებელი ვარ — ისიც. სხვათა შორის, ძალიან პუნქტუალური ვარ; დიდი დოზით მაქვს განვითარებული პასუხისმგებლობის გრძობა; დაწყებული საქმე ყოველთვის ბოლომდე მიმყავს. გამორიცხვულია, ვინმეს გამარჯობა არ ვუთხრა ან მსგავსი თვისებები და უსაქციელობა გამოვავლინო; ეს

დიოზულ ქორწინებზე ვმუშაობ და საკმაოდ დიდ ჰონორარებს ვიღებ. ჩემთან საშუალო და დაბალი ფენების წარმომადგენლებიც იცვამენ. მომხმარებელი ზუსტად უნდა „გათვალო“: შესაძლოა, ძვირიანი ქსოვილი არ შევთავაზო, მაგრამ იდეის „იაფი ვარიანტი“ ვუჩვენო.

— ქსოვილებს სად ყიდულობთ?

— თბილისის ბაზარზე. თურქეთიდან ჩამოტანილი ქსოვილებია. ამას არსად ვმალავ.

— თქვენ მიერ შექმნილი სამოსი თბილისის მაღაზიებში თუ იყიდება?

— კი. — იქ, სადაც ყველა ქართველი დიზაინერის ტანსაცმელი იყიდება და ასევე, „თბილისი ფეშენ ვიკის“ მაღაზიაში. სექტემბრიდან ჩემს კოლექციებს ერთ-ერთ მოდის სახლშიც წარმოვადგენ და ხარისხი უკვე იმ მაღალი სტანდარტების შესაბამისი იქნება, რომელსაც მსოფლიო სტანდარტი ჰქვია.

— ვინ არიან თბილისში ძვირად ღირებული საქორწინო კაბების მომხმარებლები?

— შოუბიზნესის წარმომადგენლებიც არიან, ბიზნესმენების მეუღლეები და ა.შ. ვინაობას ვერ გავიხსენებ.

— მაშინ უახლოესი გეგმები გავიმხსნით...

— იბიცაზე მივდივარ — ამაზე ერთ-ერთი კომპანია ზრუნავს. ბევრი შემოთავაზება მაქვს ბათუმიდან და ქუთაისიდან, რასაც წინასწარ ვერ გავიხსენებ.

— წარმატებებს გისურვებთ!





# ზღაპრული რეალობა და თოჯინებში გაცოცხლებული შებრძნებები ანუ მეთოჯინე „აიზოლიტის“ ამბავი



პროფესიით ექიმი-ვეტერინარია, მისი პოპი კი თოჯინების კეთებაა. არჩილის ოთახი ზღაპრულ სამყაროს ჰგავს: აქაურობა ლიტერატურული გმირებით, ზღაპრის პერსონაჟებით ან უბრალოდ მისი შთაგონებით შექმნილი ფიგურებითაა სავსე. თვითნასწავლი მეთოჯინე „აიზოლიტობაზე“ უარს არ ამბობს, მაგრამ ზუსტად იცის, რომ თოჯინების კეთების სურვილი არასოდეს გაუქრება.

უნდა გენახათ, რა გულმოდგინედ ვარჩევდი ქსოვილების მალაზიაში შესაფერის ნაჭრებს. კაბა ჩემი ხელით შევკერე. თავად ფიგურა თაბაშირისგან არის დამზადებული, გარედან პლასტილინის ფენა ადევს და ლაქით არის დაცული. სხვათა შორის, ბევრი მეუბნება, რომ ჩემი ნამუშევრებიდან ყველაზე თვალსაჩინო და სახასიათო თოჯინა ჯამბაზია. ჩემი ჯამბაზი სევედიანი და ცოტა „მოძველებიჭოა“.

— ალბათ ოსტატობა ყოველი ახალი ნამუშევრის შემდეგ იხვენება, ხელი გენაფებთ, ახალ-ახალი მიგნებები ჩნდება...

— როცა ნამუშევარს ვასრულებ, საკმაოდ დიდხანს ახლის კეთებას არ ვინწყებ. სამაგიეროდ, ყოველთვის ვგრძნობ, რომ ყოველი ახალი თოჯინის გაკეთების შემდეგ ვვითარდები, რალაც ახალს ვმატებ ჩემს ცოდნასა და გამოცდილებას, მაგრამ ყოველთვის მივიწყებდა ხერხი, ტექნოლოგია, რომლითაც წინამორბედი თოჯინა დავამზადე და ახლის კეთებისას სხვა ხერხს ვიკონებ. მაგალითად, თავიდან კარკასს არც ვაკეთებდი და ისე ვქერნავდი ფიგურებს, შემდეგ კი ფორმები დავზვევნი. ამიტომ დასაწყისში მქონია შემთხვევები, როცა თოჯინის ხელი ან სხვა ნაწილი პატარა და არაპროპორციული გამომდიოდა. შემდეგ უკვე პროპორციების დაცვაც შეეძლო. მქონდა პრობლემები ფერების შესამების თვალსაზრისით და ესეც გადავლახე.

— არ გქონიათ სურვილი, მისულიყავით მასწავლებელთან და კიდევ უფრო მეტი პროფესიონალიზმი შეეძინათ?

— ბუნებით ძალიან ზარმაცი ადამიანი ვარ და სულ მეზარება მასწავლებლებთან სიარული. ყველაფერთან ერთად, ჯოჯოხეთი ვარ და მირჩვენია, ჩემით ვისწავლო, ვიდრე ვილატამ რალაც მასწავლო.

## შეა ტუსიაშვილი

### არჩილ ცანავა:

— სრულიად შემთხვევით აღმოვაჩინე, რომ თოჯინების კეთება შემიძლო. შინ რემონტი გვქონდა და თაბაშირი დაგვრჩა. ავდექი და თაბაშირისგან გამოვქერნე ქალი, კალათით. გრძელი, მდიდრული კაბა ჩავაცვი. აი ისეთი, როგორც იყო შუა საუკუნეებში იმოსებოდნენ დიდგვაროვანი ქალბატონები. მაშინ ასე, 13-14 წლის ვიქნებოდი.

— ბავშვობაში ალბათ კარგად ხატავდით?

— არა, ხატვის ნიჭი არასდროს მქონია. როგორ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, პირდაპირ თოჯინების კეთება დავიწყე. ბაბუაჩემი, არჩილ მუშუყდიანი, ვისი სახელიც მქვია, ხეზე კვეთის ოსტატი იყო. ხონში დიდი სახლი გვაქვს და იქ ყველაფერი ბაბუას ხელით არის გაკეთებული. ისეთი ლამაზია ყველაფერი, გაოცებას ვერ დამალავ. ამბობენ, რომ ხელოვნების ნიჭი ბაბუასგან მერგო. თაბაშირისგან

გამოქერნილი პირველი თოჯინის შემდეგ, ფიგურებს პლასტილინისგან ვაკეთებდი — თითქოს ხელს ვინაფავდი. შემდეგ ცოტა ხანს, ასე 2-3 წელიწადს, შემოქმედებითი პაუზა მქონდა, არაფერი გამიკეთებია. შემდეგ ისევ გამიჩნდა თაბაშირზე მუშაობის სურვილი. ჩემი ნამუშევრების დიდი ნაწილი შუა საუკუნეების ზღაპრული ან ლიტერატურული გმირები არიან. ძალიან მიყვარს ყველაფერი ძველი. სხვათა შორის, როცა ისტორიულ ფილმს ვუყურებ ან ნიგნს ვვითხულობ, თითქოს სიძველის სურნელს ვგრძნობ. მასსოვს, ერთხელ წინანდალში ვიყავი, ჭავჭავაძეების სახლ-მუზეუმში და ისეთი განცდა დამეუფლა, თითქოს ორი საუკუნის წინანდელ საქართველოში მოვხვდი. მგონია, რომ ქალი შუა საუკუნეების სამოსში უფრო ნაზი, ლამაზი და დახვეწილია. ამიტომაც აცვია ჩემს ყველა თოჯინას ძველებური, მდიდრული კაბა. ჩემთვის ყველაზე საყვარელი თოჯინა ჯეინ ეარია. ამიტომაც, ის ერთადერთია ჩემს ნამუშევრებს შორის, რომელსაც სამოსი ნატურალური ქსოვილისგან შევუკერე.





**— ვინმეს თუ შეუფასებია თქვენი ნამუშევრები პროფესიული თვალთ?**

— რამდენიმე ჩემი თოჯინა თინათინ თუმანიშვილის სახელობის თოჯინების მუზეუმშია დაცული. მათ შორის — „ქალი და მამაკაცი ყავახანაში“, „არისტოკრატი ქალბატონი“ და „ბალერინა“.

**— თუ გაგიყიდათ თქვენი ნამუშევარი?**

— ორი თოჯინა, რომელიც ზემოთ ვახსენე, მუზეუმშია შეიძინა ჩემგან. „ბალერინა“ კი საჩუქრად გადავეცი. უნდა ვაღიარო, რომ არ მიყვარს ჩემს ნამუშევრებთან განშორება. სიმართლე გითხრათ, არც ის ვიცი, რა ფასი უნდა დავადო და თან მენანება კიდევ გასაყიდად. ძალიან დიდ ენერჯიას, ნერვებსა და ემოციას ვდებ ყოველ ნამუშევარში და ამიტომაც მენანება გასასხვისებლად.

**— რაიმე განსაკუთრებული განწყობილება გჭირდებათ, რომ ახალი ნამუშევარი შექმნათ?**

— ყველა ჩემს ნამუშევარში ჩემი ხასიათი და განწყობილება იკითხება. თოჯინების უმეტესობა მაშინ იქმნება, როცა უგუნებოდ ვარ და ცხოვრებაში რთული ეტაპი მაქვს. ამ დროს მაქსიმალურ ემოციას ვდებ ნამუშევარში. ისეთი თოჯინებიც მაქვს, რომლებიც კარგ ხასიათზე ყოფნისას გადაკეთებულია. შესაბამისად, ყოველთვის მჭირდება განსაკუთრებული ემოცია, რომ ახალი ნამუშევრის კეთებას შევუდგე. ისე კი ამ საქმეშიც ზარმაცია ვარ. მაგალითად, მქონია შემთხვევა, როცა ერთ თოჯინას სამი თვის განმავლობაში ვაკეთებდი, მაგრამ ისეც მომხდარა, რომ ნამუშევარი ერთ-ორ

დღეშიც დამისრულებია.

**— სამომავლოდ რას აპირებთ? თოჯინების რაოდენობა ალბათ გაიზარდება და თქვენი ოთახი ვეღარ დაიტევს ნამუშევრებს. პროფესიით მუშაობას არ აპირებთ?**

— მიყვარს ჩემი პროფესია და აუცილებლად ვიმუშავებ ექიმ-ვეტერინარად, მაგრამ თოჯინების კეთებაც მომწონს. თანაც, ეს უკვე ჰობიც აღარ არის, ჩემი ცხოვრების ნაწილია. თვის ბოლოს იტალიაში მივდივარ. ცოტა ხნის წინ, ჩემ შესახებ ვატიკანის ელჩს, კლაუდიო გუჯეროტის უამბეს და თავისთან მიმიწვია. დიდხანს ვისაუბრეთ, ძალიან კარგი ადამიანია. ვილაპარაკეთ რელიგიურ საკითხებზეც, თუმცა უნდა ვაღიარო, რომ მანამდე რელიგიურ თემებზე თოჯინების კეთება არასდროს მიცდია. ბატონმა ელჩმა კი მთხოვა, შობის თემაზე შემექმნა რამე. დავთანხმდი, მაგრამ ცოტა შემეშინდა კიდევ. დიდხანს ვმუშაობდი, მაგრამ საბოლოოდ კარგი გამოვიდა. მივუტანე და რომ ნახა, აღფრთოვანება ვერ დამალა. რა თქმა უნდა, „შობა“ მას საჩუქრად გადავეცი. ამის შემდეგ წერილი მისწერა იტალიის ჰერცოგს, რომლის მფლობელობაშია ფაიფურის საწარმოები ნეაპოლში, სადაც ძალიან ძვირფას ფაიფურს აწარმოებენ. ამ წერილში ბატონი გუჯეროტი ელჩს ჩემ შესახებ უამბობდა. პასუხმაც არ დააყოვნა — ერთი თვით ნეაპოლში მიმინვიეს, სადაც ფაიფურის წარმოების, ჩამოსხმისა და გაფერადების ხელოვნებას დავეუფლები. იმედი მაქვს, რომ იტალია დიდ გამოცდილებას შემძენს და ჩემს ოსტატობას უფრო დავგვეწ. იტალიიდან რომ ჩამოვალ, მინდა, ჩემი ნამუშევრების გამოფენა მოვანყო. ერთადერთხელ მქონდა მოკრძალებული გამოფენა უნივერსიტეტში, სადაც სიგელი გადმომცეს.

**— ავტობიოგრაფიულ გაგიკეთებთ, — ძალიან გვაფთხობს, მეგობრების თოჯინებს თუ ქმნით?**

— უფრო ბავშვებისა და მოხუცების თოჯინების კეთება მიყვარს. დედაჩემს ვპირდები, რომ აუცილებლად გადაკეთებ მის თოჯინას. სხვათა შორის, დიდხანს ვმუშაობდი ჩემს თოჯინაზე და ამაში მთელი ოჯახი იყო ჩართული. სარკესთან ვიჯექი და ასე ვქმნიდი ჩემს ავტობიოგრაფიულს.

**— როგორც ვეტერინარი, ცხოველების თოჯინებს არ აკეთებთ?**

— ძაღლის თოჯინა მაქვს გაკეთებული. ჩემი ბიძაშვილის კოკერსპანიელი ამოვიყვანე ერთხელ სასლში და უნდა გენახათ, როგორ მორჩილად პოზირებდა. სხვათა შორის, საკმაოდ რთულია ცხოველების კეთება. თუ არ უყურე, ისე ვერ გამოძერწავ.

**— როდესაც მუშაობთ, რაიმე განსაკუთრებული გარემოს შექმნა გჭირდებათ?**

— უცნაურია, მაგრამ ტელევიზორი უნდა იყოს ჩართული და ჩემი ოჯახის წევრები გარს უნდა დამტრიალებდნენ. ასეთ დროს განმარტოების სურვილი არ მაქვს.

— თქვენს ერთ-ერთ ნამუშევ-

**ვარს ნამდვილი ხელიკი „ამშვენებს“. ალბათ ვეტერინარს არ უნდა ჰქონოთ, საიდან მოიტანე ეს ქვეწარმავალი?**


— უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში სშირად გვეკონდა პრაქტიკული მეცადინეობა, ამა თუ იმ ცხოველზე. ერთხელ, პროზექტურაში კნუტი უნდა გაგვეკეთა და სისხლძარღვები გვენახა. მთელი კურსი ვიყავით შეკრებილი და უცებ, კნუტი გაგვექცა. მთელი ჯგუფი „შეიარაღებული“ დაგდევიდით სანყალ კნუტს, მაგრამ მაინც ვერ დავიჭირეთ. გოჭის, ძაღლის, ბაყაყის კვეთაც ჩამიტარებია. მიმუშავია ისეთ პათოლოგიებზე, როგორც ორთავიანი გოჭები, ლეკვები არიან. ასისტენტი ვიყავი ოპერაციაზე, როდესაც კატას საშვილოსნო ამოჰკვეთეს. მასსოვს, დედაჩემი მეუბნებოდა, ხელი არ მოჰკიდო კატას, ნყეველა იცისო. აბა, ისეთი ვეტერინარი სად გინახავთ, ცხოველს ხელმეუხებლად რომ მკურნალობდეს?



# გზაში საკითხავი კოლაქი

ჰელენული ოქეზი ივანიძე

1. ევგენი პეტროსიანი ბაქოშია დაბადებული.
2. ჩინეთში 20 მილიონი მუსლიმანი ცხოვრობს.
3. ფელინის კაცობრიობა თეთრ და ნოთურ კლოუნებად ჰყავდა დაყოფილი.
4. „ბოგ ვსეგდა სპასაეტი, ა ნაკაზავაემ მი სებია სამი!“, — ამბობენ რუსები.
5. ჯონ კენედი შეერთებული შტატების ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტი იყო.
6. მარიო როსი იტალიაში ყველაზე მეტად გავრცელებული სახელი და გვარია.
7. უსუფთაო, აჩაჩულ-დაჩაჩულ და სიკოხტავეს მოკლებულ ქალს ბოდოშას ეძახიან.
8. სამეფო კობრა ყველაზე დიდი შხამიანი გველია დედამიწაზე. იგი ძირითადად სხვა გველებით იკვებება.
9. ცეცხლოვანი ჭიანჭველები ტეხასის შტატს ყოველწლიურად ერთი მილიარდი დოლარის ზარალს აყენებენ. ეს მწერები უმონყალოდ ანადგურებენ გარემოს, მარცვლებს კულტურებსა და შინაურ საქონელს. ისინი კომპიუტერულ სქემებსაც კი აზიანებენ, რის გამოც გზაჯვარედინებზე შუქნიშნები ითიშება და დიდი ავარიები ხდება.
10. კუნძულ ნორფოლკის სანაპიროზე არის უამრავი ხე, რომელიც სისტემატიური ქარის გამო გადახრილია და ჰორიზონტალურად იზრდება.
11. არქეოლოგმა ჰაინრიხ შლიმანმა დააუღალავი ვარჯიშის შედეგად მიიღწია, რომ მორიგ უცხო ენას 6-8 კვირაში სწავლობდა.



12. მეგაპოლისთა მცხოვრებლები საკუთარი ცხოვრების ნახევარ წელიწადს მწვანე შუქის მოლოდინში ატარებენ.

13. სპექტაკლის დასრულების შემდეგ, როცა ფარდა დაეშვებოდა, ჟორა შავგულიძე მუხლებზე დგებოდა და სცენას კოცნიდა.

14. „ნიგნის დასაწერად მარტო ცოდნა და ინფორმაცია როდია საკმარისი, დიდ ნიგნს დიდი სიყვარული წერს“, — ამბობდა თამაზ კვაჭანტირაძე ერთ-ერთ ინტერვიუში.
15. თეიმურაზ ხევისთავი მიუხედავად უმუშევრობისა და შიმშილისა, სკოლის მასწავლებლობაზე უარს ამბობდა და გაიძახოდა, მე ბავშვს ისეთ რამეს ვერ ვასწავლი, რაც თავად არა მნამსო.

# „აუდის“ ელექტროპერეკები

მომავალი წლის შუა პერიოდიდან კომპანია „აუდი“ ელექტრონული აგრეგატების მქონე ჰენჩეკების, — A1, — საგზაო გამოცდას შეუდგე-

მოედნებზე განთავსდება. ელექტროტრანსპორტის წარმოებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საქმეში მიუნხენის ხელისუფლება 10 მილიონი ევროს ჩადებას გეგმავს. გერმანიის ოფიციალური იმედოვნებს, რომ 2020 წლისთვის ქვეყნის გზებზე დაახლოებით მილიონი ელექტრომობილი იმორავევს. Audi A1 e-tron-ის პროტოტიპი 61 ცხ.



ბა. ამ მანქანების პროტოტიპი, A1 e-tron პირველად მიმდინარე წლის მარტში, ჟენევის მოტორშოუზე წარადგინეს. 20 ასეთი მანქანის ტესტირება მიუნხენის ქუჩებში იგეგმება. ამის შესახებ კომპანიის ოფიციალური პრესრელიზით იუნყებთან. „აუდის“ ელექტრონული მოდიფიკაციების გამოცდა მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტთან და გერმანიის მსხვილ ენერგეტიკულ კომპანიებთან, — E.ON და SWM, — ერთად გაიმართება. ავტომწარმოებლის პარტნიორები მიუნხენში თავდაპირველად 200 ელექტროგასამართ სადგურს დადგამენ, რომლებიც სპეციალისტებს ასეთი სადგურების ეფექტურობის ხარისხის გარკვევაში დაეხმარებიან. სავარაუდოდ, ელექტროგასამართი სადგურები პირველ რიგში მსხვილ ავტოსადგომ

ძალის სიმძლავრის ელექტრომოტორითაა აღჭურვილი (მცირე დროში სიმძლავრე შეიძლება 102 ცხ. ძალამდე გაიზარდოს), რომელსაც ავტომობილი მოძრაობაში მოჰყავს და ენერჯიას ლითიუმბაქტარების კომპლექტისგან იღებს. გზაში სვლის თადარიგის გაზრდის მიზნით, 254 კუბური სმ-ის მოცულობის მქონე ვანკელის სპეციალური ძრავა გამოიყენება. ელექტროაძვრით ავტომობილს დაახლოებით 50 კმ-ის გავლა შეეძლება, ხოლო ვანკელის ბენზინის ძრავა, რომელიც ავტომობილის უკანა ნაწილშია განთავსებული, ამ მანძილს 200 კმ-მდე გაზრდის. ბატარეები 380 ვოლტის ძაბვის დენის წყაროდან, 3 საათში მთლიანად იტენება.

# სპორტავტო, მონაკოს პატივსაცემად

სპორტული ავტომობილების ბრიტანულმა მწარმოებელმა, — Caterham, — მოდელის, — Roadsport, — სპეციალური მოდიფიკაცია წარმოადგინა, რომელსაც 125 Monaco ჰქვია. იგი მონაკოს ეძღვნება. ძარას გვერდზე სახელმწიფოს დროშის ფერები (ნოთელი და თეთრი) ახატია, მანქანის სალონი კი ნოთელი დეტალების მქონე, შავი ტყავითაა განწყობილი, რაც შემქმნელთა თქმით, მხილველს კაზინოს „რულეტკის“ რგოლის ასოციაციას აღუძრავს. ახალ მოდიფიკაციას ჩვეულებრივი „შვიდიანისგან“ პოლირებული, ალუმინისგან შექმნილი ძარა, აგრეთვე შავი „ცხვირი“ და ბორბლების თაღებიც განასხვავებს. მანქანა „ფორდის“ 1,6-ლიტრიანი, 4-ცილინდრიანი, 125 ცხ. ძალის სიმძლავრის ძრავითაა აღჭურვილი, რომელიც სიჩქარის გადაცემათა 5-საფეხურიანი, მექანიკური კოლოფით მუშაობს. მწარმოებლის მონაცემებით, ასეთი სიმძლავრის მქონე, 550 კგ-იანი Caterham Roadsport 125 Monaco 96 კმ/სთ სიჩქარეს 5,9 წამში განავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 181 კმ/სთ იქნება. დიდ ბრიტანეთში სპეცვერსიის ღირებულება 20 995 გირვანქა სტერლინგი იქნება, ამასთან პირველი 20 მყიდველი 1000-გირვანქიანი ფასდაკლებით ისარგებლებს.





# „ჰიუნდაის“ ახალი ჰერბეკი

ერთ-ერთმა უცხოურმა ავტოგამოცემამ Hyundai I 10-ის განახლებული ჰერბეკის სურთები გაავრცელა, რომლებიც მანქანის პარიზულ პრემიერ-ამდე 1 თვით ადრე, სეულში, სპეციალურ ღონისძიებაზეა გადაღებული. სურათებზე I 10-ის ექსპერიმენტული ვერსიაა წარმოდგენილი, რომელსაც BlueOn ჰქვია. იგი ელექტროაგრეგატივითაა აღჭურვილი (ძრავა სერიაში 2012 წლისთვის ჩაეშვება). ვარაუდობენ, რომ სერიული ავტომობილიც იმავე დიზაინს შეინარჩუნებს. რესტაილირებული Hyundai i10-ის გარეგნობა სამხრეთ კორეული მარკის ახალ საფირმო სტილშია შესრულებული, რომელიც პირველად კროსოვერ ix35-ზე გამოიყენეს. ავტომობილს სრულიად ახლებურად აქვს გაფორმებული ძარას წინა ნაწილი — გამოწეული შუქფარებით, რადიატორის განსხვავებული ცხაურითა და ბამპერის ქვედა ნაწილში — დიდი ჰაერწინალობით. გარდა ამისა, მოდერნიზება განიცადა მანქანის ინტერიერმაც, თუმცა ამ ეტაპზე არ არსებობს დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენად შეიცვალა იგი. განახლებული ჰერბეკის ყველა ძრავები უნდა შეესაბამებოდეს „ევრო-5“-ის ეკოლოგიურ სტანდარტებს. მოტორების ხაზში გამოჩნდება ერთი ლიტრის მოცულობის მქონე, ბენზინის „ოთხიანი“, რომელიც 1,1-ლიტრიან აგრეგატს შეცვლის. 1,2-ლიტრიანი მოტორი უფრო მძლავრი და ეკონომიური იქნება. BlueOn-ის პროტოტიპი 80 ცხ.ძ-იანი ელექტრომობილითაა აღჭურვილი. მოტორი ლითიუმბაირთა ბატარეების კომპლექტით იკვებება. მწარმოებლის მონაცემებით, 100 კმ/სთ სიჩქარეს ასეთი ჰერბეკი 13,1 წამში განავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 130 კმ/სთ იქნება. აკუმულატორების სრულად დასატენად 6 საათია საჭირო. ამასთან, მისი 80% სულ რაღაც 25 წუთში იტენება. „ჰიუნდაი ბლუვანის“ სვლის თაღარიგის შესახებ ჯერჯერობით ინფორმაცია არ ვრცელდება.



# ამერიკაში ავტოკატასტროფებით დაღუპულთა რიცხვი მსიკრება

2009 წელს აშშ-ის საავტომობილო გზებზე 33808 ადამიანი დაიღუპა. ეს 1950 წლიდან მოყოლებული, ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. 2008 წელთან შედარებით, ამერიკის გზებზე დაღუპულ ადამიანთა რაოდენობა 9,2 %-ით შემცირდა. სიკვდილიანობის შემცირება ქვეყნის 41 შტატში, აგრეთვე დედაქალაქ ვაშინგტონში დაფიქსირდა. გარდა ამისა, ბოლო 10 წლის განმავლობაში პირველად, მოტოციკლისტთა მონაწილეობით წარმოქმნილ კატასტროფებში სიკვდილიანობა 2008 წელთან შედარებით, 16%-ით შემცირდა. ანტიტოქსიკოსთა მოსაზრებით, მომავალში ამერიკულ გზებზე სიკვდილიანობა კვლავაც შემცირდება. კერძოდ, ამას ხელს შეუწყობს აშშ-ის საგზაო უსაფრთხოების ეროვნული ადმინისტრაციის (NHTSA) მოღვაწეობა. 2009 წლის მიწურულსა



და 2010 წლის დასაწყისში კომპანია „ტოიოტასადმი“ მრავალმილიონიანი გამოხმაურების შემდეგ, NHTSA-მ მძღოლთა უკმაყოფილებებზე სწრაფი რეაგირება დაიწყო და ავტომწარმოებლებისგან მანქანების გაუმართაობის აღმოსაფხვრელად, მომსახურების სწრაფად ორგანიზება მოითხოვა.

# გზაში საკითხავი კოლაქი

ქეძღერელი თქუპ ივანიძე

16. ოლივერ კრომველის სიკვდილიდან ორი წლის შემდეგ ინგლისში მონარქია აღდგა ინგლისის მეფის, კარლ II-ის ბრძანებით, ვესმინსტერის საბაზოში დაკრძალული ლორდ-პროტექტორის ცხედარი ამოთხარეს, თავი მოჰკვეთეს და მარგილზე წამოაცვეს. P.S. კრომველის სახის ნიღაბი, რომელიც დღეს მუზეუმში ინახება, ამ მოკვეთილი თავის სახიდან იქნა გაკეთებული.
17. II მსოფლიო ომის პერიოდში ტოკიოში სახლების 80 პროცენტი ხისგან იყო აგებული. ამერიკელები ქალაქს ცეცხლგამჩენი ბომბებით ბომბავდნენ, რის გამოც ტოკიოში ხანძრის გამო უფრო მეტი ადამიანი დაიღუპა, ვიდრე ხიროსიმაში — ატომური ბომბის ჩამოგდებისას.
18. ალასკელი მეთევზეები, რომლებიც ილბიანი დღის დასასრულს აურაცხელი ნადავლით ბრუნდებიან ნაპირზე, ტრადიციის თანახმად, ადგილობრივ ბარში შედიან და დახლის თავზე ჩამოკიდებულ ზარს რეკავენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა პატივებენ სასმელზე.
19. საკონცენტრაციო ბანაკებში ფაშისტები საგანგებოდ არჩევდნენ ტყუპს, რათა მეცნიერულად შეესწავლათ ეს ფენომენი. ისინი ცდილობდნენ დაედგინათ, თუ რა გზით შეიძლება, გერმანულ დედებს რეისათვის ერთის ნაცვლად ორი ქერა და ცისფერთვალე შვილი გაეჩინათ, რათა გაბატონებული არიული რასა სწრაფად გამრავლებულიყო.
20. სიყრუისგან დატანჯული ბეთჰოვენი ხელჯოხის ერთ ბოლოთი როიალს ეყრდნობოდა, მეორე ბოლო კი კბილებზე ჰქონდა მიჭერილი. ამ გზით ბგერა მის შიდა ყურამდე აღწევდა, რომელიც კომპოზიტორს ჯანმრთელი ჰქონდა.
21. II მსოფლიო ომისდროინდელი ბრიტანული გამანადგურებლის, „ჰევილინდ მოსკიტოს“ კორპუსი ხისგან იყო დამზადებული, რაც მას ფაქტობრივად, უჩინარს ხდიდა რადარებისთვის. ომის დროს 7781 ასეთი თვითმფრინავი იქნა გამოშვებული და ბრიტანეთის მიერ განხორციელებულ ყველა ოპერაციაში მონაწილეობდა. ამ „ხის ნაფოტის“ განსაკუთრებით ემინოდან გერმანელებს. იგი კრანანასავით დაბზოლდა მტრის რიგებს და ანადგურებდა ყველაფერს, რაც კი მოძრაობდა.
22. სტალინის ძეგლის აღებასთან დაკავშირებით გამართულ ერთ-ერთ დისკუსიაზე დათო ტურამვილმა მხრები აიჩიქა: „როცა ბერტოლუჩიომ „პატარა ბუდა“ გადაიღო, დალაი ლამასთან ჩავიდა და ჰკითხა, ფილმის სათაურის გამო რაიმე პრობლემა ხომ არ შეიქმნება? დალაი ლამამ დაამზიდა, — პატარა ბუდა ყველა ჩვენგანში ცხოვრობსო. იგივე შეიძლება ითქვას სტალინზეც. ყველა ჩვენგანში ცოცხლობს პატარა სტალინი. ძეგლების აღებითა და ჩამოგდებით ვერაფერს გაჭდებით, სანამ ჩვენს ცნობიერებაში ეს პატარა სტალინი იარსებებს“.

# ესაღმეთ, სშირად ბაიღიბოთ...

ფსიქოლოგები ამბობენ, რომ ბედნიერებისკენ სწრაფვა მემკვიდრეობით გადაეცემა. ამიტომ ზოგი არასოდეს კარგავს სულიერ წონასწორობას, ზოგი კი მცირედი უსიამოვნების გამოც დეპრესიაში ვარდება. თუ გინდათ იყოთ ბედნიერი, გახდებით კიდეც, მაგრამ ამისთვის მონდომება და საკუთარ თავზე მუშაობაა საჭირო.

## გაყოთივით ბარა სამყაროს

დააკვირდით თავდავიწყებით მოთამაშე ბავშვს, რომელიც თავისთვის რალაცას ბუტბუტებს და სათამაშოების გარდა, იმ წუთში მისთვის არაფერი არსებობს. კარგია, თუ ბავშვებს უფროსებიც მიჰბაძავენ. საკმარისია, კონკრეტულ საქმეზე მთელი არსებით კონცენტრირდეთ, რომ წვრილმანი პრობლემა ზედმეტად აღარ გაგალიზიანებთ — მისთვის უბრალოდ აღარ გეცლებათ. მთავარია, ისეთი საქმე გამოიხატოთ, რომელიც გარემოს მთლიანად მოგწყვეტთ. არა აქვს მნიშვნელობა, წიგნის კითხვა იქნება ეს, მუსიკის მოსმენა თუ კროსვორდების ამოხსნა.

## აზრები საქირო მივართულებით წარმართით

მშვენიერი სქესის წარმომადგენლები ხშირად საკუთარ თავს „მახინჯებად“ მიიჩნევენ. საკმარისია, შეეხოთ ამ თემას და ნებისმიერი მათგანი დანვრილებით მოგიყვებათ, თუ რა მრუდე ფეხები, უხეში კანი და



სხვადასხვა ნაკლი აქვს. ასეთ ქალბატონებს ფსიქოლოგები ურჩევენ, აზრები საპირისპირო მიმართულებით წარმართონ.

დაივიწყეთ ის, რაც არ მოგწონთ საკუთარ გარეგნობაში და ხშირად იმეორეთ, რომ ყველაზე ლამაზი და მიმზიდველი ხართ.

## იოუხავით საკუთარ თავზე

თავი უბედურად რომ იგრძნოთ ადვილია, ხოლო ბედნიერად — კიდეც უფრო ადვილი. მთავარია, ბნელ ფიქრებსა და შიშს თქვენი დათრგუნვის საშუალება არ მისცეთ.

ნებისმიერ სიტუაციას აქვს როგორც დადებითი, ისევე უარყოფითი მხარე. მოგებზრდათ ყოველდღიური ერთფეროვნება? ნუ იწუნუნებთ, გაითვალისწინეთ, ეს სტაბილურობის ერთ-ერთი პირობაა.

ინსავლეთ უსიამოვნო სიტუაციაში სასაცილო მხარის დანახვა.

## განწყობილება ნათელი, მხიარული აზრებით გაყოივით

ყველას აქვს სასიამოვნო მოგონებები — ხშირად დაუბრუნდით მათ. თუ უგუნებობამ შემოგიტიათ, ჩართეთ საყვარელი მუსიკა და წამოწეით; წარმოიდგინეთ, რომ მუსიკის ჰანგების ტალღაზე ირწყვით.

ეცადეთ, ხშირად გაიღიმოთ. არა უშავს, თუ თავდაპირველად ღიმილი ცოტა ნაძალადევი იქნება. თანდათანობით ის თქვენი ბედნიერი სახის ბუნებრივ გამომეტყველებად იქცევა.

# ფერები და ძალა

ადამიანისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია უცქიროს ლაყვარდოვან ცას, მწვანედ შეფოთილ ხეებს, დატკბეს ყვავილთა მრავალფეროვნებით. თუ ხშირად ვერ ახერხებთ ბუნებაში გასვლას, იარეთ სამხატვრო გალერეაში, მუზეუმში, უყურეთ ფილმებს, რომლებშიც ლამაზი პეიზაჟებია. მზიან დღეებში აუცილებლად მეტი ისიერნეთ. თუ საშუალება გაქვთ, დატკბით მზის ამოსვლა-ჩასვლის ცქერით.



არ დაივიწყოთ, რომ ფერი განსაკუთრებულ განწყობილებას ქმნის და ადამიანის ტვინში შესაბამის რეაქციას იწვევს.

ცისფერი, ლურჯი, მომწვანო-ცისფერი — ადამიანში უსაფრთხოების განცდას აღვიძებს და ამშვიდებს. ყვითელი — მზესავით ნათელი ფერი გვამხიარულებს და გვახარებს.

გარდა ამისა, ფერები მკურნალობის პროცესშიც მონაწილეობს. მაგალითად, მაღალი ტემპერატურის დროს, ცისფერი ორგანიზმზე სასიკეთოდ მოქმედებს. თეთრი ფერი სისხლის წნევას ამცირებს; ყვითელი და წითელი სისხლის მიმოქცევას აუმჯობესებს; მწვანე, ცისფერი და ჩალისფერი ადამიანზე ზოგადად გამაჯანსაღებლად მოქმედებს.

ყურადღება მიაქციეთ, რა ფერები ჭარბობს თქვენს სახლსა და სამსახურში. ერთმანეთს შეხამებული მწვანე და თეთრი სინნიდის, სისუფთავის შთაბეჭდილებას ქმნის, მწვანე და იასამინისფერი — ფუფუნებისა და სინატიფის.

კედლების ლურჯად შეღებვა სასურველი არ არის, თავს დათრგუნვილად და უძლურად იგრძნობთ. ზოგიერთი ფერი ძილზეც დადებითად მოქმედებს. ამ მხრივ, განსაკუთრებით სასიკეთოა, თუ თეთრეული და ჭალი ცისფერი იქნება.



# ინდოელი ქალების ნატურალური კოსმეტიკა

• ცხიმოვანი კანის მოსავლელად ლიმონი იდეალური საშუალებაა. აიღეთ 1 სადილის კოვზი ლიმონის წვენი და ამდენივე ხაჭო. ერთმანეთში კარგად აურიეთ და სახეზე დაიდეთ. გაიჩერეთ 20 წუთი. ნიღაბი თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

• სახეს შესანიშნავად წმენდს და ჭიმავს კვერცხის ცილა. წაისვით სახეზე და 15 წუთი გაიჩერეთ. მოცილებთ ლიმონის წვენგარეული თბილი წყლით.

• მშრალი კანისთვის შესანიშნავი გამწმენდი საშუალებაა ვარდის ფურცლების, გვირილისა და ოხრახუშის ნაყენი.



# რობორ ბავისხანობრივობით უხდობა



გერონტოლოგია — მეცნიერება სიბერის შესახებ — გვიმტკიცებს, რომ სიბერეს ახალგაზრდობიდანვე უნდა ვებრძოლოთ. ჩვენი წინაპრები ამბობდნენ: „საუბზე მარტომ მიირთვი; სადილი მეგობარს უწილადე, ვახშამი კი მტრებს გადაულოცე“. ეს წესი მთელი ცხოვრების განმავლობაში უნდა დაიცვათ. ექიმების აზრით, მოზრდილ ადამიანებს, განსაკუთრებით ხანში შესულებს, სჭირდებათ ვიტამინებით ძალზე მდიდარი საკვები და რაც უფრო ადრეული ასაკიდან დაიკავენ ამ წესს, მით უკეთ მომარაგდება ქსოვილები სისხლით. გარდა ამისა, შეინარჩუნებენ ელასტიკურობას და აქედან გამომდინარე — ახალგაზრდულ იერსაც.

ნუ მოსწევთ სიგარეტს, სასმელს ნუ მიეძალებით. დროულად ისარგებლეთ შვებულებით. შეიმუშავეთ დღის რეჟიმი. იძინეთ 7-8 საათი. ძილი უებარი წამალია — რომელსაც ვერაფერი შეცვლის.

**თუკი ხალავი გინთილდა-ზათ ან გილურჯდებათ**  
ყოველდღე გაიკეთეთ ხელებზე აბაზანები ცივი და ცხელი წყლის მონაცვლეობით. კვირაში 2-3-ჯერ შეიზილეთ ქაფურის საცხი.

**თუკი ხელისგულავი გიცვი-დებათ და გიოფლიანდებათ**  
ყოველდღე გაიკეთეთ თითების მასაჟი საცხით. დღეში რამდენჯერმე შეიზილეთ ქაფურის სპირტი.

## ბოსტნეულის სალათა სიმინდის მარცვლებით



**მასალად საჭიროა:**  
კომბოსტო 200 გ;  
დაკონსერვებული სიმინდის მარცვლები — 100 გ;  
კიბორჩხალას ჩხირები — 100 გ;  
მწვანე ხახვი — 50 გ;  
ლიმონის წვენი — 1 ს/კ;  
მაიონეზი — 5 ს/კ;  
ნახევარი კონა ოხრახუში;  
შაქარი, მარილი — გემოვნებით.

**მომზადების წესი:**  
დაჭერით კომბოსტო, სტაფილო, მწვანე ხახვი და კიბორჩხალას ჩხირები. შეურიეთ სიმინდის მარცვლები. მოაყარეთ მარილი, შაქარი და მოასხით მაიონეზი, ლიმონის წვენი და კარგად აურიეთ. სუფრაზე მიტანის წინ სალათა მწვანილით მორთეთ.

## სპაგეტი ხორცი

**მასალად საჭიროა (4 ულუვისთვის):**

- 300 გ სპაგეტი;
- 1 კონა მწვანე ხახვის ფოთლები;
- 2 ცალი მწვანე ტკბილი წინაყა;
- 300 გ პომიდორი;
- 400 გ დაკეპილი ხორცი;
- 2 ს/კ მზესუმზირის ზეთი;
- 2 კბილი ნიორი;
- 2 კვერცხი;
- 150 მლ რძე;
- 100 გ გახეხილი ყველი;
- შავი წინაყა;
- ოხრახუში.



**მომზადების წესი:**  
მოხარშეთ სპაგეტი. დაჭერით ბოსტნეული. გააცხელებთ გაბჭურა 200 გრადუსზე. ხორცი შეწვით ნიორთან ერთად. კვერცხი ათქვიფეთ რძესა და დაკეპილ ოხრახუშთან ერთად, დაუმატეთ ყველი, მარილი და წინაყა. ფორმაში ფენებად ჩადეთ ნახევარი სპაგეტი, შემდეგ — ხორცი, შემდეგ — ისევ სპაგეტი და მოასხით სოუსი. აცხვეთ 20 წუთი.



# სურვილის ამსრულავალი და სულის წამრთავი ლაბირინთი

ლაბირინთებზე ამოუცნობი ნაგებობა დედამიწაზე არ არსებობს. მასში მოხვედრილი ადამიანი ორიენტაციას კარგავს და პანიკაში ვარდება. ჩვენამდე მოღწეული, უძველესი კლდეზე ამოკვეთილი ლაბირინთი სარდინიაზე მდებარეობს. ესპანეთში აღმოჩენილი ლაბირინთი ჩვ.წ.აღ-მდე 2000 წელსაა შექმნილი, ხოლო საბერძნეთის ქალაქ ფილოსში თიხის ფირფიტებზე დახაზული ლაბირინთები დაახლოებით, 3 ათასი წლისაა.

კლასიკური ლაბირინთი ცენტრიდან 7 ხაზითაა შემოსაზღვრული და მასში შედარებით ადვილად გადაადგილდებით, მაგრამ საოცრად დამაბნეველია ინგლისური „მეიზამი“, რომელშიც რამდენიმე შესასვლელ-გასასვლელი, მიხვეულ-მოხვეული რგოლები და ჩიხებია.

უნიკალურია კაიროსთან, ტბა ბირკეტ-კა-რუნის მახლობლად აღმოჩენილი ლაბირინთი. იგი დაახლოებით, ჩვენს ერამდე 2300 წელს უნდა იყოს აგებული. ლაბირინთის საერთო ფართობი 70 ათასი კვადრატული მეტრია. მას უამრავი მი-

ნისქვეშა გვირაბი და დარბაზი აქვს. მნახველებს მინისქვეშა ლაბირინთების დათვალიერების უფლება არა

ლი მანუსკრიპტების თანახმად, ლაბირინთში 30-მეტრიანი ნიანგები ბინადრობდნენ.



აქვთ, რადგანაც იქ ფარაონებისა და ეგვიპტის წმინდა ცხოველის — ნიანგის სამარხებია. შესასვლელს წარწერაც ახლავს: „სიგიჟე ან სიკვდილი — აი, რას იპოვის აქ სუსტი და მანკიერი; ძლიერი და კეთილი კი აქ სიცოცხლესა და უკვდავებას პოუვებს“. ძველად, ღმერთ სებუკის — უზარმაზარი ნიანგის პატივსაცემად იქ სარიტუალო მსხვერპლშენიშვა (მას ხშირად, ადამიანებსაც სწირავდნენ) ტარდებოდა. ძვე-

ყველაზე ცნობილი, მინოსის ლაბირინთი კუნძულ კრეტაზე მდებარეობდა. იგი 1900 წელს, ინგლისელმა არქეოლოგმა ევანსმა აღმოაჩინა. ლეგენდის თანახმად, იქ მინოტავრი — ადამიანისთავიანი ხარი ბინადრობდა, რომელსაც თვეში ერთხელ, 7 გოგოსა და 7 ვაჟს სწირავდნენ. ლაბირინთები პომპეიში (ქალაქი, რომელიც ჩვ.წ.აღ-მდე 79 წელს ვულკან ვეზუვის ამოფრქვევამ გაანადგურა), ცენტრალურ ინდოეთში, ესპანეთში, საფრანგეთში, სკანდინავიის ქვეყნებსა (შვედეთში 300, ნორვეგიაში — 20, ფინეთში — 141, დანიაში — 31) და სუმატრაზეც (კუნძული ინდონეზიის დასავლეთით) არსებობდა. ძველ რომში პატარა ბიჭებს ლაბირინთში ტოვებდნენ და თუ გადარჩებოდა, მეომრად აკურთხებდნენ. ინდიელები და პაეისტანელები ლაბირინთისგამოსახლებიან ნივთებს ავი თვალისგან დასაცავად ატარებდნენ. ინდოელებს სწამდათ, რომ ადამიანს, რომელიც ლაბირინთს ააგებდა, სანუკვარი ოცნება აუსრულდებოდა, მაგრამ სანაცვლოდ, 7 წლის სიცოცხლე წაერთმეოდა.

ლაბირინთთან დაკავშირებული უამრავი ცრურწმენა არსებობს:

- მგზავრობისას ყველა უბედურებას თავიდან აიცილებთ, თუ ხელისგულზე ლაბირინთს დაიხატავთ;
- ლაბირინთში შესვლისას ბორცოტი სულები რომ დააბნიოთ, თანამგზავრის ტანისამოსი ჩაიცვით — ამ ნაგებობიდან ადვილად გამოხვალთ, თუ ტანისამოსს სხვას გაუცვლით;
- ლაბირინთში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ფოტოსურათის გადაღება არასასურველია, რადგან შესაძლოა, მეხსიერებასა და მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემები შეგექმნათ;
- თუ ლაბირინთის ცენტრში სურვილს ჩაიფიქრებთ და სამშვიდობოზე იოლად გამოხვალთ, ნატვრა აგისრულდებათ;
- ლაბირინთში შესვლა 7 წლამდე ასაკისა და 70 წელს გადაცილებული ადამიანებისთვის არ შეიძლება — შესაძლოა, ლაბირინთმა მათი სულები მიითვისოს.

## მსხვერპლშენიშვის ფესტივალი

ყოველწლიურად, ნოემბრის ბოლოს ნებალის სამხრეთით, სოფელ ტერაიში ქალღმერთ გათხიმაი მელას პატივსაცემად, მსხვერპლშენიშვის ფესტივალი ეწყობა. ამ დღეს დაახლოებით 17 ათასი ხარი ეწირება. ფესტივალს 150 ათასი ადამიანი ესწრება. გაჭირვებულები ხარის ხორცს საკვებად იმარაგებენ.

ლეგენდის თანახმად, 260 წლის წინ ინდოელი თავადი ბხაგვან ჩოდხარი გასაჭირიდან გათხიმაი მელამ იხსნა და მადლიერების ნიშნად და სხვა უბედურების თავიდან ასაცილებლად, თავადმა ხარები შესწირა. ქალღმერთი თავადის მამულებისა და იქ მცხოვრები ყველა ადამიანის მფარველადაც ითვლება. მსხვერპლშენიშვამდე ტაძრის მსახური ორ რიტუალს — „პანჩაბალი“ და „ნარბალი“ — ატარებს. მან ხუთი ცხოველისა (ვირთხის, ღორის, მამლის, კრავისა და ხარის) და ადამიანის სხეულის 5 ნაწილის (ხელი, ფეხი, მუცელი, მკერდი, თავი) სისხლი თიხის თასში უნდა შეაგროვოს. ამის შემდეგ ყასბები და მოხალისეები ხანჯლებით ხარების ხოცვას იწყებენ. ხშირად ხარის მსხვერპლი ადამიანიც ხდება. ერთ წელს ხარების ჯგრომ 6 ადამიანი გადათელა. გაუნათლებლობისა და ცრურწმენის გამო, ხშირია ქუჩაში უპატრონოდ დაყრილი ჩვილების გაყინვის ფაქტიც. დახოცილი საქონლის ნარჩენები კი ხშირად ეპიდემიას იწვევს, რასაც ნახევარი სოფელი ეწირება.





# ბერსერკები — მგლისთავიანი მეომრები

ბერსერკები უშიშარი მეომრები იყვნენ. მათი მიზანი იყო, რაც შეიძლება მეტი ადამიანი გაესტუმრებინათ იმ ქვეყნად. სიტყვა „ბერსერკი“ ნიშნავს დათვის ტყავში გახვეულ ადამიანს. მათ ასევე „ულიფხედნერებს“ — მგლისთავიანებს ეძახდნენ.

ბრძოლის წინ ბერსერკები მაგიურ რიტუალებს ატარებდნენ; ორგანებს ანყობდნენ; ხშირად ტრანსში ცვივდებოდნენ და დაუმორჩილებლები ხდებოდნენ, ბრძოლის დროს მტერს სასტიკად უსწორდებოდნენ. ხშირად ღრღინდნენ ფარებს და მგლებივით ღმუოდნენ. ველური ცხოველების მსგავსად, მათაც პირიდან დუჟი სდიოდათ. მათი მიზანი იყო, ველურ ცხოველებს (დათვსა და მგელს) დამსგავსებოდნენ. ამის გამო კანიბალიზმსა და ვამპირიზმს მიმართავდნენ. მტრის ღვიძლს უმად ჭამდნენ. ტკივილს თითქმის ვერ გრძნობდნენ. ბრძოლის დროს, დაჭრილებს შეეძლოთ თავის სხეულზე არსებული იარიდან მახვილი ამოეძროთ და მტრისთვის ესროლათ. ძირითადად, შუბებითა და ნაჯახებით იბრძოდნენ, იშვიათად — კომბლით. ომში წელზევით შიშვლები ან დათვის ტყავში გახვეულები მიდიოდნენ. ტანზე წითელ და შავ,

მაგიურ სვირინგებს იკეთებდნენ. ხშირად, ბრძოლის წინ, ენერგიის მოსამატებლად ბალახების ნაყენს სვამდნენ, მეცნიერების აზრით — ნარკოტიკულ, ჰალუცინაციის მომგვრელ სითხეს. არაადამიანური ძალის მიუხედავად, ბერსერკები ზოგჯერ ენერჯიაგამოცლილები, დაუძღვრებულები ცვიოდნენ მინახე. ხშირად ასეთი ენერგიის ცვალებადობა სიკვდილით მთავრდებოდა.

ბერსერკებს მხოლოდ ბრძოლა შეეძლოთ. მშვიდობიან დროს ველური ცხოველებივით იქცეოდნენ. ისინი ბატონის ან საზოგადოების დაქვემდებარებაში იყვნენ. განმართობებით, ჯგუფურად ცხოვრობდნენ, რათა მოსახლეობისთვის ზიანი არ მიეყენებინათ. ოჯახები არ ჰყავდათ. ღმერთ ოდინს (მგლისთავიანი მეტროლები მას მგლის ნილებით, წმინდანად გამოსახავდნენ) ეთაყვანებოდნენ.

ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, ბერსერკები ფსიქოლოგიურად დაავადებული (მაგ. ლიკანტროპიით — შიზოფრენიის ერთ-ერთი ფორმა) ადამიანები უნდა ყოფილიყვნენ.

ალბათ ადამიან-მგლებზე შექმნილ ფანტასტიკურ თხზულებებში ბერსერკები იგულისხმებიან.

## კოსტა-რიკის ქვები

კოსტა-რიკის ტყეებში მეტყევეებმა იდეალურად მრგვალი ფორმის ქვის ბურთებს მიაგნეს. იდეალურად დამუშავებული ქვის ბურთები თითქოს



ციდან ჩამოცვივდაო, რადგან მათი გაუვალ ტყეებში გადაგორება წარმოუდგენელია. თითოეული დიამეტრით 3 მეტრია და 16 ტონას იწონის. აღმოჩენამ მეცნიერების ყურამდეც მიაღწია. დაიწყეს ქვების მიმდებარე ტერიტორიის კვლევა, მაგრამ ვერაფერს მიაკვლიეს.

ასეთივე ქვის, მაგრამ უფრო დიდი ზომის ბურთები 1967 წელს მექსიკის დასავლეთ ნაწილშიც აღმოაჩინეს. აგრეთვე, ეგვიპტეში, რუმინეთსა და ყაზახეთში.

ზოგიერთ მეცნიერს ქვების წარმოშობის საკუთარი ვერსია აქვს. მათი აზრით, ცენტრალური ამერიკის ტერიტორიაზე 25-40 მლნ წლის წინ ვულკანები ამოიფრქვა, რასაც მიწისძვრები მოჰყვა. ფერფლი და ლავა ერთმანეთში აირია და დაგორებით გიგანტურ ბურთებად გადაიქცა. მაგრამ არც ეს ვერსიაა სრულყოფილი, რადგან მექსიკაში აღმოჩენილი ბურთები გრანიტისაა. ხოლო გრანიტი ძალიან მკვრივი და რთულად დასამუშავებელი მასალაა.

მეცნიერები დღემდე იკვლევენ ქვის ბურთების წარმომავლობას. საინტერესოა, რისთვის იყო ისინი საჭირო და რა ხელსაწყოთი მისცეს ასეთი მრგვალი ფორმა?

## ნიანგების შოუ

„მკვლელ მანქანად“ წოდებული ცხოველი რთულად მოსარჯულებელი და გასანერვითელია. თამამი ტაილანდელები 3-მეტრიანი (ერთხელ გინესის რეკორდების წიგნში 3-მეტრიანი რეპტილია მოხვდა) ნიანგების მონაწილეობით, ხალხის გასამხიარულებლად და ფულის გულისთვის, თეატრალურ წარმოდგენებს მართავენ. ტაილანდში ნიანგის ერთ-ერთი სახეობა — სიამის ჰიბრიდი ბინადრობს, რომელსაც მლაშე წყალშიც შეუძლია არსებობა. წარმოდგენა ტაილანდის ქალაქ პატაიის შემოგარენში, ნიანგების ფერმის ტერიტორიაზე ტარდება (ფერმაში 60 ათასი ნიანგი ჰყავთ), რომლის შემდეგაც ნიანგის ხორცსაც (დიდი რაოდენობით შეიცავს პროტეინს) ყიდიან და ტყავსაც.

20-ნუთიან წარმოდგენას ყოველ საათში მართავენ. ამ დროს მამაკაცი ნიანგს პირში უყოფს ხელს,



კუდით დაათრევს, მაგრამ ნიანგი მას არ ერჩის. ან გამაძლარია, ან ტაილანდელებს უგემური ხორცი აქვთ (ეს ხუმრობით).

წარმოდგენის დროს მაყურებელი მონაწილეებს ფულს უყრის. ერთი ტაილანდელი მოგროვილ თანხას ნიანგს (ყოველ ნომერში ახალი ცხოველი მონაწილეობს) პირში უყრის, მეორე ცხოველს ხახვში ხელს უყოფს და ფულს უკან იღებს, შემდეგ ფანზე ექაჩება. ესეც შოუს ნაწილია. წარმოდგენის ბოლოს გადარჩენილი ტაილანდელები (შოუს მრავალწლიანი ისტორიის მანძილზე მხოლოდ ერთი შემთხვევა დასრულდა ტრაგიკულად) მაყურებლებისთვის სამახსოვრო ფოტოებს იღებენ.



# რატომ გამოასხადეს რუსებმა აფხაზები

## „დაინაზავი ეროვნებად“?

### მიხეილ ლაბაქა

XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს, ოსმალეთის იმპერიის ევროპულ ნაწილში — ბოსნია-ჰერცეგოვინაში, ბულგარეთსა და მაკედონიაში, სრულიად მოულოდნელად, ვითარება უკიდურესად გამწვავდა: იმპერიის ქრისტიანმა ქვეშევრდომებმა სტამბოლის მესვეურთა მიერ გადასახადების გაზრდას აჯანყებით უპასუხეს. 1875 წელს, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მკვიდრი, მართლმადიდებელი სერბები აჯანყდნენ, ხოლო ერთი წლის შემდეგ — ბულგარელები და მაკედონელები. გარდა ამისა, აჯანყება იმხანად ოსმალეთის შემადგენლობაში შემავალ ქართულ მხარეებშიც — ლაზეთსა და აჭარაშიც დაიწყო. ეს ყველაფერი ჯაჭვური რეაქციასავით გადაეხა ერთმანეთს და გვარიანადაც შეაშფოთა სულთნის კარი. სტამბოლში შეიარაღებული გამოსვლების უკან რუსეთის სილუეტები დალანდეს.

მართლაც, ყირიმის ომში (1853-1856) დამარცხებული რუსეთი ოსმალეთთან რევანშის ასაღებად ყოველ ღონეს ხმარობდა. სანქტ-პეტერბურგი ცდილობდა, საერთაშორისო საზოგადოებრიობის თვალში ოსმალეთის იმიჯი იმგვარად შეეღებოდა, რომ შემდგომში მის წინააღმდეგ ომის დასაწყებად სერიოზული საბაბი ჰქონოდა. აქედან გამომდინარე, რუსი ემისრები აქტიურად მუშაობდნენ ბლკანელ სლავებს შორის, აქეზებდნენ მათ სულთნის წინააღმდეგ ასაჯანყებლად და მერე კი ღვთის ანაზარად ტოვებდნენ. რუსთა უპირველესი მიზანი ის იყო, რომ სტამბოლი როგორმე პროვოკაციას წამოჰგებოდა და ქრისტიანთა გენოციდი მოეწყო. ბუნებრივია, ამის შემდეგ საერთაშორისო საზოგადოებრიობა რუსეთს უკვე ვეღარ გაამტყუნებდა, თუ ეს უკანასკნელი „მოძმე სლავების“ დაცვის საბაბით ოსმალეთს ომს დაუწყებდა.

1876 წლის აპრილში, როცა ბულგარეთი აჯანყდა, სტამბოლი მართლაც წამოეგო რუსთა დაგეგმილ პროვოკაციას. ოსმალეებმა აჯანყება სისხლში ჩაახრჩვეს და თანაც, დედაბუდიანად ამოწყვიტეს ქალაქების — კლისურასა და კოპრივშტიკას მშვიდობიანი მოსახლეობა. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ყველაფერი ოსმალეთის არმიის „კავკასიურმა ნაწილებმა“ აღასრულეს, რომლებიც 1864-1867 წლებში კავკასიიდან გადმოსახლებული ჩერქეზებისა და აფხაზებისაგან შედგებოდა. ამ „კავკასიურ ნაწილებს“ აფხაზი ქამლათ-ფაშა მარლანია (მანანი) და უზიხი ზექერია

ოსმალური არმიის კავკასიური კავალერია ბრძოლაში; ილუსტრაცია ინგლისური ჟურნალიდან „პარპერზ უიქლი“, 1877 წლის დეკემბერი



დაგუმოყვა სარდლობდნენ. ამგვარად, რუსების ვარაუდი გამართლდა. მშვიდობიან ბულგარელთა გაყვებაზე საერთაშორისო საზოგადოებამ თვალის აღარ დახუჭა; გენოციდი დაგმეს იმჟამინდელმა ცნობილმა საზოგადო და პოლიტიკურმა მოღვაწეებმა, მწერლებმა და ჟურნალისტებმა. ამავდროულად, ოსმალეთის იმპერიის ტახტზე აბდულჰამიდ II ავიდა და ევროპელებმაც მომხდარზე რეაგირება სწორედ მას მოსთხოვეს. ახალი სულთანი, წინამორბედებისგან განსხვავებით, ბრწყინვალე დიპლომატი გამოდგა. ყველას ალუთქვა, რომ პირადად გამოიძიებდა ბულგარელთა გაყვების საქმეს. ამავ დროს, მან ქამლათ-ფაშა მარლანია დააჯილდოვა და დაანიშნურა კიდევ. აფხაზი თავადი კავკასიის საქმეთა საგანგებო რწმუნებულად დანიშნა. ფაქტობრივად, ეს იმას ნიშნავდა, რომ ოსმალეთის კავკასიური პოლიტიკის მთავარი წარმართველი ამიერიდან ქამლათ-ფაშა მარლანია გახდა.

აღსანიშნავია, რომ აბდულჰამიდ II ტახტზე ასვლამდეც კარგად ხვდებოდა რუსთა ჩანაფიქრს, რევანშის აღების თაობაზე. მან ისიც გათვალა, რომ ადრე თუ გვიან, სანქტ-პეტერბურგი ომის დასაწყებად ევროპისგან დასტურს მიიღებდა და გადაწყვიტა, რომ დაზვერვა აემოქმედებინა. ტრადიციულად, რუსეთის იმპერიის ყველაზე სუსტ ნერტილს კავკასია წარმოადგენდა. ამავდროულად, იქ ბევრი მუსლიმანი ცხოვრობდა და აქედან გამომდინარე, ოსმალთა ემისრებს წარმატება თითქმის გარანტირებული ჰქონდა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ოსმა-

ლეთში იმყოფებოდა მილიონამდე ჩრდილოკავკასიელი მუჰაჯირიც. რუსეთის წინააღმდეგ „ფარულ ომში“ ამ ხალხს სტამბოლისთვის განუზომელი დახმარების განევა შეეძლო. სწორედ ეს გათვალისწინა აბდულჰამიდ II-მ, როცა კავკასიური საქმეები აფხაზ ქამლათ-ფაშა მარლანიას ჩააბარა.

კავკასიის შავიზღვისპირეთში, კერძოდ — აფხაზეთში, იმხანად არსებული საერთო ვითარება ოსმალური დაზვერვისთვის ძალიან ხელსაყრელი იყო: რუსები ცდილობდნენ, იქიდან ქართველები და აფხაზები საბოლოოდ გაეყვებინათ, ხოლო მათ ნასახლარებზე კაზაკები ან იმპერიისადმი ლოიალურად განწყობილი უცხოტომეული კოლონისტები დაემკვიდრებინათ. ბუნებრივია, ეს ქართველებისა და აფხაზების დიდ უკმაყოფილებას იწვევდა, რაც ზოგჯერ შეიარაღებულ წინააღმდეგობაშიც კი გადაიზრდებოდა ხოლმე, თუმცა 1867 წლის შემდეგ, მასშტაბური გამოსვლები აღარ მომხდარა. ამავდროულად, ცარიზმის მესვეურები, როგორც წესი, ძალზე აქტიურად მუშაობდნენ აფხაზებსა და ჩვენ შორის მტრობის გასაღვივებლად.

1877 წლის დასაწყისში, როდესაც ევროპაში ყველასათვის ცხადი იყო, რომ რუსეთი „ერთმორწმუნე სლავების დაცვის“ საბაბით ოსმალეთში მალე შეიჭრებოდა, აფხაზეთში გავრცელდა ქამლათ-ფაშა მარლანიას მოწოდება, რომელსაც ოსმალეთის სამსახურში მდგარი, სამშობლოში მალულად დაბრუნებული მუჰაჯირები ავრცელებდნენ. ეს ხალხი განსაკუთრებით აქტიურობდა აბუჟუში (ამჟამინდელი ოჩამჩირისა და გულრიფშის ტერიტორია)



და გუმაში (დღევანდელი სოხუმის საქალაქო საბჭო) — იქ, სადაც ომის დაწყების შემთხვევაში, ოსმალები დესანტის გადმოსხმას გეგმავენ. გარდა ამისა, ამ მხარეებში იმხანად აფხაზები შედარებით კომპაქტურად სახლობდნენ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქამლათ-ფაშას მოწოდება ძირითადად, ზეპირად ვრცელდებოდა, თუმცა ხალხის დასარწმუნებლად მუჰაჯირებს თან ჰქონდათ ოსმალურად ნაწერი ფირმანებიც, სადაც ლმერთმა უწყის, რა ეწერა სინამდვილეში.

ქამლათ-ფაშას წარმოგზავნილი მუჰაჯირები აფხაზებს არწმუნებდნენ, რომ დიდი სულთანის მზად იყო, მათ თავისუფლებისათვის ბრძოლაში დახმარებოდა: „ოსმალეთში გადახვენილი ჩვენი თანამემამულეები მზად არიან, იარაღი აიღონ ხელში და შავი ზღვა გადმოლახონ იმისათვის, რომ დედასამშობლო რუსებისაგან გაათავისუფლონ; რა თქმა უნდა, სულთანს ყოველნაირად ხელს შეეგინებოდა, ოღონდ თქვენც მზად უნდა იყოთ იმ ღირსეული საქმის აღსასრულებლად, რასაც სამშობლოს თავისუფლებისთვის ბრძოლა ჰქვია!“ — მოუწოდებდნენ ისინი ხალხს. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზებს მშვენივრად ახსოვდათ 1867 წელი, როდესაც ოსმალებმა აჯანყებულთა დასახმარებლად თითქმის არ განძრვიეს, ქამლათ-ფაშას მჭევრმეტყველო მოწოდებას მაინც ბევრი აჰყვა. 1877 წლის მაისის თვეში, აბდულჰამიდ II-მ უკვე იცოდა, რომ აფხაზეთში დაახლოებით 20 ათასამდე კაცი გადაბირებული იყო.

აქვე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზემოთ ხსენებული პროპაგანდის პარალელურად, ოსმალების ემისრები აფხაზთა და ქართველთა შორის შუღლის გაღვივებას დიდად უწყობდნენ ხელს. ისინი აფხაზებს ეუბნებოდნენ, რომ რუსები აფხაზეთში „ქართველების მოწვევით“ იმყოფებოდნენ და შესაბამისად, ყველაფერში დამნაშავენი სწორედ ეს უკანასკნელნი გამოდიოდნენ: „ქართველებიც ქრისტიანები არიან, რუსებიც... მათ ჩვენი ამონყვეტა სურთ, ხოლო ერთმანეთს კი ჩვენს დასანახავად ექიშებიან. გონს მოდით, აფხაზებო! დადექით სულთნის დროშის ქვეშ და გაათავისუფლეთ სამშობლო!“ — ემისრების სიტყვით, ეს ყველაფერი ქამლათ-ფაშას მოწოდებაში ეწერა.

საინტერესოა, რომ სოხუმის ოლქის უნდარმერმა აბუჟასა და გუმაში ოსმალების აგენტთა გამოჩენისთანავე, მათი მიზნებისა და ამოცანების თაობაზე ინფორმაციისგან ყველაფერი დროულად შეიტყო, თუმცა არავითარი კონტრზომა არ მიუღია — „ამ ეტაპზე მათი ქმედებები ალკვეთას არ საჭიროებს... ოღონდ, ბრძანება გავეცი, რომ არც ერთ აგენტს ჩვენებმა თვა-

ლი არ მოაშორონ“ — სწერდა ოლქის სამხედრო განყოფილების უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი პავლე კრაჟენკო კავკასიის მეფისნაცვალს — დიდ თავად მიხაილ რომანოვს. რუსების ჩანაფიქრით, ოსმალური აგენტურის საქმიანობა საბოლოოდ მაინც მათ ნისქვილზე დაასხამდა წყალს.

1877 წლის 29 აპრილს, გუდაუთაში ოსმალური არმიის მრავალრიცხოვანი დესანტი გადმოსხდა, რომელიც აფხაზი მუჰაჯირებისგან შედგებოდა და რომელსაც, რაღა თქმა უნდა, ქამლათ-ფაშა მარღანია სარდლობდა. გუდაუთის რუსული გარნიზონი მტერს იხე დაწებდა, თოფიც არ გაუსროლია. ქამლათ-ფაშამ გუდაუთელები სანაპიროზე შეკრიბა და მგზნებარე სიტყვით მიმართა. მან განაცხადა, რომ სულთან აბდულჰამიდს ყელში ამოუვიდა რუსების თვითნებობა და გადაწყვიტა, გიაურებისათვის ჭკუა ესწავლებინა: „გარდა აფხაზეთისა, ომი მიმდინარეობს ბალკანეთშიც, დიდაა ძალა სულთნისა და მას გიაურები წინ ვერ აღუდგებიან!“ — გულში მჯიღს იცემდა აფხაზი თავადი.

იმვე საღამოს, თითქმის მთელ აფხაზეთში — სოჭიდან ლალიქამდე — ანტირუსული აჯანყება დაიწყო. მარღანის დესანტი სოფლებში გაიფანტა და წინასწარ შემუშავებული გეგმის თანახმად, ყველა მომხრე დარაზმა. ამავედროულად, ოსმალურმა ხომალდებმა ზღვიდან ცეცხლი გაუხსნეს სოხუმს. მალე ბესლეთის მხრიდან ქალაქში შემოიჭრნენ გუმისთელი მეამბოხეები და ბრძოლები უშუალოდ ქუჩებში გაჩაღდა. გარნიზონმა ვერ შეძლო მათი მოგერიება და უდიდესი დანაკარგების ფასად, კოდორის მიმართულებით

უკან დაიხია. თავად გენერალ-ლეიტენანტი კრაჟენკო, რომელიც არყით კარგა მაგრად გამოთვრალიყო, ძლივს გადაურჩა სიკვდილს. მისმა ჯარისკაცებმა ის ნიფხვისამარა გამოათრიეს სანოლი ოთახიდან და კოდორისაკენ წაიყვანეს.

ქამლათ-ფაშას მუჰაჯირებმა და აჯანყებულებმა ერთობლივი ძალებით მოკლე ხანში მთელ აფხაზეთზე კონტროლი დაამყარეს — სამურზაყანოს გამოკლებით და სოხუმში აფხაზეთის სამთავროს აღდგენა გამოაცხადეს. ქამლათ-ფაშამ აფხაზებს გამოუცხადა, რომ სტამბოლში, სულთან აბდულჰამიდ II-ის კარზე სამთავრო ტახტის ერთ-ერთი პრეტენდენტი იმყოფებოდა, რომლის ჩამოსვლამდეც, ტახტს თავად დაიკავებდა. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი სიცრუე იყო. ქამლათ მარღანის მთავრად გახდომა თვითონვე უნდოდა. მისი ბრძანებით, ოსმალური არმიის მთავარი შტაბი სოხუმის ოლქის სამხედრო განყოფილების შენობაში განლაგდა. სოხუმში ოფიციალურად გამოცხადდა აბდულჰამიდ II-ისადმი დაქვემდებარებულ ქალაქად, ხოლო ამბოხებულებმა კი საჯაროდ დაიფიცეს, რომ სულთნისათვის სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებდნენ.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის ამ ინციდენტში ჩართევა თავიდანვე გათვალისწინებული იყო როგორც რუსების, ისე ოსმალების მიერ. ორივე მხარე იმედოვნებდა, რომ ქართველები რუსული არმიის მხარეს დადგებოდნენ, რადგან იმჟამად ჩვენში ანტიოსმალური განწყობილება უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ანტირუსული და თანაც, რაოდენ უცნაურადაც უნდა ჟღერდეს, ოსმალებ-



რუსეთ-ოსმალეთის ომში მონაწილე „ქართული მილიონის“ (სახალხო ლაშქრის) მებრძოლები, 1877 წლის ფოტო



კავკასიის მეფისნაცვალი, დიდი თავადი მიხაილ რომანოვი

ისტვისაც და რუსებისთვისაც ეს თანაბრად მომგებიანი იყო: თუ ოსმალები გაიმარჯვებდნენ, ქართველები განწირულნი იყვნენ — მათ აფხაზები მოუღებდნენ ბოლოს; თუ რუსები გაიმარჯვებდნენ, ჩვენსა და აფხაზთა შორის მაინც მტრობა ჩამოვარდებოდა. ასე რომ, მოვლენები ყველა შემთხვევაში ჩვენ საწინააღმდეგოდ უნდა განვითარებულყო. სხვათა შორის, სწორედ ამ მიზნითვე დაიხია უკან რუსულმა არმიამ აფხაზეთის ფრონტზე მაშინ, როდესაც სხვა ფრონტებზე თავდაცვითი პოზიციები ოსმალურ არმიას ეკავა. ამავდროულად, უკანდახეულმა რუსმა ჯარისკაცებმა ქალებისა და ბავშვების უსაფრთხო ადგილას გადაყვანაზე აფხაზეთის ქართველობას უარი განუცხადეს — ვერ მოვასწრებთ, მტერი მრავალრიცხოვანიაო.

ამრიგად, აფხაზეთის ქართველობა იძულებული გახდა, უსაფრთხოებაზე თავადვე ეზრუნა. ქამლათ-ფაშა მარლანბამ, რომელიც მართლა არ ელოდა, თუ ასე მოკლე ხანში ჩაიდებდა ხელში მთელ აფხაზეთს, ქართველებთან მაინც მორიგება გადაწყვიტა — მან სოხუმის მკვიდრ ქართველობას ოსმალეთისადმი ლოიალობის გამოჩენისკენ მოუწოდა, სანაცვლოდ კი უსაფრთხოების გარანტია მისცა. ქართული მოსახლეობა მონოდებას არ გამოეხმაურა, სოხუმი დატოვა და კოდორისპირა ტყეებში გამაგრდა. მოგვიანებით, მათ ქრისტიანი აფხაზებიც შეუერთდნენ, რომლებსაც ქამლათ-ფაშა არ ენდობოდა და რუსთა აგენტებად მიიჩნევდა. გაჩაღდა პარტიზანული მოძრაობა. გარდა ამისა, ქართველებმა მედესანტე მუჰაჯირების ნაწილიც გადმოიბირეს. „უმჯობესია, ოსმალებს გაემიჯნოთ, რადგან რუსები ბევრნი არიან, ვერ აჯობებთ და სამუდამოდ მოსწყდებით სამშობლოს; ამიტომ სანამ დროა, დაყარეთ იარაღი და დაუბ-

რუნდით თქვენს სახლებს, რომლებიც კარგა ხანია, მოგელიან“, — ეუბნებოდნენ ისინი მუჰაჯირებს.

ომის სხვა ფრონტებზე ოსმალური არმიის ზედიზედ დამარცხებამ, აბდულჰამიდ II გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა — კავკასიაში რუსები ბათუმს ემუქრებოდნენ, ხოლო ბალკანეთში კი ოსმალური შეიარაღებული ძალები კატასტროფის წინაშე იდგნენ. ასეთ ვითარებაში, აფხაზეთში საომარი მოქმედებების გაგრძელება უაზრობა იყო და ამიტომ, 1877 წლის ივნისში, სტამბოლიდან ქამლათ-ფაშას მკაცრად უბრძანეს, მოეხსნა მთელი ფრონტი და მისდამი დაქვემდებარებული სამხედრო ნაწილებიც ბულგარეთში ჩაეყვანა. ეს ბრძანება აფხაზი თავადისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა და სანამ ის ფიქრობდა, თუ როგორ გადაეცა ყველაფერი თანამებრძოლთათვის ისე, რომ ბუნტი არ გამოეწვია, გაჭირვების ტალღისად რუსები მოევიდნენ. მეფისნაცვალმა მიხაილ რომანოვმა, რომელმაც აგენტურის მეშვეობით ოსმალთა გეგმები დეტალურად შეიტყო, გენერალ-ლეიტენანტ პავლე კრაფჩენკოს ქამლათ-ფაშასთან საიდუმლო მოლაპარაკების დაწყება უბრძანა.

მოლაპარაკების მთავარი პირობა რუსების მხრიდან ამგვარი იყო: ქამლათ-ფაშას აფხაზეთის დატოვების შესაძლებლობას მისცემდნენ, თუ ის ყველა აფხაზს ხომალდზე აიყვანდა და ჯარის ნაწილებთან ერთად ბულგარეთში გადაიყვანდა. აღსანიშნავია, რომ რუსები ოსმალთა აფხაზ სარდალს იმასაც ალუთქვამდნენ, რომ პირობაზე თანხმობის შემთხვევაში, აფხაზეთის ფრონტზე ერთთვიან მორატორიუმს გამოაცხადებდნენ, რათა ქამლათ-ფაშას აფხაზთა თავმოყრა არ გასჭირვებოდა. ცხადია, ქამლათ-ფაშა რუსებს დათანხმდა და პავლე კრაფჩენკომაც თავის ჯარის ნაწილებს მკაცრად აუკრძალა დალიძგის იქით ფეხის გადადგმა.

1877 წლის ივნისიდან აგვისტოს შუა რიცხვებამდე, ქამლათ-ფაშა მარლანბის ჯარი აბჟუსისა და გუმის სოფლებს შეესია. ისინი აფხაზებს ოსმალეთში გადასახლებისაკენ მოუწოდებდნენ, თან აშინებდნენ, რომ ვინც სამ-

შობლოში დარჩებოდა, რუსები ყველას დედაბუდიანად ამონყვებდნენ. ცხადია, ხალხი ამ მოწოდებას არ აპყვავდა და ამიტომ ჯარს ძალის გამოყენებამაც მოუწია. ქამლათ-ფაშამ 27 ათასზე მეტი კაცი არეკა გემებზე და ბალკანეთისაკენ გაუყენა გზას. აფხაზეთი ხელახლა გავრყანდა, განსაკუთრებით — გუმისთისა და კოდორის სანაპიროები. აღსანიშნავია, რომ გადასახლებულთაგან ყველა ეთნიკურად აფხაზი არ ყოფილა. ქამლათ-ფაშამ ბლომად წაიყვანა ქართველები და ბერძენიც. სხვათა შორის, წაყვანილთა შორის იყო პირველი აფხაზი მწერლის, დიმიტრი გულიას მამის — იოსების ოჯახიც. გულიები ქართველები იყვნენ და გულრიფშის ახლოს, სოფელ ვარჩეში ცხოვრობდნენ. მოგვიანებით, იოსებმა და დედამისმა ოსმალეთიდან აფხაზეთში დაბრუნება კი მოახერხეს, მაგრამ აფხაზ მუჰაჯირებთან ხანგრძლივი დროით ცხოვრების გამო, დიმიტრი გულიას მამას მშობლიური ენა აღარც ახსოვდა, თავს აფხაზად მიიჩნევდა და სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც აფხაზად დარჩა.

1877 წლის 19 აგვისტოს, დაცარიელებული და ქამლათ-ფაშას ჯარისკაცებისაგან მთლად გადამწვარი სოხუმი რუსულმა არმიამ დაიკავა. გენერალ-ლეიტენანტი პავლე კრაფჩენკო ამაყად მიათოხარიკვებდა ცხენს უკაცრიელ ქუჩებში. მოგვიანებით კი მისმა ჯარისკაცებმა მთელ ქალაქში ძლივს მოაგროვეს ორმოცამდე კაცი, რომელთაც მისი მალაქეთილშობილება კავკასიის მეფისნაცვლის საგანგებო ბრძანება წაუკითხეს — ამიერიდან აფხაზები რუსეთის იმპერიაში „დამწავე ეროვნებად“ ცხადდებოდნენ. მათ ეკრძალებოდათ ზღვის ნაპირზე დასახლება, იმპერიის სახელისუფლებო ორგანოებსა და არმიასი სამსახური, ერობის არჩევნებში მონაწილეობა და ბევრი სხვა რამ.

P.S. აფხაზების „დამწავე ეროვნებად“ გამოცხადებამ ერთ მეტად თავისებურ და სავალალო მოვლენას ჩაუყარა საფუძველი, რასაც „ქართველთა გააფხაზება“ ჰქვია, მაგრამ ეს სულ სხვა ისტორიაა...



რუსი ჯარისკაცები სოხუმის მახლობლად, 1877 წლის აგვისტო



# პოლონელებისა და ქართველების საერთო წმინდანი

პოლონეთის ტერიტორიაზე ქრისტიანობის გავრცელება IX საუკუნიდან დაიწყო, თუმცა ეკლესიამ დამოუკიდებლობა მოგვიანებით, XX საუკუნეში მოიპოვა.

## შორენა მერკვილაძე

### არქიმანდრიტი მაჰარი (აბესაძე):

პოლონეთში ქრისტიანობა IX საუკუნეშიდან გავრცელდა. ამ ტერიტორიაზე ჭეშმარიტმა სჯულმა სამი მხრიდან შეაღწია: სამხრეთ-დასავლეთიდან — მორავიის (დღევანდელი ჩეხეთ-სლოვაკეთიდან); აღმოსავლეთიდან — კიევის რუსეთის და დასავლეთიდან — გერმანიის იმპერიის მხრიდან, რომელიც იმ დროს რომის ეკლესიის დაქვემდებარებაში გახლდათ. თავდაპირველად პოლონეთის ტერიტორიაზე პატარა სამთავროები არსებობდა, რომლებიც IX საუკუნეში ვისლიანის სამთავროში გაერთიანდნენ. ამავე საუკუნეში მორავიის მხრიდან პირველი მისიონერი განმანათლებლები — წმინდა კირილესა და მეთოდეს მონაფეები შემოვიდნენ.

908 წელს მორავია უნგრეთის მმართველებმა ჩაიგდეს ხელში, რის გამოც ტერიტორია მრავალმა ქრისტიანმა დატოვა და პოლონეთს შეაფარა თავი. ამ პერიოდიდან დაიწყო დასავლური, ლათინური ტრადიციის ქრისტიანობის გავრცელება, თუმცა 988 წლიდან, როდესაც რუსეთის მოსახლეობა მოინათლა, პოლონეთში მართლმადიდებლური ქრისტიანობის გავრცელება უკვე აღმოსავლეთიდან იწყება...

XI საუკუნეში რუსეთი სამთავროებად დაიყო. დასავლეთის ტერიტორიაზე ორი სამთავრო აღმოცენდა — გალიციისა და ვოლინიისა, რომლებიც მალევე გაერთიანდა. XIII საუკუნეში გალიცია-ვოლინიის სამთავროს მმართველის, თავად დანიელი რომანოვიჩის დროს, ამ ტერიტორიაზე მართლმადიდებლური საეპისკოპოსო კათედრა დაარსდა. რომის პაპი, ინოკენტი IV ცდილობდა, მოლაპარაკების გზით დაეყოლიებინა თავად დანიელ რომანოვიჩი, რათა გალიცია-ვოლინიის სამთავროში კათოლიკე მისიონერებისთვის ქადაგების ნება მიეცა და ეს ტერიტორია კათოლიციზმზე მოექცია. სანაცვლოდ მეფის გვირგვინს ჰპირდებოდა, მაგრამ მის მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია. XIV საუკუნის მეორე ნახევარში გალიციისა და პოლმის მიწები პოლონეთს შეუერთდა.

1386 წელს პოლონეთის პრინცესა იადვიგა ლიტვის დიდ თავადზე — იაგალოზე დაქორწინდა. მათ პოლონეთის სამეფოსა და ლიტვის სამთავროს ერთიან სახელმწიფოდ გაერთიანება დაიწყეს. თავადი იაგალო კათოლიციზმისკენ იხრებოდა; 1395 წელს მან კრაკოვში სახეიმოდ უარყო აღმოსავლეთის ეკლესიის რწმენა — მართლმადიდებლური სარწმუნოება, პოლონეთის პრინცესასთან ქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ კი, 1387 წელს თავი კათო-

ლიკობის მიმდევრად გამოაცხადა. პოლონეთის სამეფოშიც და ლიტვაშიც ნელ-ნელა კათოლიკური სარწმუნოება გავრცელდა. იაგალოს მიერ მართლმადიდებლობის



უარყოფის შემდეგ გალიციის მართლმადიდებლური საეპისკოპოსო დაიხურა და მის ნაცვლად ლვოვის კათოლიკური საარქიეპისკოპოსო შეიქმნა. ამის შემდგომ, მხოლოდ 1539 წელს შეძლო მართლმადიდებელმა ეკლესიამ გალიციაში მართლმადიდებელი ეპისკოპოსის დასმა. ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, მართლმადიდებლობა სრულად არ აღმოფხვრილა...

მართლმადიდებლური ეკლესიისთვის ყველაზე მძიმე პერიოდი პოლონეთის მეფის, სიგიზმუნდ III-ის დროს დადგა, რომელიც კათოლიციზმის მტკიცე დამცველი გახლდათ და რომის ინტერესებს ყველანაირი გზითა და საშუალებით იცავდა. XVI საუკუნეში, რეჩ-პოსპოლიტაში, ბრესტის ცნობილი უნია სწორედ მისი ხელშეწყობით შედგა (უნია თითქოსდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიების გაერთიანებას ისახავდა მიზნად, სინამდვილეში კი დასავლეთის ეკლესიისთვის მართლმადიდებელთა მიერ კათოლიციზმის მიღების პოლიტიკურ იარაღს წარმოადგენდა, რათა პაპის ხელისუფლების ქვეშ გაერთიანება მომხდარიყო). 1595 წელს იეზუიტებმა (პაპისტური მონაზვნური ორდენის — „იესოს საზოგადოების“ წევრები, რომლებიც პაპის უსიტყვო მორჩილების აღთქმას დებენ და მისი უერთგულესი მსახურნი, პაპის პოლიტიკის მთავარი გამტარებლები არიან) კიევის მიტროპოლიტი როგოზის დაყოლიება მოახერხეს. მას რომში საიდუმლოდ გაეზავნა ორი ეპისკოპოსი, რომელიც პაპთან უნის შესახებ აქტს მოაწერდა

ხელს. ამ აქტში აღიარებული იყო პაპის უპირატესობა, უცდომელობა და „მრწამსში შეტანილი ცვლილება სულიწმიდის გამოვალის შესახებ“, მაგრამ მართლმადიდებელმა ეკლესიამ ეს აქტი არ მიიღო. მიუხედავად ამისა, მეფე სიგიზმუნდ III-მ უნის მიღების აქტი დაამტკიცა. ამის შემდეგ პოლონეთში მართლმადიდებლობა კანონგარეშედ გამოცხადდა და მართლმადიდებელთა სასტიკი დევნა-შევიწროება დაიწყო. XV საუკუნიდან მოყოლებული, პოლონეთში მართლმადიდებლობას განსაკუთრებით მძიმე პერიოდს დაუდგა. ფაქტობრივად, მთელი ეს მხარე კათოლიციზმმა მოიცვა. პაპიზმისგან თავის დასაცავად მართლმორწმუნეთა ერთადერთ იმედს სამონასტრო კერები წარმოადგენდა, სადაც სარწმუნოების დასაცავად ბრძოლისთვის ძალას იკრებდნენ.

XIX საუკუნეში პოლონეთი რუსეთმა დაიპყრო და მისი აღმოსავლეთი პროვინციები რუსეთის შემადგენლობაში შევიდა. ამის შემდეგ პოლონეთში მართლმადიდებლობის განმტკიცება დაიწყო და შესაძლებელი გახდა მართლმადიდებელი მრევლის დიდი ნაწილის გაერთიანება. 1834 წელს ვარშავაში ვოლინსკის ეპარქიის ვიკარიატი დაარსდა, რომელმაც 1840 წელს დამოუკიდებლობა მოიპოვა.

1918 წელს, პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, პოლონეთმა დამოუკიდებლობა მოიპოვა. ამის შემდეგ საეკლესიო წრეებში დაიწყო მოძრაობა პოლონეთის ეკლესიის რუსეთის ეკლესიიდან გამოყოფისა და ავტოკეფალიის მოპოვებისთვის, რომელიც 1943 წელს გახდა შესაძლებელი. როგორც ვიცით, პოლონეთისა და საქართველოს ეკლესიებს საერთო წმინდანი, წმინდა გრიგოლ ფერაქე ჰყავთ, რომელიც XX საუკუნის 30-იან წლებში პოლონეთის ეკლესიაში მოღვაწეობდა. იგი მეორე მსოფლიო ომის დროს, ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში მოწამებრივად აღესრულა. ყოფილი გეტოს ტერიტორიაზე, რომელიც ვარშავის ცენტრში მდებარეობს და ამჟამადაც ებრაელებს ეკუთვნით, მართლმადიდებლებმა წმინდა გრიგოლ ფერაქის სახელობის ტაძრის აგება გადაწყვიტეს. ებრაელები ამ ტერიტორიაზე არავის არაფრის გაკეთების ნებას არ აძლევდნენ, მაგრამ როდესაც გაიგეს, რომ იქ მართლმადიდებლური ტაძრის აგება სურდათ, რომელიც წმინდა გრიგოლ ფერაქის სახელობის იქნებოდა, მის ასაშენებლად მინა გამოყვეს. ტაძრის მშენებლობა მალე დასრულდება.

ამჟამად პოლონეთის ეკლესიის იურისდიქცია მთელი პოლონეთის ტერიტორიაზე ვრცელდება. ჰყავს მილიონამდე მრევლის წევრი, 16 მღვდელმთავარი. პოლონეთის ეკლესიის მეთაურია უნეტარესი საბა. მისი უმაღლესი მღვდელმთავარი ატარებს ტიტულს: „უნეტარესი მიტროპოლიტი ვარშავისა და სრულიად პოლონეთისა“.



რუმბოვას უძღვება ექიმი ნინო ჩარბივიძი

# მხანარაობით მკურნალობა



## ჰაიმორიტი

ჰაიმორიტის სამკურნალო ეფექტური საშუალება შეგიძლიათ ქოთნის ყოჩივარდასგან მოამზადოთ. აიღეთ 2-3 წლის ბოლქვი, გარეცხეთ, გახეხეთ წვრილ სახეხზე და გამოწურეთ წვენი. ეს წვენი 1 წელი ინახება მაცივარში. ცხვირში ჩანვეთების მიზნით აიღეთ ყოჩივარდას წვენის 2 წვეთი, დაუმატეთ 10-10 წვეთი წყალი და მცენარეული ზეთი (უმჯობესია ზეთუნის), მომინანქრებულ ჭურჭელში კარგად აურიეთ და ორივე ნესტოში ჩაინვეთეთ 2-2 წვეთი, დილა-საღამოს, 1-2 თვის განმავლობაში. შემდეგ ერთი თვე დაისვენეთ და გაიმეორეთ მკურნალობის კურსი. 4-5 თვეში ჰაიმორიტი აღარ შეგანუხებთ.

## გამღვალი შაქარი ხველის წინააღმდეგ

გამღვალი შაქარი ეფექტურია ბრონქული ხასიათის ხველის დროს.

მომზადების წესი: 1 ლ ტევადობის მშრალი ქვაბში (სასურველია სახელურიანი) ჩაყარეთ 2-3 სუფრის კოვზი შაქარი და გასაძნობად ცეცხლზე დადგით. როდესაც შაქრისგან ღია ყავისფერ მასას მიიღებთ, კოვზით ურჩეთ ბუმბუტუკების გაჩენამდე და ქაფის მთლიანად გაქრობამდე ამის შემდეგ ქვაბის 2/3 მდულარე წყლით შეავსეთ. გამოიჩინეთ სიფრთხილე და თვალები და ხელები მოარიდეთ ამ დროს წარმოქმნილ შეფუფებს. ადუღეთ ეს ნარევი ერთ-გვაროვანი მასის მიღებამდე. შემდეგ ცეცხლიდან ჩამოდგით, გააცივეთ, გადაასხით ბოთლში და დაახურეთ თავზე. ოთახის ტემპერატურაზე 1-2 კვირა ინახება.

მიიღება შემდეგნაირად: ერთ ჭიქა ჩაის ან თბილ წყალს დაუმატეთ 2-3 ჩაის კოვზი გადამდნარი შაქარი და მიიღეთ დღეში 2-3-ჯერ. 2-4 დღეში ხველა შესუსტდება და მალე სრულიად გაქრება.

## სახვი ანგინის წინააღმდეგ

გახეხეთ სახვი სახეხზე, გამოწურეთ წვენი და 1 ჩაის კოვზ თაფლთან ერთად მიირთვიეთ. ასე გააკეთეთ დღეში



3-ჯერ. ეს ბუნებრივი ანტიბიოტიკია და კლავს მიკრობებს. გამოიყენება ანგინის, ფრონტიტისა და ლარინგიტის სამკურნალოდ.

## სახვი გრიპისა და ხველის წინააღმდეგ

სახვი გამოიყენება გრიპის, სურდოსა და ხველის სამკურნალოდ.

სახვი გახეხეთ წვრილ სახეხზე და შეისუნთქეთ მისი არომატი.

შეგიძლიათ გახეხილი სახვი გაახვიოთ მარლაში და ტამპონის სახით ნესტოებში გაიკეთოთ.

თავის ტკივილის დროს შუბლი სახვის წვენი დაიზილეთ.

ყელის ტკივილის დროს ახალი სახვი დალექეთ.

ხველის დროს სახვის სიროფი მიიღეთ: 100-150 გ სახვი ხარშეთ 250 გ წყალში 5-10 წუთი, დაუმატეთ 1 ჩ/კ შაქარი და კიდევ ცოტა ხანს ნელ ცეცხლზე ხარშეთ, შემდეგ გადმოდგით ცეცხლიდან და გაფილტრეთ. მიიღეთ დღეში 2-3 ჩ/კ სახვის სიროფი.

## სახვი გულის იზემიური დაავადების წინააღმდეგ

სახვი გულის კუნთს ამაგრებს, მასში სისხლის მიმოქცევას აუმჯობესებს და იშემიური დაავადებისაგან გვიცავს.

მაღალი არტერიული წნევის დროს შეუურიეთ თანაბარი რაოდენობით სახვის წვენი და თაფლი.

მიიღეთ 2 ჩაის კოვზი, დღეში ერთხელ, 1 თვის განმავლობაში.

## პიელონეფრიტი და სახვი

3 კგ სახვი გარეცხეთ და დაჭერით კუბურებად. მჭიდროდ ჩააწყვეთ ქვაბში (ქვაბი არ უნდა იყოს ლითონის), დაახურეთ თავსახური და ცომით დაანებეთ, რათა ჰაერი არ შევიდეს, შემდეგ შედგით აერლუმელში (ნელ ცეცხლზე) და შუშეთ 3 საათის განმავლობაში. როცა გაცივდება, ქვაბში მონაცისფრო-მოყავისფრო მასას მიიღებთ. იქიდან წვენი გამოწურეთ და დალიეთ დღეში 2-3-ჯერ, თავდაპირველად 1 ჩ/კ, შემდეგ კი ნელ-ნელა ადით 1 სუფრის კოვზამდე. მკურნალობის კურსი შეადგენს 3 ლ წვენის მიღებას.

## ნეირის წყალი ზაფხულის სასუნთქი გზების ათეხის წინააღმდეგ

დასრისეთ 50 გრამი გასუფთავებული ნიორი, გახსენით ცოტა გადადუღებულ ცივ წყალში და 500 მლ-მდე შეავსეთ ასევე გადადუღებული წყლით. გააჩერეთ 2-4 საათის განმავლობაში ოთახის ტემპერატურაზე, შემდეგ გაფილტრეთ. შეგიძლიათ შეინახოთ მაცივარში, 2-3 კვირის განმავლობაში. მიიღეთ თითო-თითო ჩ/კ, ყოველ 2-3 საათში ერთხელ (უკეთესი იქნება, თუ 1/4 ჭიქა წყალში გახსენით).

## პაპრის უპაპრისობა

აიღეთ 1 ლ თაფლი, ჩააწურეთ 10 ლიმონი, ჩაახეხეთ 10 თავი ნიორი. ყოველივე ეს კარგად აურიეთ და 1 კვირის განმავლობაში თავდახურულ მინის ქილაში გააჩერეთ. შემდეგ რეგულარულად, დღეში ერთხელ მიიღეთ 4 ჩაის კოვზი (აუჩქარებლად). ეს რაოდენობა 2 თვის განმავლობაში გეყოფათ.



# მენსტრუაციის წინა სინდრომი



ხშირად პრედმენსტრუალურ სინდრომს მენსტრუაციის წინა პერიოდში ქალის ხასიათის (გუნება-განწყობილების) შესაძენვე ცვლილებას უწოდებენ. სუსტი სქესის წარმომადგენელთა გარკვეული ნაწილისთვის პრედმენსტრუალური სინდრომი დიდ პრობლემას წარმოადგენს და ხასიათის ცვლილების გარდა სხვა, უფრო სერიოზული ჩივილიც ახასიათებს.

## რა სება

პერიოდულად ვითარდება თავის ტკივილი, უძილობა, დეპრესია, უსიამოვნო შეგრძნება გულის არეში, ჰერის უკმარისობა და ტემპერატურის მატებაც კი. მენსტრუაციის წინა სინდრომის გავრცელებულ სიმპტომს ასევე წარმოადგენს წონაში მატება, სარძევე ჯირკვლების შესივება და მუცლის შებერვა, რაც ორგანიზმში სითხის შეკავებითა გამოწვეულია. ამ სიმპტომების გაჩენამ თავდაპირველად შეიძლება სხვა, გაცილებით სერიოზული დაავადება გახადოს საეჭვო, მაგრამ თუ ეს ჩივილები მენსტრუაციამდე ცოტა ხნით ადრე ჩნდება და მისი დაწყებისთანავე კლებას იწყებს, მაშინ პრედმენსტრუალურ სინდრომთან გვერდითაა საქმე.

ზოგიერთი კვლევის მონაცემების მიხედვით ქალების 85% პროცენტს პრედმენსტრუალური სინდრომი აღენიშნება, მაგრამ ამის შესახებ ყველამ არ იცის და როგორც უკვე აღვნიშნეთ, არსებულ ჩივილებს სხვა დაავადებებს ანერენ.

მენსტრუაციის წინა სინდრომის განვითარების მიზეზი ბოლომდე შესწავლილი არ არის. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ამ პრობლემას ჰორმონული დისბალანსი იწვევს.

## როგორ ვიპყარნალოთ და როგორ მოვიყავთ

მენსტრუაციის წინა სინდრომის მკურნალობის ერთ-ერთ საუკეთესო გზას ჰორმონული ფონის მონიტორინგება წარმოადგენს. გარდა ჰორმონებისა, მკურნალობის მიზნით გამოიყენება შარდმდენი საშუალებები, წნევის დამწვევი პრეპარატები, ანტიდებურესანტები, დამამშვიდებლები და სხვა.

მენსტრუალურ სინდრომთან დაკავშირებული დისკომფორტის მოხსნის რამდენიმე საშუალებას შემოგთავაზებთ:

მნიშვნელოვანია ბალანსირებული კვება. კვების რაციონში შეიტანეთ დიდი რაოდენობით ახალი ხილი, ბოსტნეული, თევზი, ფრინველის ხორცი, დაცხვილი ხორბლის პროდუქტები. შეზღუდეთ შაქრისა და მარილის მოხმარება. შაქარმა შეიძლება აღმგზნებად იმოქმედოს ქალის ნერვულ სისტემაზე, მარილმა კი ორგანიზმში სითხის შეკავება გამოიწვიოს.

ერიდეთ ალკოჰოლის მოხმარებას. ალკოჰოლი ორგანიზმში B ვიტამინისა და მინერალური მარილების მარაგს საგრძობლად ამცირებს, რაც ნივთიერებათა (ნახშირწყლების) ცვლის დარღვევას განაპირობებს. იგი ასევე აქვეითებს ღვიძლის მიერ ჰორმონების ათვისებას, რაც ესტროგენების მატებას განაპირობებს და შედეგად, მენსტრუაციის წინა სინდრომი უფრო მკვეთრად ვლინდება.

შეამცირეთ კოფეინიანი სასმელების (ყავა, ჩაი და კოლა) მოხმარება. კოფეინმა შეიძლება გააძლიეროს მოუსვენრობა, გაღიზიანებადობა და ხასიათის ცვალებადობა. ასევე მას შეუძლია სარძევე ჯირკვლების დაძაბულობის მატება გამოიწვიოს.

შეამცირეთ ხორცისა და ცხიმის მიღება. ცხიმი უარყოფითად მოქმედებს ღვიძლის მუშაობაზე. ხორცის ზოგიერთი სახეობა შეიძლება შეიცავდეს ხელოვნურ ესტროგენს.

მისდით სპორტს. ფიზიკური ვარჯიში აქვეითებს სტრესს, რადგან აძლიერებს ენდორფინის (ბუნებრივი ჰორმონი, რომელიც აუმჯობესებს გუნება-განწყობილებას) გამოყოფას. საუკეთესო შედეგს იძლევა სირბილი, კიბზე ასვლა, ველოსიპედი, აერობიკა და ცურვა. შეეცადეთ, კვირაში სამჯერ, 20-30 წუთი ივარჯიშოთ. რასაკვირველია, თუ თქვენი ჯანმრთელობა ამის საშუალებას იძლევა.

# თქვენი ოჯახის მკურნალი



# ადამიანი



## თელაველი ჯანმრთელი, შავბუსა ლამაზმანები და „მის თელავი“



### „მსოფლიო პრინსესობის“ მოლოდინში

ფოტომოდელებისა და მანეკენების სტუდია „ფავორიტი“, „დიდი შრომის ფასად და უფასოდ“, სილამაზის კონკურსებს აქტიურად მართავს. სტუდიის ხელმძღვანელი — ქალბატონი მაია ზაალიშვილი მსოფლიო თბილისელ ლამაზმანებზე როდი ზრუნავს. მან სილამაზის კონკურსი თელაველი გოგონებისთვისაც ჩაატარა, რომლის გამარჯვებულსაც — 17 წლის ლიკა მებრძევილი პრალაში, მსოფლიო სილამაზის კონკურსზე — „მის მსოფლიო პრინცესა“ გაემგზავრება.

#### ეთორ უორდანაშვილი

##### ლიკა მებრძევილი:

— მაიკო ზაალიშვილს სკოლაში შევხვდი. გამაჩერა და კონკურსში მონაწილეობა შემომთავაზა.

##### მაია ზაალიშვილი:

— სკოლაში დავდიოდი და კონკურსისთვის გოგონებს ვეძებდი. ლიკა რომ დავინახეთ, მაშინვე ხელი ვტაცეთ (ქალაქის გამგეობიდან ერთი გოგონა მახლდა)! ის მეორე დღეს დედასთან ერთად მოვიდა. აღმოჩნდა, რომ დედა კიდევ უფრო ლამაზია, ვიდრე — შვილი, მაგრამ გათხოვილ ქალს „მის თელავის“ კონკურსში მონაწილეობას ვერ შევთავაზებდი (იცინის). იმედი მქონდა, ლიკა წარმატებას მიაღწევდა, თუმცა სხვა კონკურსანტებიც ძალიან ლამაზები იყვნენ.

— სილამაზის კონკურსი მაინცდ-

ამაინც თელავში რატომ ჩაატარეთ?

— მე კახელი ვარ, ოღონდ — „დაუსწრებელი“ ანუ წინათ კახეთთან შეხება არ მქონია, მსოფლიო ექსკურსიაზე ვიყავი, რამდენჯერმე. შარშან „მის ბიკინი“ თელავში ჩავატარე, რის შემდეგაც ეს ქალაქი „ჩემი“ გახდა. მეგონა, თელაველ მაყურებელს „მის ბიკინის“ კონკურსზე ცოტა სხვანაირი რეაქცია ექნებოდა, მაგრამ ისინი ყველაფერს შემოქმედებითად მიუდგნენ. ჰოდა, ამიტომაც გადავწყვიტე, „მის თელავი“ ჩამეტარებინა, გამარჯვებული კი პრალაში, მსოფლიო სილამაზის კონკურსზე გაემგზავნა.

— ლიკა, კონკურსში მონაწილეობამდე სამოდლო სფეროში რაიმე გამოცდილება თუ გქონდა?

— არანაირი. ერთი თვის განმავლობაში კონკურსანტები სცენაზე მოძრაობას, თავდაჭერილობას ვსწავლობდით.

— ამ ყველაფერს თავი იოლად გაართვი?

— კი (იღიმის).

##### მაია:

— ლიკას ძალიან კარგი ფიზიკური მონაცემები აქვს. ვნახოთ, მსოფლიოს კონკურსზე რას იზამს... „მის თელავის“ სხვა კონკურსანტებიც არაჩვეულებრივი ბავშვები არიან! თბილისში გოგონები ზარმაცები გახლავთ — გაივლ-გამოივლიან და იღლებიან, იქ კი ბავშვებს ვერ ვლლიდით: საათ-ნახევარი ვამეცადინებდით, მაგრამ მაინც გვთხოვდნენ, — მასწ, კიდევ დავრჩებით, რაო! როგორც ჩანს, სუფთა ჰაერზე რომ იზრდებიან, უფრო ჯანმრთელები არიან (იცინის). რამაც ყველაზე მეტად გამაოცა, ისაა, რომ თელავში არც ერთ ბავშვს სკოლიოზი არ ჰქონდა: ლამაზები, გამართლები, შავტუხები არიან!..

— ლიკა, ეს შენი კანის ბუნე-





**ბროვი ფერია თუ გარუჯული ხარ?**

— ცოტათი გავირუჯე: დედიკოსთან და მის დაქალებთან ერთად ზღვაზე ვიყავი.

**— შენი დედიკოს სილამაზის შესახებ ქალბატონმა მაიამ აღნიშნა. საინტერესოა, დედა რას საქმიანობს?**

— საპატრულო პოლიციაში მუშაობს.

**— ალბათ, მისი შიშით თაყვანისმცემლები არ განუხებენ...**

— არა, არ მანუხებენ, შესაბამისად — დედის ჩარევაც არასოდეს დამჭირვებია.

**— შეყვარებული გყავს?**

— კი.

**— დარწმუნებული ვარ, გაუხარდა, კონკურსში რომ გაიმარჯვე...**

— კი, გაუხარდა, მაგრამ მაშინ შეყვარებულები არ ვიყავით. კონკურსზე ისე მგულშემამტკივრობდა, როგორც მეგობარს, მერე კი მივხვდი, რომ ის „ის“ იყო (იციინის)...

**— კონკურსზე კიდევ ვინ გგულშემამტკივრობდა?**

— დედ-მამა, დეიდაშვილი, ბებიები, პაპები, დეიდა, მამიდა (დედ-მამიშვილი არ მყავს). ყველანი ნერვიულობდნენ, მაგრამ ყველას სურდა, კონკურსზე ბედი მეცადა.

**— შენ არ ნერვიულობდი?**

— მხოლოდ პირველი გამოსვლისას, მერე კი ძალიან თავისუფლად გავდიოდი.

**— ეს მაყურებლის დამსახურებაა?**

— კი. ყველა კონკურსანტს ოვაციებით გვხვდებოდნენ, მხარს გვიჭერდნენ. პირველად საქორნილო კაბებით გავვდი, შემდეგ — თეთრი მაისურებით და „ელასტიკებით“, მერე — კოქტილის კაბით, ბოლოს კი საღამოს კაბა გვეცვა.

**— შენს გამარჯვებას თანაკლასელები, მასწავლებლები როგორ შეხვდნენ?**

— ჩემს კლასელებს ძალიან გაუხარდათ, მასწავლებლებს — უფრო მეტად, რადგან სკოლა „გამოჩნდა“ (იციინის).

**— სკოლაში სწავლის გარდა, კიდევ რას საქმიანობ?**

— მოდელია ჩემი მეორე საქმე გახდა, თავისუფალ დროს კი მეგობრებთან ერთად ვატარებ. სპორტით არ ვარ დაკავებული, რადგან ამის დრო არა მაქვს — ვსწავლობ.

**— სურვილი?**

— არც სურვილი. მიჩვევია, თავისუფალი დრო საყვარელ ადამიანებთან ერთად გავატარო.

**— თავს როგორ უწვლი?**

— ისევე, როგორც ჩემი ასაკის თითქმის ყველა გოგონა: ვცდილობ, ყოველდღიურად მაკიაჟი არ გავიკე-

თო და სახის კანი არ გავიფუჭო.

**— უბრატესობას ჩაცმის როგორ სტილს ანიჭებ?**

— სპორტულს, მაგრამ კლასიკურად ჩაცმაც მიყვარს — გააჩნია, სად მივდივარ.

**— აქსესუარები გიყვარს?**

— საყურეები და ბეჭედი მიყვარს.

**— მოდელიობის გარდა, კიდევ რა პროფესია გაქვს არჩეული?**

— მინდა, წარმატებული იურისტი და მოდელი ვიყო! 2 საქმეს ერთმანეთს ისე შევუთავსებ, რომ ყურადღებას არც არ ერთს მოვაკლებ.

**— თელავის სამოდელო სფეროში რა ხდება?**

— მაიკოს თელავში ფოტომოდელებისა და მანეკენების სტუდია „ფავორიტის“ ფილიალი აქვს გახსნილი, სადაც მეც დავდიოდი.

**— მანია:**

— ყველაფერი მხოლოდ თბილისელებისთვის რატომ უნდა იყოს?! „მის თელავი“ ყოველ წელს უნდა ჩატარდეს!

**— თელავში მოდის სფეროს განვითარებისთვის კარგი გარემოა?**

— კი. ამ სფეროს აუცილებლად განვითარებთ დიდი შრომის ფასად და... უფასოდ (იციინის)!

**— სპონსორი არ გყავთ?**

— ჩემმა „სპონსორებმა“ იცი, რა მითხრეს? უსპონსოროდ ყველაფერს ისე კარგად აკეთებ, რომ ჩვენი დაფინანსება არ გჭირდებაო ანუ უკვე აბუჩადაც მიგდებენ (იციინის). ამაზე აღარ ვნერვიულობ, რადგან უკვე საკმარისად ვინერვიულე. იმედია, სიტუაცია გამოსწორდება. ჯერჯერობით, ცარიელი ენთუზიაზმით ვმუშაობთ...

**— ლიკა, პრალაში გასამგზავრებლად როგორ ემზადები?**

— ჩემს ჩაცმულობაზე დიზაინ-

ერი მაკა ვეკუა იზრუნებს, რომელიც ნაციონალური და კოქტილის კაბებს შემიკერავს.

**— მანია:**

— ქართული ეროვნული სამოსი ძალიან ლამაზია, მაგრამ სცენაზე ეფექტური არ არის. ვეცდები, მასში ისეთი შტრიხები შევიტანო, რომ სამოსი ეფექტური გახდეს (ქართველებს ბოდიშს ვუხდის). მინდა, ქართულმა ეროვნულმა სამოსმა ნომინაციაში — „საუკეთესო ნაციონალური კაბა“ გაიმარჯვოს.

**— მანია:**

— ბევრ დიზაინერთან ვურთიერთობ, მაგრამ მაკას მიერ შექმნილ კაბებს მაშინვე ვცნობ. ნაქარგი, ნახატი — მის კაბებში ყველაფერი ერთადაა. ძალიან ლამაზი და ეფექტურია! ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა ქართულმა ნაციონალურმა კაბამ მსოფლიო კონკურსზე გაიმარჯვა. გაგიკვირდებათ და, ის კაბა მანეკენს დედამისმა შეუკერა — ჩვენთან ასეთი რალაცებიც ხდება (იციინის). ერთხელ ნაციონალური კაბა ვერ ვიშოვეთ და კონკურსანტს საზღვარგარეთ ჩემი „რკინის კოლექციიდან“ გავატანეთ რალაც. კაბა ხუთეულში მოხვდა... ახლა მაკა ძალიან საინტერესო სამოსს ქმნის. ვნახოთ, რა იქნება...

**— ლიკა, პრალაში როდის მიემგზავრები?**

— 25 სექტემბერს 10 დღით მივემგზავრები.

**— მანია:**

— თუკი რომელიმე ნომინაციაში გაიმარჯვებს, კიდევ 9 დღის განმავლობაში, ხმელთაშუა ზღვის კრუიზი ელის.

**— ლიკა, იმედია, ქართველებს გვასახელებ. წარმატებას გისურვებ!**

— დიდი მადლობა!





# ვენაში გაყოლილი გადღი, შეხვედრა ჩარლი ჩავლინის ქალიშვილთან და ავსტრიელის ნაგლეხი „თბილისო“



ანი აკოლაკა

## ასპინძა და ფრთაშეხებული ოცნება

დავიბადე დაბა ასპინძაში. საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალში, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ფაკულტეტზე ჩავაბარე. სწავლის პერიოდში ერთნაირი აკადემიური ავიღე, რაც გერმანიაში ენის კურსების გასავლელად გამოვიყენე. უმაღლეს-დამთავრებულმა ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობაში, აპარატის სპეციალისტად დავიწყე მუშაობა. გერმანული ენის სრულყოფილად დაუფლების შემდეგ ვერ მოვისვენე და ინგლისურის შესწავლა მომიწია. ჰოდა, გამომდინარე იქიდან, რომ ბუნებით თავგადასავლების მოყვარული ვარ, ისევე საზღვარგარეთ წასვლა გადაწყვიტე და ჩემს ოცნებას ფრთები შევასხი — 2009 წლის 25 ოქტომბერს ავსტრიის დედაქალაქის აეროპორტში დავდგი ფეხი.

**მოგზაურობის სანი და ლამის პარიზი**  
დაღემდე ვცხოვრობ მე-

გობართან, ტატიანა ვოლფსბერგერთან, რომელიც საკმაოდ წარმატებული და გავლენიანი ოჯახის შვილია. მამამისი — ვალტერ ვოლფსბერგერი ავსტრიის ყოფილი ელჩი და „სიმენსის“ ყოფილი პრეზიდენტი. ვსწავლობ საერთაშორისო ბიზნესკოლეჯში, ვიღრმავებ ინგლისურისა და გერმანული ენების ცოდნას. გარდა ამისა, ვმუშაობ — ჩემი მეგობარი ადგილობრივი შაქრის ქარხნის მენეჯერია და მისი ასისტენტი მყოფა ვასრულებ.

მოგზაურობისა და თავგადასავლების სენმა არ გამიარა, ჰოდა, როგორც კი შესაძლებლობა მომეცემა, ხან საფრანგეთს მივამოხებ, ხან — იტალიას, ხანაც — გერმანიას... ჰოლანდიაში, ჩეხეთსა და უნგრეთშიც ვყოფილვარ.

პარიზში ყოფნისას, ლამით სეირნობის დროს გოგონებს გზა აგვებნა, დავიბენით და სასტუმროს ვერ მივაგენით, არადა, უკვე ლამის 4 საათი იქნებოდა. უეცრად შევნიშნე, ვიღაც ბიჭი დაჟინებით გვიყურებდა. ვიფიქრე, რამე ცუდი არ მომიქმედოს-მეთქი. უეცრად, იმ ბიჭმა ქართულად დაგვიძახა, — ქართველები ხართ? მოკლედ, მასთან შეხვედრამ ძალიან გაგვახარა. ცხადია,

თანამემამულემ სასტუმრომდე მიგვაცილა.

## დიდი პიანისტი და შეხვედრა ჩარლი ჩავლინის ქალიშვილთან

სმირად დაგვივარ თეატრში, კონცერტებზე, გამოფენებზე, ვეცნობი ავსტრიულ კულტურას... მოკლედ, არაჩვეულებრივ გარემოში ვცხოვრობ. ავსტრიელ მეგობრებს საქართველოზე ბევრს ვუყვები და ერთად ვსტუმრობთ ხოლმე ქართულ რესტორანს ვენაში. სასაცილოა, მაგრამ მათი უმეტესობა ჩვენი ქვეყნით ისე დაინტერესდა, რომ საქართველო ძილშიც ელანდებოდა და აქ სტუმრობას გვგმავენ.

ჩემი ერთი გერმანელი მეგობარი კიოლნის ფილარმონიის მენეჯერია და გერმანიაში სტუმრობისას, საშუალება მომცა, ცნობილი ჩინელი პიანისტის — უეშიბას კონცერტს დავესწრებოდი. ვიდრე კონცერტი დაიწყებოდა, ფილარმონიის კაფეს ვესტუმრე და ოფიცინანტს ყავა შეუუკვეთე. გვერდით ვილატე ჩინელი ქალი მომიჯდა, რომელიც გერმანულად დამელაპარაკა. მითხრა, რომ გერმანიაში ცხოვრობდა და მუშაობდა. სხვათა შორის, მკითხა, — თუ იცნობ, ვის კონცერტს ესწრები? ვუპასუხე: მისი გვარი გამიგონია, მაგრამ არ ვიცნობ-მეთქი.

ბოლოს, ერთმანეთს დავემშვიდობეთ და წარმატებები ვუსურვეთ! ამა-სობაში კონცერტის დანყების დროც დადგა და დარბაზში შევედი. სცენაზე გამოჩენისთანავე, პიანისტს მთელი დარბაზი ფეხზე წამოუდგა, ტამისკვრით შეეგება... გავოცდი, როცა ეს პიანისტი სწორედ ის, ჩემი ჩინელი თანამოსაუბრე აღმოჩნდა. კონცერტის შემდეგ მას კვლავ მოვკარი თვალი; თავა-



ავსტრიელ მეგობრებს საქართველოზე ბევრს ვუყვები და ერთად ვსტუმრობთ ხოლმე ქართულ რესტორანს ვენაში



დაც შემამჩნია, გამიღიმა, თვალი ჩამიკრა და წავიდა.

გერმანიაშივე, დიუსელდორფში ყოფნისას დავესწარი „საილუსტრაციო თეატრის“ სპექტაკლს — „უჩინარი ცირკი“, რომელშიც ჩარლი ჩაპლინის ქალიშვილი, ვიქტორია ჩაპლინი მონაწილეობდა. სპექტაკლის დასრულები-

### როგორ ღიღინებდა ავსტრიული მამაკაცი „თბილისო“

ზაფხულის ერთ საღამოს ქართველი მეგობრები მეწვივნენ. კარგად მოვილბინეთ, შემდეგ პიანინოს მივუჯექი და ყველამ ერთად „თბილისო“ ვიმღერეთ; მას სხვა სიმღერებიც მოჰყვა. მოკლედ, ჩვენი „შინაკონცერტი“ გავმართეთ, რომელიც ისევ „თბილისოთი“ დავხურეთ.

მეორე დღით ეზოში საფოსტო ყუთის სანახავად ჩავვედი. ერთი ავსტრიელი მეზობელი მანქანას წმენდა და თან, „თბილისოს“ ღიღინებდა. გაკვირვებულმა შევხედე, მანაც შემომხედა, გაიღიმა და ღიღინი განაგრძო (იცინის). მას შემდეგ, როგორც კი ის ავსტრიელი დამინახავს, მაშინვე „თბილისოს“ ღიღინს იწყებს.

### ვინაში გაყოლილი უწინდისი ადელი

საქართველო მენატრება, საქართველოსთვის მუდამ ვლოცულობ და მინდა, ეს ქვეყანა ბედნიერი იყოს. ჩვენ ხომ ქართველები ვართ და ქართველობა უბრალო საქმე როდია! ერთი რამ მახსენდება: ვარძიაში მყავს მოძღვარი. მასთან შაბათ-კვირას ავდიოდი ხოლმე. ვიდრე ავსტრიიდან მოწვევა მომივიღოდა, რალაც პრობლემები შემექმნა, მოწვევაც აგვიანებდა და ვწერე ულობდი. ამ ყველაფრის გამო მოძღვართან მისვლაც ვერ მოვახერხე. ბოლოს, როგორც იქნა, ვარძიაში ჩავვედი და კურთხევა მივიღე. ჰოდა, მოწვევაც სწორედ იმ პერიოდში მომივიდა — ეს ნამდვილი სასწაული იყო.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისგან, ილია მეორისგან დალოცვას ვიყავი დანატრებული. ერთხელაც, როცა უწმინდესი და უნეტარესი ტაძრიდან ეზოში გამოდიოდა, ვიყვირე: უწმინდესო, დამლოცეთ-მეთქი! გაიგონა, შეპობრუნდა, გამიღიმა და დამლოცა!.. ეს იყო უდიდესი მადლი, რომელიც დღემდე მომყვება. ვენაში არის ქართული ტაძარი, სადაც სალოცავად ხშირად დავდივარ და ღმერთს ერთს შევთხოვ, — ბედნიერ საქართველოში დამაბრუნე-მეთქი!..

# სტუდენტი გოგონას „გერმანული“ ცხოვრება და წამახალისებელი თამაში — ცხოვრებთან ერთად

სათუნა ჰართმანი უკვე კარგა ხანია, გერმანიაში ცხოვრობს და ჰამბურგის უნივერსიტეტში სწავლობს. ის 7 წელია, გერმანელების რძალია და ამჟამად 6 წლის ლუკას აღზრდითაა დაკავებული. სათუნას მეორე ნახევარი — იორგ ჰართმანი მეუღლის წყალობით, საქართველოში მართლმადიდებლად მოინათლა.

## „NOTE-BOOK ბავშვს აონცენტრაციაში უზღის ხელს“

### თამაშა დაღუპული

— გერმანიაში პირველად 1998 წელს, „აუ-პაირ“ პროგრამით წავედი. მინდოდა, იქაურ უნივერსიტეტში მესწავლა, მაგრამ ვინაიდან თბი-



ლისში კერძო სასწავლებელი მქონდა დამთავრებული, არ მიმიღეს. ერთი წლის შემდეგ, როცა თბილისში დავბრუნდი, კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩავაბარე, სადაც 2 წელი ვსწავლობდი, მერე კი საბუთები ჰამბურგის „Studien Kolleg“-ში გავგზავნე, საიდანაც დადებითი პასუხი მივიღე. ჰამბურგის უნივერსიტეტში ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე მიმიღეს. სამი სემესტრის შემდეგ მეორადი ფაკულტეტი უნდა ამერჩია, ფსიქოლოგია და აღმზრდელობითი მეცნიერება ვამჯობინე. ახლა მაგისტრატურაში ვსწავლობ და ვწერ თემას — „შუა საუკუნეების საეკლესიო არქიტექტურა საქართველოში“.

— ანუ გერმანელებს ქართულ კულტურას აცნობ?

— დიახ. აქ მართლაც, ჩვენს კულტურას ნაკლებად იცნობენ.

— როგორ ცხოვრობენ სტუდენტები ჰამბურგში?


— სწავლობენ და თან მუშაობენ — რესტორანში, რომელიმე ბიუროში, ავეჯის ან ყავის სახლში, ბავშვის მოძველელად და ა.შ. ისინი ყველა გადასახადს თავადვე იხდიან. აქ შრომის ანაზღაურება ნორმალურია. რაც შეეხება ბინას, არის იაფფასიანი სტუდენტური საერთო საცხოვრებლები, სადაც ცხოვრების უფლება 30 წლამდე ასაკის სტუდენტებს აქვთ; ან რამდენიმე სტუდენტი ერთობლივად ქირაობს საცხოვრებელ ფართობს, რომლის ფასიც უბნების მიხედვით განისაზღვრება... თუ სტუდენტურ გადასახადს იხდი, ბევრი შელავათი გაქვს — მგზავრობა, მუზეუმების დათვალიერება და ა.შ. უფასოა. ბევრი წამახალისებელი პროგრამაც აქვთ. მაგალითად, მთავრობის სახლში გვექონდა შეხვედრა ჰამბურგის მეცნიერებისა და კვლევის სენატორთან, ჰერლინდ გუნდელაჰთან. ამ სახლს საუკუნეების ტრადიცია აქვს — წესით, ყველანი ნაციონალური ტანსაცმლით უნდა მივსულიყავით: ერთი გოგონა „ქართული ცეკვის“ კაბაში გამოეწყო, ბრაზილიელები — ფეხბურთელების ფორმაში, მე ჩვეულებრივი კლასიკური კოსტიუმით მივედი. ძალიან კარგად მიგივიდეს, ჯერ „შექტი“ დაგვაღვივინეს, შემდეგ უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა ჰანს შიეგფრიედ შტიეჰლმა ისაუბრა, ორმა კურსდამთავრებულმა საკუთარი გამოცდილებაც გაგვიზიარა, ამას ალა-ფურშეტიც მოჰყვა. მოკლედ, საინტერესო შეხვედრა იყო. სტუდენტებმა პროფესორ ჰერმან შიპთან ერთად გამოვეცით წიგნი — „ჩამპუს პროექტი“, სადაც ჰამბურგის უნივერსიტეტის ისტორიაა გადმოცემული...

— გერმანელებს როგორი ტრადიციები აქვთ?

— ვერ ვიტყვი, რომ რაიმე განსაკუთრებული ტრადიცია აქვთ, მაგრამ ერთს კი აღვნიშნავ: ყოველ შაბათ-კვირას, ქალაქის ზოგიერთ უბანში იმართება ბაზრობა — ხალხი იმას ყიდის, რაც ალარ სჭირდება



და რისი გადაგდებაც ენანება. სხვათა შორის, ამ ბაზრობებზე ძალიან ბევრ ანტიკვარულ საქონელს შეხვდებით. ასევე იმართება ქუჩის



ლუკა წელს პირველ კლასში მივიდა...

დღესასწაულები — გადაკეტავენ ქუჩებს და კონცერტებს მართავენ, გამვლელებს ტკბილეულსა და საჭმელს სთავაზობენ... მუზეუმებში ბავშვებისთვის გასართობი პროგრამები ტარდება; ბაიერნი ცნობილია „ოქტომბრის ლუდის სმის დღესასწაულით“. გერმანელები სტუმართმოყვარეები არიან, მაგრამ ზუსტად უნდა იცოდნენ, რამდენ კაცს ელოდებიან, რათა მათ გაუმასპინძლდნენ და მოესიყვარულონ.

**როგორც ვიცი, უნივერსიტეტიდან ექსკურსიებზეც ხშირად დადისართ...**

— დიახ. ჩვენ იტალიაში, ფლორენციაში ვიყავით და 2 კვირა მონასტერში ვცხოვრობდით. საუზმის შემდეგ, დილის 10-დან საღამოს 8 საათამდე ლექციებზე სხვადასხვა ქალაქში დავდიოდით. ფლორენციის გარდა, პიზაში, არეცოში, კოროტინაში, პისტოიაში ვიყავით. ყველაზე საინტერესო, რაც განსაკუთრებულად დამამახსოვრდა, იყო მმართველობის სახლი უფიციში, სადაც ლეონარდოს, მიქელანჯელოს სურათები ინახება. იტალია ხელოვნების ქვეყანაა ანუ საითაც ნაბიჯს გადადგამ, ყველგან ხელოვნების ნიმუშს ნააწყფები... მიქელანჯელოს სახლშიც ვიყავით, სადაც მისი ციციქნა ფესხაცმელები ვნახეთ — თურმე, ჩია ტანის კაცი ყოფილა (იციან).

**იტალიელები გაიცანით?**

— მხოლოდ მუზეუმებში. სხვათა შორის, ქართველებს ჰგავნან — ყურადღებიანები, სტუმართმოყვარეები არიან. ფლორენცია ტურისტული ქალაქია და შესაბამისად, იქ ადგილობრივებზე ხშირად, ტურისტები გვხვდებოდნენ... იტალიელები უმალლეს დონეზე იმოსებიან: ქალებს კლასიკურად, სოლიდურად ეცვათ — მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი, პიჯაკი, მოკლე კაბა, ხოლო გერმანელები სპორტულ სამოსს, ჯინსსა და ბოტასს ანიჭებენ უპირატესობას.

**გერმანელებს როგორ დაახასიათებ?**

— რომ ამბობენ, — გერმანელები ცივი ხალხიაო, ასე არ არის. ძალიან თბილი, ზრდილობიანი, თავაზიანები არიან და დახმარებაზე უარს არ გეტყვიან. აქ მოსახლეობის უმეტესობა სამუშაოთი უზრუნველყოფილია, ხოლო ის, ვისაც სამსახური არა აქვს, სახელმწიფო დახმარებას იღებს.

**ქუჩაში მათხოვრები თუ არიან?**

— აქ ძირითადად, ის მათხოვრობს, ვისაც სმა უყვარს. გერმანიაში არსებობს დაწესებულება „დიაკონი“, რომელიც მშვიდ, უპოვარ ხალხს თავშესაფრით უზრუნველყოფს. მათ ყოველთვიურად, გარკვეული თანხითაც ეხმარებიან.

**ჰამბურგში ქართული სათვისტომო თუ არსებობს?**

— აქ ადრე სისტემატურად იმართებოდა „კავკასიური დღეები“, მაგრამ ბოლო დროს „გავზარმაცდით“. ხანდახან ჩვენთან ქართველი მოძღ-

ვარი ჩამოდის და წირვას ატარებს — სამწუხაროდ, ეს ძალიან იშვიათად ხდება, რადგან ამის საშუალება არ არის... გერმანიაში ძალიან კარგი რუსული ეკლესიაა, სადაც ქართველი გოგონები გალობენ. მოკლედ, თუ გინდა, აქ ქართველს შეხვდე, დღესასწაულზე ეკლესიაში უნდა წახვიდე.

**ახალგაზრდობა როგორ ერთობა?**

— ძირითადად, ლათინურ „ფართიზე“ დადიან, მაგრამ აფრიკულიც „მოდაშია“.

**შენი შვილი, ლუკა გაგვიცანი...**

— ლუკა წელს პირველ კლასში მივიდა... სხვათა შორის, ბაღში კარგად მოამზადეს — მუზეუმებში, თეატრებში დაჰყავდათ, წელიწადში ერთხელ კი 5-დღიან ექსკურსიაზე, აღმზრდელებთან ერთად ვუშვებდი. პატარები უფროსებთან ერთად ამზადებდნენ საჭმელს, აცხობდნენ ნამცხვარს, ტყეში დადიოდნენ — ამ ყველაფრის წყალობით ბავშვი დამოუკიდებლობას ეჩვევა.

**საქართველოში, პირველკლასელები NOTE-BOOK-ის დახმარებით შეიძენენ ცოდნას...**

— გერმანიაში კი მიიჩნევენ, რომ NOTE-BOOK ბავშვს კონცენტრაციაში უშლის ხელს. სწავლა ძირითადად, თამაშ-თამაშით ხდება. და კიდევ — ყველაფერს ხატავენ, რათა ფანტაზიის უნარი განუვითარდეთ.

**გამოდის, ყველა გერმანელი ბავშვი პატარა მხატვარა...**

— კი, ასეა (იციან). აქ დიდ ყურადღებას უთმობენ ხატვას, ძერწვასა და მსგავს რალაცებს. ლუკას სკოლა ტყესთან ძალიან ახლოსაა. იქვე დიდი ეზოა, სადაც ცხვრებიც ჰყავთ. ჰოდა, რომელი ბავშვიც კარგად მოიქცევა და ისწავლის, მას ცხოველებთან თამაშის უფლებას აძლევენ... სხვათა შორის, აქ ავტობუსებში სპეციალური თაროებიც დამონტაჟებული, სადაც წიგნები დევს და ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, სასურველი ლიტერატურა აიღოს, წაიკითხოს; ხოლო თუ წიგნი ძალიან მოგეწონება, შეგიძლია, წაილო კიდევ, მაგრამ სანაცვლოდ სხვა წიგნი უნდა დატოვო.

**შენი პროფესიით სამსახური რომ შემოგთავაზონ, საქართველოში დაბრუნდები?**

— დიდი სიამოვნებით (იციან)!

— წარმატებებს გისურვებ!



მთავრობის სახლში გვექნა შეხვედრა ჰამბურგის მეცნიერებისა და კვლევის სენატორთან, პერლინდ გუნდელაპთან



# მოლაპატიმრობა და მასდური ტექნიკა

ანუ „მოხილური ტელეფონისა და კომპიუტერის მიხედვით ხვედრი“

ბოლოს დროს გასართობ საიტებს არა მხოლოდ თინეიჯერები, არამედ უფროსებიც ხშირად სტუმრობენ, მაგრამ ეს გაკვირვებას არც უნდა იწვევდეს, რადგან თანამედროვე ტექნიკის მიღწევები მართლაც რომ მაცდურია. აბა, წარმოიდგინეთ: ხართ დიასახლისი ან უმუშევარი მამაკაცი, მთელი დღე გინევთ შინ ჯდომა და უსაქმურად მყოფი იძულებული ხართ, ან ტელევიზორს მიაშტერდეთ, სადაც მხოლოდ სერიალები გადის, ან კომპიუტერს ჩაუჯდეთ იმ იმედით, რომ ახალ, საინტერესო ამბებს გაიგებთ, ან სულაც, ინტერნეტში თქვენთვის სასურველ ვაკანსიას წააწყდებით, რომელს აირჩევთ?.. მაგრამ თითოეულ ჩვენგანს ერთი რამ ავიწყდება: გასართობ საიტებზე შესულს მალე აღარ გახსოვს, რისთვისაც მიუჯექი კომპიუტერს და თუ არავინ შეგიშალა ხელი, შესაძლოა, ჩეთაობაში თავზეც კი დაგათენდეს.

## ლიკა ქავიაძე

აი, სწორედ ამ გასართობის წყალობით ბევრმა გაიჩინა ვირტუალური მეგობარი („ვირტუი“ ხომ, როგორც ამბობენ, ურთიერთობა საოცრად ადვილია) და სამწუხაროდ, ბევრი ოჯახიც დაინგრა: ზოგი უმიზეზოდ, ზოგიც — რალაც მიზეზით და ამ ყველაფრის გამო, ძირითადად, დანგრეული ოჯახის შვილები ზარალდებიან. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ბევრი მათგანი გვიკავშირდება და საკუთარ გულისტკივილს თამამად გვიზიარებს...

დღე, 16 წლის:

— 2 წლის წინ ჩემი მშობლები ერთმანეთს დაშორდნენ, ამ ყველაფერში დამნაშავე კი მობილური ტელეფონია... თურმე, თავის დროზე, დედას შეყვარებული ჰყოლია, რომელმაც მოულოდნელად, სხვა შეირთო ცოლად. ჰოდა, დედას რაღა დარჩენოდა? — „ლოვე“ გამოიგლოვა და მერე თავყანისმცემლებსაც გადააელო თვალი, — იქნებ საჩემო ვინმე იყოს და მას გავყვე ცოლადო, მაგრამ მის გაყინულ გულს არავინ მიეკარა. წლების შემდეგ შეხვდა მამაჩემს და მიხვდა, რომ ის უნდა ყოფილიყო მისი ცხოვრების მეგობარი. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, დედ-მამა დაქორწინდა, მერე მე გაფრინდი, მოგვიანებით კი ჩემი ძამიკო, ლევანი მოეწვინა ქვეყნიერებას. არასდროს მიგრძნია, რომ დედას მამა არ უყვარდა, მაგრამ თურმე, თუ ქალი მოინდომებს, ყველაფერს ადვილად დამალავს... არ ვიცი, წლების შემდეგ საიდან მოაგნო იმ ჩემი ცოდვით სავსე ძველმა სიყვარულმა, მაგრამ ფაქტია, დედა მასთან შეხვედრის შემდეგ შეიცვალა, ბოლოს კი შვილები, ოჯახი მიატოვა და მას გაეკიდა...

— მობილური ტელეფონი რა შუაშია?

— მობილური რომ არ არსებობდეს, ის კაცი დედას ასე იოლად ვერ მისწვდებოდა, მის გულს ვერ მოგვპარავდა. მოკლედ, დაახლოებით 3 წლის წინ დედას ვილაც კაცმა დაურეკა. ტელეფონი მე ავიღე და როცა მშობლის ბავშვობის სახელი მიხსენეს, დედას ვახარე: ვილაც შენი ბავშვობის მეგობარი გირეკავს, მე არ ვიცნობ-მეთქი. დედამ ტელეფონი გამომართვა და როგორც კი იკითხა, — ვინ ბრძანდებითო? — და იქიდან რალაც უპასუხეს, მაშინვე ფერი ეცვალა, ენა დაეხა და ტელეფონი გათიშა. ვკითხე: ხომ მშვიდობაა-მეთქი? — კიო, — მიპასუხა, მაგრამ როცა ტელეფონმა ხელახლა დარეკა, მეორე ოთახში გავარდა, რათა მისი ლაპარაკი არ მომესმინა, თუმცა მიყურადებულმა გარკვევით გავიგონე, რომ ვილაცას ეჩხუბებოდა: ჩემი თავი ახლა რამ გაგახსენა? მე ოჯახი მყავს, ანგელოზით შვილები მიმწვევენ ცხოვრებას. იცოდე, აღარ დამირეკოო. მაგრამ ფაქტია, ის ვილაც თავს არ ანებებდა და დედაც, იმ დღის შემდეგ, ხშირად იკეტებოდა თავის ოთახში და ვილაცას საათობით ელაპარაკებოდა, დღე და ღამე მესიჯობდა, მაგრამ „ესემესს“ ტელეფონში არ ინახავდა, ყველაფერს სასწრაფოდ შლიდა, რათა ჩვენ, ოჯახის წევრებს არ წაგვეკითხა. მართალია, ეჭვები მღრღნიდა, მაგრამ ვერაფრის თქმას ვერ ვბედავდი, მშობელს მხოლოდ შორიდან ვუთვალავდები. მერე ჩემი ეჭვი ძმას გავანდე, რომელმაც დედა მამასთან

დააბეზლა, მაგრამ ვინაიდან მამამ დედას უცნაური ცვლილება ვერ შეატყო და მის ტელეფონშიც საეჭვო ვერაფერი იპოვა, ამიტომაც, ეს ყველაფერი ბავშვური ფანტაზიის ნაყოფად მიიჩნია. ამის გამო ძმამაც მისაყვედურა: ბატი ხარ, უმიზეზოდ ეჭვიანობ და მეც გამიჩინე ეჭვის ჭია. ანი აღარაფერს დაგიჯერებო, მაგრამ სულ მალე, ისიც და მამაც მიხვდნენ, რომ ჩემი ეჭვი უსაფუძვლო არ იყო...

მოკლედ, თავდაპირველად დედას ცვლილებას მხოლოდ მე ვატყობდი: ის ისევე ელოდებოდა მესიჯს და ტელეფონის ზარს, როგორც მე — შეყვარებულისგან მიღებულ „ესემესს“. ერთხელ გავიგონე, ვილაცას უთხრა: ბავშვები სკოლაში რომ წავლენ, მაშინ გნახავო. მეორე დღეს სკოლაში



არ წავედი, მთელი დღე დედას დავდევი უკან. ცოტა ხანში ის რაიონში გაემგზავრა. სამწუხაროდ, სამგზავრო ფული არ მქონდა და ვერ გავყვი, მაგრამ მივხვდი, პაემანზე წავიდა. გადაცნევიტე, ფული შემეგროვებინა, რათა შემდეგში მაინც გავყოლოდი და მენახა, ვის ხვდებოდა, მაგრამ სამწუხაროდ, ეს მომდევნო პაემანზეც ვერ მოვახერხე. იმ დღის შემდეგ დედა უკან აღარ დაბრუნებულა — ჩვენ, ქმარი და შვილები „დაგვიკიდა“ და ბავშვობის სიყვარულს გაჰყვა ცოლად. ახლა ისინი ბედნიერად ცხოვრობენ, ერთი წლის პატარაც ჰყავთ, ჩვენ კი არც გვიცხულობს. მამამ ცოლის ლალატის



შესახებ რომ გაიგო, კი ინანა, — რატომ არ დაგიჯერეო, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

— **მობილური რომ არ ყოფილიყო, ის კაცი დედაშენს სადმე მაინც შეხვედებოდა და ალბათ, მოსახდენიც მოხდებოდა...**

— ჰო, ალბათ მართალი ხარ, მაგრამ მობილურის გარეშე ბევრ რამეს ვერ მოახერხებდნენ და შესაძლოა, მათი ამბავიც თავის დროზე გამჟღავნებულიყო... ახლა მამას ვუჩიჩინებ, ცოლი მოიყვანოს, მაგრამ ვიცი, ეს არასდროს მოხდება — მას ისევე უყვარს დედა და ცოლმა პატიება რომ სთხოვოს, ხელს არ ჰკრავს... სხვათა შორის, დედას საქციელი არც მისმა ძმამ და მშობლებმა გაამართლეს, ასე რომ, მან ისინიც დაკარგა, თუმცა არა მგონია, ამას ძალიან განიცდიდეს — ქალს, რომელსაც შვილების ბედი არ ანაღვლებს, არა მგონია, ვინმეს შეეყვარება შეეძლოს!

— **მაგრამ სიყვარული რომ არ შეეძლოს, იმ კაცს ხომ არ აედევნებოდა?**

— ეგ სიყვარული კი არა, ვნებაა! დედაჩემი ავხორცმა ვნებამ შეიპყრო და დააბრმავა. წლების შემდეგ, როცა რალაცების თავი არ ექნებათ, მიხვდება, რომ შეცდომა დაუშვა და შესაძლოა, მე და ჩემს ძმას პატიებაც გავთხოვოს, მაგრამ უკვე გვიანი იქნება — ყოველ შემთხვევაში, მე მას არავითარ შემთხვევაში არ მივიღებ! **ნიაჟო, 17 წლის:**

— მას შემდეგ, რაც მამამ კომპიუტერი იყიდა, დედა დავკარგეთ. მანამდე ის მე და ჩემს ძმას სკოლის კართან გვხვდებოდა, შინ თბილ სადილს გვახვედრებდა, ჩვენი ტანისამოსიც სულ წესრიგში იყო და მამასთანაც არ მოსდიოდა ჩხუბი, მაგრამ მერე ყველაფერი შეიცვალა... ერთხელ დედა თანამედროვე ტექნიკის დანტერესდა, ინტერნეტში შესვლა ვასწავლეთ, „სკაიპშიც“ დავარეგისტრირეთ, მერე „ოდნო“ გაუხსენით, ბოლოს კი „ფეისბუქზეც“ გაჩერთეთ და ამით არა მარტო ის, არამედ მთელი ოჯახი დავლუპეთ. დედა საოცრად გაზარმაცდა — იმის ნაცვლად, რომ სახლის საქმეები აკეთოს, მონიტორს მიშტერებულს ისიც კი ავიწყდება, რომ ქმარ-შვილი ჰყავს. გასაგებია, რომ განტვირთვა სურს, მაგრამ ეს მეტისმეტია და ამის გამო მამასთანაც მოსდის ჩხუბი. მართალია, მამას თანდასწრებით ვიცავ და

ვამბობ, რომ ის ტყუილად ეჭვიანობს, მაგრამ თავადაც ვიცი, სისულელეს ვაკეთებ.

— **რას გულისხმობ?**

— მეშინია, დედამ მამას არ უღალატოს და ოჯახი არ დაგვეგრეს. ზოგჯერ სურვილი მიჩნდება, კომპიუტერი მოვიშორო და გავაფუჭო, მაგრამ ეს როგორ გავაკეთო, როცა მეც მჭირდება?! ხშირად დედასთან მექმნება კონფლიქტი იმის გამო, რომ მეცადინეობის საშუალებას არ მაძლევს — რალაც ნაწარმოებებს ინტერნეტში ვნახულობ ხოლმე, დედას კი არ უნდა, ჩეთაობა შეწყვიტოს და მიყვიროს... ერთხელ მამა სახლში გაბრაზებული მოვიდა. სამსახურში რალაც პრობლემები ჰქონია, ჰოდა, სახლშიც საქმელი რომ არ დახვდა და ღიმილით არავინ მიეგება, გაცოფდა, დედასთან ჩხუბი მოუვიდა. ისინი ერთი კვირა არ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს და რის გამო? მხოლოდ იმიტომ, რომ დედა ამ ნარკოტიკისგან თავს ვერ აღწევს.

— **არ გაგჩენია სურვილი, გენახა, ვის ეწათავება?**

— როგორ არა, მაგრამ როგორც კი კომპიუტერთან მჯდომს მივუახლოვდები, მიკივის, — გადი აქედან! რას დამადექი თავზე, ჯერ არ მოვმკვდარვარო.

— **ხომ არ გაქვს ეჭვი, რომ კაცებს „აბამს“?**

— არა, ასეთ ეჭვები არ გამჩენია, მაგრამ ფაქტია, რომ შვილებმა საუკეთესო, მზრუნველი დედა დავკარგეთ, უფრო მეტიც, ის ახლა სწავლაშიც გვიშლის ხელს და უფლებას არ გვაძლევს, ინტერნეტიდან სასურველი ინფორმაცია გადმოვწეროთ. როცა ვეუბნები, — დე, ცოტა ხანს დამსვი-მეთქი, მპასუხობს: რომელიმე მეზობელთან გადადიო. აი, დედაც ასეთი უნდა, რა.

**რამინი, 18 წლის:**

— მობილური ტელეფონი, კომპიუტერი და კომუნიკაციის სხვა საშუალებები მეცოდება, რადგანაც მათ ცუდი საქმეებისთვის უფრო ხშირად იყენებენ. პირადად ჩემს ოჯახს, ტექნიკის წყალობით, ჭერი თავზე ჩამოექცა — დედ-მამა ერთმანეთს დაშორდა, რადგან მამა გამუდმებით ვილაც ქალებს „აბამდა“, მერე ვნებააღძრულს ამა თუ იმ საიტიდან გამოსვლა, კომპიუტერის გათიშვა ავიწყდებოდა და დედაც მის წერილებსა თუ იმ სურათებს აწყდებოდა, რომელსაც უზნეო ქალები ცოლშვილიან კაცს უგზავნიდნენ. დედამ ეს ყველაფერი კარგა ხანს ითმინა, მაგრამ ბოლოს, როცა მოთმინების ფიალა ავესო, მამას განქორწინება ყოველგვარი აყალმაყალის გარეშე მოსთხოვა. მართალია, მამა წინააღმდეგი იყო, მაგრამ დედას გადაწყვეტილება მტკიცე აღმოჩნდა და ის ამაში ვერც შვილებმა გავამტყუნეთ. მოკლედ, ახლა დედასთან ვცხოვრობთ და მამა გვენატრება. თუმცა ვერ გეტყვით, მას რამდენად ვენატრებით, რადგან არც გვნახულობს, მხოლოდ გვირეკავს ან კომპიუტერით გვეხმინება. თვევბია, ჩვენი ნახვის სურვილი არც გამოუთქვამს. ჰგონია, თუ ფულს გამოგვიგზავნის, სხვა არაფერი გვჭირდება.

— **კარგია, თუ შვილებისთვის და ყოფილი ცოლისთვის ფული არ ენახება...**

— უფულობას არ უჩივის, კარგი შემოსავალი აქვს — მალაზიების მფლობელია და მატერიალურად ნამდვილად არ უჭირს. იცით, სანამ ხელმოკლედ ვცხოვრობდით, ჩვენს ოჯახში სრული იდილია იყო, მაგრამ როგორც კი ფული იშოვა, მაშინვე ფუფუნებაში მოინდომა ცხოვრება, კომპიუტერიც სასწრაფოდ შეიძინა და ინტიმს იქ ექებდა. არ მესმის იმ კაცების, რომლებიც ინტიმს ვირტუალურ სამყაროში ექებენ. თუ ქალი გინდა, „ლაივში“ არ სჯობია?..

**სოფო, 17 წლის:**

— ამ ბოლო დროს დედას ვერ ვცნობ, გამუდმებით „ფეისბუქზე“ ან „ოდნოებშია“, ვილაცებს ეჩათავება და თუ რამეს ვკითხავ, გონებაჩლუნგავით მპასუხობს ანუ ისეთ პასუხს მიბრუნებს, რომ გავვირვებისგან პირი ღია მრჩება. ამ ყველაფერს მამაჩემი მშვიდად იტანს — ჰგონია, მისი ცოლი უბრალოდ ერთობა და





# თინიჯერაბი გვწერან

ამით არაფერს აშავებს, არადა, ზუსტად ვიცი, ვილაცებთან ფლირტობს. მართალია, დედა მამას „ლაივში“ არ ლალატობს, მაგრამ ეს მას არ ამართლებს.

### — ალბათ, მამაშენსაც მოსწონს ჩეთაობა...

— პირიქით, მას კომპიუტერის არაფერი გაეგება. ის კი არაა, „ესემესების“ წერაც არ იცის. არა, გონება-შეზღუდული კი არაა, უბრალოდ, ტექნიკასთანაა მწყრალად, თორემ მერწმუნეთ, საკმაოდ კარგ თანამდებობაზეც მუშაობს და კარგი კაცის სახელიც აქვს.

### — იმის სურვილი არა აქვს, გაიგოს, ვის ეჩათაგება მისი მეუღლე?

— ალბათ, აქვს კიდევ, მაგრამ რასაც ცოლი ეუბნება, სჯერა. მეც სუსტი სქესის წარმომადგენელი ვარ, მაგრამ მაინც ვიტყვი: არ შეიძლება, კაცი ქალს ბრმად ენდოს. თანაც, ვირტუალური სამყარო საოცრად მაცდურია — შესაძლოა, აქ თამაშ-თამაშში ვილაც ისე შეგიყვარდეს, ვერც გაიგო.

### — პირადად შენ თუ დაგმართვია მსგავსი რამ?

— როგორ არა, მე ჩემი შეყვარებული „სკაიპით“ გავიცანი და ჩვენ იდეალური ურთიერთობა გვაქვს.

### — რადგანაც დედაზე ასეთი ეჭვები გაგიჩნდა, არ გიცდია, მშობლის საქმეში ჩაგეყო ცხვირი და ვთქვათ, მის „ოდნოში“ შესულიყავი?


— როგორ არა, მაგრამ დედა საკმაოდ ჭკვიანია — ნაკვალევს არ ტოვებს! ერთხელ ვილაც კაცის სახელზე გავხსენი „ოდნო“ და დედას სულიოლად დაუშეგობრდი. ლაპარაკში ამყვა, მაგრამ ვიჩქარე და ურთიერთობა ნაადრევად შევთავაზე, რაზეც მტკიცე უარი მგლიჯა — მე „ლაივში“ არავის ვხვდები, შენ ვინ გგონივარო?! ბოდიში კი მოვუხადე, მაგრამ არაფერი გამომივიდა, თავის პოზიციაზე მაგრად დადგა. ახლა სხვა კაცის სახელით დავრეგისტრირდი და ვნახოთ, რა გამოიშვას.

### — იმედია, დედას ცუდლუტობაში ვერ გამოიჭერ...

— იმას, რასაც მე ვეჭვობ, ცუდლუტობა ნამდვილად არ ჰქვია. თუ აღმოჩნდა, რომ დედას მამას ლალატი აქვს განზრახული და ის ამაზე იოლად წავა, მაშინ ჩემთან ექნება საქმე. მერწმუნეთ, პირველი, ვინც მისკენ ქვას ისვრის, მე ვიქნები. მამამ რომც აპატიოს, მე მისი ლინჩის წესით გასამართლებას მოვითხოვ!

### — ასეთი მკაცრიც ნუ იქნები...

— მამა სიცოცხლეზე მეტად მიყვარს, ის იდეალური მეუღლეა და მერწმუნეთ, ლალატს არ იმსახურებს. ჰოდა, ამიტომაც, მე ვიქნები მისი დამცველი. ■



თიკო, 15 წლის:

„ძალიან მომწონს გაბრუნებულ გარსია მარკესი. იქნებ მასზე რაიმე საინტერესო ინფორმაცია მომანოლოთ“.

— შესაძლოა, მარკესზე და მის ცხოვრებაზე მომავალში ვრცელად ვისაუბროთ (ოლონდ, სხვა რუბრიკაში), ახლა კი გთავაზობ მის რამდენიმე ციტატას, ცხოვრებაზე:

\* არაფერს იმსახურებს ცრემლებს, ხოლო ვინც იმსახურებს, არასდროს აგატირებს.

\* მხოლოდ იმიტომ, რომ ვილაცას არ უყვარხარ ისე, როგორც გინდა, რომ უყვარდე, იმას არ ნიშნავს, რომ მთელი გულით არ უყვარხარ.

\* ნამდვილი მეგობარი ისაა, ვისაც შენი ხელი უჭირავს და შენი გულის ძვერას გრძნობს.

\* ყველაზე საშინელი მონატრებაა, როცა ხარ მის გვერდით და აცნობიერებ, რომ ის არასდროს იქნება შენი.

\* გაიღიმე მაშინაც კი, როცა სევდიან განწყობილებაზე ხარ, რადგან შეიძლება, ვილაცას უყვარდეს შენი ღიმილი.

\* შეიძლება, ამ სამყაროში მხოლოდ ადამიანი ხარ, მაგრამ ვილაცისთვის — მთელი სამყარო.

\* არ დაკარგო დრო იმ ადამიანზე, რომელიც არ ისწრაფვის იმისკენ, რომ დრო შენთან ერთად გაატაროს.

\* შეიძლება ღმერთს სურს, რომ იმ ერთადერთის შეხვედრამდე უვარგის ადამიანებს ვხვდებოდეთ, რათა როცა მას შეხვდებით, მაღლიერნი ვიყოთ.

\* ნუ ტირი იმის გამო, რომ ეს დასრულდა. გაიღიმე იმიტომ, რომ ეს იყო.

\* ყოველთვის მოიძებნება ადამიანი, რომელიც ტკივილს მოგაყენებს, მაგრამ ნუ დაკარგავ ადამიანების რწმენას, უბრალოდ — გაფრთხილდი.

\* ნუ დაიხარჯები წვრილმანებზე. ყველაფერი საუკეთესო მოულოდნელად ხდება. ■

ბაიკო, 16 წლის:

„როგორ ფიქრობთ, რა საიდუმლოს ინახავს ბეჭედი?.. შეყვარებულმა დაბადების დღეზე ულამაზესი ბეჭედი მაჩუქა, მაგრამ რატომღაც, მისი გაკეთების მეშინია და არც ის ვიცი, მის მიერ მოძღვნილი ნოტი რომელ თითზე უნდა გავიკეთო. იქნებ მირჩიოთ რამე...“

— სამკაული ყველა ქალს უყვარს, მაგრამ ყველამ როდი იცის, ესა თუ ის ბეჭედი რომელ თითზე უნდა გაიკეთოს. არსებობს მეცნიერება, რომელიც ამტკიცებს, რომ ამ საკითხს სერიოზულად უნდა მივუდგეთ.

● ცერი — დაკავშირებულია თავთან, კისერთან და ხერხემალთან. კარგია, თუ ამ თითზე გაიკეთებთ ალმასის თვლებით შემკულ ვერცხლის ან თეთრი ოქროს ბეჭედს.

● საჩვენებელი — მასზე უნდა გაიკეთოთ საფირონის, ოპალის (ბიოენერგეტიკოსების აზრით, ოპალი ნათესაური კავშირების განმტკიცებას უწყობს ხელს) და აკვამარინის თვლიანი (აკვამარინი მეზღვაურთა ქვად მიიჩნევა) ბეჭედი.

● შუა თითი — უნდა გაიკეთოთ ვერცხლის ბეჭედი, რომელშიც ჩასმული იქნება იისფერი ან შავი თვალი. თუმცა, მათ ტარებას მხოლოდ საქმიანი შეხვედრების დროს გირჩევთ.

● არათითი — დაკავშირებულია გულთან, ამიტომაც მასზე იკეთებენ საქორწინო ბეჭედს. იმისათვის, რომ წარმატება და სიყვარული მოიზიდოთ, ამ თითზე წითელთვლიანი (ლალი, ძონი, წითელი იასპი) ბეჭედი გაიკეთეთ.

● ნეკი — სწავლულთა აზრით, ყველაზე პატარა თითი პასუხს აგებს მეტყველებაზე. გირჩევთ, მასზე გაიკეთოთ ყვითელი (სარდიონი, ქარვა, ტოპაზი) ან მწვანეთვლიანი (ზურმუხტი, ქრიზოლითი, ქრიზოპრაზი) ბეჭედი. ■





# ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

## წვეთი პოეზია



### აქედანა და შენამდე

აქედანა და შენამდე,  
 ვარდი მასხია ყელამდე,  
 გულს მიშლის, სურნელით მატებობს,  
 ავდივარ მალთა ზენამდე,  
 თუკი რომ შემომითვლიდე,  
 სულ ფრენით მოვალ შენამდე.  
 არ მოგეშვები, გენაცვა,  
 სანამ არ მომეკლავ, სანამდე,  
 ეგ შენი ფირუზის დანა  
 გულში რომ დამკრა ტარამდე.  
 აქედანა და შენამდე  
 მთები მიფარებს წინარე,  
 მე შენი სიყვარულითა  
 მიბნედილი ვარ მძინარე,  
 ასე გამხადა სურვილმა,  
 წამოველ, ველარ ვიარე.

ხალხური

### ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია

არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით

1982 წელს გამოცემული

ქართული ენის

ბანგარტაბითი ლექსიკონის

ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი თამარ ივანიძე

### 3

დასაწყისი იხ. „გზა“, №2-36

**ვედრო** რუს. — 1. ჭურჭელი ცილინდრის ან წაკვეთილი კონუსის მოყვანილობისა (რკალისებური სახელურის მქონე); 2. სითხის საზომი ძველებური ერთეული (დაახლ. 12,3 ლიტრი).

**ველობი** (ძვ.) — მინდორი ტყეში.  
**ვეუანა** — 1. (ძვ.) წითელშავი; 2. (კუთხ.) ვეფხვივით ჭრელი (საქონელი).

**ვერსი** რუს. — ძველებური რუსული სიგრძის საზომი ერთეული. უდრის 1,06 კმ.-ს.

**ვექლი** არაბ. (ძვ. და საუბ.) — იგივეა, რაც ადვოკატი.

**ვეძა** — მინერალური წყალი.

**ვილაიეთი** არაბ. — მსხვილი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული თურქეთში.

**ვირგლა** (ვულგ.) — დიდი, უშნო, ტლანქი და თან ბრიყვი ვინმე.

### ზ

**ზადი** — 1. ნაკლი, წუნი; 2. უკმაყოფილების განცდა, წყენა.

**ზავთი** არაბ. — 1. ძლიერი ხმა, დიდი, გამაყრუებელი ხმაური; 2. წყრომა, რისხვა, აღშფოთება; 3. მრისხანე, შემზარავი შესახედაობა.

**ზათქი** — ძლიერი, გამაყრუებელი ხმა.

**ზაკვა** (ძვ.) — მზაკვრობა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში





# დიმიტრი ყიფიანი

გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ლიტერატორი და მთარგმნელი დიმიტრი ყიფიანი დაიბადა 1814 წლის 14 აპრილს გორის მახლობლად, სოფელ მერეთში. შვიდი წლის ობლის გაზრდა ძმამ იკისრა. დიმიტრი ყიფიანმა სწავლა სასულიერო სემინარიაში დაიწყო, 1830 წელს დაამთავრა კეთილშობილთა სასწავლებელი და იქვე დაინიშნა მასწავლებლად... 1830-1832 წლების შემქმულებაში მონაწილეობისათვის 20 წლის ყიფიანი ვოლოგდაში გადაასახლეს, რამაც ერთხანს შეაფერხა ნიჭიერი ახალგაზრდის კარიერა, თუმცა გადასახლებაშიც შეძლო, საგუბერნიო მმართველის მდივნობამდე მიეღწია. 1837 წელს საქართველოში დაბრუნდა და 1864 წლამდე მთავარმართებლის კანცელარიაში იყო სხვადასხვა თანამდებობაზე. მუშაობდა სამეგრელოს მთავრის ქონებამამულის მეურვედ. თბილისის გუბერნიისა და ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლად. მონაწილეობდა საგლეხო რეფორ-

მის პროექტის შედგენაში; სათავეში ედგა ქართველი თავადაზნაურობის ლიბერალურ ფრთას. 1876-1879 წლებში იყო თბილისის ქალაქისთავი. ყიფიანი გახლდათ კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი. აქტიურად მონაწილეობდა ბატონყმობის გაუქმების აქტის მომზადებაში. იყო თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი სა-



**„მხოლოდ ის ერი შეიძლება, დაადგეს პროგრესის გზას, რომელიც აზროვნებს და მეტყველებს მშობლიურ ენაზე“**

ტორული პოლიტიკის პერიოდში, 1886 წელს ტფილისის სემინარიის რექტორის — ჩუდევცის მკვლელობისათვის შავრამელმა ეგზარქოსმა — პავლე ლებევმა ქართველი ერი დანყველა და ანათემას გადასცა. ამ შეურაცხყოფისათვის 1886 წლის 8 ივნისს დიმიტრი ყიფიანმა საქართველოს ეგზარქოსს საპროტესტო წერილი გაუგზავნა... მას ეს არ აპატიეს და სტავროპოლში გადაასახლეს. იქ კი



ზოგადოებისა“ და „ქართული დრამატული საზოგადოების“ ერთ-ერთი დამაარსებელი. იღვწოდა საბიბლიოთეკო საქმის განვითარებისათვის. ყიფიანის ნააზრევში ქვეყნის საზოგადოების განვითარების თაობაზე პროგრესული იდეები ჭარბობს... ლიტერატურული მოღვაწეობა ყიფიანმა თარგმნით დაიწყო — თარგმნა შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“. 1851 წელს სანქტ-პეტერბურგში დაიბეჭდა მის მიერ რუსულ ენაზე თარგმნილი გიორგი ერისთავის „გაყრა“, 1882 წელს კი — „ახალი ქართული გრამატიკა“, რომლის გამოცემას ქართული ენისა და ქართული სკოლების დევნის პერიოდში არა მარტო პრაქტიკულ-პედაგოგიური, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა... მისი შუამდგომლობით დაარსდა პირველი ქართული ჟურნალი — „ცისკარი“. მძიმე რუსიფიკა-

72 წლის მოხუცი 1887 წლის 25 ოქტომბერს ვერაგულად მოკლეს (თავში უროს ჩარტყმით). ქართველ საზოგადოებაში მაშინვე გაჩნდა ეჭვი, რომ მკვლელობა რუსეთის პოლიტიკის აგენტებმა ჩაიდინეს. აკაკი წერეთელი წერდა: „ის ტვინი, რომელიც საქართველოზე ჰფიქრობდა, თავზე გადაანთხიეს... იმ გულზე, რომელიც სამშობლოსათვის სძგერდა, ცივი ხელები დააკრეფინეს“. 1887 წლის 8 ნოემბერს დიმიტრი ყიფიანის ნეშტი მთაწმინდის მინას მიაბარეს. ყიფიანის დაკრძალვისას ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მეთაურობით მოწყობილი ხალხმრავალი თავყრილობა მთავრობის საწინააღმდეგო მძლავრ დემონსტრაციად გადაიქცა. მის სხოვნას აკაკი წერეთელმა ლექსი — „განთიადი“ მიუძღვნა. დიმიტრი ყიფიანი ქართველ წმინდანადაა შერაცხილი.



# უნებოსყოფო

მარი ჯაფარიძე

მამაკაცები საკმაოდ ძლიერები ვართ, თუნდაც ქალებს ამასთან დაკავშირებით განსხვავებული აზრი ჰქონდეთ. ჩვენ შეგვიძლია სიცვიის, შიმშილის, წყურვილის ატანა, გავუძლებთ უსიგარეტობას და ალკოჰოლური სასმლის გარეშე ცხოვრებასაც კი, მაგრამ ქალის გარეშე ცხოვრებას ვერ გადავიტანთ!

რომელიღაც ცნობილმა ადამიანმა თქვა, თუ მიზანი მაქვს, ნებისმიერ ცხოვრებისეულ სიახლეზე უარს იოლად ვიტყვი. გადავწყვიტე, გადაემოწმებინა, ეს მართლაც ასე იოლი იყო თუ არა.

მაშინ დისერტაციის დასაცავად ვემზადებოდი.

— თქვენ თვე-ნახევარი გაქვთ დრო, — მითხრა სამეცნიერო ხელმძღვანელმა, მკაცრმა პროფესორმა. — და შესაძლოა, ამ თვე-ნახევარმა მთელი თქვენი მომავალი ცხოვრება შეცვალოს. შეეცადეთ, ყველაფერი სწორად წარმართოთ.

რა თქმა უნდა, ვეთანხმებოდი პროფესორს.

— მეჩვენება, რომ არც ისე მოწესრიგებული ახალგაზრდა ხართ. ასეა? — განაგრძო მან.

— დიახ, — ვაღიარე.

— ამის გამოსწორება იოლია, — გაიღიმა პროფესორმა. — შეეცადე, დღიური შემოიღო. ეს ყოველდღიურ ცხოვრებაში წესრიგის დამყარებაში დაგეხმარება.

პროფესორს მადლობა გადავუხადე, ჩემი საქაღდე და კონსპექტები ილიაში ამოვიჩარე და შინ მტკიცე გადაწყვეტილებით წავედი — არ დამეშვა, რომ ჩემი ცხოვრება არასწორად წარმართულიყო.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ ყველაფერი გუმინდელივით მახსოვს.

შინ მიმავალი ვფიქრობდი: მაშ ასე, ახლა ფინიშისკენ მივდივარ. თვე-ნახევრის შემდეგ დისერტაცია უნდა დავიცვა. ბოლო ნახტომი და უკვე მიზანს მივალწევ. მთავარია, არ უნდა მოვეშვა. მთელი დღე ვწერდი. საღამოს ალექო მოვიდა, ბარში შევატიყუბოდა. უარი ვუთხარი და სიტუაცია შეძლებისდაგვარად ავუხსენი. ყურადღებით მისმენდა, მაგრამ ვერაფერი გაიგო. თვალბეჭე ჩამაშტერდა, კეფა მოიქექა და მითხრა:

— ვის მოტყუებაც ცდილობ? მაგას დავიჯერებ, რომ შენ მთელი თვე-ნახევრის განმავლობაში შინ მშვიდად იჯდები და წერით თავს მოიკლავ?

— ეჭვი არ შეგეპაროს, რომ ასე

იქნება, სხვა გამოსავალი არ მაქვს. ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვან ეტაპზე ვარ და ახლა ბევრი რამ წყდება.

ალექოს თვალბეჭეში უნდობლობის სხივი გაკრთა.

— და — არავითარი ქალები? — გაოცებული სახით მკითხა.

გამეღიმა. მიდი ახლა, აუხსენი ამას, რომ საკანდიდატო დისერტაცია ძალზე მნიშვნელოვანია.

— არავითარი! — დამაჯერებლად ვპასუხობ.

— რას მეუბნები? შენნაირი მექალთანე მეორე არ შემხვედრია. რაც გიცნობ, ჯერ ქალის გარეშე დღე არ დაღამებულა შენთვის.

— პირველ რიგში მე ვარ ადამიანი, რომელსაც დიდი ნებისყოფა აქვს; შენგან განსხვავებით, სხვათა შორის, და არც ისე სულელი ვარ, რომ მთელი ჩემი მისაზვალე ნუთიერ სიამოვნებას ვანაცვალო.

ალექო რამდენიმე ნუთის განმავლობაში გაოგნებული სახით მიყურებდა.

— 100 დოლარზე დაგენაძლევი, რომ ქალის გარეშე 2 კვირასაც ვერ გაქაჩავ, — ჩაიცინა.

— კარგი, დაგენაძლევი. — ხელი გავუწოდე.

მარჯვენა შემაგება და ისევ დამცინავად ჩაიცინა.

აბა, რა უნდა ავუხსნა ამ პრიმიტიულ არსებას?

— გავძლებ, აბა, რას ვიზამ, თუ არა და, მაშინ მთელი სიცოცხლე „გაძლებასზე“ მომიწევს ცხოვრება.

ზღურბლთან მისული შემობრუნდა:

— აბა, კარგად, წარმატებებს გისურვებ... გაამზადე 100-დოლარიანი.

— ვნახოთ, ვის მოუწევს გამზადება.

5 დღის განმავლობაში გაუთავებლად ვწერდი. საკმაოდ კარგად ვიშრომე. ჯერჯერობით წინასწარ შედგენილ გრაფიკს მივყავი. გადავწყვიტე, ცოტა შემესვენა, მაგრამ როგორ? ბიჭებისთვის რომ დამერეკა და სტუმრად დამეპატიჟებინა, ვიცი, ქეიფს წამოიწყებდნენ და მეორე დღით თავის ტკივილი მომკლავდა. გამოდის, რომ ხვალინდელი დღე დაკარგულია. მე კი უამრავი საწერი მაქვს. იქნებ მე წავიდე სტუმრად? თავის ტკივილი მაინც გარანტირებული მაქვს და შესაძლოა, ამას საპირისპირო სექსის წარმომადგენელთან ინტიმური ურთიერთობა მოჰყვეს ანუ კიდევ ერთი თავის ტკივილი და ნაძღვეიც წავაგო. კლუბში თუ ბარში წასვლა იმავე მიზეზით გამოირიცხა — მაინც დალევა მომიწევდა. კლასიკური მუსიკის კონცერტზე

წასვლა არ მინდა. დარჩა კინოთეატრი.

კომპიუტერში კინოთეატრების აფიშას თვალი გადავაველე. რაღაც, „დამამშვიდებელი“ ფილმის ყურება მინდოდა, რომ რიტმიდან არ ამოვვარდნილიყავი. მაშ ასე... აბა, ვნახოთ... „ინტიმი“. არავითარ შემთხვევაში! როგორმე თავი უნდა ავარიდო მსგავს ფილმებს. ბოლოს აკირა კუროსავას „სიზმრები“ შევარჩიე. ბილეთი მესუთე რიგში ავიღე, დავეჯექი, სინათლე ჩააქრეს, სავარძელში მოხერხებულად მოვთავსდი და... უეცრად...

— უკაცრავად, აქ დაკავებული ხომ არაა?

— არა...

ის გვერდით მომიჯდა.

ძალიან ლამაზია... ნაზი, ჰაეროვანი... უნაკლო პროფილით...

ფილმის ყურება წამებად გადამექცა. ღმერთო, ვინ მოიგონა ეს დანყველილი სუნამო? ეკრანზე თეთრი და შავი ფერები ერთმანეთს ცვლიდა, მე კი ვიჯექი და მხოლოდ ერთ რამეზე ვფიქრობდი: ფილმი როდის დამთავრდებოდა. როგორც იქნა, დამთავრდა, დარბაზში სინათლე აინთო... ჩემი მეზობელი ადგა და ჩემკენ შემობრუნდა. ანფასში საშინელი შესახედავი იყო. შვებით ამოვისუნთქე. ახლა შემიძლია, მშვიდად წავიდე შინ და დისერტაციას მივხედო.

მერვე დღეს მალაზიაში, სიგარეტზე ჩავედი. კიბეზე მეზობელი გადამეყარა. საკმაოდ მიმზიდველი ყოფილა, აქამდე რატომ ვერ ვამჩნევდი? მივბრუნდი და დავაკვირდი, როგორ მიარხევდა „მადისალმძვრელ“ თეძოებს. შეეცადა, გახდელი წარმომედგინა. არა, არა, ეს მახოხიზმია და არაფერში მჭირდება.

მალაზიაში გამყიდველი გოგონაც მესიმპათიურა. ჭკვიანი გამოსხედავ ჰქონდა. ალბათ სტუდენტია. სხვა დროს აუცილებლად დავპატიჟებდი სადმე, მაგრამ ახლა ამისთვის არ მცალია, უნდა ვიმუშაო, ვიმუშაო და კიდევ ერთხელ — ვიმუშაო. დისერტაციის დაცვამდე თვეზე ცოტა მეტია დარჩენილი. სიგარეტი მომანოდა და გამიღიმა.

— ჩემო ანგელოზო, ასე ნუ მიღიმი. არ ვაპირებ ცხოვრების დანგრევას ნუთიერი გატაცების გამო. ისე, მინდა გითხრა, რომ სწორედ ესაა ნებისყოფა.

მეთუ დღეს თანაკლასელმა გოგომ დამირეკა და დაბადების დღეზე დამპატიჟა.

— სიხარულო, სიამოვნებით მოვიდოდი, მაგრამ ძალიან მალე დისერტაცია უნდა დავიცვა და ვმუშაობ.

— ჰოდა, ძალიანაც კარგი, გამომიარე, ბევრი სტუმარი არ მეყოლება, სულ რამდენიმე ადამიანი იქნება —



ყავა დავლიოთ, ტორტს მოგართმევ, ცოტას დაისვენებ და მერე წახვალ.

წავიდე? არ წავიდე? ჩემსა და ნანას შორის წინათ, მოსწავლეობის დროს „რაღაც“ ხდებოდა. სერიოზული არაფერი, მაგრამ მაინც... ვიცი, რომ რამდენიმე წლის წინ ქმარს გასცილდა. ჰოდა, ყავის სმა სავარაუდოდ, „სხვა რამეში“ გადაიზრდება. შესაძლოა, კონიაკიც ჰქონდეს, დავლევ, იქნებ ჩხუბიც კი მომივიდეს, მერე პატრულს გამოიძახებენ, წამიყვანენ და 15 „სუტკას“ მომარტობენ. თანაც, დეკანატში დარეკავენ და მორჩა! ჩემი კარიერა დაიღუპება.

არ წავედი.

იმ დღეს სულ 2 გვერდის დაწერა მოვახერხე. დაბადების დღეზე არ წავედი, მაგრამ მთელი ღამე ნანა მესიზმრებოდა. დილით დაბეგვილივით გავიღვიძე და თავს უბედურად ვგრძნობდი.

აი, ახლა მჭირდებოდა ნებისყოფა... ავდგები, ცივ შხაპს მივიღებ და მერე ვწერ... ვწერ... ვწერ...

ჩემი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი თვე დაიწყო...

მეთორმეტე დღეს საჭირო ლიტერატურის მოსაპოვებლად ბიბლიოთეკაში წავედი. უკვე 2 საათია, ვზივარ... დისერტაცია მგონი, დაუნერვლი მრჩება. გრაფიკიდან საბოლოოდ ამოვვარდი. ჩემი ხსნა მხოლოდ სასწაულს შეუძლია. ისევ ეს წყეული სუნამოს სუნი... ვზივარ, ვკითხულობ... უეცრად, ზურგს უკან, იატაკზე ხმაურით რაღაც ეცემა. ყურადღება არ უნდა მიმექცია, მაგრამ რა ვუყო ამ ოხერ, სისხლში გამჯდარ ჯენტლმენობას? დავიხარე, საკმაოდ სქელტანიანი წიგნი იატაკიდან ავიღე და უკანა მაგიდაზე დავდე.

— გამადლობ, — მესმის ნაზი ხმა.

„უკან არ მიიხედო!“ — ვუბრძანებ საკუთარ თავს და მამინვე უკან ვბრუნდები.

წაბლისფერთმიანი გოგონა ლამაზი თვალებით მიყურებდა და მილიმოდა. მშვენიერი გოგონა იყო. გაჩუმება კი მეუხერხულა. ნიკაპით წიგნზე მივანიშნე და ვუთხარი:

— 3 კილო მაინც იქნება.

გამიღიმა. უფრო სწორად, ერთმანეთს გაფუღიძეთ.

— თქვენ რას კითხულობთ? — ცხვირში სუნამოს სუნი უფრო მეტად მილიტინებს და ყდას ვაჩვენებ.

უკნიდან ხმა ისმის:

— ახალგაზრდებო, ცოტა ჩუმად რომ ილაპარაკოთ, არ შეიძლება?

20 წუთის შემდეგ კატალოგში დავინეე ქექვა, მაგრამ უშედეგოდ.

ამოვიოხრე.

— რა მოხდა? — პირდაპირ ყურთან ჩამჩურჩულა ვილაცამ.

ისაა... წაბლისფერთმიანი გოგონა.

— ერთი წიგნი მჭირდება, მაგრამ ვერ ვპოულობ...

ცოტა ხანს დუმს...

— იცით, მამაჩემი პროფესორია, უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობს და ძალზე მდიდარი ბიბლიოთეკა აქვს. იქნებ მას ჰქონდეს ის წიგნი, რომელიც ასე გჭირდებათ?

სალამოს ალევომ დამირეკა.



— რაო, ჯერ მაგრად დგახარ? ძმაო, ძალიან მჭირდება ფული... ასე რომ, გისურვებ, მალე გეპოვოს შენი ოცნების ქალი.

— იცინე, იცინე... იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის...

ჯერ კიდევ მაყრილებს, როცა მისი ტუჩების შეხება და გემო მახსენდება. თან რა ლამაზი სახელი ჰქვია?! ნატა! მიმჩინა, რომ დედამინის ზურგზე ყველაზე ლამაზი სახელია. სხვათა შორის, ის წიგნი, რომელიც ასე მჭირდებოდა, ვერ ვიპოვეთ.

ისევ შევხვდი ბიბლიოთეკაში. გვერდით სათვალისანი, ნითური მამაკაცი ეჯდა... ქალებო! არარაობა უნდა გერქვათ თქვენ! ჭკვიანი კაცი იყო შექსპირი... შორიასლო დაჯვექი. ისეთი გამომეტყველება მაქვს, რომ მთელი გულითა და სულით კითხვაში ვარ ჩაფლული. თუმცა... 5 წუთის შემდეგ შემინიშნა... გვერდით მჯდომ მამაკაცს დაემშვიდობა და ჩემთან მოვიდა.

— გამარჯობა, ვერც კი შეგინიშნე. როგორ ხარ? — ოჰ, შე მელაკუდავ!

— ყველაზე უკეთ! — ვპასუხობ და ისევ წიგნზე ვყოფ ცხვირს.

— გარეთ უკვე ბნელა, ხომ არ გამაცილებ?

— იმ ნითურს ფეხები სტკივა? — არ დავმალე, რომ ვიჭყვიანე.

— გელა? ჩემი ბიძაშვილია. ეგ იქითაა გასაცვილებელი, საკუთარი ჩრდილიც კი აფრთხობს.

მეთოთხმეტე დღეს ალევომ შემ-

ოირბინა. მოგებული 100 დოლარი უნამუსოდ ჩაიკუჭა ჯიბეში და გამომიცხადა, რომ ჩემთან საქმის დაჭერა ნამდვილად ღირს... გველი! დისერტაცია მივარდება. დროა, საფლავი გავიხსარო...

მეთხუთმეტე დღეს ტელეფონმა დარეკა:

— ალო, ნატა ვარ, მამაჩემი სოფელში წავიდა. ასე რომ, ხვლიდან შენთან გადმოვდივარ საცხოვრებლად. შენს ცხოვრებაში სიმშვიდესა და წესრიგს დავამყარებ. რომ არ იეჭვიანო, სულ სახლში ვიქნები. სერიალებს ვუყურებ, თან წინდებს მოვქსოვ.

— წინდებს? ჩემს სახლში წინდები ჯერ არავის მოუქსოვია...

— ჰოდა, ძალიანაც კარგი, გამოდის, რომ მე ვიქნები პირველი. — მდაა, რა უნდა ვქნა? იძულებული ვარ, რაღაც მოვიფიქრო.

— იცი, მე შენზე ნაძლევნი მქონდა დადებულნი.

— მართლა? რა კარგია! ჩემ გამო ნაძლევნი ჯერ არავის დაუდვია. მოიგე თუ წააგე?

— წავაგე! 100 დოლარი წავაგე!

მეჩვიდმეტე დღეს ნატა ჩემთან გადმოვიდა. აღმოჩნდა, რომ ეს არცთუ ისე ცუდი ყოფილა. ზის, ქსოვს, ხანდახან მოვა, ჩამეხუტება და მაკოცებს... დღეში რამდენჯერმე ყავას მიღულებს, მომშივდება — კერძი მზადაა. როგორც იქნა, ჩემმა კუჭმა გაიხსენა, რას ნიშნავს წვნიანი და გემრიელი კერძი. ძალიან კარგი დიასახლისი აღმოჩნდა ნატა. საუკეთესო პირობებში აღმოვჩნდი. ჩემი მოვალეობა მარტო წერა და მუშაობა იყო. რაც მთავარია, სამაგიეროდ არაფერს ითხოვდა.

დისერტაციის დაცვამ უმაღლეს დონეზე ჩაიარა. ჩემი წარმატება რესტორანში აღვნიშნეთ.

2 დღის შემდეგ მამამისი ჩამოდის და მომინევს მისი გაცნობა.

...მე და ნატა ერთმანეთს დავშორდით. ქორწინის ვგეგმავდით, მაგრამ ერთმა ცოლიანმა მეგობარმა მითხრა, რომ თურმე ქორწინების მერე ქალები ძალიან იცვლებიან — ზარმაცდებიან, მომთხოვენ და პრეტენზიულები ხდებიან. მეც არაერთხელ ვყოფილვარ ამის მომსწრე. ასე რომ, ქორწინება ჩემი საქმე არაა. რა მინდა? მინდა, რომ ქალი ყოველთვის მშვენიერი იყოს, თუნდაც ხელში თაიგული კი არა, საქსოვი ჩხირები და დაუმთავრებელი წინდა ექიროს.



ნანარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით gza.fantazia@gmail.com

# ინტერვიუ მიცვალბულთან

დასაწყისი იხ. „გზა“ №24-36

## რუსუდან პერიკა

ახალი არხის შექმნაზე მუშაობა თავი-სი გზით მიდიოდა. სპონსორები ფულს არ იშურებდნენ და, ამიტომაც, ყველა საკითხი ძალიან ოპერატიულად, ზოგჯერ კი დათქმულ ვადაზე ბევრად ადრეც კი წყდებოდა. ლაფაური მთელ დროს სამ-სახურში ატარებდა და იმდენად იყო დატვირთული, რომ მასზე განხორ-ციელებული ორი წარუმატებელი თავ-დასხმის ამბავიც კი მალე მეორე პლან-ზე გადაინაცვლა. თუმცა მათ გახსენებ-ზე ტანში მაინც ცივად ცრიდა.

ნათია მთელ დღეებს სახლში ატარებ-და და საოჯახო საქმეებით იყო დაკავე-ბული. ლაშა მას უკვე გულდასმით აკვირდებოდა და საკუთარ თავს იმ აზრზეც ხშირად იჭერდა, რომ ამ კაფ-ანდარა გოგონასგან იდეალური ცოლი დადგებოდა. შესანიშნავ გარეგნობათან ერთად, ნათია თავმდაბალი, მაგრამ საკ-უთარ ძალებში საკმაოდ დარწმუნებუ-ლი ადამიანიც იყო. სამაგიეროდ, მის-თვის სრულიად უცხო იყო ჭირვეულო-ბა და ამპარტავნობა. გოგონა ცდილობ-და, ლაშასთვის ეს იამოვნებინა. ყოველთვის ზუსტად გრძნობდა მის განწყობილებას და თავაც შესაბამის-ად იქცეოდა. მის ხელში ლაფაურის ბინაც სრულიად გარდაიქმნა. ირგვლივ ყველაფერი კრიალებდა და თვალს ახ-არებდა. ლაშამ ისიც მალევე აღმოაჩინა, რომ ნათია გონებაშეზღუდული და ცოდნის-მოყვარე იყო, ბევრს კითხულობდა და ყველაფერს უცბად ითვისებდა. არცთუ ურიგოდ ერკვეოდა პოლიტიკაში, მუსიკასა და საერთოდ ხელოვნებაში. თანაც, ვინმეზე ან რამეზე უბრალოდ კი არ ამბობდა, მომწონს ან არ მომწონსო, არამედ ნათქვამს კიდევ ასაბუთებდა. ერთი შეხედვით თითქოს თამამი იყო, მაგრამ ლაშასთან ურთიერთობაში ძალიან თავშეკავებულად იქცეოდა. მარ-

თალია, საძინებლის კარს შიგნიდან არასდროს კეტავდა, მაგრამ ლაფაურს მისგან ინტიმზე იოტისოდენა მინიშნე-ბაც კი არასდროს უგრძნია, რაც მისი ხელობის ქალისგან ცოტა უცნაურადაც კი ეჩვენებოდა. ერთი სიტყვით, ცოტა ხანში ისინი უბრალოდ კარგი მეგო-ბრები გახდნენ. ლაშა ხვდებოდა, რომ ასეთი ქალის შეყვარება ნამდვილად შეე-ძლო, მაგრამ იმასაც გრძნობდა, რომ ნათიას წარსული მათ შორის ისეთ უხ-ილავ კედლად აღმართულიყო, რომლის გადალახვა არ შეეძლო და არც სურდა.

ნიკა ბერდიაშვილი ტახტზე იყო წამო-წოლილი და ფირზე ფარულად ჩაწერ-ილ საუბრებს ისმენდა. უკვე მთელი კვირა იყო, რაც ვატო ქასრაშვილი მას ინ-ფორმაციას ისე აწვდიდა, რომ თავად ამაზე იოტისოდენა წარმოდგენაც კი არ ჰქონდა. ეს ძირითადად საქმიანი საუბრები იყო, რომლებიც ნიკას ბევრს არაფერს აძლევდა. თუმცა ამ გზით იმის გაგება ნამდვილად მოახერხა, რომ ქართული სპეცსამსახურები მას კვალში ჯერ ვერაფრით ჩასდგომოდნენ, მაგრამ გულმოდგინედ კი ეძებდნენ. და რადგა-ნაც ამ ფრონტზე შედარებით სიმშვიდე დახვდა, ბერდიაშვილმა მთელი ძალებით ისევ მეცნიერის მოძებნაზე გადართვა გადაწყვიტა. ამის გაკეთება კი ძველი ნაცადი საყვარლის — თამუნას გარეშე საკმაოდ გაუჭირებოდა. ამიტომაც ბევ-რი ნამდვილად აღარ უფიქრია და ერთ დღეს ქალს კარზე გაუფრთხილებლად მიადგა.

თამუნა ნიკას საკმაოდ ცივად შესე-ვა:

— აქ რამ მოგიყვანა, ვაჟბატონო? — კოპები შეკრა მან. — ეტყობა, მორიგ-მა საყვარელმა გამოგაბუნძულა და წასას-ვლელი აღარსად გაქვს, ხომ?

— აბა, რას ამბობ, სიცოცხლევ, — უკვე ტრადიციულად ქცეული საჩუქარი

— დიდი წითელი ვარდი გაუნოდა ნი-კამ ამრეზილ ქალს, — სახელმწიფო საქმეების გამო ქვეყნიდან ვიყავი გასუ-ლი და ისე ძალიან მომენატრე, რომ აეროპორტიდან პირდაპირ შენთან გამო-ვქეანდი.

— ნუ ცრუებტელობ, რა, — ყვავილი მაინც ჩამოართვა მას თამუნამ, მცირე-ოდენი ყოყმანის შემდეგ კი განზე გადგა და სახლშიც შეუშვა.

— რას ამბობ, საყვარელო! მე და ტყუილი? — უმაღ მხრებში გაიშალა კმაყოფილი ნიკა. — ხომ იცი, ქვეყანაში რაც ხდება. მთავრობა საკეთებელს ვე-ლარ აუდის და არც ბიუჯეტის საქმეა მთლად კარგად... ჰოდა, ერთგულ თან-ამშრომლებს უკვე ბოლო წვენსაც კი გვადენენ, იმდენს გვაშუშავენ...

— შე საწყალო... — საბოლოოდ მოლბა თამუნა, რომელიც ნიკას უდ-იერი შეხვედრისთვის გულში უკვე საკ-უთარ თავსაც კი ლანძღავდა. — მაგრამ მაინც ვერაფრით გამიგია, შენზე რატომ არსად, არც პრესაში და არც ტელევი-ზიაში არაფერი ისმის?

— ეს კიდევ უფრო მარტივი ასახს-ნელია, — მთლად გაიღეკა ნიკა, — განა არ იცი, რომ ზემდგომნი ყოველთვის ქვემდგომთა წარმატების მითვისებას ცდილობდნენ და დღესაც ცდილობენ? ამიტომაცაა, რომ ჭკვიანი და საქმიანი ადამიანები ყოველთვის ჩრდილში ვრ-ჩებიან.

— მართალი ხარ, — ქალი მას მაშ-ინვე დაეთანხმა, — ჩემი მუტრუკიც ეგრე არ არის? სულ შრომობს და შრომობს და შედეგად რას იღებს?... არც ჩინი მოუმატა ვინმემ და არც ხელფასი.

„ჩინისა და ხელფასის რა გითხრა, მაგრამ ქმარი რომ ნაღდი მუტრუკი გყავს, ამას მარტო შენ როდი ამჩნევ“, — გულში გაეღიმა ნიკას, თუმცა უკვე საკმაოდ ვნებამორეულ ქალს ხმამაღლა სულ სხვა რამ უთხრა:

— აბა, როგორ ხარ აქ უჩემოდ? დაჯიჯერო, სულ არ მოგენატრე?

— ძალიან... — ძლივსლა ამოიკვნესა თამუნამ. — წამოდი, დავწვეთ და მერე ყველაფერს მოგიყვებო...

ნახევარი საათის შემდეგ ფართო სა-წოლზე ნებიერად გადანოლილი ბერ-დიაშვილი სიგარეტს ნება-ნება ეწეოდა, მის მკლავზე თვალბმინაბული თამუნა კი გონს ჯერაც ვერ მოსულიყო. ჩანდა, რომ ქალს მართლა ძალიან მონატრე-ბოდა ნამდვილი მამაკაცის ალერსი. „ეტყ-ობა, ამის ქმარი მარტო სამსახურში როდი მოიკოჭლებს“, — დამცინავად ელიმებოდა ბერდიაშვილს.

— ბედნიერება იქნებოდა, მთელი ცხ-ოვრება შენს მკლავზე ასე უდარდელად წოლა რომ შემეძლოს, — თამუნამ როგორც იქნა, თვალები გაახილა.

— ამის წინააღმდეგი მეც არ ვიქნე-ბოდი, საყვარელო, — მაშინვე აჰყვა ბერდიაშვილი, — მაგრამ სამწუხაროდ, უფრო პროზაული საქმეების კეთებაც მინევს... მაგალითად, ფულის შოვნა.



— აბა-აბა...  
— მართლა, შენს ქმარს ის მეცნიერი ხომ აღარ უხსენებია? — უცბად ნიკამ პირდაპირ საქმეზე გადასვლა გადაწყვიტა.

— კი. მგონი, რაღაც მოხდა, მაგრამ გულახდილად რომ გითხრა, ამ ამბით დიდად აღარ დავინტერესებულვარ.

— მაინც რა მოხდა? რა თქვა შენმა ქმარმა? — არ მოეუბნა ნიკა.

— რა და, მგონი, ისევ ეძებენო; და უკვე რაღაც ხელჩასაჭიდიც გამოჩნდაო...

— მაინც? — ყურები ცქციტა ბერდიაშვილმა.

— მგონი, ვილაცას სადღაც უნახავს თუ რაღაც ამის მსგავსი...

— კონკრეტულად ვისო, არ უთქვამს?

— ვილაც მის ძველ ნაცნობ ქალს. ქუჩაში შემთხვევით შეხვედრია. მაგრამ მეცნიერს თავი შორს დაუჭერია — უბრალოდ ვილაცაში გეშლებიო. მერე იმ ქალს ეს ამბავი თავისი ნაცნობებისთვის უამბნია, იმათ კიდეც — თავისუბისთვის, რომელთა შორისაც უშიშროების კაციც ყოფილა... სულ ეს არის. ამ ამბავზე მეტი ნამდვილად არაფერი ვიცი, — მამაკაცს მიეხუტა ხელახლა ვენბააშვილი თამუნა...

— და ეს ყველაფერი როდის გახდა ცნობილი? — ალერსს ალერსით უპასუხა ნიკამაც.

— ათი დღე იქნება, მაგრამ მოეშვი რა იმ ვილაც შემოიღო მეცნიერს...

— რა თქმა უნდა, საყვარელო, — ქალი გულში გამეტებით ჩაიკრა კმაყოფილმა ნიკამ, რომელსაც ყველა საჭირო ინფორმაცია უკვე ხელთ ჰქონდა...

თამუნას ქმრის მოსვლამდე ერთი საათით ადრე ბერდიაშვილმა წასასვლელად მზადება დაიწყო.

— კიდეც როდის მნახავ? — საყვარელი აღარაფრით ეთობოდა თამუნას.

— ხომ იცი, სიცოცხლევ, რომ უამრავი საქმე მაქვს, მაგრამ როგორც კი სულ პატარა თავისუფალი დრო გამოჩნდება, მაშინვე შენთან გაეჩნდება.

თამუნამ ნიკა კარამდე ჩახუტებულმა მიაცილა. ამ უკანასკნელს კი უცბად ფეხსაცმლის საცხებისა და ჯაგრისების გვერდით, დაუდევრად მიგდებული უცნაური ხელსაწყო ეცა თვალში.

— ეს რა არის? არ მითხრა ახლა, ფეხსაცმლის ელექტროჯაგრისი ვიყიდეო... — შორიდან მოუარა ქალს ნიკამ.

— არა, რა ჯაგრისი... — ეს ამ დილით ჩემს მუტრუქს დარჩა. უკვე ყველგან მოსასმენი მოწყობილობები ელანდება. ჰოდა, სამსახურიდან დაათრევს ყოველ საღამოს ამ რაღაც უბედურებას და სახლში „ჟუჟოკებს“ ეძებს. ისე, უკვე მართლა ძალიან დამძალა თავისი ჯაშუშომანით. მეშინია, ერთ დღეს საერთოდ არ გაუბეროს.

— საინტერესოა, — ბერდიაშ-

ვილმა ხელსაწყო ხელში ფრთხილად აიღო, — შეიძლება, მეც ვცადო?

— სცადე, რა... გულგრილად უპასუხა თამუნამ, — მგონი, აი, აქ უნდა დააჭირო თითი, — ლილაკზე ანიშნა მან შემდეგ.

როგორც კი ნიკამ ლილაკს თითი დააჭირა, მონიტორზე მაშინვე მწვანე ნათურა აინთო, რაც იმის სიგნალი იყო, რომ ყველაფერი ნორმალურად. მაგრამ როცა ხელსაწყო გამორთვა სცადა, მან მელოდირი ხმა გამოსცა და ამჯერად უკვე ნითელი ნათურა აინთო. ბერდიაშვილი მიხვდა, რომ სწორედ ამ მომენტში თანამგზავრი-ჯაშუში უხილავ ზონაში შევიდა და შემცბარმა ხელსაწყო ახლა სხეულთან ახლოს აიტარ-ჩაიტარა. ნითელი ნათურა კვლავ ანთებული დარჩა. ხოლო როცა ხელსაწყო ნიკას ბეჭდის სიახლოვეს აღმოჩნდა, უფრო მკვეთრი ხმაც გამოსცა, ნათურის ფერი კი კაშკაშა ნარინჯისფერში გადაიხარდა. ბერდიაშვილმა ხელსაწყო აუჩქარებლად გამორთო და — მაგარი გასართობი უშოვია შენს ქმარსო, ვითომ არხეინად დასძინა.

— გართობა მაგას და ჯანდაბა! — გაღიზიანდა თამუნა. — ამის აქეთ-იქით თრევას, სახლში ცოტა მეტი ფული მოჰქონდეს, არ ურჩევნია?

— ფული ფულად, მაგრამ ესეც მაგარი რამეა. ახლა შენს ქმარს ჯაშუშების ნამდვილად აღარ უნდა ეშინოდეს, თუმცა...

— რა თუმცა?

— არა, არაფერი, უბრალოდ უცბად სულ სხვაგან გამექცა ფიქრი, — უპასუხა ქალს ნიკამ და შემდეგ გულში დასძინა: „რა იცის შენმა დოცლაპია ქმარმა, რომ მთავარი ჯაშუში ყოველ დამე ლოგინში უწევს“.

თუმცა ნიკას ეს ახლა ყველაზე ნაკლებად აღელვებდა. მან უკვე მთავარი ანუ ის გაიგო, თუ ამდენ ხანს ამერიკელებს ხელიდან რატომ ვერაფრით უსხლტებოდა.

ბერდიაშვილი შინ ამაღლებულ განწყობილებაზე დაბრუნდა. თამუნასთან ვიზიტმა ჩინებული შედეგი გამოიღო. „აი, თურმე სად იმალებოდა თავისუფლების გასაღები! — ღიმილით დახედა მან საკუთარ ბეჭედს, რომელიც ასე

უყვარდა და ხელიდან არასდროს იცილებდა. — ახლა უკვე როცა მოვისურვებ, მაშინ შემოიღია, უკვალოდ გაქრობა. ამიერიდან ჩემზე ვეღარავინ იბატონებს. ახალ პასპორტს ვიშოვი, ანდა, სულაც ცოლს შევირთავ და მის გვარზე დავენერები“. ნიკას კონკრეტული გადაწყვეტილება ჯერ არ ჰქონდა მიღებული, მაგრამ ოდნავ შევებით ამოსუნთქვა უკვე ნამდვილად შეეძლო. მართალია, ამერიკელებს ის ჯერ კიდევ ხელში ჰყავდათ, მაგრამ ახლა მათგან თავის დაღწევა სულ თავისუფლად შეეძლო. თუმცა ჯერჯერობით ამის გაკეთებას არ ჩქარობდა, რადგან ვახტანგ არეშიძე ჰყავდა მოსაძებნი, ამას კი ამერიკელების ფულის გარეშე ვერ გააკეთებდა. ბერდიაშვილი ვერაფრით შეჰგუებოდა იმ აზრს, რომ არენშიძის სახით სადღაც მილიარდი დოლარი უქმად „დაეხეტებოდა“, მას კი უფულობის გამო ჩვეული ცხოვრება სანატრელი გახდომოდა. ასე რომ, რაღაც უნდა დასჯდომოდა, მეცნიერი უნდა მოეძებნა. ნიკას ისიც კარგად მოეხსენებოდა, რომ ამის გაკეთება არცთუ უსაფრთხო იყო. ამიტომაც ძებნის იმდენად დახვეწილად ჩატარებაც უნდა მოეხერხებინა, რომ თავად სერიოზული საფრთხის წინაშე არაფრით დამდგარიყო. ამიტომაც იყო საჭირო, რომ ეს საქმე უშუალოდ მას კი არა, ვინმე სხვას ისე გაეკეთებინა, რომ ქასრაშვილისა არ იყოს, თავად ამაზე წარმოდგენაც კი არ ჰქონოდა. ბერდიაშვილს უკვე ასეთი ადამიანიც შერჩეული ჰყავდა. ეს, მისი ღრმა რწმენით, მხოლოდ ყურნალისტი ლამაზაფაური თუ იქნებოდა.

თავად ლამაზა კი ამ დროს უკვე თავით იყო საქმეში გადაშვებული და ყოველ საღამოს შინ დაღლილ-დაქანცული ბრუნდებოდა. თუმცა როგორც კი ივანეშვილმა, მაშინვე გავთეების კითხვას იწყებდა. ეს მას უკვე ჩვევად ჰქცეოდა, რადგან ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის საქმის კურსში ყოფნა სურდა.

— ტელევიზორი რატომ არ გაქვს? — ჰკითხა ერთხელაც კითხვაში გართულ ლამას ნათიამ. — ამ გზით ხომ მარტო საქართველოში კი არა, მთელ მსოფლიოში მომხდარი ამბების გაგებაც ბევრად უფრო გაგიადვილებოდა.

— გაგიკვირდება, მაგრამ ტელევიზორიცა და მთელი დანარჩენი ტექნიკაც ქურდებმა მოპარეს.

— რას მეუბნები?

— ჰო. თუმცა გამიმართლა და ერთი რაზე მაინც გადამიჩნა.

— რა?

— ნამომყვევი და გაჩვენებ.

ლამამ საძინებელში სკამი გაიტანა, ზედ შედგა, კარადის ზედა თაროდან ფეხსაცმლის ყუთი გადმოიღო და ნათიას მიანოდა.





— ეს რა არის? — კოლოფს შიშით დახედა ნათიამ.

— ახადე, ნუ გეშინია, არ შეგეჭამს, — გაელემა ლაშას.

ნათიამ ყუთს თავი ფრთხილად ახადა და იქიდან „SONY“-ს ვიდეოკამერა ამოიღო.

— ო, აი ეს მესმის! — მუშტრის თვალთ შუათვალეირა მან კამერა. — ეს მართლაც მაგარი რამე გადაგიჩინებია.

— მე არ გადაგიჩინებია. შემთხვევით გადაიჩინა. მძარცველებს ალბათ, ფეხსაცმელი ეგონათ და ხელი არ გაისვარეს.

— მართლა მაგარი რამეა.

— მაგარიო? იცი, ეს რა კამერაა? მართო მისი 500-ჯერადი გადიდების ფუნქცია რად ღირს. ნებისმიერ ბინოკლს „უჯოკრავს“. თანაც, კამერა წყალქვეშა გადაღებებისთვისაც გამოდგება.

ალარაფერს ვამბობ სრულ სიბნელეში გადაღების შესაძლებლობასა და პროფესიული ვიდეოგადაღებისთვის ასე აუცილებელ სხვა სპეცეფექტებზე. გარდა ამისა, ლაზერული მიკროფონითაცაა აღჭურვილი და 300 მეტრზე ნებისმიერი საუბრის მოსმენა სულ თავისუფლად შეიძლება.

— მაშინ ეს, პირველ რიგში, ჯამუშებისთვის იქნებოდა ნამდვილი მიგნება, — იხუმრა ნათიამ. — და რამდენი ღირს ეს „სათამაშო“?

— წარმოდგენა არა მაქვს, — მხრები აიჩეჩა ლაშამ.

— როგორ? შენ არ იყიდე?

— რას ამბობ? ამის საყიდელ ფულს ვინ მომცემდა. საჩუქარია. თანაც, საინტერესო ისტორიის მქონე საჩუქარი. გინდა, მოგიყვე?

— ამას კითხვა უნდა? — მაშინვე სმენად იქცა ნათიამ.

— მე ის ერთმა სიცილიელმა მაფიოზმა მაჩუქა...

— მაფიოზმა? — ნათიას თვლები გაუფართოვდა.

— ჰო, ნამდვილი მაფიოზი იყო. ფილმებში რომ გვინახავს, ისეთი... ისე მოხდა, რომ ერთხელაც მივლინებით კანარის კუნძულებზე ამოყვავი თავი, საიდანაც შემდეგ იტალიაში, მილანში ჩავედი. მე ყველაფერი საინტერესოს ერთმანეთის მიყოლებით გადაღების ჩვევა მაქვს. ჰოდა, როცა მილანის ხედებს ვიღებდი, შემთხვევით კადრში ის განგსტერიც მოხვდა. ზუსტად ორი საათის შემდეგ კი მილანის ერთ-ერთი კომერციული ბანკი გაძარცვეს და პოლიციამაც მთავარ ეჭვმიტანილად ჩემი ნაცნობი მაფიოზი ცნო. ის ბანკის ერთ-ერთმა მოლარემ ამოიცნო.

უფრო ზუსტად კი, ჩვენება მისცა, რომ ერთ-ერთი მძარცველი მას ძალიან ჰგავდაო. ეს ყველაფერი მე უკვე იქაური ტელევიზიით ვნახე და მოვისმინე. მაფიოზს ალიბი არ ჰქონდა და არც შეიძლება, რომ ჰქონოდა, რადგან ბანკი მართლა მან გაძარცვა. მაგრამ გამოჩნდა ადამიანი, ვინც დაამტკიცა, რომ

მას ამ საქმესთან კავშირი არ ჰქონდა.

— არ მითხრა ახლა, რომ ის ადამიანი შენ იყავი...

— სწორად გამოიცანი, ნამდვილად მე ვიყავი.

— კი, მაგრამ ეს როგორღა მოახერხე?

— აკი გითხარი, რომ იტალიაში ჩასვლამდე კანარის კუნძულებზე ვიყავი-მეთქი. მათ შორის კი დროის ორსაათიანი სხვაობაა. მილანში ჩაფრენის შემდეგ ვიდეოკამერაზე საათის გადაყვანა დამავინყდა. ანუ როცა მე მაფიოზს ვუღებდი, ფირზე კანარის დრო ფიქსირდებოდა. საბოლოო ჯამში კი ისე გამოვიდა, რომ მე მას კამერით მაშინ ვუღებდი, როცა ვიღაც ბანკს ძარცვავდა. და რადგანაც ერთ ადამიანს ერთდროულად ორ ადგილზე ყოფნა არ შეეძლო, მაფიოზი სასამართლოს დარბაზიდანვე გაათავისუფლეს.

— მე რაღა მოხდა?

— რა მოხდა და მეორე დღეს სასტუმროში ამანათი მომიტანეს, რომელშიც სწორედ ეს ვიდეოკამერა იდო. კამერას ზემოდან ბარათი ედო, სადაც ეწერა: „პაპარაცებიც იმსახურებენ პატივისცემას. საჩუქრად მადლიერი იტალიელი მოქალაქეებისგან“.

— კი, მაგრამ ეს როგორ გააკეთე? — აღშფოთდა ნათიამ. — ის ხომ ბანდიტი იყო!

— გეტანხმები, ბანდიტი იყო, — მშვიდად უპასუხა ლაფაურმა, — მაგრამ მთელ ამ ამბავში ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ნიუანსიცაა. იმ დროს მე ხელში ჩამივარდა უტყუარი ინფორმაცია, რომ ეს ბანკი ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან და მათ შორის საქართველოდანაც გადაქაჩული ფულის გათეთრებით იყო დაკავებული. ამიტომაც იმ ადამიანის გამოსაჩრჩევა, ვინც არა მართო ის უსინდისო იტალიური ბანკი, არამედ ფულის მშოვნელი ვაიქართველებიც მკაცრად დასაჯა, ჩემს პირდაპირ მოვალეობად ჩავთვალე.

— ახლა კი ყველაფერი გასაგებია, — გამოცოცხლდა ნათიამ, — ვაიქართველებს ნადვილად ასე მოუხდებათ.

უცბად ჟურნალების მაგიდაზე მდგარი ტელეფონი ანკრიალდა. ყურმილი ლაშამ აიღო:

— გისმენთ.

— თუ არემიძის შესახებ ახალი ამბის გაგება გსურთ, მის ნაცნობ ქალს დაურეკეთ, — გაისმა ყურმილში მამაკაცის ხმა.

— ვის ველაპარაკებ? — სმენა დაძაბა ლაშამ.

— ამას მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, არემიძესთან დაკავშირებული ახალი ამბით დაინტერესდეთ.

— არემიძე აღარ მაინტერესებს. ეს ისტორია ჩემთვის უკვე დასრულებულია.

— ისტორია არ დასრულებულა, რადგან არემიძე ცოცხალია.

— ცოცხალია თუ მკვდარი, მე ის

მაცნე აღარ მაინტერესებს, — ლაშას უკვე ნერვებს უშლიდა ეს უსაგნო ლაპარაკი.

— საფრთხე გუშუქრებათ. მოძებნეთ ის ქალი, — კიდევ ერთხელ გაიმეორა მამაკაცმა და ყურმილი მაშინვე დადო.

— ნეტავ, ვინ ოხერი იყო? — თავისთვის ჩაბურთყუნა შეფიქრიანებული ლაშამ.

— ვინ იყო? — დაინტერესდა ნათიამ.

— წარმოდგენა არა მაქვს...

იმ საღამოს ლაფაურმა ხასიათი ველარაფრით გამოიკეთა. რაზეც უნდა დაეწყო ფიქრი, ბოლოს მაინც იმ უცნაურ სატელეფონო ზარს უბრუნდებოდა. „იქნებ, ეს ვილაცამ ჩემი დაშინების მიზნით გააკეთა? — ფიქრობდა იგი. — მაგრამ რატომ? არემიძესთან, ისევე, როგორც ფირმა — „ომეგასთან“ დაკავშირებული ისტორია ხომ უკვე წარსულს ჩაჰბარდა და ამ საქმესთან აღარაფერი მკავშირებს. მაგრამ მაშინ რომელ საფრთხეზელა ლაპარაკობდა ის უცნობი?“ უცბად ლაშას მასზე წარუმატებელი თავდასხმები გაახსენდა. „საიდან უნდა იცოდეს ამ უცნობმა, რომ მე არემიძესთან რაღაც მკავშირებს? — დაფიქრდა იგი. — იქნებ, „ომეგას“ ერთ-ერთი თანამშრომელია და იქიდან. თუ ასეა, მაშინ ამ ამბავთან დაკავშირებით ახალი ხმაურის ატეხა რაღაში სჭირდება? თუმცა ისიც ხომღა შესაძლებელია, რომ ეს ყველაფერი სიმართლე იყოს და საფრთხეც მართლა მემუქრებოდეს? ასეთ შემთხვევაში რაღა უნდა გავაკეთო? შინიდან ფეხი აღარ გავდგა? სისულელეა! მართლა მოვძებნო არემიძის ნაცნობი ქალი? მაგრამ ეს რას შეცვლის?“

ლაშა კვლავ და კვლავ უბრუნდებოდა მასზე განხორციელებული თავდასხმების ისტორიას. პირველად, როცა მძარცველები თავს დაესხნენ, მისი უბრალოდ, ყოველგვარი ჩხუბის გარეშე მოკვლა სულ თავისუფლად შეეძლოთ, მაგრამ ამას რატომღაც ჩხუბის წამოწყება ამჯობინეს. რატომ? ალბათ იმიტომ, რომ ასეთ შემთხვევაში გამოჩნდებოდნენ მოწმეები, რომლებიც დადასტურებდნენ, რომ წარსულში ცნობილი ჟურნალისტი — ლაფაური ქუჩური გარჩევისას მოკვლესო. მეორე შემთხვევაში კი, როცა გაზით გაგუდვა მოუწოდებდნენ, ხალხი იტყოდა, რომ უსამსახუროდ დარჩენილი ცნობილი ტელეწამყვანი დეპრესიაში ჩავარდა და საკუთარ თავს განაჩენი თვითონვე გამოუტანაო. ერთიც და მეორეც თითქმის ნათუგელი სცენარი იყო, მაგრამ მათ რეჟისორებს ორჯერვე მაგრად არ გაუმართლათ, რადგან ლაფაურმა სიკვდილი არაფრით ინება! და თუ ლაშას ეს მოსაზრებები სწორი იყო, მაშინ მას მესამე „უბედურ შემთხვევასაც“ სულ ადვილად მოუწყობდნენ. თუმცა ჟურნალისტი იმაშიც ჯიუტად იყო დარწმუნებული, რომ ეს ადამიანები მის აშკარა მკვლელობაზე მაინც არაფრით წავიდოდნენ.



ახალი არხის პრეზენტაცია კვირადღეს დანიშნეს. გადამწყდა, რომ არხისთვის „სპექტრი 2“ დაერქმიათ. პრეზენტაციის ჩასატარებლად რესტორანი „ევრაზია“ აირჩიეს. არჩევანი შემთხვევითი არ იყო, რადგან პრეზენტაციაზე უამრავი სტუმარი იყო მოწვეული, რომელთა დატევა და, რაც მთავარია, სათანადოდ გამასპინძლება მხოლოდ ამ რესტორანს თუ შეეძლო. უფრნალისტებისა და ტელეპერსონალის გარდა, რესტორანში ქვეყნის მთელი პოლიტიკური ბომონდი და წამყვანი კომპანიებისა და ფირმების ხელმძღვანელებიც იყვნენ მიწვეულნი. სტუმართა სიაში უცხოელებიც მრავლად გახლდნენ.

ლაფაური შესანიშნავ განწყობლებზე იყო და ამის გამო წვერიც კი მოიპარსა და ნათიას მოწინებით სთხოვა, პრეზენტაციაზე წაჰყოლოდა. გოგონა დიდხანს უარობდა, მაგრამ ბოლოს ლაშამ მაინც თავისი გაიტანა.

— მაშინ პარიკს გავიკეთებ, — ნათიამ პირობა წაუყენა.

— როგორც გინდა. გგონია, არ მესმის შენი? გეშინია, იქ რომელიმე შენი კლიენტია არ დაგხვდეს და არ გიცნოს, ხომ?

ნათიამ პასუხად მხოლოდ მხრები აიჩჩია. მას მართლაც ეშინოდა, რომ პრეზენტაციაზე ვიღაც იცნობდა, მაგრამ ისეთ გრანდიოზულ ღონისძიებაზე მოხვედრაც ძალიან აინტერესებდა, სადაც პრაქტიკულად, ქვეყნის მთელი ელიტა მოიყრიდა თავს.

ლაშამ ნათიას ყოფილი მეუღლის გარდერობიდან თვითონ შეურჩია მუქი იასამინისფერი „ვალენტინოს“ გრძელი კაბა. ის ნატურალური ჩინური აბრეშუმისგან იყო შეკერილი და გულზე ხელოვნური საფირონების ნაზი მწკრივი გადაუდებოდა.

— მშვენივრად გამოიყურები, — შეაქო ლაფაურმა ახალ კაბაში გამოწყობილი გოგონა, — ოღონდ, გვერდიდან ნამითაც არ უნდა მომპოვდე.

— რატომ? — გაუკვირდა ნათიას.

— იმიტომ, რომ შეიძლება, მოგიტაცონ! — სერიოზულად უპასუხა ლაშამ.

— მაშინ იქნებ, საერთოდაც შინ დავრჩენილიყავი? — ნათიას ხმაში შიში შეეპარა, რომელსაც ლაშას სიტყვებზე მისი სახლის ფანჯრიდან მომზირალი უცნობი და მისთვის ძალიან საშიში მამაკაცი გაახსენდა.

— დამშვიდდი, — გაეღიმა ლაშას. — ვიხუმრე. უბრალოდ ისეთი ლამაზი ხარ, რომ შეიძლება, შენი თავი მართლაც ვინმემ წამართვას. მე კი ამ საღამოს მართო დარჩენა ძალიან არ მინდა.

— გეფიცები, არ მიგატოვებ!

ნათიამ ეს სიტყვები იმდენად სერიოზულად წარმოთქვა, რომ ლაშას ისიც

კი მოეჩვენა, რომ მათში რაღაც ფარული აზრი ჩადო, მაგრამ მაინც არაფერი შეიმჩნია:

— მაშინ დროა, გზას გავუდგეთ! პრეზენტაციაზე ნანახმა ნათიას ყველა მოლოდინს გადააჭარბა. ხალხით გადაჭედული უზარმაზარ დარბაზში მუსიკის



სასიამოვნო ჰანგები იფრქვეოდა. ოფიცინტები ნაირ-ნაირი სასმლით სავსე ლანგეტებს ოსტატურად დაატარებდნენ და ყველა მსურველს უმასპინძლებოდნენ. მოწვეული მამაკაცები — მკაცრ შავ კოსტიუმებში, უამრავ ძვირფას ქვებასმული ქაღალტონები კი ცნობილი კუტიურიეების მიერ ზედმინვებით დახვეწილი გემოვნებით შეკერილ მდიდრულ საღამოს კაბებში იყვნენ გამოწყობილნი. ნათია მათ გვერდით თავს კონკრეტად გრძობდა და აღარ იცოდა, სად დამალულიყო.

— ნამო, ნამო, ნუ გეშინია! — ლაშამ ხელკავი გამოსდო მას.

როგორც კი დარბაზში შევიდნენ, მათ მაშინვე ხალხი შემოეხვია.

— ლაშას გაუმარჯოს! ძალიან მიხარია შენი დანახვა. შესანიშნავად გამოიყურები. ხომ ხარ საბრძოლო განწყობილებაზე? — კარგა ხანს ართმევდა ხელს ლაფაურს ვიღაც ახალგაზრდა მამაკაცი.

— გაგიმარჯოს, პაატა, მეც ძალიან მიხარია შენი დანახვა და ბრძოლის ხასიათზეც ნამდვილად ვარ.

ის იყო, პაატას კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, რომ საუბარში უკვე სხვა მამაკაცი ჩაერთო:

— ლაფაურო, მართლა შენ ხარ, ბიჭო? სად დაიკარგე? ასი წელია, რაც არ მინახავხარ!

— ასმეერთებე ხომ მაინც მნახე, — მეგობრულად გაუღიმა მას ლაშამ, მაგრამ მეტი ვეღარაფრის თქმა მოასწრო, რადგან ამ დროს უკვე ვიღაცამ მხარზე ხელი მეგობრულად დაჰკრა:

— ბოლოს და ბოლოს, გამოაჩინე ხომ შენი ლამაზი ცოლი. მასზე ძალიან

ბევრი მსმენია, მაგრამ სინამდვილეში უბრალოდ ლამაზი კი არა, უმშვენიერესი ყოფილა.

— ვწუხვარ, ჩემო ზურაბ, მაგრამ ეს ჩემი ცოლი არ არის.

— თუ ასეა, რაღას უდგახარ, სასწრაფოდ გამაცანი! — თვალები ემ-მაკურად მონკურა ზურაბმა.

დარცხვენელ-დაბნეულმა ნათიამ აღარ იცოდა, ხელები სად წაეღო.

— ლაფაურო, შემოგვიერთდი! — იყვირა უცბად ვიღაცამ დარბაზის სიღმიდან.

— შენ აქ უამრავი ნაცნობი გყოლია, — ხალხის ზღვაში დაკარგვის შიშით პიჯაკის სახელოში ჩააფრინდა ნათია ლაშას.

— ეს ბუნებრივია. ჩემი პროფესია ხომ პირველ რიგში ადამიანებთან ურთიერთობას ითვალისწინებს.

— მე კი აქ რაღაც ისე... მოკლედ, საკმაოდ უხერხულად ვგრძნობ თავს...

— სულ ტყუილად, — მხარზე ხელი მოხვია გოგონას ლაშამ და თან ოფიცინტის მიერ მორთმეული შამპანურით სავსე ჭიქა მიანოდა, მეორე კი თვითონ ასწია და დიდი საქმელის დაწყებას გაუმარჯოსო, ხმაძიებდა შესახება.

ირგვლივ ყველამ მას აუბა მხარი.

— ამას ვის ვხედავ! — ლაშას და ნათიას გრძელ ვერცხლისფერ კაბაში გამოწყობილი სასიამოვნო გარეგნობის შავგვრემანი ქალი მიუახლოვდა. — ასე უნდა დაკარგვა, ლაფაურო?

— გაიცანი, — მიუბრუნდა ლაშა ნათიას, — ეს ნანუკაა, ქალაქის ყველაზე ცნობილი სამშენებლო კომპანიის ხელმძღვანელის ქალიშვილი და არანაკლებ ცნობილი ბანკირის მეუღლე.

— მოიცა, რა, არ დროს ეგაა, — ლაშას ლოყაზე ხმაურით აკოცა ნანუკამ და თან ნითელი პომადის კვალი დაამჩნია, — ისე, სულ არ გამოცვლილხარ. ის რომანტიკული ღამე თუ გახსოვს, პარიზში ერთად რომ გავატარეთ?

— ასეთი რამის დაგინწყება იქნება? — თვალები ემმაკურად მონკურა ლაშამ.

— შენმა ძვირფასმა მეუღლემ ხომ მაშინ იმდენი დალია, რომ მთელი ღამე გრძნობაზე მომყავდა და დილისთვის ძლივს მოვახერხე ამის გაკეთება. მართლა, ახლა როგორა? იმედია, მისმა ბანკმა ჯერ ყველა პატიოსანი მოქალაქის ჯიბის გამოცარიელება ვერ მოასწრო.

— ტყუილად ცდილობ ჩემთვის ხასიათის გაფუჭებას, — ლაშას სიტყვები არაფრად ჩააგდო ნანუკამ, — ეტყობა, არ გაგიგია, რომ უკვე სამი თვეა, რაც იმ სულელს გავყვარე. და როგორც მაშინ, იმ ღამეს, ახლაც გირჩევ, რომ ცოლად დროზე მომიყვანო.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



# რომანტიკა

# თუ

# დანაშაული?

## სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

[gza.fantazia@gmail.com](mailto:gza.fantazia@gmail.com)

დასაწყისი ნ. №31-36

ერთი კვირა მიილია, რაც მუშაობა დავიწყე. მარიკა გადაიყვანეს, მე კი დამოუკიდებლად შევუდექი ჩემი მოვალეობის შესრულებას. მშვენივრად ვუძღვებოდი საქმეს, წამითაც არ გამჭირვებია. არც ვიგვიანებდი და სამსახურიდანაც ზუსტად თავის დროზე გავდიოდი. ყოველ შემთხვევაში, ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, ჩემი ოფისში გვიანობამდე დარჩენა აუცილებელი გამხდარიყო.

თედო, მას მერე, რაც რაღაცები „მაკადრა“ თუ ნიადაგი მომისინჯა, შორიდან მზვერავდა. უკიდურესად ოფიციალური ურთიერთობა გვექონდა. მხოლოდ საქმესთან დაკავშირებული მოკლე-მოკლე დიალოგებით თუ შემოვიფარგლებოდით! არადა, განა არ მსიამოვნებდა, უფროსს რომ მოვწონდი! პირველ რიგში, მარიკას ფაქტორი მაფერხებდა, თორემ ამ ეტაპზე თედო საუკეთესო ვარიანტი იყო ჩემთვის, რომ ნიკას გასაღიზიანებლად გამოეყენებინა. იმდენს ვიზამდი, რომ ვაეჭვიანებდი. თანაც, ვგრძნობდი, თედოს ჩემს დანახვაზე ნერწყვი რომ ადგებოდა. ამ დროს ისეთი დისტანცია მეჭირა, ვერაფერს მიბედავდა. ის მიჩვეული იყო თავისი მდივნებისგან კვლუტობას, ალბათ ყველა თავს აწონებდა და „უტენებოდა“. ჩემგან კი ასეთი რამ რომ ვერ მიიღო, უკვირდა. საინტერესოა, მარიკასთან რატომ არ სცადა? მგონი, მათი გაცნობა ცუდ დროს დაემთხვა და იმიტომ. სწორედ მაშინ მომხდარა იმ დაორსულებულ ნამდივნართან სკანდალი, ვის გამოც ცოლმა მიატოვა. ამის გამო მარიკა „გამოჩნა“. მერე კი იმდენად საქმიანი ურთიერთობა დაამყარეს

ერთმანეთთან, რომ მარიკას, როგორც ქალს, ვერც აღიქვამდა. არადა, სულაც არ არის ცუდი გოგო. მშვენიერი ტანფეხი და ემზიანი სახე აქვს... ზუსტად ისეთია, ჯიშთან ქალს რომ ეძახიან. აჩენინე და აჩენინე შვილები. დახატული ბავშვები ეყოლება, ჯანმრთელები და ტუნტულები!.. რა მაცინებს!..

ნიკა ჰორიზონტზე არ გამოჩენილა. მასზე აღრენილი ვიყავი. მართალია, მანქანა გამირემონტა და თანხაც სამსახურის ხარჯზე გამოწერა, მაგრამ ეს არ ამართლებდა ჩემთან დამოკიდებულებაში. რომ შემპირდა, გნახავო, უნდა ვენახე. მქონდა ამის პრეტენზია. ვერ ვიტან, როცა მპირდებიან და არ ასრულებენ. ასეთი რამის პატიება არ მჩვევია, რადგან მე იმედს არავის ვუცრუებ. სხვებისგანაც ყოველთვის ამას მოვიტხოვ.

ერთი კოზირი მაინც მეჭირა ხელში — მისი ხალათი ჯერ კიდევ ჩემთან იყო. გავრეცხე და დაკეცილი თვალსაჩინო ადგილას დავდე, რომ შესაფერის დროს მივსულიყავი მასთან და თავისი ნივთი გადამეცა. მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, ეს „შესაფერისი დრო“ არა და არ დადგა. იგი თავის ნაქირავებ ბინაში იმ საღამოს მერე აღარ გამოჩენილა.

გამუდმებით მასზე ვფიქრობდი... არ ჰქონდა მნიშვნელობა, რას ვაკეთებდი — მეძინა თუ მეღვიძა, ვსადილობდი თუ ვმუშაობდი, გონებით მასთან ვიყავი. როგორც არასდროს, ახლა ყველაზე მეტად მწყებოდა გული, რომ არ ვიყავი იმ ასაკის, რომელზეც წლების განმავლობაში ვოცნებობდი. წარმოიდგინეთ, ახლა რომ ორმოცი წლის ან მეტის ვიყო, ხომ არ გამიშვებდა ხელიდან? ჩემთან დაახლოებას ხომ აუცილებლად ეცდებოდა? „ეცდებოდა“ — ეს ის სიტყვა არ არის! ყველაფერზე წავიდოდა, ყველაფერს იღონებდა, ოღონდ კი სანადღელისთვის მიეღწია. ამას წყალი არ გაუწვიდოდა!

თავში უცნაური აზრები მომდიოდა... თუ არსებობს ადამიანის გაახალგაზრ-

დავების რეცეპტი და საიდუმლო, ნაადრვეი დაბერების რატომ არ არსებობს? აუუუუუ! მგონი, გავუტიე! ნუთუ შეყვარებული ვარ? თუ მისი გულგრილობით განზილებული? რა გავაკეთო, რომ შემამჩნიოს? ჩემით დაინტერესდეს? თანაც, ძალიან, ძალიან? ყველაფერი! — ჩამძახოდა შინაგანი ხმა. თუ მუშამედი არ მიდის მთასთან, მთა უნდა მივიდეს მუშამედთან. ეს რას ნიშნავს? ანუ მთის როლი მოვირგო? — ვეკითხებოდი ჩემს მეორე მეს, — მომიხდება კი? შევძლებ? — შეძლებ, თანაც ძალიან ადვილად! — არ მეშვებოდა მეორე ლოლა — უფრო თამამი და უფრო თავისუფალი.

ეჰ!.. ალბათ არ ვარ იღბლიანი. ჰო, არ ვარ. თითქოს ყველაფერი მაქვს... ამ დროს, არაფერიც არ მაქვს! ეს შორიდან ჩანს მხოლოდ, რომ არაფერი მაკვლია. ბევრი რამ მაკვლია, პირველ რიგში, დედის სიტოზი... მერე — მამაკაცის სიყვარული... პატარა მართლა არ ვარ. ჩემი ასაკის გოგოს უნდა ჰყავდეს შეყვარებული, დროა უკვე! და თუ ის შეყვარებული ნიკასნაირი იქნება, მაგას რა სჯობია?! ჩემს ბედს ძალდი არ დაჰყვეს! არა, არა, იღბალი მჭირდება! თანაც — სასწრაფოდ! სად ბრძანდება მისი აღმატებულება ქალბატონი იღბალი? როდის მოიცლის ჩემთვის?.. და რატომ დავასკვენი, რომ მაინცდამაინც ქალბატონია? იქნებ სულაც, მამრობითი სქესისაა? მეუჭვება! ეგრე რომ იყოს, აქამდე შემამჩნევდა. მამაკაცები მაშინვე მამჩნევენ ხოლმე... მაგრამ ნიკამ რატომ ვერ შემამჩნია? განა ვერ შემამჩნია, უბრალოდ, ფეხს ითრევს, ესაა და ეს!

აი, ასე ვიმშვიდებდი თავს, დრო კი გადიოდა...

მამას სულ ორჯერ დავურეკე... ჯერ ხელფასი არ ამილია, რომ გავუგზავნო და ისე რომ მოვიკითხო, რა აზრი აქვს? იტალიაშიც დავრეკე, ბუბიასთან და ვახარე, მუშაობა დავიწყე-მეთქი. რომ გაიგო, მდივნად მოვეწყე, ძალიან გაუხარდა. რა იცის, ჩვენთან მდივანს დაფასება რომ არა აქვს? იქ სხვანაირად არის მონყობილი სამსახურებრივი მექანიზმი. იქ მდივანი, ფაქტობრივად, უფროსის მარჯვენა ხელია, ასე ვთქვათ, კომპანიის ერთ-ერთი წამყვანი ძალა, სული და გული... ერთი სიტყვით, საქმიანი ქალის იმიჯით სარგებლობს. აქ კი...

ბუბიას გული დასწყდა, გამოდის, ერთი წელი კიდევ ვერ გიხილავ, სანამ შვებულება არ მოგიწევსო? სამწუხაროდ, ასე გამოდის. წელს ისედაც ვერ ვინახულე. ჯერ იყო და, ვამთავრებდი და დიპლომის დაცვა მქონდა. მერე მამაჩემი გახდა ცუდად... ახლა მუშაობა დავინწყე... როდისღა ნავსულიყავი? ბებო შემპირდა, როგორც კი ბაბუაშენი ლოს-ანჯელესიდან ჩამოვა, დაახლოებით ერთ კვირაში, ფულს გამოგიგზავნი და ტანსაცმელი იყიდე, ახალ გარემოში გამორჩეულად უნდა გეცვას, რომ დაგაფასონ, თან სუბონი იცვლება და გარდერობს განახლება სჭირდებაო. უარს როგორ ვეტყ-





ოდი? ახლა ფული ყველაზე მეტად მჭირდება.

მარიკა არ მივიწყებდა. ყოველდღე ჩამოდიოდა ჩემთან და დროის უმეტეს ნაწილს ჩემ გვერდით ატარებდა. ძალიან შევეჩვიე. მასაც მოვწონდი. თუმცა, მხოლოდ ეს არ იყო მისი ჩემთან ხშირად ყოფნის მიზეზი. მას „თედომანია“ შეეყარა და მისგან განკურნებას ცდილობდა. იმას კი ვერ ხვდებოდა, რომ რაც მეტ დროს ატარებდა მის სამდივნოში, მით უფრო დამოკიდებული ხდებოდა მასზე. ის ბედოვლათი კი აზრზეც არ იყო, რა ცეცხლიც გიზგიზებდა მისი ყოფილი მდივნის აღმოდებულ გულში... საოცრად პოეტური წინადადება კი გამომივიდა!

ამასობაში აგვისტო მიილია. სექტემბერი შემოდგომა ჩაიბარა და თავისი ხავერდოვანი ფრთების გაშლა დაიწყო. მიყვარს ეს თვე. სხვა დროს, სექტემბერს აუცილებლად ზღვაზე ვატარებდი ხოლმე, წელს კი, იძულების წესით, ტრადიციას ვულაბატე — ახალდაწყებულ სამსახურს ვერ მივატოვებდი. არადა, გარუჯვა ყველაფერს მირჩევნია... თან მისდება!.. თან საოცრად!..

ნიკა ისევ და ისევ არ ჩანდა. ერთხელაც ვერ მოვკარი თვალი ვერც აქ და ვერც გარეთ. ბოლოს დავასკვენი, ალბათ შევბუღებთაშია-მეთქი და ამით დროებით დავაშოშმინე ჩემი გული.

ჩემი და თედოს ურთიერთობა ორმხრივი გულგრილობის ფარგლებს არ სცდებოდა. უნდა გამოგიტყდეთ, რომ მომბეზრდა მასთან ოფიციალური დამოკიდებულება. თუმცა, არც უკან დახევა მისიბლავდა. მინდოდა, თავად გადაედგა პირველი ნაბიჯი.

ასეც მოხდა. ერთ დღეს კაბინეტში დამიბარა. შემოდიო, აციმციმდა მწვანე ღილაკი.

შევედი და კართან შევედექი.

— მოდი, დაჯექი, — ძალიან თბილად და მეგობრულად მომმართა.

შეუმჩნევლად ავნიე ცალი წარბი, რა მოელანდა?

მივედი... დავედექი... აკორდეონზე დამკვრელივით, კარგა ხანს ათამაშა თითები მაგიდაზე, მერე კალამი აწვალა კიდევ კარგა ხანს, ბოლოს ამოიხვნეშა და დაჟინებით მომამტერდა.

— აბა? — გაურკვეველი კითხვა დამისვა.

— დიახ... — ჩემი პასუხიც გაურკვეველი იყო.

— როდემდე აპირებ ასე გაგრძელებას? — კვლავ კალამს ნაეტანა.

— როგორ, ასე? — დაკონკრეტება მოვითხოვე.

— ასე... ზერელედ.

— ზერელედ? — გაოცებისგან თვალეები გამიფართოვდა, — რას ნიშნავს ზერელედ? რამეს ისე ვერ ვაკეთებ?

— არ უნდა ჩამოიხსნა ეს ხელოვნური ნიღაბი? — თავისას აგრძელებდა შეფი.

— ბატონო თედო, ვერაფერი გავიგე, იქნებ პირდაპირ მითხრათ, რას ვაშავებ? — ვედოვანი მოვივინე და უხეშად მივმართე.

ერთხანს ხმა არ ამოუღია, თითქოს ფიქრობს, საიდან დაიწყოსო.

— შენ ჩემი მარჯვენა ხელი ხარ, ლოლა... გაქვს ეს გაცნობიერებული? — აქედან დაიწყო.

„საერთოდ ვერ ვგრძნობ მაგას, უფროსო“.

— დიახ, რა თქმა უნდა!

— მერედა, რაში გამოიხატება? წესიერად გამარჯობასაც არ მეუბნები.

„აი, თურმე რაში ყოფილა საქმე“.

— როგორ გეკადრებათ, ბატ... — მეორედ არ გამაგონო ეს „ბატონო“! — მკაცრად მომმართა. — ამაზე ხომ ვილაპარაკეთ, თანაც არა ერთხელ და ორჯერ! თედო დამიხსენებეთ, გითხარი უკვე.

— გასაგებია, — მოთმინებით აღვიჭურვე.

— თუ ასე გაგრძელდება, ჩვენი თანამშრომლობა ვერ შედგება, ლოლა... მე კი ეს არ მინდა... შენ კარგი კადრი ხარ, პერსპექტიული... მშვენიერი კარიერის აწყობა შეგიძლია... „თუ შენ ჩაგიგორდები ლოგინში“? — რას ამბობთ... — ვიცი, რასაც ვამბობ! გასაგებია, რომ არ მწყალობ და... არ გსიამოვნებს ჩემი ყურადღება, მაგრამ ამაზე ჩვენს საქმიან დამოკიდებულებას ხელი არ უნდა შეუშალოს. ერთმანეთთან უფრო შინაურულად უნდა ვიყოთ. მე კი შებოძლი ვარ, როცა გიბარებ, გელაპარაკები... „სანყალი“...

— ისეთი ცხვირანული მიდი-მოდიხარ, თითქოს ვალი მქონდეს შენი!

— როგორ გეკადრებათ... — ერთი რაღაც მინდა გკითხო, ოღონდ გულწრფელი პასუხი მჭირდება, კარგი?

— კი, ბატონო... — მხრები პატარა ბავშვივით ავიწურე.

— არ მითხრა, რომ არ მოგწონვარ... არც ისეთი შეუხედავი ვარ და არც ისეთი... დასაუნნი, რომ... — ჩაახველა, — მოკლედ, არ ვარ ცუდი და უსიმპათიო, ხომ მართალია?

„ერთი ამას დამიხედეთ!“

— დიახ, რა თქმა უნდა, მე ეს არასდროს მითქვამს...

— ცოლი არ მყავს, არც შენ ხარ გათხოვილი... ჰოდა, რა არის იმის მთავარი მიზეზი, რომ ასე ცივად მომიშორე თავიდან? არასასიამოვნო ხმები მოგივიდა ჩემზე?

— არა, არა, ეგ არაფერ შუაშია... — ძალიან დავიბენი, ვერ მივხვდი, რის გარკვევას ცდილობდა.

— მეც ეგერ მგონია... აბა, მაშინ რა? იმის ფავორიტი ხომ არ ხარ? — მკითხა უეცრად და საჩვენებელი თითი ზემოთ აღმართა მზერასთან ერთად, თითქოს „ის“ ჭერში იჯდა და იქიდან გვიყურებდა.

მივხვდი, „მთავარ მიზეზში“ ნიკას გულისხმობდა. მეც, რა თქმა უნდა, საჩემოდ გამოვიყენე მისი ეს ვარაუდი.

— თქვენ... სწორად მიხვდით, — ვითომ ჩავილულულე და ვითომ დარცხვენილმა თავი ჩავვლუნე.

— ასეც ვიფიქრე... ყველაფერი გასაგებია... ჰოდა, დროზე გეთქვა, შე კაი ადამიანო...

— თქვენ არასდროს გიკითხავთ ჩემთვის... — თავი „ვიმართლუ“.

— კარგი, მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს. იმედია, დღეიდან ჩვენი ურთიერთობა დათბება და დავეგობრდებით, — ხალასი ღიმილი მესროლა, თუმცა ოდნავ „დანანებითი“ იერი დაჰკრავდა მის ღიმილს.

— ჩათვალეთ, რომ უკვე დათბა... თედო, — მის ღიმილს ჰაერშივე დახვდა ჩემი ღიმილი.

— ამის გაგონება მინდოდა შენგან, სხვა არაფერი, — აროხროხდა დირექტორი, ფეხზე წამოდგა და მარჯვენა გამომინოდა.

ისე საზეიმოდ ჩამოვართვით ერთმანეთს ხელი, როგორც ორი ქვეყნის პრეზიდენტმა ოფიციალური შესვენების დროს, ფოტოგრაფების და ჟურნალისტების გარემოცვაში, დაყენებული ღიმილების თანხლებით...

ჩვენი შერიგება მოხდა... მაგრამ სწორედ იმ დღის შემდეგ ნამდვილი გადატრიალება დაიწყო ჩემს ცხოვრებაში.





ჩემი და თედოს ურთიერთობაში „გლობალური დათბობიდან“ ორი დღეც არ იყო გასული, რომ...

დილის თორმეტ საათზე სამდივნოს კარი უეცრად გაიღო და ოთახში ნიკა შემოვიდა... კი არ შემოვიდა, შემოიჭრა... მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ლამაზად იყო გარუჯული, მაინც შევამჩნიე, რომ სახეზე ფერი არ ედო... მრისხანებისგან ქვედა ყბა უკანალებდა. ფეხზე წამოვდექი და უნებლიეთ კედელს ავეყარი. იგი ორიოდ ნაბიჯით ჩემს მაგიდასთან გაჩნდა, მუშტებით ზედ დავეყრდნო, თვალები მოჭუტა და ზიზლით მომაჩერდა.

— რატომ აძლევ შენს თავს ამდენის უფლებას? — მაქსიმალურად მოზომილად, მაგრამ მკვებედ მკითხა.

— არ მესმის, რაზე ლაპარაკობ, ნიკა... — ვიგრძენი, რომ გავფითრდი. ვერ ვხვდებოდი, რაში მადანაშაულებდა.

— ნიკა არა... — კბილებში გამოცრა, — ბატონო ნიკა!

თითქოს დაფუთული პილილი შემომაცყარესო, ისე ამენვა თვალ-სახე... შეურაცხყოფილმა არ ვიცოდი, როგორ მოქცეულიყავი.

— რა დავაშავე? — საცოდავად ამოვიკნავლე და კიდეც უფრო მჭიდროდ ავეყარი კედელს, რადგან მივხვდი, რომ მუხლებში ძალა წამერთვა და ვეცემოდი.

მან კვლავ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ რატომღაც, გადადივირა. ალბათ საშინელი სანახავი ვიყავი და დამინდო... მერე თავი გადააქნია, ღრმად ამოიხვნეშა, გატრიალდა და გავიდა.

მისი გასვლა და ჩემი მოშვება ერთი იყო... რომ არ დავცემულიყავი, ასევე კედელზე აკრული ჩავცურდი ძირს, იატაკზე და ჩავჯექი... ერთიანად ვცახცახებდი...

რატომ? რით დავიმსახურე? რა გავაკეთე ამისთანა? რა ვანყენინე? კითხვას კითხვა ცვლიდა, პასუხი კი... ჰოპ! მივხვდი, რამაც გააცოფა ასე! ჩემი და თედოს საუბარი გამახსენდა...

ყველაფერი გასაგები იყო. როგორც ჩანს, თედომ ჩამიშვა. არა მგონია, ნიკასთვის პირდაპირ ეკითხა, ამ გოგოსთან რა გავკვირებსო, მაგრამ ალბათ მიანიშნა, რაღაც-რაღაცები ვიცოდი ან რაზე ამდაგვარი...

არადა, მართლა არაფერი გვაკავშირებდა ერთმანეთთან... ორიოდ შეხვედრის მეტი... ან სამიოდ... თედო კი დავარწმუნე, რომ ჩვენ შორის „მთავარი“ ხდებოდა...

ღმერთო, ახლა რა ვქნა? რით ვიმართლო თავი? ერთს ჩემი სიყვარული დავწამე, მეორე მოვატყუე... თანაც ვინ! ორივე უფროსი! პრეზიდენტი და მისი მოადგილე! მორჩა, სამსახურს უნდა დავემშვიდობო! აქ აღარავინ გამაჩერებს... ოოო! როგორ არ მინდოდა ასე! მე ხომ არ ვარ ასეთი! რატომ, რატომ დამემართა ეს?..

მაგრამ... მაგრამ არის ერთი რაღაც... მე ხომ ნიკა არ მისხენებია? არც თედოს

უხსენებია... მან შეიძლება, ნიკა იგულისხმა, მაგრამ მე ხომ არ დამიკონკრეტებია, ვინ ვიგულისხმე? იქნებ ფინანსთა მინისტრის შეყვარებული ვიყავი ან სულაც, სხვა კომპანიის პრეზიდენტის? აი, როგორ უნდა ვიმართლო თავი, თუკი ამის საჭიროება დადგება!

თედოს ბედი, დღეს სამსახურში რომ არ არის. ორდღიანი მივლინებით ბაქოშია წასული. ხვალ ჩამოვა და მე ვიცი, რასაც ვეტყვი! თუნდაც ნიკა მეგულისხმა, მისთვის უნდა ეთქვა? რა ჭორიკანა ყოფილა! ამას არ შევარჩენ! მაინც დამითხოვენ და სანამ მათ გავუძეებებივარ, მე დავასწრებ. ერთს გემრიელად გამოვლანძლავ ორივეს და მერე დავახვევ აქედან! „ბატონო ნიკაო“... როგორ შემისწორა!.. ნამში გამაცამტვერა! არარაობა ხარო, მიმანიშნა... სად შენ და სად მეო... ამას რა მოინებებს! ბოლმისგან გავსკდები ალბათ!

მეტის ატანა არ შემეძლო. ოთახში ვერ გავძელი. მარიკას დავურეკე, ცუდად ვარ და იქნებ შემცვალო-მეთქი. შემფოთებული მაშინვე ჩამოვიდა. ნახა, რომ მართლა ცუდად ვიყავი და შემცვალა, წამითაც არ უყოყმანია... და არც არაფერი უკითხავს...

არ მახსოვს, სახლამდე როგორ მივალწი. ნერვიულობისგან ხელ-ფეხი გამყინვოდა. მობილური და ბინის ტელეფონი გამოვრთე, მარიკას რომ არ დაერევა და ეგრევე ლოგინში ჩავწექი...

დამეძინა... და კარგადაც მეძინა... უცნაურია, მაგრამ ჩემი ცხოვრების ამ ყველაზე „შავ დღეს“ კარგად მეძინა... მკვდარივით...

ალბათ სიძულვილის ენერჯია მატებს ძალას ადამიანს ისევე, როგორც ყველა სხვა ენერჯია. მიუხედავად იმისა, როგორც მომეცა, მე მაინც მიყვარდა იგი. უფრო მეტიც — იმაზე მეტად მიყვარდა, ვიდრე გუშინ ან გუშინწინ... მიყვარდა ისე, როგორც არასდროს... თუმცა ამის პატივს არ ვაპირებდი. თავმოყვარეობის შელახვას არავის შევარჩენ, ვინც უნდა იყოს იგი. მე კი თავმოყვარეობა შემელახა... საშინლად ვიყავი შეურაცხყოფილი...

თითქოს ახლა შევამჩნიე, რომ სამყაროში ერთი უცნაური პრინციპი მოქმედებს და ამ პრინციპს „სამაგიეროდ“ ჰქვია. მახინჯი, სამაგიეროდ ჭკვიანიო, იტყვიან... თუკი ლამაზიც არის და ჭკვიანიც, სამაგიეროდ, ლოთია ან ნარკომანი... ხოლო თუ ლამაზია, ჭკვიანი და ლოთი ან ნარკომანი არ არის (როგორც მე), სამაგიეროდ, უბედურია, უიღბლო, ბედი არ სწავლობს (ჩემსავით). და ყოველი ადამიანის ამგვარი ბედისწერა მონეტასავითაა — ერთ მხარეს სხვანაირია, მეორე მხარეს — სხვანაირი.

რას ვიფიქრებდი, ნიკა თუ ასეთი იქნებოდა... ანუ გარეთ სულ სხვა და სამსახურში აბსოლუტურად საპირისპირო... როგორც ჩანს, მასზეც მოქმედებს პრინციპი — „სამაგიეროდ“... მე კი ის ყველასგან გამორჩეული მეგო-

ნა... მამაკაცი, რომელიც არავის ჰგავს... შევცდი... და ეს შეცდომა ჩემთვის გაკვეთილი იქნება...

დილით გვიან გავიღვიძე და წელი ძლივს ავითრიე. ისეთი დათეთქვილი ვიყავი, თითქოს კარგა გემრიელად ვეცემე ვინმეს...

შემთხვევით მოკვარი სარკეში ჩემს ორეულს თვალი და... თავდაპირველად ვერ ვიცანი. თითქოს რაღაც არსებითად შეიცვალა ჩემში. ადრე იმედიანი და „ნდობიერი“ ქალის გამოხედვა მქონდა, ანუ ადამიანების მიმართ ნდობა არ მქონდა დაკარგული. დარწმუნებული ვიყავი, რომ ყველას ვუყვარდი. ამას ბავშვობიდან მივეჩვიე. თავიდან მშობლებს ვუყვარდი, იმიტომ, რომ დედისერთა გახლდი. მერე — სკოლაში, იმიტომ, რომ სამაგალითო მოსწავლის სახელით ვსარგებლობდი — განსაკუთრებული, ნიჭიერი და კეთილსინდისიერი. მერე ინსტიტუტში მოვიპოვე ყველას სიყვარული — სასურველი და გამორჩეული გოგონას იმიჯი მოვირგე. იქნებ მხოლოდ მეჩვენებოდა ეს ყველაფერი და სინამდვილეში სულაც არ იყო ასე? იქნებ ვინმეს ვშულდი კიდევ? ხომ ვერაფერს ვამჩნევდი, ისე ვიყავი დაბრმავებული საკუთარი „ბრწყინვალეობით“. მივეჩვიე იმას, რომ ვიყავი ყველაზე ლამაზი, ყველაზე ჭკვიანი, ყველაზე, ყველაზე... არადა, მახსოვს, დედა ხშირად მიმეორებდა ერთ ანდაზას — „ბებერი ქალაქს ვერ იტანდა, ქალაქმა კი ამის შესახებ არაფერი იცოდაო“...

ნუთუ მეც ასე დამემართა? ახლა ვუყურებდი ჩემს თავს სარკეში და ვგრძნობდი — ჩემი სახიდან იმედიც, ნდობაც, თავდაჯერებულობაც სადღაც გამქრალიყო. ქუჩაში გაგდებული ძაღლივით უსუსური და დაბნეული გამხდომოდა გამომეტყველება...

კარგა ხანს ვიდექი გაქვავებული და ჩემს გასაცოდავებულ ორეულს დანანებით შევყურებდი. მერე გამოვერკვიე და... ტირილი დავიწყე... ჩემდა უნებურად, ყოველგვარი შეკვეთის გარეშე... ტირილი მალე ღრიალში გადამეზარდა... როგორც ჩანს, სხვა უკეთესის გაკეთება ამ მომენტში არ შემეძლო... ეს ახლა ჩემი ყველაზე ჩვეულებრივი რეაქცია იყო...

უმაკიაჟოდ მივედი სამსახურში. ყველაფრის ხალისი დაკარგული მქონდა. ცოტა დამავიანდა კიდეც... ბოლო ორი კვირის განმავლობაში ეს პირველი დავიანება იყო... აღარ მადარდებდა უკვე... ისედაც წასვლას ვაპირებდი. და ახალი სამსახურის ძებნას... და ახალი ცხოვრების დანყებას... და ახალი თავგადასავლების ძიებას...

დაგვიანებისთვის პასუხი არავის მოუთხოვია, რადგან თედო ჯერ არ ჩანდა. ალბათ დღის მეორე ნახევარში გამოჩნდებოდა, ცოტა ხომ უნდა დაისვენოს ნამგზავრმა... ნეტავ, იცოდეს, რა ელოდებოდა! საბოლოოდ უნდა გავაცამტვერო, ისე, როგორც მე — ნიკამ.



მოვედი თუ არა, მარიკაც ჩამოვიდა, როგორ ხარო. ვუთხარი, გუშინ მოვიწამლე და ცუდად იმიტომ გავხდი-მეთქი. აბა, რა მეთქვა? ჯერ ისე ახლოს არ ვიყავი მასთან, ჩემს პირად ცხოვრებაზე გულწლად მელაპარაკა. მერე თედოზე ჩამომიგდო ლაპარაკი, როგორ შეეწყვეთ ერთმანეთსო. უფროსის საყვედური არ მითქვამს... პირიქით, ვაქე...

მარიკამ საღამოს თავისთან დამპატიჟა, დედაჩემი ჩამოვიდა და უნდა გაგაცნოო. მოვიმიზივებ, ჯერ კიდევ ვერ გამოვკეთდი და სხვა დროისთვის გადავოთ-მეთქი. მიხვდა, უხასიათოდ რომ ვიყავი და ზედმეტი კითხვები აღარ დამისვა.

მთელი დღე თითქმის ვერაფერი გავაკეთე, საქმეს გული ვერა და ვერ დავუდებარადა, შეიდგვერდიანი ხელშეკრულება მქონდა დასაბეჭდი. დავინწყებდი, მერე ფიქრებში გადავადრდებოდი და შეეჩერდებოდი... მერე ისევ ვაგრძელებდი... მთელი ოთხი საათი მოვუნდი მის დამთავრებას.

თითქმის მთავრდებოდა სამუშაო საათები, თედო რომ მოვიდა, ოღონდ მარტო არა — ნიკა მოჰყვა თან. მის დანახვაზე ფერი და გული ერთად წამივიდა.

— გამარჯობა, ლოლა, — საქმიანად მომესალმა უფროსი, — თუ არ შენუხდები, ორი ყავა შემოგვიტანე, — მთხოვა და ნიკას კაბინეტში შეუძღვა.

იმას ზედაც არ შემოუხედავს ჩემთვის, მისალმებაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტი... გული მომიკვდა. ნირწამსდარი ყავის მოდულებას შევუდექი, თან გამალებით ვფიქრობდი, რომ შევიდოდი, ლაპარაკი რით დამეწყო.

რალაცაზე ძალიან ხმადაბლა ბჭობდნენ, თითქოს დიდ საიდუმლოს ანდობენ ერთმანეთსო. ჩემი შესვლა და — ორივე გაჩუმდა. სინი მაგიდაზე შემოვდგი და შევყოვნდი.

— გამალოო, ლოლა, — თავი დამიკრა თედო, რითაც მაგრძობინა, თავისუფალი ხარო, მე კი ადგილიდან არ ვიძროდი. გაცივებით ამომხედა.

— რამე გინდოდა?  
— დ...და...იას... — აღმურმა ამკრა სახეზე.

— გისმენ, — თითები ერთმანეთში გადახლართა დირექტორმა და ცოტათი გაკვირვებული მზერა მესროლა.

— მ...მე... მე...  
— გისმენ, გისმენ, ნუ გერიდება, თამამად ცოტა! — წამაგულიანა.

— ბატონო თედო, ჩვენ რომ იმ დღეს ვილაპარაკეთ... აი... შერიგების თაობაზე... — მთლად დამება ენა, ყველაფერი გადამავიწყდა, არადა, მთელი „მოსხენება“ მქონდა მომზადებული, — მე მაშინ ბატონი ნიკა მეტრეველი არ მიგულისხმია. სხვა ვინმე მყავდა მხედველობაში... ისიც „ზემოთ“ ზის, — სახაასხუბით მივაყარე, საჩვენებელი თითი და მზერა ახლა მე აღვმართე მაღლა, — თორემ ასეთ უაზრობას როგორ გავივლებდი გულში. თავისი სახელის გაგონება ესამუშა, თუ

ჩემი „შესწორება“, არ ვიცი, მაგრამ ნიკამ თავი ასწია და ცივად შემომხედა.

— ვერ გავიგე, რას გულისხმობ... რომელ დღეს, რა ლაპარაკი... — გაცივების ნიშნად მხრები აიჩქია თედომ, — არ მესმის, რისი თქმა გინდა...

სასონარკვეთილმა თვალები დავხუჭე. როგორც ჩანს, ვერ მივახვედრე ან არ უნდა, რომ მიხვდეს... ჩემმა უმწეობამ საშინლად გამაღიზიანა.

— ეს აქ განსახილველი თემა არ არის, — საუბარში ნიკა ჩაერია, — დაგვტოვე, თუ შეიძლება, — ჩემი „გამოსვლით“ უკმაყოფილო, როგორც ჩანს, ძმაცაცის უხერხული მდგომარეობიდან გამოყვანას შეეცადა.

მისი უხეში ტონი ჩემი მოთმინების ფიალაში ბოლო წვეთი აღმოჩნდა. ერთიანად დაძაბულ ხელები მიცასცახებდა.

— სანამ ჩემს სათქმელს არ ვიტყვი, აქედან ფეხს არ მოვიცვლი! — ჩემდა უნებურად, ნათქვამი ზედმეტად ხმაშავდა გამომივიდა. — თქვენ ალბათ მიჩვეული ხართ, ადამიანებს ნივთებივით მოექცეო, მაგრამ ასე არ არის! მდივანი თუ ვარ, იმას არ ნიშნავს, ჩემს უფროსს როცა მოუპრიანება, მაშინ... მაშინ შეეცადოს ჩემს დასაკუთრებას. ჩემთან რომ გაქვთ პრეტენზია, ბატონო ნიკა და ჭკუას მასწავლით, ჯერ თქვენს საქმიან პატივს, მეგობრებს, თანამდებობის პირებს, რაც გინდათ, ის დაარქვით, ნაუკითხეთ ლექცია, ხელქვეითებს როგორ უნდა მოექცნენ. მე თუ ზედმეტი ვთქვი ან ტყუილი გამომივიდა, მხოლოდ იმიტომ, რომ თავი დამეცვა! რატომ გგონიათ, რომ შეფმა მდივანი, გარდა საქმის კეთებისა, პორიზონტალურ მდგომარეობაშიც უნდა გამოიყენოს? ვინ დაანესა ეს? რომელ დებულებაში ნერია? მე... — ველარ გავაგრძელე, ყელში მობჯენილი ბურთი მასწრობდა, საცაა, ცრემლი წამსკდებოდა.

ორივე მამაკაცი გაოგნებული მომჩერებოდა. მგონი, საკმარისია... გამგონი გაიგებდა... დროზე უნდა დამეტოვებინა კაბინეტი, რომ ღრიალი არ დამეწყო... გავტრიალდი და თავდაღუნული გავვარდი ოთახიდან... ახლა რა ვქნა? დავიხურო ქუდი და მოვუსვა აქედან? თუ დაველოდო, როდის მეტყვიანს, გათავისუფლებული ხარო? ჩემს თავდასხმას რომ თავდაცვა არ მოჰყვება, დღესავით ნათელია... და ასეთ დროს თავდასხმა რომ საუკეთესო თავდაცვაა, არც ეს არის ახალი ამბავი. ასე რომ... იქნებ დაველოდო ახლა უკვე ჩემზე თავდასხმას? ვნახოთ, როგორ დამსჯის თედო, რა „დონეზე“ შეუძლია ამის გაცემა... რომ შემაგინოს? ეგლა მაკლია! ხუთი წუთიც არ გასულა ჩემი „სიტყვით გამოსვლიდან“, რომ კაბინეტის კარი



გაიღო და იქიდან ნიკა გამოვიდა. მონიტორთან ვიჯექი, რათა გახსნილი ფანჯრები დამეხურა და კომპიუტერი გამომერთო. იგი წამით შეყოვნდა, ალბათ რალაცის თქმა თუ უნდოდა... არა, არ თქვა... მერე ჩქარი ნაბიჯებით დატოვა სამდივნო. წამითაც არ გამიხედავს მის-

კენ, თითქოს არც არსებობდა. არც ის ვიცი, როგორი გამომეტყველება ჰქონდა და არც ის, რისი თქმა უნდოდა... იქნებ ამით მაინც მიხვდეს, როგორი შეგრძნებაა იგნორირება...

ამასობაში ექვსი საათი გახდა და ჩემი ნასვლის დროც დადგა. ამოხედილი ხელმეკრულება ფიალაში ჩავდი და დირექტორთან შევედი. უსიტყვოდ დავუდე წინ დოკუმენტი და გამოვტრიალდი. მისი ნათქვამი „გმალოო“ ზედ კართან დამენია.

— მე თავისუფალი ვარ, ბატონო თედო? — ნახევრად მოვტრიალდი და მზერით გავხვრიტე.

— კი, ლოლა, შეგიძლია, ნახვიდე, — ქალაღებში თავჩარგულს ლმობიერი ტონი ჰქონდა, რამაც გამაკვირვა. არადა, მეგონა, მისი რისხვა დამატყდებოდა თავს.

ის იყო, შეკითხვას ვაპირებდი, მე გათავისუფლებული ვარ სამსახურიდან თუ არა-მეთქი, რომ თავი ასწია და...

— ხვალ არ დაავიანო სამსახურში, მჭირდები! — მკაცრად მითხრა და თავი კვლავ ქალაღებში ჩარგო. — და ერთხელ და სამუდამოდ დამიხსოვრე, რომ თედო დამიძახო! — ბოლოს დააყოლა.

ვარაუდით მივაღწიე ჩემს მაგიდასთან... საოცრად დამიძახა სხული... სულიც... სინდისის ქენჯნას განვიცდიდი... მე იგი თავის უფროსთან და მეგობართან ჩავუშვი, მან კი... მავატიან...

„ეს კარგია, თუ ცუდი?“ — შინ მისვლამდე მთელი გზა ვეკითხებოდი ჩემს თავს...

ვერც ამჯერად გავეცი ჩემს „საყვარელ“ კითხვას პასუხი...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# გზის გზნიღლები

## მარი ჯაფარიძე

გამარჯობა, პატივცემულო საზოგადოებავ. როგორ ხართ? დაუბრუნდით, საკუთარ „ბუდეებს“ თუ ისევ ისვენებთ? დამეთანხმებით ალბათ, რომ ძალიან კარგი და თბილი შემოდგომა გვაქვს. განწყობაც, ალბათ, შესაბამისად — კარგი. ჰოდა, მეც თავს აღარ მოგანწყენთ და სირცხვილზე გამოგზავნილ მესიჯებს გაგაცნობთ.



## უბერავს

„ჩემ გვერდით სახლში თბილისელი მხატვარი, მაია ცეცხლაძე ჩამოდის ზაფხულობით, დედასთან ერთად. ერთხელაც ეს ჩვენი მაიკო ჩვენი სოფლის ავტობუსით მგზავრობდა. გვერდით ვილაც ქალი მიუჯდა და დაიწყო გაუჩერებელი ქაქანი. ხან ვინ მიჭორმოჭორა, ხან ამ მთავრობას დაუწყო „ქება-დიდება“... ბოლოს, წინ მჯდომი ქალი მობრუნდა და ჩვენს მხატვარს უჩურჩულა: ეს ქალი უბერავსო... მაიამ არც აცია, არც აცხელა და... ვაიმე, საიდან უბერავსო? ამას წინათ კიდევე, საზამთრო ჩამოატარეს. უნდოდა, იყიდა, მაგრამ რატომღაც ხელცარიელი და „გაბუტული“ დაბრუნდა. — რა იყო, მაია, რატომ არ იყიდე-მეთქი? — რა და, 2-კილოგრამიანი არ ჰქონდათ და სხვა არ მინდოდაო. აბა, თქვენ გინახავთ სადმე 2-კილოგრამიანი საზამთრო? მე — არსად. ;) CRAZY GIRL“.

## პატარა კაცი

„მამიდაჩემის მეზობლად ერთი პატარა კაცი ცხოვრობს, „მეტრაოცია“ სიმალღეში. ყოველდღე თავისი გუდანაბდით გეზს მდინარისკენ იღებს და შინ მხოლოდ შებინდებისას ბრუნდება. წყალი ძალიან უყვარს, მიუხედავად იმისა, რომ ცურვა არ იცის. კარგად იცის, საფრთხე არ ემჭერება, რადგან რაც უნდა ღრმად შევიდეს, წყალი მაინც წელამდე სწვდება. ერთ დღეს ეს კაცი ჩვეულებისამებრ, წყალში ყოფილა, რომ ერთი ბიჭი სამ გოგოსთან ერთად ჩასულა გასაგრილებლად. ბიჭს იმ პატარა კაცისთვის უკითხავს: — ბიჭო, მაქანე დიდია წყალიო? ამ კაცსაც ამაყად და დამაჯერებლად უთქვამს, ვერ ხედავ, წელამდე მწვდებაო? ჰოდა, ეს ახალგაზრდა ყმაწვილი, რომელიც აშკარად იმ სამ მანდილოსანს თავს აწონებდა, ყველაზე დიდ და მაღალ ქვაზე დამდგარა და იქიდან პირდაპირ თავით გადაშვებულა წყალში. ნაპირზე დარჩენილი გოგონები სიცილით კვდებოდნენ, როცა წონასწორობადაკარგული მოცურავე უთავბოლოდ იქნევდა ხელებს აქეთ-იქით. როგორც იქნა, წელ-

## ასე ვჭამე სირცხვილი

და. გკოცნით, თქვენი ფსევდონომადირე, პარიჟანა“.

გულგატეხილი

„საკუთარი თავი მეზიზღება და აი, რატომ: ერთ ზაფხულს მამიდასთან ნავედი დასასვენებლად და ერთი ბიჭი გავიცანი, ჩემზე 10 წლით იყო უფროსი. მერე დავინყეთ მესიჯობა... თანდათან შემიყვარდა. მეგონა, მასაც ვუყვარდი... მასთან ერთად დავდიოდი მანქანით. მერე გავიგე, რომ სხვა უყვარდა და სხვასთან იყო. მან იცოდა, რომ მიყვარდა. ორი წლის მერე მითხრა, ჩემი შეყვარებული იქნებო? მეც, რა თქმა უნდა, დავთანხმდი, მაგრამ არ მინდოდა, ვინმეს სცოდნოდა. 2009 წლის 26 მასის, საღამოს, კონცერტზე ვნახე და ერთად გავვით მანქანით, რომ გველაპარაკა... ერთმანეთს ჩავეხუტეთ და ვაკოცე. მისი მჯეროდა... ეს მხოლოდ კოცნა იყო, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ამას? სხვა ხომ არ დაიჯერებდა? დაახლოებით 15 დღეში გავიგე, რომ საცოლე ჰყავს და დავშორდით, რა თქმა უნდა. თავს ვარწმუნებდი, რომ მძულდა, მაგრამ დღესაც მიყვარს. თავს ვერ ვერევი. მან ბევრი რამ დამიზავა, ახლა კი ფეხებზე ვკიდივარ. ახლახან ვნახე და ისევე ის გავაკეთე, რაც არ უნდა გამეკეთებინა. მას მერე, რაც ეს ადამიანი გავიცანი, უხასიათო გოგოდ ვიქეცი... არავისთან მინდა ურთიერთობა და საკუთარი თავი მეზიზღება. ყოველ საღამოს ვტირი და ჩემთვის ამ ცხოვრებამ აზრი დაკარგა. ღმერთს ვთხოვ, მკაპოლოს, ასეთი სულელი რომ ვარ. მან ცხოვრება დამინგრია, ბავშვობა წამართვა... გთხოვთ, ეს გამოაქვეყნოთ, რომ ნაიკითხოს ხალხმა და მიხვდნენ, რას ნიშნავს სირცხვილი და როგორ ცუდად ვარ. ყველა მიყვარხართ, მაგრამ ჩემთვის ყველაფერი დამთავრდა. ბაჩა, მიყვარხარ სიცოცხლეზე მეტად“.

ვაი, სირცხვილო!

„მე არა, მაგრამ ერთ ბიჭს ნამდვილად ვაჭამე სირცხვილი. სხვათა შორის, ძალიან სიმპათიურ ბიჭს. ამ ზაფხულს შემომიჩინა, აჰაა და მომწონხარ და ვგიჟდებიო და ა.შ. მაგრამ რად გინდა? ჩემ გარდა მილიონი მოსწონდა. ჰოდა, ერთ დღეს მეუბნება, ლამე ზღვაზე წავიდეთ და მზის ჩასვლას ვუყურნოთო. თავიდან გავბრუნდვი, რამდენს მიბედავს-მეთქი, მერე კი ცოტა ვიხალისე. სანაპიროზე რომ გავვით, მინდა მოგვეფროო. მე უფრო მინდა-მეთქი, ვუთხარი (მიკვირდა, ენა როგორ მიტრიალდება ან აქ რა მინდა-მეთქი). პირველად კისერში მპოცა, ვითომ (თუ მართლა) სიამოვნებისგან გავიტრუნე, ვიფიქრე, ამან არ „შემისრულოს-მეთქი“ და გადავწყვიტე, „პალაჟინა“ მე წამეყვანა. ვუთხარი,

იდან გაჭირვებით ამოუყვია თავი, რომელიც მთელი ძალით დაურტყამს ქვაზე. დარცხვენის გუხედავს მოხარხარე გოგონებისკენ და როცა სხვა გამოსავალი ვერ უნახავს, სიმწრისგან იმ პატარა კაცისთვის, რომელიც არხეინად იდგა წყალში, დაუძახია: ერთი ის მითხარი, რამხელა ხარ, ეგ წყალი რომ ნელამდე გწვდება, მე შენი დედაო. აი, ასე ჭამა სირცხვილი თავმომწონე ბიჭმა, პატარა კაცის წყალობით. ლუნა“.

ცრუბაგრატიონი

„ნინომ მეგობრის დაბადების დღეზე და-ძმა, ნიკა და მარი გაიცნო. ნიკას ძალიან მოსწონებია ნინო და გამოლაპარაკებია, მისი გვართაც დაინტერესებულა და რადგან ნინოს თავისი გვარი დიდად არ ენატება გულზე, მოუტყუებია, ბაგრატიონი ვარო. მეორე დღეს, ნინოს მამას თავისი თანამშრომელი და მისი ოჯახი მოუწვევია სტუმრად. ნინო შინ არ ყოფილა. რომ მისულა, მისაღებ ოთახში სტუმრების გასაცნობად შესულა და იქვე გაშეშებულია, როცა მის თვალწინ წინადადეს, მეგობრის დაბადების დღეზე გაცნობილი ნიკა და მისი ოჯახი აღმოჩნდა. სირცხვილისგან ერთიანად განითლვებულა, ნაძალადევი ღიმილით მისალმებია სტუმრებს და სამზარეულოში გასულა. ცოტა ხანში ნიკა გაჰყვია უკან და ჯერ კიდევ მოულოდნელობისგან შოკში მყოფი ნინოსთვის სიცილით უთქვამს: ბაგრატიონო, რატომ მოინწყინეო? იმ დღეს, ამ ჩვენი ბაგრატიონს, კარგად ნაჭამი სირცხვილი როგორღაც გადაუყვალაპავს, მაგრამ მეორე დღეს უარესი დამართა. ნიკას დას დაუახლოვდა და მალე საყვარელი „კოფთაც“ აახია. შინ სიხარულით მივიდა მარის თანხლებით და დედას ახალი „კოფთა“ ახარა, მაგრამ როგორც ჩანს, დედას გემოვნებაში არ ჩაჯდა და დაუფარავად უთხრა, ეს ვისი „თხლონი“ ჩაიცვამო? ძნელი წარმოსადგენი არაა, როგორ შერცხვებოდა ნინოს, მაგრამ უკეთეს დღეში არც მარი აღმოჩნდა. ახლა უკვე დიდები არიან, ოჯახებიც ჰყავთ. როცა ერთმანეთს ხვდებიან, ამ ამბავს ტრადიციულად იხსენებენ, მაგრამ მამინდელისგან განსხვავებით — მსიარულად. ლუნა“.

კონკია-2

„თემამ ერთი ამბავი გამახსენა: ერთ მშვენიერ გაზაფხულს დილას უნივერსიტეტში ვიყავი და როგორც ყოველთვის, ლექტორმა ქსეროასლის გადასალეზად გამგზავნა. მეხუთე სართულიდან პირველზე ვიყავი ჩასასვლელი. სწრაფად დავეშვი კიბეზე. იმდენად სწრაფად, რომ მესამე სართულის კიბესთან მდგარ, ვიღაც უცხო ბიჭს ჯერ დავეჯახე, შემდეგ ფეხებზე გადავუბრინე და უცერემონიოდ ჩავირბინე კიბე ისე, რომ ამ ბიჭისთვის არაფერი

მიტეკვამს. ჩემს გასაოცრად, არც მას. ქსეროასი გადავიღე, მაგრამ ახლა უკან ასვლა არ გინდა? გამახსენდა ის ბიჭი, მაგრამ იმ იმედით, რომ იქ აღარ დამხვდებოდა, კიბეს ავუყუცი და უეცრად, თვალი ისევ მოვკარი. განვავითარე უმაღლესი სიჩქარე და მოვკურცხლე, მაგრამ იმდენად სწრაფად, რომ ერთი ქოში გამძვრა, რასაც საკმაოდ გვიან მივხვდი. მოვბრუნდი, მაგრამ ჩემი ქოში რომ იმ უცხო ბიჭის ხელში დავინახე, ისე შემრცხვა, მზად ვიყავი, მეორეც გამეძრო და ფეხშიშველი შევერდნილიყავი აუდიტორიაში, მაგრამ საბედნიეროდ, იმ ბიჭს, ეტყობა, შევეცოდე — ქოში ამომიტანა, კიბეზე დადო, გამიღიმა და წავიდა. იმ დროს ისე ვიყავი დაბნეული, მაღლობაც ვერ ვუთხარი, მაგრამ ახლა ვუბდი მადლობას, თუ ამ წერილს ნაიკითხავს. JERRY“.

რა სარგებლობა მოაქვს მამალს?

„თემიდან ოდნავ გადავუხვევ და სხვის სირცხვილზე მოგიყვებით. მეგობარი გამითხოვდა და ზაფხულში მეუღლის სოფელში მიმიბატიყა. ჩასვლის დღესვე გახდა უბნისთვის ცნობილი, ნოდარის რძალს გასათხოვარი სტუმარი ჩამოუყვანიაო და მათ ქუჩაში ქუდზე კაცი გამოვიდა საბირჟაოდ. მეორე დღეს, ეზოში ვისხვდი და „ჯოკერს“ ვთამაშობდით ახალგაზრდები. მეოთხე კაცად სიძემ მეზობელი მოიყვანა. ნუ, იმან ილაპარაკა! შემირცხვენია ნათელაშვილი და ფინტიკოზას თუთიყუში ერთად. ჩემი გაცნობით გამოწვეული ეფორიები, პირდაპირ თავისი ფეხის თითის „იმენა“ რთულ ოპერაციაზე (ასე ამბობდა) გადავიდა. მე შენუხებული სახით ვუცქერდი დაქალს, ის თავის მხრივ, ქმარს უბღვერდა, ეს ვინ მოათრიეო?! დათო კი ჩვენს რეაქციაზე კაიფობდა და ღიმილით უყურებდა მეზობელს. მე დიდად ერთადერთი, მისი „გახიშტვით“ ვიყარეთ ჯავრი, თორემ სხვა რა შეგვეძლო? ლაქლაქა სტუმარი ჩემი ვიზიტის მიზნით დაინტერესდა. მივუგე, სანადიროდ ვარ-მეთქი. აუ, რა გაიხარა! დღესვე მივდივართ ტახზე სანადიროდ, იცი, რა მიზანი მაქვსო? და ახლა თავისი იარაღის მარიაჟი დაიწყო. ოდესმე გიფიქრიათ, რა სარგებლობა მოაქვს მამალს, „იმ საქმის“ გარდა? არა, ხომ? ტრაბახში გართულმა ვაუბატონმა უეცრად თვლები გადაატრიალა და მინაზე გაიშლართა, გულწასული. ვაი, სირცხვილო! დათო ექიმა და მალე კი მოაბრუნა. რა მოხდა, იცი? ამ ჩვენს ვასოს მამალმა ჩაუნისკარტა (ვენაცვალე იმ ნისკარტში) „იმენა“ რთულ ოპერაციაგადატანა თითში და დასცა გულაღმა, ეს „ვეფხვებთან მეომარი“ მოყმე. აფსუს! არადა, კაცი ტახის მწვადზე გვეპატიჟებო-



გაიხადე, ზღვაში ჩადი და მეც ჩამოვალ, მანამდე ტელეფონზე დავრეკავ-მეთქი. „ტრუსისკის“ გახდა არ ისურვა თავიდან, მაგრამ დავანამუსე... ჰოდა, შევიდა წყალში თუ არა, დავავლე მის ტანსაცმელს ხელი და... მე მგონი, ახლაც მელოდება ის ბიჭი. P.S. „ზიარა“ ბიჭები არ ევასება თამოსს“.

### მოცეკვავე

„ერთხელ, მამიდაშვილთან ერთად ქუთაისში, ქუჩაში მივაბიჯებ, მაგრამ ცხელა. უცებ, ჩვენ წინ მდგარი მანქანიდან რაღაც ლათინური და ცეცხლოვანი ჰანგები „დაგვეჯახა“. ნანა მაგრად ცეკვავს და უგონოდ ცეკვავს ცეკვა. ჰოდა, გონს რომ მოვედი, ნანა უკვე თავდავიწყებით ცეკვავდა. აზარტი იმდენად დიდი იყო, რომ ქუდი ძირს დაუვარდა. გონს მუსიკის დამთავრებისას მოეგო. ერთი მოავლო აწითლებულმა თვალი შეკრებილ ხალხს და ქუდი აიღო, რომელიც... ფულით იყო სასესე. გადაყრა უზრდელობა იყო, ქუდს ხომ ვერ დატოვებდა? ასე სირცხვილნაჭამი გავგორდით იქაურობას. მარია“.

### სირცხვილი წყალქვეშ

„სირცხვილის ჭამის“ დიდოსტატი გახლავართ. ახლა არ დავინწყებ მოყოლას, როგორ ვეცემი ქუჩაში თითქმის ყოველ ნაბიჯზე, როგორ ვითხლავები ავტობუსში ან მეტროში კიბეზე ასვლისას. არც იმას გავიხსენებ, როგორ გადმოვვარდი გაჩერებული მანქანის გაღებული კარიდან. მოკლედ, სირცხვილის ჭამა ჩემთვის იგივეა, რაც საჭმლის ჭამა. ამჯერად მხოლოდ ერთ შერცხვენაზე მოგიყვებით: სანამ დასასვენებლად წავიდოდი, აუზზე დავდიოდი, ცურვის შესასწავლად. ერთ დღესაც ჩემთვის ვფართხალე, ვითომ ვცურავ და ბრაბ! მთელი ძალით ბურთი მომხვდა თავში. გამწარებულმა „ტკბილი“ სიტყვები ისე მივაძახე მსროლელს, არც შემიხედავს წესიერად. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, ეს მსროლელ-გამრტყემელი აღმოჩნდა ერთი ჩვეულებრივი ბიჭი, რომელიც ძმაკაცს ეთამაშებოდა ბურთს. დიდი ბოდიშების შემდეგ საკმაოდ ორიგინალური გაცნობის ხერხი მოიგონა:

- გინდა, გადმოხტომა გასწავლო?
- არა, გმადლობ, — ჩავიბუზღუნე.
- გინდა, სათვალე გათხოვო?
- არა, გმადლობ, — უკვე აშკარად ვინაზები.

— გინდა, ყვინთვა გასწავლო? — არ მეშვება მონდომებული ჯენტლმენი.

- მინდა, — ვთანხმდები უცებ.
- დამიწყო ახსნა, თუ როგორ უნდა ჩავყვინთო, თან პრაქტიკულადაც მაჩვენებს. მულაში შევედი და მეც დავინწყე.
- ყოჩაღ, ყოჩაღ, — წყლის ზე-

მოდან მესმის მისი ხმა, ყრუდ. უცებ ვიგრძენი, რომ „კუპალინის“ ლიფი სადღაც აპირებს თავისთვის „გაცურვას“. გამწარებულმა ვტაცე ხელი, ამოყვინთე და ვიკრავ. ბიჭი არსად ჩანს. თურმე ამასაც ჩაუყვინთავს, რომ წყლის ქვეშ ენახა, სწორად ვყვინთავდი თუ არა და ასეთ „საჭირო“ დროს დამინახა. ბიჭის ამოყვინთვა და ჩემი აუზიდან ამოვარდნა ერთი იყო.

— კაი, რა, ვის არ მოსვლია? — გავიგონე მისი სიცილნარევი ხმა და უკანმოუხედავად გამოვიქეცი. აბა... ბაბბუჩა“.

### ჩემი ბარკალი

„მოკლედ, დედას 4 და და 3 ძმა ჰყავს, მაგრამ მამიდამისს დედაჩემი გამორჩეულად უყვარდა. რაც კარგი იყო, ყველაფერი მისი იყო. ერთხელ სტუმრები ჰყავდათ და ბებიას ქათამი დაუკლავს, სტუმრებთან არ შევრცხვეო. თურმე დედას ამბავი დაუტრიალებია! ერთი ბარკალი გადაიღეს და ამან ჩემიო, იბღავლა. ბებია მლივის გააჩუმა. დაჰპირდა, მეორე ბარკალი შენი იყოსო. დედამ ფანჯრიდან დაუნყო თვალთვალა. მეორე ბარკლისკენ რომ წაიღო ხელი სტუმარმა, უცებ გაშეშდა, ისე ყვიროდა დედაჩემი, ეგ ბარკალი ჩემიო. ამის შემდეგ დედას აღარ ახსოვს, რა მოხდა. გონს რომ მოვიდა, ბაღში იყო. ბებია „გაუქნე-ვია“. ასე აჭამა სირცხვილი შვილმა. ჰო, მართლა, ის ბარკალი კი არა, სხვაც არაფერი აღარ უჭამიათ სტუმრებს. ან რას შეჭამდნენ, დედაჩემის კვივი მთელი წელი ესმოდათ ყურებში. ასეთი „პარაზიტი“ იყო და ჩვენ კიდევ რაღას გვკიცხავდა, ჰა? თეთრო“.

### წინა კაცის მაგალითი

„მაქვს ერთი 50-ლარიანი და ერთიც 5-ლარიანი. გავაჩერებ ტაქსის, წავალ უბანში, მერე გავაჩერებინებ მარკეტთან და მივცემ 50-ლარიანს. თუ ექნება ხურდა, ხომ გაუმართლა, თუ არა და, დასახურდავებლად მარკეტში შევალ, უკანა კარიდან გავალ და ნახვამდის, ჩემო ტაქსისტო“. ამ ბოროტული ფიქრით იყო შეფიქრიანებული ჩემი გონება, როდესაც ერთი თვის უკან, სანზონაში მცხოვრები ახლობლის სადარბაზოსთან ვიდექი და ცოტათი „ჩასპირტინასმელებული“, ტაქსის ველოდებოდი.

„კაკაონაქნავიგოგლიმოგლისფერი“ „ოპელ ომეგა“ გავაჩერე. 40 წელს გადაცილებული, ალაღსახიანი მამაკაცი 4 ლარად გაყვანაზე დავითანხმე, ჩავუჯექი და უბნისაკენ, ჰერი-ჰერი. რადგანაც მგზავრობისას ხმას არ იღებდა, პირველი კითხვა ჩემგან წამოიჭრა.

15 წელია, რაც თბილისში ვცხოვრობ და ამდენივე ხანია, რაც ვტაქსაობო, მითხრა. ალბათ უამრავი სასაცილო და უცნაური სიტუაცია გადაგხდენიათ

ამ მგზავრების გადამკიდეს და მოდი, რამე გაიხსენეთ, სანამ მივალთ, გზას გავიხალისებთ-მეთქი.

წამიერად შეყოვნდა და დაიწყო: რაიონიდან ვიყავი ჩამოსული ჩემს ოჯახთან ერთად, ისანში მდებარე ერთ იტალიურ ეზოში ქირით შევსახლდით. პირველი დღე იყო თბილისში ცხოვრების და სატაქსაოდაც გამოვედი. კარგი დღე იყო, რადგან საღამოს 9 საათისთვის უკვე 52 ლარი მქონდა ნაშრომი და სახლში წასვლაც გადავწყვიტე, მაგრამ ორმა ახალგაზრდა ბიჭმა გამაჩერა. შევაჭრების გარეშე სპორტის სასახლისკენ ავიღეთ გეზი და რომ მივედით, ფულის გადახდის მომენტისას, ერთ-ერთმა მათგანმა დანა ყელზე მომადო და მშვიდი ხმით მითხრა: ჩემი ძმა, არაფერს დავიშავებთ, უბრალოდ, ფული რაც გაქვს, მთლიანად მაიტა და წავალთო. მე ვუთხარი, ბიჭებო, არ გინდათ, პირველი დღეა, რაც აქ ჩამოვედი, ქირით ვცხოვრობ, სახლში ცოლი და ორი პატარა ბიჭი მელოდება, თქვენ რომ მოგცეთ, იმათ რა ვაჭამო-მეთქი?

ახლა ფულს თუ არ მოგცემ, ჩათვალე, რომ იმათ ველარასოდეს აჭმევო. 50 ლარი გამომართვეს, 2-ლარიანი დამიტოვეს და მითხრეს, ამით ბავშვებს პური უყიდეო. სახლში დედარდიანებული და გულმკვდარი მივედი. ნუ ნერვიულობ, უფალი სამართლიანია და ყველას თავისას მიუზღავსო, მამშვიდებდა ცოლი, როდესაც კარის მეზობელი შემოვიდა, ჩვენი გაცნობისა არ უნდა დავლიოთო? უარზე ვიყავი, მაგრამ მაინც წამიყვანა. სახლში შევედით, ოთახის კარი გააღო და ჩემი გამოჩენით მომენტალური სიჩუმე ჩამოვარდა, რადგან სუფრასთან მჯდარ 3 კაცს შორის 2 ის იყო, ფული რომ წამართვეს. სახეზე ორივეს ფერი გადაუჟიდა, მათ თვალეში სირცხვილზე მეტად შიში ჩანდა და თავების გაერთიანების უზარმაზარი სურვილი გამიჩნდა, მაგრამ ბავშვობიდან წყნარი, უკონფლიქტო ბიჭი ვიყავი და როგორღაც მანდაც თავი დავიმშვიდე. ნუ, საბოლოოდ ბოდიშებით ფული უკან დამიბრუნეს და ისე მოხდა, რომ ჭიქაც ავნიეთ ერთად... ამ სიტყვებითა და გაღიმებული სახით დაასრულა ტაქსისტმა თავისი დაუვიწყარი ამბავი. ამასობაში უბანშიც მივედით, მარკეტთან გავაჩერებინე, 50-ლარიანი გავუნოდე და როგორცაღ ველოდი, ისეთი პასუხიც მივიღე: მე არ მაქვს ამის ხური და და მიდი, აგერ დაახურდავე, იმ მალაზიაშიო. მისი მოყოლილი ამბის შემდეგ რომ გადამეგდო ტაქსისტი, უბრალოდ, საკუთარი თავის შემრცხვებოდა და თავმოყვარეობა შემელახებოდა. ამიტომ 5-ლარიანი მივეცი, ხურდაც არ გამოვართვი და მადლობა ვუთხარი. მანქანიდან გადმოვედი და ბოდიშს გიხდით, ძია კაცო-მეთქი. — ბოდიშს რისთვის მიხდი, შვილო? — მართლა გაკვირებულმა მკითხა. პა-



სუხად კი ის ჩანაფიქრი გავუმხილე, რომელიც ამბის დასაწყისში გაგაცანით და დამერწმუნებთ, რომ მის სისრულეში მოყვანას, სიტუაციიდან გამომდინარე, ხელის შემშლელი პირობები არ გააჩნდა. კარი დაფუკვეტე, ხელეები ჯიბეებში ჩაიფიცე და წავედი... მისტერ“.

ავარიული დაშვება

„სირცხვილი ვჭამე რომელია... 2 კვირის მშვიდობით დავეწაფე. თან რა გემო აქვს?! სხვათა შორის, ხშირად შევრცხვენილვარ, დაუფიქრებლობის გამო, მაგრამ ბოლო ამბებს გწერთ ახლა. მოკლედ, ერთ ფილმში სკეიტბორდით მონარნარე გოგონების შემყურემ, რატომღაც გადავწყვიტე, თავადაც მეცადა ბედი და მეზობელ ბიჭებს ვთხოვე დახმარება. ისინიც არ დამზარდნენ და საკუთარი სკეიტიც კი მათხოვეს. ნუ, დგომა დავამუღავე თუ არა, აქეთ-იქით დავიყენე გიო და ჯაბა და დამაგორებდნენ წინ და უკან. ბევრი ვიგორე თუ ცოტა, მივხვდი, რომ ძალიან სასაცილო სანახავი ხდებოდა ჩემი ვოიაჟები. ჯერაც ვერ ვიდექი სკეიტზე დამოუკიდებლად. ჰოდა, მოვიკრიბე გამბედაობა და... გამოვიდა! ვერ წარმოიდგენთ, რა შეგრძნებაა, მთლიანად სკეიტზე მიდობილი რომ მიქროხარ, სახეზე ქარს გრძნობ, ყურებშიც მხოლოდ ქარის წივილი გესმის. ჰოდა, სიამოვნებისგან ის იყო, თვალები დავხუჭე, რომ... აქ დამთავრდა ჩემი „მოდერნიფიკაციის სტორი“. ვიგრძენი, რომ ავფრინდი და მიწაზე დავერინდი... არა, დავეძინევე! თურმე, სანამ სიამოვნებისგან თვალეზგანაბული მივქროდი, მოასფალტებულ გზა დამთავრებულა და იმ მხარეს გადავფრინდი, სადაც ჯერ კიდევ სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა. მუშებმა სულ სიცილი-სიცილით „წამოკრიფეს“ და სულ მადლობითიც მიხადეს. რაც შენს ავარიულ დაშვებაზე ვიცინეთ, 5 წლის სიცოცხლე მოგვემატებოდაო. თან დააყოლეს, გვაცადე გზის დაგება და მერე „იდრეიფე“, რამდენიც გინდა, თორემ ერთხელ კიდევ თუ „გაიშალე“ გზის იმ მონაკვეთზე, სადაც ჯერ კიდევ ვმუშაობთ, გადაგივლით კატკით და მარტო სირცხვილნაჭამი კი არა, ასფალტნაჭამიც იქნებითო. სულ სიმწრით ვუცინოდი მუშებს. მერე კი წამოვედი, „წამოვიყვანე“ ჩემი სკეიტი და საბოლოოდ დამთავრდა ჩემი სირცხვილის ჭამის წარმატებული მცდელობა (იმ დღეს, ყოველ შემთხვევაში). ჩუბ“.

ჩაშლილი ქორწილი

„თავს თუ ასეთი რამ გადაამხდებოდა, არ მეგონა. 8 თვე დანიშნული ვიყავი, 7 სექტემბერს ქორწილი უნდა შემდგარიყო, მაგრამ ჩავუშალე. ჩემს ყოფილ საქმროს მშობლები არ ჰყავდა, მატე-

რიალურადაც უჭირდა. ჩემები წინააღმდეგი იყვნენ ქორწილის, მაგრამ ვერ დაგვეშორეს და დაგვეთანხმდნენ. მამაჩემმა სახლიც კი მოგვინყო, ყველაფრით უზრუნველგვეყო. ბოლო დროს სულ მეჩხუბებოდა ყოფილი საქმრო. არაფერი მოსწონდა, ჩემებს ვერ იტანდა, ბოროტი თვალებით გვიყურებდა. რომ ვხედავდი, როგორ იქცეოდა, ვერ ვიტანდი, მაგრამ ვერ ვამბობდი, მამაჩემის მრცხვენოდა და თვალს ვხუჭავდი. ძალიან ცუდად ვიყავი მისი ქცევების გამო. ვფიქრობდი, რომ ვიღაც ჰყავდა. ვუთვალთვალე და დავამტკიცე, რომ სხვა საცოლე ჰყავდა. მას მე კი არა, მამაჩემის ქონება ჰყავრებია. მასზე ბევრი რამ გავიგე, ვალბეში იხრჩობა თურმე. ის გოგო სახლიც აჰყავდა და მისმა ნათესავებმაც იცოდნენ ეს, მაგრამ არაფერს ამბობდნენ. ღმერთს მადლობა, რომ დროზე გავიგე ყველაფერი და თავი არ გავიუბედურე. ახლა იმუქრება, რომ გათხოვდე, ჩაგიშლი ქორწილსო. მე არაფერი დამიშავებია და დასამალი არაფერი მაქვს. უღირსად და არაპატიოსნად ის მოიქცა. მიუხედავად ყველაფრისა, მაინც მეშინია, მაგრამ ჩემები გვერდში მიდგანან და მათი იმედი მაქვს. მომავლის მეშინია. ნეტავ ბედნიერი ვიქნები ოდესმე? ირმაკო“.

თემაზე და თემის გარეშე მოსული მოკლე მესიჯები

„საკუთარ ქორწილში პირველი შეყვარებულს დაპატიჟებული მყავდა, რადგან ჩემი თანაკლასელია და ხომ ვერ გამოვტოვებდი? ჰოდა, შუა ქორწილში, ცვევის დროს „ლოვემ“ მითხრა: ვის ხელში მიწევს, გოგო, შენი დატოვება, თან — სოფელშიო. მეგონა, სხვებმაც გაიგონეს და ისე შემრცხვა, ენა ჩამივარდა. ის სიტყვები ჩემს ქმარს რომ გაეგონა, დღეს რაული ტუალეტშიც კომპასით ივლიდა. კუსპარა“.

„უამრავი კურობი მაქვს თავს გადახდენილი, მაგრამ ერთ-ერთს მოგიყვებით: ზამთარი იყო, დიდი თოვლი იდო და გზა მოყინული გახლდათ. მეგობრებთან ერთად დაბადების დღეზე მივდიოდი, ჩვენ წინ კი უცხო ბიჭები მიდიოდნენ. ერთ-ერთი მომეწონა და ის იყო მომხედა, ამისხლტა ფეხი და გავითხლაზე. ასე ვჭამე სირცხვილი. იმედია, ამ გზავნილს ვნახავ. თიკუკ“.

„ერთხელ, პატარაობისას, აფთიაქში გამაგზავნეს, ნემსი და წამალი (ამჟამად) მოიტანეო. აფთიაქში მისულმა გავარკვიე, რომ ჩემთვის საჭირო წამალი არ ჰქონდათ და მარტო ნემსი წამოვიღე. სახლში გულიანად იცინეს, წამლის გარეშე ნემსი რად გვიდოდაო? აბა, მე რა ვიცოდი? პატარა ვიყავი. კოზანოსტრა (ბისკვიტი)“.

„ხელოვნების გაკვეთილზე „მასწი“ იმ ნივთების სიას გვანერინებდა, რაც გვჭირდებოდა. სია ასეთი იყო: ფერადი ქალაქი, მკრატელი და ქალაქ-

დის ნებო. მე კიდევ ისე ვიყავი გართული, რომ შემდეგი რალაც დავეწერე: ფერადი ქალაქი, მკრატელი და ქალაქის ბებო. გვერდით მჯდომმა კლასელმა ეს რომ წაიკითხა, ჯერ გაუკვირდა, მერე კი გულიანად იცინა. ხელოვნებაში მთავარია „ქალაქის ბებო“. კოზანოსტრა (ბისკვიტი)“.

„დაცვაში მუშაობისას ბევრი სახალისო რამ მოხდა. ობიექტზე (რესტორანში) ახალი დამლაგებელი მივიღეთ და მოწყენილობისგან რომ არ გაგვეფრინა, გადავწყვიტეთ, ამ ახალ დამლაგებელს გავუმრებოდი. დაფუძახეთ, ნათია, თუ არ შენუხდები, „პოვართან“ მიდი და სთხოვე, მწვადისთვის „მაკე“ ან დედალი ლოკოკინები გამოგატანოს-თქო. ნათიაც გულუბრყვილოდ დაგვეთანხმდა და წავიდა. 5 წუთის შემდეგ გვესმის „პოვარის“ სიცილი-ხარხარი. მაგათ უთხარი, „მაკე“ არა, მაგრამ ძვალგამოცლილ ლოკოკინებს ცოტა ხანში გავუგზავნიო. საწყალი ნათია! გვიან მიხვდა, რაც გავუწალიჩეთ. კოზანოსტრა (ბისკვიტი)“.

„მინდა, ჩემი სიყვარულის ამბავი გაგიზიაროთ. თითქმის ერთი წელია, გვიყვარს ერთმანეთი მე და ჩემს დათუნიას, მაგრამ მეშინია, მშობლებმა რომ გაიგონ, უეჭველი, დამაშორებენ, ისეთები არიან. არადა, უკვე გადავწყვიტე, რომ მის მეტე ველარავის შევიყვარებ. რა ვქნა, არ ვიცი. მისი ნახვის საშუალებაც იშვიათად მაქვს. პრისცილა“.

„დავიწყებ იქიდან, რომ ვისაც კი ეცალა და არ ეზარებოდა, მაინცდამაინც ჩემს შეყვარებაზე ფიქრობდა. მერე ჩემი უარით გაბრაზებული, თითქოს შეთქმულები ყოფილიყვნენ, ყველამ მოლაღატე მეძახა. ერთმა მომახსენა, შენზე უკეთესს ცოლად არ მოვიყვანო და 5-შვილიანი ქალი მოიყვანა. თან, ეს ბავშვები სხვადასხვა კაციდან ჰყავდა იმ ქალს. მეორე 7 წელი მეხვევდა, ცოლად გამომიყვით, მეც 7 წელი უარს ვუბნებოდი. მერე მიხვდა, რომ დროს ტყუილად კარგავდა და მითხრა, შენს სახელს მაინც მოვეფერებო. ცოლი მოიყვანა და ბავშვს ჩემი სახელი დაარქვა. მესამე, მანქანას ჩემი სამსახურის წინ აჩერებს და მაგნიტოფონში თამრიკო მეჭიაურის „მოლაღატეს“ ამღერებს მთელი სამუშაო საათების განმავლობაში. ლაღატი რა შუაშია ან რატომ ვარ მოლაღატე, ვერ გამიგია. მათიტელა“.

მომდევნო ნომრის თემა იქნება — „სხვისი საიდუმლო“. ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწეროთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com

# „კომპიუტერთან ჯდომა ვილასის ღალატს არ ნიშნავს“

## „განტვირთვა დღეებსაც გვჭირდება...“

„გზის“ №35-ში დაიბეჭდა უცნობი გოგონას მესიჯი, რომელიც გვწერდა: „ასე მგონია, დედაჩემს საყვარელი ჰყავს. რატომ? — ლამის 4 საათამდე „ოდნოვსკიში“, გამუდმებით კლავიატურის კაკუნის ხმა მესმის, ვილაცას რაღაცას სწერს. თანაც, სხვადასხვა სახელითაა დარეგისტრირებული და კაცებს ელაპარაკება“. გოგონამ ამის შესახებ მამასაც უთხრა, მაგრამ ქალმა მეუღლე დაარწმუნა, რომ ამით მხოლოდ ერთობა.

### ლიკა ქავია

#### გადარეული:

„სხვა კაცებთან ლაპარაკს ჯობია, საკუთარ ქმარს ელაპარაკოს. სულ „ოდნოვსკიში“ თუა, ნეტავ, როდის სძინავს? შენ გძინავს, ის ერთობა — მაგარია!“

#### მისტერი:

„თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კლავიატურას ლამის 4 საათამდე „ღლის“, ე.ი. ამის მიზეზი მამაკაცია. მართებული იქნება, სიმართლეს თვალში თუ არა, ცალ თვალში მაინც შეხედო და საკუთარ თავს გაუმხილო, რომ მამაშენი სოსისია, რადგანაც „პალაჟენი“ (სათანადო ნესრიგი) ვერ დააყენა და დედაშენი ბუზი გახდა :) (მიხვდი ალბათ, რისი თქმაც მინდა). მნიშვნელობა არა აქვს, ეს ბუზი სხეულგებრივია თუ ფიქრობრივი, მათ შორის განსახვავება მხოლოდ 1 მეტრშია. აბა, შენ იცი, დადებრესიანებულო“.

#### ნათალი 37:

„სჯობს დედას გულახდილად დაელაპარაკო და სიყვარულზე მისი აზრიც გაიგო. საინტერესოა, მეუღლე ისევე უყვარს? თუ კი, მაშინ სხვებს რატომ სწერს წერილებს? მან უნდა იცოდეს, რომ ამით შენ განერვიულებს. წყნარი, გულწრფელი საუბარი შევბას მოგგერის“.

#### უცნობი:

„ჩემო კარგო, ჯერ მამაშენისთვის არაფერიც არ უნდა გეთქვა. რას ჰქვია, დედაშენი ერთობა? იცი, რას გეტყვი? — დედას უთვალთვალე და გაარკვიე, სად დადის, როდის და ვისთან ერთადაა, რას აკეთებს და ა.შ. მერე, როცა სიმართლეს გაარკვევ, მამაშენსაც ყველაფერს ეტყვი. წარმატებები!“

#### ლუნა:

„ჩემს ახლობლებთან სულ მაგაზე მაქვს კამათი — ქალს, რომელსაც ოჯახი აქვს, კომპიუტერი და მობილური ტელეფონი უნდა მოაშორო. რატომ? — იმ მიზეზის გამო, რომლმაც შენ შეგანუხა. შეიძლება ძალიანაც არ გინდოდეს, მაგრამ როცა კომპიუტერთან გაქვს საქმე, თანაც, ინტერნეტში დაჭვრები, უბრალოდ შეუძლებელია, სადმე ისეთი კაცი არ გაჩი-



თო, რომელიც იმნამსვე „დაკერვას“ არ დაგინყებს, ქალები კი უნებისყოფოები არიან (ყველას არ ვგულისხმობ) და ძლიერი სქესის მიერ გავლებულ ქსელში იოლად ებმებიან. საშინლად ვლიზიანდები, როცა ქმარშვილიანი ქალები მთელი დღე ტელეფონზე არიან „ჩამოკიდებულები“. პირადად მე, მაგ ვირტუალურ სამყაროს „ტვივის გამთიშველს“ ვეძახი. „ვირტში“ ყველა მაგარი ტიპია. ათასი სისულელით გაბრუებენ და მერე, ქარში მოყოლილი ფოთოლივით ქრებიან. ვფიქრობ, დედაშენს მართლა ჰყავს ვირტუალური მეგობარი და სანამ დროა, მას სერიოზულად დაელაპარაკე. კომპიუტერი ნარკოტიკივითაა, მაგრამ როგორმე უნდა შეძლოს და ოჯახისკენ მობრუნდეს. მშვიდ ცხოვრებას გისურვებთ! კოცნი“.

#### OZZY:

„კაროჩე, დედაშენი მოშტერო ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს და კარგს იზამ, თუ არ დაემსგავსები, თორემ აბა, მაგებლა ქალს რაღა გამოასწორებს?“

#### ილონა 777:

„სიხარულო, არ შეგიძლია, „ოდნო“ რომ „გაუტესო“? იცი, ეჭვით ცხოვრება ცუდია. დედას დაელაპარაკე და სთხოვე აგისნას, რა ხდება. აბა, შენ იცი!“

#### თაიშ 130:

„ჩემო კარგო, დედაზე ნუ ეჭვიანობ. დროთა განმავლობაში ყველაფერი გაირკვევა, შენ არ ინერვიულო“.

#### სოფო, გურული:

„გამარჯობა. ჩემო კარგო, სიმართლე გითხრა, რჩევის მოცემა მიჭირს, მაგრამ

ის კი შემიძლია გითხრა, რომ ვიდრე სიმართლეს არ გაიგებ და დანამდვილებით არ გეცოდინება, დედაშენს ნამდვილად ჰყავს თუ არა საყვარელი, მანამ ნურაფერში დაადასაშაულებ, გული არ ატკინო. რაც შეეხება „ოდნოვსკი“, იქნებ ამით მართლა ერთობა, ეს კი ნერვიულობად არ ღირს“.

#### ნინო:

„გამარჯობა. მე 14 წლის შვილი მყავს, მაგრამ „ოდნოვსკი“ ვარ და „ფეისბუკზეც“. როგორ ფიქრობ, ჩვენ, მშობლებს ცხოვრება აღარ გვირბა, მეგობრები არ გვჭირდება და მარტოები უნდა ვიყოთ? იქნებ საკუთარი თავისთვის დაგესვა კითხვა: ეგოსტი ხომ არ ხარ? ჩემმა შვილმა ყველაფერი იცის და ამაში პრობლემას ვერ ხედავს. ამ მიმე ცხოვრებაში განტვირთვა დედასაც გვჭირდება. მეგობრობა და კომპიუტერთან ჯდომა ვილაცის ღალატს, საყვარლის ყოლას არ ნიშნავს. ენდე დედას. თუ რჩევები დაგჭირდეს, დამიკავშირდი!“

#### ფარია 77:

„ჩემო კარგო, შენი დედიკო იქნებ მართლაც, მხოლოდ ერთობა? ის, რომ ლამის 4 საათამდე „ოდნოვსკი“, მამაშენს უფრო უნდა აიღვებდეს, მაგრამ ალბათ, ტყუილად ნერვიულობ. მშობლის საქმეში ნუ ჩაერევი“.

#### გაეპისტა:

„დეპრესიაში ნუ ჩავარდები, პირიქით, ახლა გამოსავალი უნდა ექებო. ეცადე, მამაშენს თვალები აუხილო და აიძულე ისე მოიქცეს, როგორც ნამდვილ კაცს შეეფერება. დედას უთხარი, რომ მისი საქციელი არ მოგწონს და შენი ეჭვიც გაუმხილე; სთხოვე, ამ უაზრობას მოეშვას და მოიქცეს ისე, როგორც გათხოვილ ქალს შემეწინს. მე დედას მხრიდან ასეთ საქციელს ვერ ავიტანდი და სიმართლეს პირში ვეტყვოდი. P.S. პირველ რიგში, მამას უთხარი, თავის სიმალლეზე დადგეს“.

#### უცნობი:

„ჩემო კარგო, ალბათ ნუთიერი სისუსტე შენც გამოგიცდია. ვიცი, ძნელია, როცა უყურებ, თუ როგორ იძირება დედა ჭაობში, მაგრამ დაფიქრდი, იქნებ ეს უბრალო მდინარეა, რომელიც სიბნელეში ჭაობად გეჩვენება? იქნებ მართლაც, ერთობა? უფალი ჰფარავდეს შენი და შენი დედიკოს სავალ ბილიკს“.

#### გვანდია:

„შენი წერილი რომ წავიკითხე, მეგონა, მისი ავტორი ჩემი და იყო, რადგან დედაჩემიც ემსიჯება ვილაცებს. მე მშობლის მჯერა და ვიცი, რომ ის, უბრალოდ, ერთობა, ჩემი და კი შენსავით ეჭვი-





ანია და ყოველივე ამის გამო საშინლად ბრახდება. გირჩევ, მამას აღარაფერი უთხრა. დედას დაელაპარაკე და შეეცადე, ერთმანეთს გაუგოთ. ისე, მშობელს ლაღატს არც მე ვაპატივებდი“.

**ბანია:**

„საყვარელო, მსგავს სიტუაციაში არასდროს ვყოფილვარ და არც აღმოჩნდები იმიტომ, რომ დედაჩემი შენი მშობლისნაირი ქალების რიგს არ მიეკუთვნება — მას ინტერნეტის გაგონებაც არ უნდა. დანყნარადი, შენ არაფერი შეგიძლია, ყველაფერი მამაშენმა უნდა გაარკვიოს. შეიძლება დედაშენი მართლაც, მხოლოდ ერთობა, მაგრამ გათხოვილ ქალს ვერც ამ საქციელს მოვუწონებ. გირჩევ, მამას მოსთხოვო, ცოლის „ესემეებში“ შეამოწმოს. ჩემი აზრით, მამაშენის სისუსტის ბრალია, დედა ამდენს რომ ბედავს“.

**ბუსა:**

„ღმერთმა ნუ ჩამაგდოს ისეთ სიტუაციაში, როგორშიც შენ ხარ. იმაზე ცუდი არაფერია, როცა მშობელს, მით უმეტეს — დედას, არ ენდობი, მაგრამ მაინც გირჩევ, ნუ აჩქარდები, იქნებ დედაშენი ამით მართლაც ერთობა და სხვა არაფერი? ყველაფერი კარგად აწონ-დანონე და დასკვნებიც შემდეგ გამოიტანე. ღმერთი გფარავდეს!“

**ბასტი:**

„სანამ არ დარწმუნდები, რომ დედაშენს საყვარელი ჰყავს, მანამ ნურაფერში დაადანაშაულებ. ისე, მეც არ მომეწონება, დედაჩემი პატარა გოგოსავით რომ აცუნდრუკდეს“.

**ბარბი:**

„შემოგველე, ეგ რას ნიშნავს?.. თუმცა, რადგანაც საკუთარ დედაზე ასე ფიქრობ, ე.ი. სერიოზული მიზეზიც გაქვს. აი, რას გირჩევ: მაც კაკუნის დროს უთვალთვალე და ნახე, ვისთან ერთად ატარებს საათებს. შეიძლება, ახლა ცუდი რჩევა მოგეცი, მაგრამ ჯობია, საკუთარი თავი დაადანაშაულო იმაში, დედაზე ცუდი რატომ ფიქიქრეო (თუ, რა თქმა უნდა, შენი ეჭვი უსაფუძვლო აღმოჩნდება), ვიდრე ეჭვებმა დაგტანჯოს. აბა, წარმატებებს გისურვებ, საყვარელო!“

**ბათუნა:**

„არ ვიცი, დედაშენს საყვარელი ჰყავს თუ არა, მაგრამ ეტყობა, მამაშენის და შენი სიტბო აკლია. ვიდრე შენი ეჭვი არ დადასტურდება, ნურაფერზე ინერვიულებ“.

**უცნობი:**

„ასე თუ ვიმსჯელებთ, გამოვა, რომ საქართველოს მოსახლეობის 80%-ს საყვარელი ჰყავს. რა სისულელე! უბრალოდ, დედაშენი დიასახლისია და როცა სახლის საქმეებს მორჩება, თავს „ოდნოებით“ ირთობს, მეგობრებს ეკონტაქტება. აი, მამასთან რა მიგარბენინებდა? ოჯახური კონფლიქტი გინდა? მერე იმაზე ინუნუნებდი, მამა დედას ცუდად ექცევაო“.

**ნინო:**

„იმის მიუხედავად, რომ ჯერ 12 წლის ვარ და არ შემიძლია, რჩევა მოგცე, მაინც გეტყვი: ძვირფასო, თუ დედასთან

• გერმანელმა მილიონერმა 1 წლით იკირავა ბუკინჰემის სასახლე და 4 ათას დოლარი გადაიხადა. სიმართლე მაშინ გაირკვა, როცა დაცვის თანამშრომლებს სასახლის დაცლა მოსთხოვა.

• ერმიტაჟი



ოთხჯერ „გაიყიდა“ და „დაგირავდა“. ლუვრი კი მთლიანად და ნანტილ-ნანტილ 18-ჯერ „გაიყიდა“.

• ამერიკელმა ვაჭარმა თავისუფლების ქანდაკება „იყიდა“. მერიის ერთმა „თანამშრომელმა“ „საიდუმლოდ“ გაანდო, რომ ხელისუფლებას ძეგლის აღება სურდა. თაღლითი მალევე დაიჭირეს, მაგრამ აღებული თანხის დახარჯვა მაინც მოასწრო.

• ლონდონში ჩამოსულ ამერიკელ მილიონერს ადგილობრივმა თაღლითმა ბიგ-ბენის ზედა ნაწილში არსებულ რესტორანში წვეულების გამართვა შესთავაზა. მილიონერმა ფული გადაიხადა და გულის შეტევა დაემართა, როცა შეატყობინეს, რომ მოატყუეს. ბიგ-ბენის ზედა ნაწილში საათის მექანიზმია განლაგებული და არა — რესტორნის დარბაზი.








# მილიარდერები

**შარშან „ფორბსმა“ მილიონერების სია გამოაქვეყნა. მსოფლიოს 946 მდიდრის ქონება 3,5 ტრილიონ დოლარად შეფასდა. თუმცა, მათზე მდიდარი ადამიანებიც იყვნენ, რომელთა სახელებიც ისტორიას საუკუნოდ შემორჩა.**



• ახალგაზრდა ჯონ როკფელერის ოცნება იყო, 100 წლამდე ეცოცხლა და 100 ათასი დოლარი დაეგროვებინა. მან 98 წლამდე იცოცხლა, ხოლო მეორე ოცნება პირნათლად აისრულა.

ჯონ როკფელერი ღარიბ ოჯახში დაიბადა. მამა — მეტსახელად „დიდი ბილი“, მძიმე სამუშაოს გაურბოდა. დედა — ბაპტიტური ტაძრის მრევლი იყო. ჯონს ბავშვობიდან უნერგავდა, რომ ადამიანს ლუქმაპური შრომით უნდა მოეპოვებინა. როკფელერმა მუშაობა ერთ-ერთ კომპანიაში უბრალო ბუღალტრად დაიწყო. ცოტა ხანში საკუთარი ბიზნესი წამოიწყო და წლების შემდეგ ნავთობის ყველაზე მსხვილი კომპანიის Standard Oil-ის მფლობელი გახდა. 1911 წელს შერმანის კანონით ნავთობკომპანია 34 დამოუკიდებელ კომპანიად დაქუცმაცდა. აქციების საკონტროლო პაკეტი კი როკფელერს ერგო. მისი მოგება გაორმაგდა. წარმატების პიკზე იგი 318 მლრდ დოლარის მფლობელი გახდა. ამ დროს იგი უკვე 74 წლის იყო. ჯერ კიდევ უბრალო ბუღალტერი, შემოსავლის 10%-ს ეკლესიას ურიცხავდა. შემდეგ საქველმოქმედო აქციებშიც მონაწილეობდა. ჯონ როკფელერის საქველმოქმედო ორგანიზაცია დღესაც ეხმარება გაჭირვებულებს.



• ენდრიუ კარნეგის ოჯახი შოტლანდიიდან პიტსბურგში (აშშ) გადასახლდა, ბიჭი 13 წლის იყო, როცა საფეიქრო ქარხანაში დაიწყო მუშაობა. კვირაში 6 დღე, დღეში 12 საათი მუშაობდა და კვირაში მხოლოდ 2 დოლარს უხდიდნენ. 16 წლისა სამუშაოდ ტელეგრაფისტად მოეწყო. შემდეგ სარკინიგზო კომპანიაში თომას სკოტის შევირდი გახდა. სკოტი — კარგი პედაგოგი, კარნეგი კი ნიჭიერი მოსწავლე აღმოჩნდა. 20 წლისამ დედის სახი დააგირავა და ალბუნიონ ფული — 500 დოლარი „ადამ ექსპრესიში“ დააბანდა. მოგვიანებით სხვა კომპანიების ინვესტიციებითაც დაინტერესდა. 30 წლისა ნავთობკომპანიის აქციებსაც ფლობდა. ფოლადმა უდიდესი მოგება მოუტანა. 1880 წელს ფოლადის ჩამოსხმელი ქარხანა გახსნა. 1901 წელს, 66 წლის ასაკში საქმეებს ჩამოსცილდა. ბიზნესის დიდი ნაწილი 225 მლნ დოლარად ვინზე ჯონ მორგანს მიჰყიდა. გარდაცვალებისას მისი ქონება 298,3 მლრდ დოლარად იქნა შეფასებული. ფულის კეთების გარდა, კარნეგი ფილანტროპიც (ქველმოქმედი) იყო. 1989 წელს დაიბეჭდა მისი ესე The Gospel of Wealth, რომელშიც ამტკიცებს, რომ სიმდიდრე ისე უნდა გადაიხარჯოს, რომ მან კეთილდღეობა სხვა ადამიანებსაც მოუტანოს. კარნეგი საკუთარი სიტყვების ერთგული დარჩა და ქონების 90% ქველმოქმედებას მოახმარა.

• უილიამ ჰენრი ვანდერბილტმა, დონალდ ტრამპის მსგავსად ბიზნესი ნულიდან კი არ დაიწყო, მამამ — კორნელიუს ვანდერბილტმა 100 მლნ დოლარი დაუტოვა. მამამ შვილი საკმაოდ მკაცრად გაზარდა. 1885 წელს უილიამი გარდაიცვალა. მისი ქონება 231, 6 მლრდ დოლარად შეაფასეს.

• ოსმან ალი კხან აზაფ VII ჰაიდერაბისა და ბერარის სამეფოს მმართველი იყო, სანამ მისი ტერიტორიები ინდოეთმა არ მიითვისა. 37 წლის ოსმანმა თავის სამეფოში რკინიგზა და დენი გაიყვანა. 1937 წელს Time Magazine-მა მისი ფოტო, როგორც მსოფლიოს უმდიდრესი კაცის, ყდაზე დაბეჭდა. იმ პერიოდში მისი ქონება 210,8 მლრდ დოლარად იყო შეფასებული.


• ენდრიუ მელონი პიტსბურგელი ბანკირის თომას მელონის შვილია. 17 წლის იყო, როცა საკუთარი ხის გადამამუშავებელი საწარმო გახსნა. 10 წლის შემდეგ მამის ბანკს ჩაუდგა სათავეში. გარდა ამისა, მის მფლობელობაში იყო ნავთობგადამამუშავებელი და გემთსამე-



ნი კომპანიები. 1921 წელს ამერიკის პრეზიდენტმა უორენ ჰარდინგმა მელონი ფინანსთა მინისტრად დანიშნა. ამ თანამდებობაზე სამი პრეზიდენტი გამოიცვალა. 80 წლის იყო, როცა მისი ქონება 188,8 მლრდ დოლარად შეაფასეს.

• ამ სიიდან ყველაზე პოპულარული მილიარდერი ჰენრი ფორდის. მისი მშობლები ფერმერები იყვნენ. თავად 16 წლის იყო, როცა გადაწყვიტა, რომ მინაზე მუშაობას შექანინებდა უფრო იზიდავდა. 28 წლისამ ჰენრი ფორდის კომპანიაში დაიწყო მუშაობა. 36 წლისამ საკუთარი საავტომობილო კომპანია გახსნა. ორი გაკოტრებული ფირმის შემდეგ მესამე გახსნა. დახმარება ძმებმა დოდაცა გაუწიეს. ფორდის ავტოკომპანია გაიზარდა და მფლობელს დიდი ფული აშოვნინა. 57 წლის ასაკში ფორდი 188,1 მლრდ-ის მფლობელი იყო.

• კორნელიუს ვანდერბილტის შვილზე უკვე მოგახსენეთ. ახლა მამასაც გაგაცნობთ. 11 წლის იყო, როცა სწავლა მიატოვა და მებორნის თანაშემწედ დაიწყო მუშაობა. შემდეგ დედას ფული ესესხა და გადაზიდვებს თავად ხელმძღვანელობდა. კონკურენტებს სასტიკად ექცეოდა. 82 წლის ასაკში შთამომავლებს 167,4 მლრდ დოლარი დაუტოვა.





# გერმანია 2006

ფინალური ტურნირი 2006 წლის 9 ივნისიდან 9 ივლისამდე მიმდინარეობდა.

**მონაწილეობდნენ:** გერმანია, ეკვადორი, პოლონეთი, კოსტა-რიკა, ინგლისი, შვედეთი, პარაგვაი, ტრინიდადი და ტობაგო, არგენტინა, ჰოლანდია, კოტ-დ'ივუარი, სერბეთი და ჩერნოგორია, პორტუგალია, მექსიკა, ანგოლა, ირანი, იტალია, განა, ჩეხეთი, აშშ, ბრაზილია, ავსტრალია, ხორვატია, იაპონია, შვეიცარია, საფრანგეთი, სამხრეთ კორეა, ტოგო, ესპანეთი, უკრაინა, ტუნისი, საუდის არაბეთი.

**გათამაშების სიტემა:** 32 გუნდი 8 ქვეჯგუფშია გადანაწილებული, სადაც წრიული სისტემით მიმდინარეობს ბრძოლა, უკვე მერვედფინალიდან კი 16 საუკეთესო ნაკრები ოლიმპიური სისტემით აგრძელებს ასპარეზობას.

**ჩატარდა:** 64 მატჩი, რომელსაც სულ 3353655 მაყურებელი დაესწრო (საშუალოდ 52401 კაცი თითოეულ მატჩს).

**გავიდა:** 147 გოლი (საშუალოდ 2,3 თითოეულ შეხვედრაში).

**საუკეთესო ბომბარდირი:** მიროსლავ კლოზე (5 ბურთი).

**საუკეთესო ფეხბურთელი:** ზინედინ ზიდანი.

## ფინალური მატჩი

9 ივლისი, ბერლინის „ოლიმპიაშტადიუმი“, 69 ათასი მაყურებელი.

იტალია — საფრანგეთი 1:1 (პენალტებით 5:3).



**გოლები:** მატერაცი (19); ზიდანი (7, პენალტით).

**იტალია:** ბუფონი, გროსო, კანავარო, ძამბროტა, მატერაცი, გატუზო, ტოტი (დუ როსი), კამორანეზი

(დელ პიერო), პეროტა (იაკინტა), პიროლო, ტონი.

**საფრანგეთი:** ბარტეზი, აბიდალი, გალასი, ტურამი, სანიოლი, ვიერირა (დიარა), მაკელეფე, მალუდა,



ზიდანი, რიბერი (ტრეზეგე), ანრი (ვილტორი).

**გაფრთხილება:** ძამბროტა (5) — სანიოლი (12), მალუდა (111), დიარა (76).

**გამძევება:** ზიდანი (110).

**მსაჯი:** ორასიო ელისნდო (არგენტინა).

## „ზიზუს“ აჟიის დასასრული

2006 წელს მუნდიალი კვლავ ევროპაში დაბრუნდა. 32-წლიანი პაუზის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატს ისევ გერმანიამ უმასპინძლა. 1974 წელს გამართული მსოფლიოს პირველობისგან განსხვავებით (როდესაც შეჯიბრება მხოლოდ დასავლეთ გერმანიაში ჩატარდა), ამჯერად ტურნირი გაერთიანებულ ქვეყანაში მიმდინარეობდა. ამ მუნდიალს არ აკლდა არც დაძაბული, თვალწარმტაცი მატჩები და არც ხმაურიანი სკანდალი, რომელსაც პირდაპირ ფინალური დაპირისპირებისას ჰქონდა ადგილი.

ერთ-ერთი ყველაზე სანახაობრივი აღმოჩნდა C ქვეჯგუფში გამართული შეხვედრა, რომელშიც არგენტინის ნაკრებმა სერბეთისა და ჩერნოგორიის გუნდს, ჩვეულ კომბინაციურ სტილში 6 უპასუხო გოლი გაუტანა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სერბეთისა და ჩერნოგორიისათვის (როგორც ერთიანი სახელმწიფოსთვის) აღნიშნული ტურნირი პირველი და უკანასკნელი აღმოჩნდა, რადგან 2006 წლის ივნისიდან ეს ქვეყანა სერბეთად და ჩერნოგორიად გაიყო. თუმცა ისევ არგენტინის ეროვნულ გუნდს დავუბრუნდეთ, რომელსაც ფეხბურთის არაერთი მიმომხილველი და სპეციალ-

ისტი გაჩემპიონებას უწინასწარმეტყველებდა. თეთრცისფერმა ისურიანებმა მუნდიალი მართლაც წარმატებულად დაიწყეს და ჯგუფში, რომელშიც მათ წინააღმდეგ ერთიანი სერბეთისა და ჩერნოგორიის გარდა, ჰოლანდიელები და კოტ-დ'ივუარელებიც იბრძოდნენ, 7 ქულით პირვე-

ლი ადგილი დაიკავეს. 2006 წლის მსოფლიოს პირველობაზე პირველად გაიბრწყინა ლეო მესიმ. ერთობ დაძაბულად და საინტერესოდ მიმდინარეობდა არგენტინისა და მექსიკის პაექრობაც. სამხრეთამერიკელებმა მხოლოდ დამატებით დროში, 2:1 გაიმარჯვეს. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონთა წინსვლა მეოთხედფინალში ტურნირის

მასპინძლებმა შეაჩერეს. გერმანიის ნაკრებმა ვნებათაღელვით აღსაგეს მატჩი პენალტების სერიაში მოიგო (ძირითადი და დამატებითი დრო 1:1 დასრულდა).

ტურნირის უპირობო ფავორიტად ბრაზილიის ნაკრები მიიჩნეოდა, რომელშიც ისეთი ვარსკვლავები გამოდიოდნენ, როგორებიც რონალდო, რონალდინიო, კაკა, რობერტო კარლოსი, რობინიო და სხვები იყვნენ, თუმცა პენტაკამპიონებმა მეოთხედფინალში საფრანგეთის გუნდის წინააღმდეგობა ვერ დასძლიეს (0:1), მუნდიალს გამოეთიშნენ და მხოლოდ „ფეირ-პლეის“ პრიზს (ჯილდო, რომელიც სამართლიანი და კორექტული თამაშისთვის ბრაზილიელებმა ესპანელებთან ერთად მიიღეს) დასჯერდნენ.

პლანეტის 2006 წლის პირველობა კიდევ ერთხელ იქცა გენიალური ზინედინ ზიდანის ტურნირად — როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი თვალსაზრისით. „მამლაყინებმა“ შეჯიბრება ცოტა არ იყოს უფერულად დაიწყეს, მაგრამ პლეი-ოფის ეტაპიდან ისინი თანდათან აუმჯობესებდნენ თამაშს, რის ერთ-ერთ მაგალითად სწორედ ბრაზილიელებთან დაპირისპირება იქცა. მანამდე კი, ზიზუმ და კომპანიამ გზიდან ესპანეთი ჩამოიშორა (3:1).

ასევე უსახურად გამოიყურებოდა ჩემპიონატის სტარტზე იტალიის გუნდიც, მაგრამ „სკუადრა აძურამ“ საბოლოოდ ფინალამდე მიაღწია და მსოფლიოს თასიც დაისაკუთრა. დასკვნით მატჩში კი მარჩელო ლიპის გუნდის მეტოქე სწორედ საფრანგეთის ნაკრები იყო. მსოფლიოს ჩემპიონატის ისტორიაში, გამარჯვე-



ბული პირველად გამოვლინდა პენალტების სერიით. ამას წინ უსწრებდა ზიდანსა და მარკო მატერაცის შორის მომხდარი ერთი მეტისმეტად არასასიამოვნო ფაქტი, როდესაც იტალიელის არაეთიკურ მიმართვას ფრანგთა ლიდერმა მკვერდში შესაშური თავური დარტყმით უპასუხა, რისთვისაც წითელი ბარათი დაიმსახურა და მოედანი დატოვა. ალბათ ფეხბურთის იმ ქომაგებს, რომლებიც ამ შეხვედრას ადევნებდნენ თვალს, არასოდეს დაავიწყდებათ გასახდელისკენ მიმავალი „ზიზუ“, რომელმაც მრავლისმეტყველი მხერით ჩაუარა გვერდით მსოფლიოს თასს. ამ ფაქტის შემდეგ ტრიუმფატორიც მალე გამოვლინდა — „სკუადრა აძურამ“ პენალტების სერიაში მეტოქეზე მეტი ფსიქოლოგიური სიმტკიცე გამოავლინა და მეოთხედ მოიპოვა პლანეტის უძლიერესი გუნდის ტიტული.

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის თითოეული მატჩისთვის კომპანია „ადიდასი“ სპეციალურად ამზადებდა ბურთს, რომელზეც შესაბამისი მატჩის თარიღი და მონაწილე გუნდების სახელები ეწერა. განსაკუთრებული ყვითელი ფერის ბურთი შეიქმნა ფინალისთვისაც. სამხრეთკორეელთა და ტოგოელთა პაექრობა კი კუროიზით დაიწყო, როდესაც ორგანიზატორებმა შეცდომით ორჯერ დაუკრეს აზიელთა ჰიმნი.

ტურნირის ყველაზე უხემ მატჩად იქცა პორტუგალიელთა და პოლანდიელთა დაპირისპირება, რომელშიც რუსმა არბიტრმა, ვალენტინე ივანოვმა 16-ჯერ ყვითელი, ხოლო 4-ჯერაც წითელი ბარათი იხმარა. მუნდიალის ისტორიაში ეს პირველი შეხვედრა იყო, რომლის მსვლელობის დროსაც ერთბაშად 4 ფეხბურთელს მოედანი დაატოვებინეს. საერთოდაც, გერმანიაში ჩატარებული პირველობა მსოფლიოს ჩემპიონატის ისტორიაში ყველაზე უხემ შეჯიბრებად იქცა (307 ყვითელი, 24 წითელი ბარათი).

პირველად მსოფლიოს პირველობაზე ვერც ერთმა ფეხბურთელმა ვერ შეძლო ჰეთ-თრიკის შესრულება.

მერვედფინალურ ეტაპზე განის ნაკრების კარში გატანილი გოლის წყალობით, ბრაზილიელი რონალდო მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ტურნირების საუკეთესო ბომბარდირად იქცა (სულ 15 გოლი). ამ მიღწევისთვის „ფენომენი“ 1998, 2002 და 2006 წლების ტურნირებზე ირჯებოდა (როგორც ცნობილია, რონალდო 17 წლის ასაკში, 1994 წლის მუნდიალშიც მონაწილეობდა, თუმცა მაშინ ისე გახდა ბრაზილიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი, რომ „კიჭას“ თამაშმა არც ერთხელ არ მოუწია).

# კრაუჩის სასოლა სავლას მისხვია

ინგლისური „ტოტენჰემის“ თავდამსხმელ პიტერ კრაუჩის საცოლე მოდელი — ები კლენსი დიდ საგონებელშია ჩავარდნილი. მას შემდეგ, რაც მან შეყვარებულის მხრიდან ლალატის შესახებ შეიტყო, დეპრესია დაემართა და წონაშიც დაიკლო. სიტუაციის გამოსასწორებლად გოგონამ სილაშაზის სალონს მიაშურა, თუმცა ის დაივიწყა, რომ იქვე ახლოს, ავტომობილების სადგომი არ იყო, რის გამოც მას თავისი სპორტული მანქანის მიწაზე მიმაგრებული საჯარიმო ქვითარი დახვდა. როგორც ცნობილია, ები და პიტერი ერთმანეთს მას შემდეგ დაშორდნენ, რაც კრაუჩმა კლენსის 800 ევროდ ღირებულ ესპანელ მეძვეთან უღალატა. თუ ასე გაგრძელდა, მალე ინგლისში აღარ დარჩება ისეთი მოთამაშე, რომელიც შეყვარებულის ან მეუღლის ერთგულია, ხოლო ტონი ტერის, კოლინ რუნის და ები კლენსის უკვე შეუძლიათ „მოტყუებული ქალების კლუბის“ ჩამოყალიბება. ჯერჯერობით ები პიტერს დაუბრუნდა, თუმცა როგორც ჩანს, მათ ძველებური ურთიერთობა აღარ აქვთ. იმედგაცრუებულ საპატარძლოს ალბათ მეძვეე მონიკა მინტის აღიარებაც არ უშველის, რომელმაც საქვეყნოდ განაცხადა — კრაუჩის ადგილზე ების მსგავს ლამაზმანს არავითარ შემთხვევაში არ ვუღალატებდით.



„ბომონდის“ საქაშხის ნომეხი „ქახთუნი ხეზის“ ღისხთან ჯითან

ბომონდი  
BEAUMONDE  
საპანაქური 2010  
შასი 5 ლარი

ანა ჰიჯი  
ბრანდაშის  
ღეღოფალი

Sofia by Guram M. Pirtel

შეაბროვე  
ქოღეჰსია

ქვენი ხეზის  
საპანაქური  
„პართული ხეზი“

ISSN 1987-510X

ქვენი ხეზის  
საპანაქური

CD №2

სარეჰიდე!

CD №1 ჯაუფი „შინ“ შვიქილიათ შვიქინოთ „გიზუნის“ ნიგნის ვალაჩიუპი



# მერაბ ელიოზიშვილი — „ქართული პროზის საბანძურში“

ცხინვალის ტრაგიკული ბედი მთელი საქართველოსთვის მოუშუშებელი იარაღი. სწორედ ცხინვალში დაიბადა ცნობილი ქართველი მწერალი — მერაბ ელიოზიშვილი, რომლის ნაწარმოებები მკითხველმა „ქართული პროზის საბანძურის“ დღეს 29-ე ტომად მიიღო. მოგესხენებათ, მერაბ ელიოზიშვილის ფანტასტიკური შესაძლებლობებით დაწერილი მოთხრობების მიხედვით ფილმებიცაა გადაღებული. ერთ-ერთის — „დიდი მწვანე ველი“ — დამდგმელი რეჟისორი — მერაბ კოკოჩაშვილი გახლავთ. მერაბ ელიოზიშვილის შემოქმედებაზე სასაუბროდ სწორედ მას შევხვდით. კინოსელოვანმა მწერალთან თანამშრომლობის პერიოდი სიამოვნებით გაიხსენა — დიდი ოსტატობით დაწერილი ნაწარმოების კინემატოგრაფიაში გადატანის სირთულე და ძალიან კარგი შედეგი.

## „მისი ნაწარმოები სხვა მწერლის ნაეუბნარში არასოდეს შეგუბლავს“

### იყო ყორღანაშვილი

— XX საუკუნის 50-იანი წლები ჩვენი ქვეყნისთვის უმძიმესი პერიოდი იყო: ფაქტობრივად, ხელოვნებამ თავისთავადობა დაკარგა, განსაკუთრებული დიქტატურის ქვეშ მოექცა (რაც 50-იანი წლების შემდეგაც გრძელდებოდა). სტალინის გარდაცვალების და ხრუშჩოვის მოსვლის შემდეგ, შედარებით განსხვავებული ეტაპი დაიწყო — ხელოვნებამ ცოტა „შაერი ჩაყლაპა“. მაშინ მოსკოვში, კინოს ინსტიტუტში ვსწავლობდი. იქ ქართველი ახალგაზრდობის საკმაოდ დიდი ჯგუფი იყო: ელდარ შენგელაია, გიორგი შენგელაია, ოთარ იოსელიანი, ლანა ლოლობერიძე, გენო წულაია, ნელი ნენოვა, ბელა ანდრონიკაშვილი (დრამატურგი), ოთარ აბესაძე, იური ქავთარაძე... მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვში ვსწავლობდით, საქართველოს არ მოვცილებდით: ყველანი ერთ საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობდით და ყოველ საღამოს, როცა ერთად ვიკრიბებოდით, ისევ „საქართველოში ვიყავით“ — ვეძებდით და ვეცნობოდით ყველაფერს, რაც ქართულ კულტურასთან იყო დაკავშირებული. ზაფხულობით საქართველოში ჩამოვდიოდით. ვიქექებოდით ახალ ლიტერატურაში, რომელიც იმ დროს იბადებოდა. მაშინ კინოსტუდიის დირექტორად მიხეილ კვესელავა მოვიდა, რომელმაც კინოსტუდიაში, მწერლების მთელი თაობის შეკრება მოახერხა. მათ შორის გახლდათ მერაბ ელიოზიშვილი.

— მერაბ ელიოზიშვილი როგორ გაიცანით?

— მისი მოთხრობით გავიცანი („ჟურნალ „ცისკარში“ მერაბ ელიოზიშვილის 3-4 მოთხრობა იყო დაბეჭდილი და წავიკითხე). მაშინვე მივხვდი, რომ მერაბის შემოქმედება ჩემთან ძალიან ახლოსაა! იმ პერიოდში, მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობებით ვიყავი გატაცებული, „მინაზე“ ვმუშაობდი (მანამდე რეზო ინანიშვილის მოთხრობის მიხედვით,



კადრი ფილმიდან „დიდი მწვანე ველი“

ფილმი გადავიღე), მერაბ ელიოზიშვილი კი უკვე ელდარ შენგელაიასთან და თამაზ მელივასთან ერთად ფილმზე — „თეთრი ქარავანი“ მუშაობდა — არაჩვეულებრივი ფილმი „გააკეთეს“!.. შემდეგ ელდარ შენგელაიამ მითხრა: მერაბმა სცენარი მომიტანა; მე მწყემსების თემაზე უკვე ვიმუშავე და ცოტა არ იყოს, დავილალე; აბა, შენ ნახე, საინტერესო სცენარიაო. სცენარი — „დიდი მწვანე ველი“ წავიკითხე. მასში შექმნილმა მწყემსის სახემ ძალიან დამაინტერესა, რადგან მართლა არაჩვეულებრივად და დაწერილი. მერაბ ელიოზიშვილის ნაწარმოებებში ყველაფერი იმდენად სორციელია, რომ გრძნობ — ეს კაცი როგორ წერს! ისეთი ნიჭიერია, როცა რალაცის მოყვალას ან წერას იწყებს, შეიძლება,

უცებ „სადღაც წავიდეს“. ასეთ შემთხვევაში, ძირითადი მიმართულებისკენ უნდა მოაბრუნო (იციინის). ერთი შენობის ნაცვლად, ბევრს აშენებს. ამიტომ ამ ყველაფრის თავმოყრაა საჭირო. ამ თვალსაზრისით, ლიტერატურასთან შედარებით, კინო უფრო მძიმე ხელოვნებაა — სერიოზულ კონცენტრაციას, ამბის ზუსტ განვითარებას ითხოვს. ფილმზე — „დიდი მწვანე ველი“ მუშაობა დავინწყეთ. მოგესხენებათ, მერაბი დიდი, მძიმე კაცია. ცხინვალში არაჩვეულებრივი სახლი, ხეხილიანი ეზო ჰქონდა. დაჯდებოდა და წერდა. ერწოს ტბაზე (რაჭისა და ცხინვალის რეგიონის საზღვარზე) გადაღებაზე ვიყავი ხოლმე. ღამით მერაბთან მივდიოდი, რომ მისი დაწერილი ეპიზოდი წამელო და გამელო. ხშირად ასეთ სცენას წავაწყებოდი ხოლმე: გათენებულია. ბუხარში ნახშირი ბოლავს. მერაბი ზის. მის გარშემო დაწერილი, დაჭმუჭნილი ფურცლები ყრია... მერაბი ამბობს: ვერაფერიც ვერ გვაკეთეო (იციინის)! არადა, თითო ფურცელზე 1-2 „მარგალიტი“ რომ არ ყოფილიყო, ვარინტი არ იყო! „დიდი მწვანე ველისთვის“ კინემატოგრაფიული ფორმის მისაცემად ბევრი შრომა დაგჭირდა. ფილმი შედგა. მერაბის გარეშე არაფერი გამოგვივიდაოდა.

### ბატონი მერაბი მსახიობების შერჩევაში თუ მონაწილეობდა?

— არა, ამ საქმეში არ ჩარეულა. როცა დოდო აბაშიძის შესახებ ვუთხარი, მაშინვე დამეთანხმა. ისეთი ადამიანია, რომ ხელს არასოდეს შეგიშლის. თუ რაიმე არ მოენონება, პირდაპირ არ გეტყვის, მიგახვედრებს. უტაქტობა მისგან შორსაა.

### მის პიროვნულ თვისებებზე კიდევ რა შეგიძლიათ, გვითხროთ?

— ძალიან მძიმე მდგომარეობაშია, რადგან ცხინვალის მისთვის სისხლხორცეულია! იქ დაიბადა, ის მინაა მისი მკვებავი! ცხინვალის დაბრუნება მისი და ალბათ, მთელი საქართველოს ოცნებაა! მერაბს ეჭვი არ ეპარება, რომ თავის მიწაზე დაბრუნდება!

### როცა ბატონი მერაბ ელიოზიშვილი საღვთო გზას დაადგა, ამ ამბავს როგორ შეხვდით?

— ჩემთვის მისი ეს ნაბიჯი გასაგები იყო: მშობლიური მიწის დაკარგვის გამო, ტრაგიკული დღეები გაიარა; წუთი არ გადის, რომ ეს ტკივილი არ ახსოვდეს... საერთოდაც, მწერლობა სულიერებასთანაა დაკავშირებული: ადამიანის სულში



და გულში თუ არ ჩაიხედე, მწერალი ვერ იქნები!..

— დღესდღეობით თქვენ და ბატონი მერაბი ერთმანეთს რამდენად სწორად ეკონტაქტებით?

— საქმესთან დაკავშირებით, დღეს ისეთი ცხოვრება მაქვს, რომ მასთან „ცოცხალ“ კონტაქტს ვეღარ ვახერხებ, მაგრამ ტელეფონით ვურთიერთობთ. კვირა არ გავა, რომ არ დამირეკოს, რალაც არ მკითხოს... მისი ცოლ-შვილი ჩემთვის ძალიან ახლობელი ხალხია. მე და მერაბს შემოქმედებითი კონტაქტი არ გვაქვს, მაგრამ თავის ყველა ახალ ნამუშევარს წასაკითხად მე მაძლევს. მისი წიგნები, ჩემი საყვარელი სხვა მწერლების წიგნებთან ერთად, ცალკე მიდევს.

— „დიდი მწვანე ველის“ შემდეგ, შემოქმედებითი ურთიერთობა არ გქონათ?

— შემოქმედებითი თანამშრომლობის მცდელობა იყო, მაგრამ ვერ გამოვიდა. მერაბი პუბლიცისტიც გახლავთ. ჩვენი მძიმე ცხოვრების შესახებ, საინტერესო წერილები აქვს დაწერილი. ის გლესკაცის სულსა და გულს გრძნობს! მის მადლიან ტექსტებში ყველაფერი ფანტასტიკურადაა გადმოცემული! მერაბ

ელიოზიშვილის ნაწარმოები სხვა მწერლის ნამუშევარში არასოდეს შეგეშლება!

— ვიდრე „დიდი მწვანე ველის“ სცენარს გადმოგცემდნენ, მანამდე მერაბ ელიოზიშვილის მოთხრობების მიხედვით, ფილმის გადაღების იდეა არ გაგჩენიათ?

— როგორ არა! მაგალითად, „უკანასკნელი კონწიალა“ ისეთი უნიტო დაწერილი მოთხრობაა, რომ ფილმის გადაღება მინდოდა! საერთოდ, მერაბ ელიოზიშვილის მოთხრობები მარტივად გადასაღები არ არის. მის მიერ შექმნილ სახეებში ყოველთვის ისეთი უკიდურესი დაპირისპირებებია „ჩადებულ“, რომ ძნელია, მსახიობის საშუალებით კინოში გადაიტანო. „უკანასკნელმა კონწიალამ“ ბიძგი მომცა: სცენარს ვწერდი, მაგრამ შევჩერდი. ამ დროს „დიდი მწვანე ველი“ გამოჩნდა, რომელიც სიხარულით გადავიღე.



ამ ფილმს დღემდე ინტერესით უყურებენ. ჩემთვისა და მერაბისთვისაც ეს რალაცას ნიშნავს (ილიმის).. მერაბი ძალიან მიყვარს! დიდი ხანია, ეკლესიასთანაა დაკავშირებული, მინდა, დიდხანს და კარგად წეროს. ჯანმრთელობას, ბევრ წარმატებას ვუსურვებ, მის ოჯახს კი — სიხარულს, კეთილდღეობას!..

ქართული პროზის საგანძური

ტომი №29 მერაბ ელიოზიშვილი

თქვენთვის და თქვენი შვილებისთვის!

ყოველ ხუთშაბათს, ჟურნალ „გზასთან“ ერთად შეიძინეთ ცნობილი ქართველი მწერლების თითო ტომი

აღმდსანდრა ზაზაშვილი ნუგზარ შატაძე შიარალო (კონსტანტინე თათაროვილი)

უკვე გამოსული ტომები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში

№1 ბურაბ ღორანაშვილი	№15 ნიკო ლორთქიფანიძე
№2 მიხეილ ჯვანციკი	№16 გოღორძი ჩოხელი
№3 ნოდარ დუმბაძე	№17 ლევან გომთა
№4 ილია შავჭავჭავაძე	№18 აკა შორჩილაძე
№5 ბურაბ რჩულიანი	№19 ვასილ ბარნოვი
№6 ვაჟა-ფშაველა	№20 თამაზ ბიბილური
№7 რაზო ჭიჭიანი	№21 რევაზ ინანიანი
№8 აკაკი წერეთელი	№22 ნიკო ლომოური
№9 ბურაბ ბაგვაძე	№23 ბურაბ ჯანაშიანი
№10 ფაქიტო კლდიაშვილი	№24 კონსტანტინე ჯანაშიანი (პარი-I)
№11 ოტიან იოსელიანი	№25 კონსტანტინე ჯანაშიანი (პარი-II)
№12 ბრიგოლ აბაშიძე (ნიგონ-I)	№26 კონსტანტინე ჯანაშიანი (პარი-III)
№13 ბრიგოლ აბაშიძე (ნიგონ-II)	№27 ელიზბერ ყიფიანი
№14 არჩილ სულაბაძე	

წიგნის ფასი 3 ლარი!  
16- დან - 23 სექტემბრამდე!

გამოიწერეთ **გზა** და საგანძურის ყველა ტომს ადგილზე მოგართმევთ „**გზა**“ ბაზ: 38 26 73; 38 26 74



# „არ მეგონა, სპარსულის ცოდნაც თუ დამჭირდებოდა“

ძალიან გამიკვირდა, როდესაც სამხედრო ექსპერტი — გიორგი მელითაშვილი რუბრიკა „ერუდიტი-ისთვის“ სასაუბროდ უყოყმანოდ დამთანხმდა. როგორც წესი, რესპონდენტთა უმრავლესობა, ნაცნობობისა და მეგობრობის მიუხედავად, უარს ამბობს საკუთარი ინტელექტის საჯაროდ გამოჩენაზე. როგორც შემდეგ მივხვდი, ბატონ გიორგის საკუთარი თავის იმედი სწორედ იმის გამოა, რომ ჰქონია... მართალია, დიალოგის დაწყებამდე გამაფრთხილა, განათლება რუსულ ენაზე მაქვს მიღებული და საქართველოს ისტორია და ლიტერატურა კარგად არ ვიციო, მაგრამ მგონი, მომატყუა...

## სამხედრო ექსპერტის მიერ წარმატებით ჩაბარებული გამოცდა

ნათუნა ბახტურიძე

### პრეზენტაციის ანონსი

— ბატონო გიორგი, განათლება რუსულად რატომ მიიღეთ?

— ასე ბაბუაჩემს სურდა... თავად ლენინგრადში, იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა. მამაჩემი მის კვალს აღარ გაჰყვა და მთელ იმედებს ჩემზე ამყარებდა. უნდოდა, რომ მეც იურისტი გავმხდარიყავი. ამასთან, დედა რუსი მყავდა და იფიქრა, რომ სწავლაში ის დამეხმარებოდა. ბაბუას სიტყვა ოჯახში კანონი იყო!

— სამხედრო განათლებაც რუსეთში მიიღეთ?

— სამხედრო განათლება გერმანიაში მივიღე, ჯერ ბატალიონის მეთაურის კურსები გავიარე, შემდეგ — ლოჯისტიკის მართვის კურსები, ბოლოს კი გენერალური შტაბის აკადემია დაგამთავრე.

— რუსული ენის გარდა, გერმანულიც იცით?

— გერმანულიც და ინგლისურიც...

— ბოლოს რა წიგნი წაიკითხეთ?

— ბისმარკის ბიოგრაფია. ისე, სამხედრო ისტორიის კითხვა მიყვარს, განსაკუთრებით, მეორე მსოფლიო ომის პერიოდი მაინტერესებს...

— ყველაზე საინტერესოდ რომელი ქვეყნის სამხედრო ისტორია მიგაჩნია?

— გერმანიის. IX საუკუნის 70-იანი წლებიდან გერმანიის იმპერიის სამხედრო ისტორია ძალიან საინტერესოდ ვითარდებოდა. დღეს ყველაზე საინტერესო სამხედრო ცხოვრება ამერიკის შეერთებულ შტატებს აქვს.

— ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებზე რას იტყვი?

— რუსეთი თიხის ფეხებზე მდგარი კოლოსია. დღეს რუსული ჯარის შეიარაღება 70-იანი წლების პერიოდის შესაბამისია. რუსი ჯარისკაცის მენტალობასა და სამხედრო განათლებაზე კი ლამაზაუკიც არ ღირს. სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, „დედოფანის“ პრობლემაც კი ვერ მოაგვარებს. თანამედროვე არმიის ჯარისკაცი თავისი ინდივიდუალური თვისებებით, პირველ რიგში, პიროვნებაა. რუსი ჯარისკაცი ახლოსაც კი ვერ დაუდგება ამერიკელს, ფრანგს ან თუნდაც ინგლისელ ჯარისკაცს.

— ქართველს?

— ჩვენს ჯარში, სამწუხაროდ, საბჭოთა კავშირის დროინდელი არმიის გადმონაშთები ისევ არის. ძალიან ბევრი პრობლემა გვაქვს, ეს ვრცელი თემაა...

— რუსულ ჯარში სამსახურმა თუ მოგინათ?

— არა, 1972 წელს ვარ დაბადებული. პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრებისთანავე ეროვნულ გვარდიაში ჩავირიცხე. 1992-1993 წლებში შევინაგდებოდა ბატალიონის რიგებში ოცეულის მეთაურის, ჯავშანსატანკო სამსახურის უფროსისა და ასეულის მეთაურის თანამდებობებზე ყოფნისას, სამაჩაბლოსა და აფხაზეთში საქართველოს მთლიანობისთვის წარმოებულ საბრძოლო მოქმედებებში ვმონაწილეობდი. რამდენიმე მძიმე ჭრილობაც მივიღე. სხვათა შორის, „ვანტანგ გორგასლის“ III ხარისხის ორდენითა და მედლით — „მხედრული მამაცობისათვისაც“ დამაჯილდოეს.

— როგორც ნახევრად რუსს, რუსების წინააღმდეგ ბრძოლა არ გიჭირდა?

— არა, ჩემი სამშობლოს მტერთან შებრძოლება არასდროს გამიჭირდება. სხვათა შორის, დედაჩემს, რომელიც დედაც და მამითაც რუსია, არასდროს უთქვამს, — რუსების წინააღმდეგ არ იბრძოლო.



— ახლა კითხვარზე გადავიდეთ. დაასახელოთ იტალიის ეროვნული გმირი, რომელმაც ქვეყანა XIX საუკუნეში, ავსტრიელთა უღლისგან დაიხსნა.

— გარიბალდი.

— რომელი იარაღის სახელწოდება ითარგმნება ლათინურიდან — „ემზადე ომისთვის“?

— პარაბელუმის.

— რომელია მართლმსაჯულების განმასრუციებელი ორგანო?

— პროკურატურა?

— არა, სასამართლო.

— მართალი ხართ.

— დაასრულეთ ბერნეს ცნობილი გამონათქვამი: „მძულვარების დამალვა ადვილია, სიყვარულისა ძნელი, გულგრილობისა კი ...“

— (ფიქრობს) ...გულგრილობისა კი ალბათ შეუძლებელი“.

— მართალი ხართ. მონარქის მცირეწლოვნების შემთხვევაში რა პქვია მეფის უფლება-მოვალეობის დროებით შემთავსებელს?

— რეგენტი.

— თუ იცით, რა იყო სტალინის სემინარიიდან გარიცხვის მიზეზი?

— ოფიციალური მიზეზი გამოცდაზე გამოუცხადებლობა გახლდათ; ზოგიერთი ვერსიით, სტალინის გიმნაზიიდან გარიცხვის ერთ-ერთი მიზეზი სოციალისტებთან (ანუ მაშინდელი ხელისუფლების აზრით, კრიმინალურ ელემენტებთან) ურთიერთობაც იყო. ისე, მე თუ მკითხავთ, მარქსიზმი ახლაც კრიმინალია.

— რომელია შავი და კასპის ზღვების მდინარეთა წყალგამყოფი ქედი?



— ლიხის ქედი.  
 — რომელი სახელმწიფოს დედაქალაქია კატ-მანდუ?  
 — ნეპალის.  
 — ვინ დააარსა საფრანგეთის უმაღლესი ჯილდო — საპატიო ლეგიონის ორდენი?  
 — ნაპოლეონ პირველმა.  
 — სად მდებარეობს ძველი ქალაქი-სახელმწიფო კართაგენი?  
 — აფრიკაში.  
 — რა არის დრედნოუტი?  
 — ის XX საუკუნის დასაწყისში, ყველაზე დიდი საარტილერიო გემი იყო. ეს სახელი თავიდან მხოლოდ ერთ კონკრეტულ გემს ერქვა, მოგვიანებით კი საბრძოლო გემების აღმნიშვნელი სახელი გახდა. ისე, დრედნოუტების ეპოქა მალე დასრულდა. არ გაამართლა...  
 — რამდენკალიბრიათა სანადირო თოფის ყველაზე დიდი ჰილზი?  
 — 12-კალიბრიათი. რა ადვილ კითხვებს მისვამ...  
 — ვეცდები, კითხვები გავართულო... თურქეთში გადასახლებული აფხაზები თევზს არ ჭამენ. რა არის ამის მიზეზი?  
 — მუჰაჯირობის დროს ძალიან ბევრი აფხაზი დაიღუპა. რუსები დახოცილ აფხაზებს ზღვაში ყრიდნენ. ახლა იმ აფხაზების შთამომავლები ამბობენ, რომ თევზები მათი წინაპრების ხორციით არიან გამოკვებილნი.  
 — ვის ეძახდა ჩერჩილი მოფაშისტო ფრანგს?  
 — დე გოლს.  
 — თქვენ თუ ეთანხმებით ჩერჩილის ამგვარ შეფასებას?  
 — ვეთანხმები. დე გოლს დიდ პატივს ვცემ. მას, როგორც საერთაშორისო მოღვაწეს, დიდი წვლილი მიუძღვის მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიის დამარცხებაში. საფრანგეთის განვითარებისთვისაც ბევრი რამ გააკეთა, მაგრამ მან ალჟირში განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ სასტიკი ზომები მიიღო. მისივე პრეზიდენტობის დროს არაჰუმანურად იქცეოდა ფრანგული არმია ვიეტნამში.  
 — დაასახელეთ ქალაქი ნორვეგიაში, რომელიც სიტყვასიტყვით ასე ითარგმნება — „გრადის მესერი“, რომელმაც ქალაქის სტატუსი XIX საუკუნის დამდეგს მიიღო. XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან იქ მრავალი საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა.  
 — ჰააგა.  
 — სპეცშეკვეთით დამზადებულ „როლს როისებს“ ზღვაში ლებავენ. რატომ?  
 — იმიტომ, რომ ზღვაში მტვერი არ არის.  
 — ამ მწერლის დაკრძალვის დღეს, პარიზის ყველა საროსკიომო გლოვა გამოაცხადა. დაასახელეთ მისი სახელი და გვარი.  
 — გი დე მოპასანი.  
 — სხვათა შორის, გი დე მოპასანს ეიფელის კოშკი მსოფლიოს უმახინჯეს ნაგებობად მიაჩნდა. მიუხედავად ამისა, კოშკის პირველ სართულზე არსებულ რესტორანში ხშირად სადილობდა. ხომ არ იცით, რითი ხსნიდა იგი თავის საქციელს?  
 — ეგ ნამდვილად აღარ ვიცი.  
 — ამბობდა, — ეს ერთადერთი ადგილია, საიდანაც ეიფელის კოშკი არ ჩანსო. რომელმა მეფემ მოულო ბოლო საქართველოში მონღოლთა ბატონობას?  
 — გიორგი მეფემ.  
 — რაგით მერამდენე გიორგი იყო?  
 — გიორგი V.  
 — ვინ იყვნენ „არაფები“?  
 — ვაი, არ ვიცი...

— შავკანიანი აფხაზები, რომლებიც (მანყვეტინებს)...  
 — ვიცი, ვიცი ეგენი სოფელ აძვიუბაში ცხოვრობდნენ.  
 — მართალი ხართ. რომელ ძირძველ ტერიტორიაზე ჩამოსახლდნენ ოსები პირველად?  
 — სამაჩაბლოში?  
 — არა.  
 — მაშინ — დვალეთში.  
 — სწორი პასუხია. „არ ვიცი, რა იარაღი იქნება გამოყენებული მესამე მსოფლიო ომის დროს, მაგრამ ცხადია, რომ მეოთხეში მხოლოდ ჯონები და ქვები იქნება“. ვის ეკუთვნის ეს სიტყვები?  
 — იმას, ხუჭუჭა რომ იყო... აინშტაინს.  
 — რა მარკის იარაღით მოიკლა თავი ჰიტლერმა?  
 — (ფიქრობს) ალბათ, „ვალტერი“.  
 — სწორია. ძველ რომში ის გვარი იყო, დღეს კი ამ სახელწოდებით ქველმოქმედ ადამიანს მოიხსენიებენ.  
 — მეცენატი.  
 — როგორ წარმოიშვა გამოთქმა — „დრო იწურება“?  
 — ქვიშის საათიდან გამომდინარე, არა?  
 — არა...  
 — მაშინ, წყლის საათიდან გამომდინარე.  
 — დიახ, მაგრამ ეს სრულყოფილი პასუხი არ არის. ძველ ეგვიპტეში დროის საზომად წყლით სავსე ჭურჭელს იყენებდნენ, რომლიდანაც წყალი 1 საათის განმავლობაში წვეთობით იწურებოდა.  
 — ვიცოდი ამ კითხვაზე პასუხი. უბრალოდ, მოკლედ გიპასუხეთ.  
 — რას უწოდა კარლ-გუსტავ იუნგმა — „დიპლომატიის არდადეგები“?  
 — ომს. კიდევ არის ერთი ამის მსგავსი გამონათქვამი — „კოგდა პუშკი სტრილიაიუტ, დიპლომატი ოტდიხაიუტ“...  
 — რა გახდა 1875-1876 წლების სვანეთის აჯანყების მიზეზი?  
 — რუსებმა სვანებს მიწების წართმევა დაუპირეს, არა?  
 — დიახ. ინდიელთა რომელი ტომის ბელადი იყო მონტესუმა?  
 — ატტეკების.  
 — სპორტი თუ გიყვართ?  
 — ისე, რა...  
 — რამდენი სპორტსმენია წყალბურთის გუნდში?  
 — მგონი, ექვი.  
 — შეცდით, შვიდი... რომელმა მხატვარმა მოიგონა საკუთარი სიკვდილი, რათა შემდგომ მისი ნახატები ძვირად გაყიდულიყო?  
 — რემბრანდტმა.  
 — რომელ ქალაქში შედგა პირველი კინოსეანსი?  
 — ამერიკაში? არა, არა, ახლად გეტყვით. (ფიქრობს) საფრანგეთში, პარიზში, ხომ?  
 — დიახ. რას ნიშნავს ქართულად „ზახრუმა“?  
 — „ჯანდაბას“?  
 — არა.  
 — მაშინ — „ხმა ჩაიწყვიტე“.  
 — ეს სპარსული სიტყვა ქართულად „არ გადარჩენას“ ნიშნავს.  
 — არ მეგონა, სპარსულის ცოდნაც თუ დამჭირდებოდა.  
 — ნუ ღელავთ, თქვენ თითქმის ყველა კითხვას გაცით სწორი პასუხი. ბევრი რამ გცოდნიათ და ნამდვილი ერუდიტიც ყოფილხართ...  
 — გმადლობ ასეთი შეფასებისთვის.



# გონების საპარჯიშო

**„გზის“ ერთგული  
მართხვალისათვის  
(პითხვები)**

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

**„პასუხების“ სვებისაჲნ არ გაგაქცეთ თვალი**

1. მსოფლიო ომის ბოლოს ავსტრალიაში მდებარე სამხედრო ტყვეთა ბანაკები იაპონელი ჯარისკაცებით იყო სავსე. მიუხედავად იმისა, რომ მათ კარგად ექცეოდნენ, არ ამუშავებდნენ, ნორმალურად კვებავდნენ და დღის განმავლობაში ბანაკის ტერიტორიაზე სეირნობისა და ბეისბოლის თამაშის უფლებასაც კი აძლევდნენ, იაპონელები საშინლად განიცდიდნენ ტყვეობას. ხშირი იყო მასობრივი თვითმკვლელობები. ერთ ბანაკში ერთ ღამეში 90-მა იაპონელმა ჩამოიხრჩო თავი. თავის მოსაკლავად მათ რიგში უწევდათ დგომა. რატომ?
2. რას ეძახდნენ გოდერძი ჩოხელის პაპას, რომელსაც მთის ქედზე წამოწოლა და ძილი უყვარდა?
3. სადაურია შამილ ბასაევის ცოლი?
4. ლენინის რამდენი ძეგლი იდგა თბილისში?
5. დაასახელეთ დედამიწიდან ხილული ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი.
6. როგორ დაუნათესავდა ქორწინების შედეგად, ქართლის მეფე — ლუარსაბ II გიორგი სააკაძეს?
7. რას ეძახდა პაბლო პიკასო დაკანონებულ დანაშაულს?
8. რა არის „ღვლიაპი“?
9. რომელ ქვეყანაში მდებარეობს ქალაქი-ნავსადგური მაცუე?
10. დაასახელეთ მზის სისტემის პლანეტა, რომლის ლერძული ბრუნვის პერიოდი 24 საათი, 37 წუთი და 22,7 წამია.
11. ვის ეკუთვნის სიტყვები: „მე გამასამართლებენ, როგორც ბავშვები ასამართლებენ ექიმს“?

# ანექლოცენი



\*\*\*

ნარკომანი მიდის სახლში. კარს მამამისი უღებს. ნარკომანმა უყურა, უყურა და ეუბნება:

— შემოხვალ, თუ დავეტო კარი?!

\*\*\*

— ნეტა, ევა ადამს თუ ღალატობდა?

— აბა, რა გითხრა... ისე მეცნიერები ამტკიცებენ, ადამიანი მაიმუნისგან წარმოიშვაო.

\*\*\*

ნარკომანი დილით იღვიძებს, ქუჩაში გადის და გამვლელს ეკითხება:

— ბიძაჩემო, დღეს ოთხშაბათია?

— არა, დღეს კვირაა.

— გუშინ იყო ოთხშაბათი?

— არა, გუშინ შაბათი იყო.

— აბა, ხვალ იქნება ოთხშაბათი?

— არა, ხვალ ორშაბათია.

— ვააა! ვერ გავიგე, ოთხშაბათი, ვსიოოო, აღარ იქნებაააა?!

\*\*\*

სვანი ძლივს მოლასლასებს ქუჩაში.

— რა დაგემართა? — ეკითხება ნაცნობი.

— რა ვიცი, მეტროს ესკალატორზე ვიდექი, ჩავფიქრდი და სამი წრე დავარტყი...

\*\*\*

სვანებმა კენტავრი დააყაჩაღეს და ცხენი წაართვეს.

\*\*\*

ორი დაბოლილი მიხოს ეკაიფება, უღვაშები გვათხოვეო. მიხოს „უარზეა“: დედიტყვენისას მიირთმევთ და დამისვრიტო.

\*\*\*

— მითხარი სამი საოცნებო სიტყვა და ცოლად გამოგყვები.

— ვაი, შენს პატრონს!..

\*\*\*

— ჩემს ქმარს ძველებურად აღარ ვუყვარვარ!

— საიდან დაასკვენი?

— სამი წელია, სახლში არ მოსულა...

\*\*\*

ცოლი სამზარეულოში ფუსფუსებს. ქმარი იქვე, საცვლების ამარა დაბორიანებს.

— წადი, კაცო, ჩაიცვი, სადაცაა სტუმრები მოვლენ.

— მოვლენ და მოვიდნენ!.. ნახონ, რა გამხდარიცა ვარ და გაიგონ, არაფერს რომ არ მაჭმევი!..

— ბარემ ქვედა საცვალცი გაგეხადა, ნახონ ჩვენმა სტუმრებმა, თუ ხარ ჭამის ღირსი!..

\*\*\*

ნარკომანმა მობილური ტელეფონი ამოიღო ჯიბიდან: დედას უნდა დავურეკო და ვუთხრა, სად ვარ.

— ალო, დედა, სად ვარ?







# გონების საპარჯიშო

## „გზის“ ერთგული მართხვალისათვის

### (პასუხები)

1. თოკი, რომლითაც ისინი თავს იხრჩობდნენ, ერთადერთი იყო მთელ ბანაკში.

2. ციკქედა პაპას.

3. აფხაზი.

4. ექვსი.

5. სირიუსი.

6. მეფემ დიდი მოურავის და შეერთო ცოლად.

7. ხელოვნებას.

8. ასე ეძახიან შეუბუმბლავ ბარტყს.

9. იაპონიაში.

10. მარსი.

11. სოკრატეს.

\*\*\*

— ხშირად ირჯებით ხოლმე, მამაო? — ეკითხება დაკრძალვაზე ექიმი მღვდელს.

— დიას, ღვთისა და თქვენი შეწვევით, — პასუხობს მღვდელი.

\*\*\*

ტურისტები ცოლ-ქმარი მივიდა „ოცნების ქასთან“. ჯერ ქმარმა ჩააგდო მასში ხურდა ფული და სურვილი ჩაიფიქრა, შემდეგ ცოლი გადაიხარა ფულის ჩასაგდებად. მოულოდნელად ფეხი დაუცდა და ქაში ჩავარდა.

— ვა! რა სწრაფად ამიხდა! — გაუხარდა კაცს.

\*\*\*

ქმარი ეუბნება ცოლს:

— ძვირფასო, ექიმმა მითხრა, მსაათის სიცოცხლეა დაგრჩაო და წამო, საუკეთესო რესტორანში წავიდე, მერე სასტუმროში ნომერი ავიღოო...

— ჰო, შენ რა გენადვლება, დილით არ იქნები ადრე ასადგომი!..

\*\*\*

მისოს ცოლს მეთერთმეტე შვილი შეეძინა. ექიმი ეუბნება:

— შენთვის მეტი მშობიარობა აღარ შეიძლება, ჩასახვის სანინაალმდეგო საშუალებები უნდა მიიღო.

— რას ამბობთ, ექიმო, ბავშვებს ხომ ღმერთი გვიგზავნის, როგორ შეიძლება, ამაზე უარის თქმა?!

— ქალო, წვიმასაც ღმერთი გვიგზავნის, მაგრამ ქოლგას ხომ ხმარობ?!

\*\*\*

— გაიგე, ბუხუტიას ცოლი უყეჟია?!

— რატომ, შე კაცო?

— უცხო კაცთან ერთად შეუსწრია ლოგინში და აბა, რას იზამდა?!

— ოო, არ არის კაი ამბავი. ადრე სულ ნაცნობებთან ლალატობდა ხოლმე.

\*\*\*

— რატომ არ ავადდებიან ებრაელები შიდსით?!

— იმიტომ, რომ ისინი არავის უყვარს!

\*\*\*

სახანძროში რეკავენ:

— ჩქარა! ხანძარია!

— არ ჩააქროთ, ხუთ წუთში მანდ ვიქნებით!

\*\*\*

ხანში შესულ კაცს ცოლი გარდაეცვალა. მდუმარედ მიუყვება კუბოს. იქვე მოდის ცოლის საყ-

ვარელი, ახალგაზრდა კაცი და მოთქმით ტირის. უყურა ქმარმა საყვარელს, ბოლოს ვერ მოითმინა და ეუბნება:

— ნუ წუხხართ, ახალგაზრდავ, ცოლის მოყვანას კიდევ ვაპირებ.

\*\*\*

ახალგაზრდა ქალი ხანში შესულ მამაკაცს ეკითხება:

— რამდენი წლის ხართ?

— ოთხმოცის.

— ნამდვილად არ მოგცემდით.

— არც მინდა.


\*\*\*

— ექიმო, განდიდების მანია მაქვს...

— რა იცი, რა არის განდიდების მანია, შე ჭიავ და მატლო, ნაცრისფერი ბრბოს საცოდავო ნაგლეჯო...



# რენიფოსოგანაა





# ჰოროსკოპი

16-22 სექტემბერი

### ვეჩერი

თავს განტვირთვის საშუალება მიეცით. მეგობრების წრეში დროს მხიარულად გაატარებთ.

### კუჩრი

საოჯახო საქმეებით დაკავდებით, შესაძლოა, რემონტი წამოიწყოთ ან ბინა გამოიცვალოთ. ელექტროსელსანყოფებთან სიფრთხილე გამოიჩინეთ.

### ტყუპი

დროა დასერიოზულდეთ და მეტი ყურადღებით მოეკიდოთ საქმეს. ნუ აიძულებთ სხვებს, თქვენი საქმეები შეასრულონ.

### კირჩხიბი

კვირის დასაწყისში სამსახურებრივი და საოჯახო საქმეებით იქნებით დაკავებული, კვირის მეორე ნახევარში, ჯანმრთელობას მიხედეთ. თვითმკურნალობას არ გირჩევთ.

### ლომი

საყვარელ ადამიანთან კონფლიქტის გამო, საქმეს გულს ვერ დაუდებთ. ეცადეთ, განიტვირთოთ და საოჯახო საქმეებით დაკავდეთ.

### ქაფში

ახალი შემოქმედებითი იდეების განხორციელება თქვენგან ბევრ ენერგიას, მოთმინებასა და ფინანსებს მოითხოვს. საყვარელი ადამიანის მიმართ ნუ იქნებით ზედმეტად კრიტიკული.

### სასწორი

მეგობრების დახმარებით ახალ სამსახურს იშოვით. ყველაფერი რომ მოასწოროთ, შეადგინეთ გეგმა და მის მიხედვით იმოქმედეთ. დასვენების დღეები მეგობრებთან ერთად გაატარეთ.

### მირიანდი

სამსახურში ახალი იდეების განხორციელებით იქნებით დაკავებული. ახლობლებისგან ვალს დაიბრუნებთ, მაგრამ ნუ იჩქარებთ ამ თანხის დახარჯვას.

### მშვიდობის

კვირა დატვირთული იქნება საქმიანი შეხვედრებითა და ახალი იდეების განხორციელებით. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა გაგიუმჯობესდება.

### თხრი

თანამშრომელს ლაღატიმ აშხელთ, რითაც კოლეგების თვალში რეპუტაციას აიმაღლებთ. უფრო მობილიზებული გახდით, ნუ შეგეშინდებათ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღების.

### მეწყობი

კარგი პერიოდია ძველი საქმეების დასასრულებლად, განაწყენებულ შეყვარებულთან შესარიგებლად. მეტი დრო დაუთმეთ სწავლას, ცოდნის გაღრმავებას.

### თევზი

ნუ ჩაიკეტებით საკუთარ თავში, გააქტიურდით, დაასრულეთ საქმეები, განახორციელეთ იდეები. შეხვედით მეგობრებს. კარგი პერიოდია ვარჯიშისა და დიეტის დასაწყებად.

## ზოდიაქოს ბურბანი ნიშნები

\* ვერძს მარტო ჭამა კი არა, გემრიელი სადილების დამზადებაც ეხერხება. მოგზაურობისას ეგზოტიკურ კერძებსაც აგემოვნებს. თუ სახლში ვერძი გყავთ, დროულად ასადილეთ. მშვიდი ვერძი უშიშროდ ჩხუბობს. ენერგიულმა ვერძმა დიდი რაოდენობით უნდა მიიღოს: რძე, თევზი, ბანანი და ზღვის პროდუქტები.

\* კურო გურმანია, ხორცეული უყვარს. ხშირად იტანჯება ჭარბი წონისგან, მაგრამ დიეტას არ იცავს. სასმელებიდან უპირატესობას ლუდს ანიჭებს. უნდა გაამდიდროს რაციონი კვერცხით, ღვიძლით, ახალი ხილით, ბოსტნეულითა და მწვანე ხილით, იოდის შემცველი პროდუქტებით; ხშირად სვას წყალი.

\* ტყუპს თუ მოშივდა, შეუძლია, ჰამბურგერითა და პიცით ისადილოს. ნერვული სისტემის გასაძლიერებლად სასურველია მიირთვას ნუში, ატამი, ფორთოხალი, ყურძენი, ქიშმიში. ტყუპი აქტიური ნიშანია, ამიტომ უნდა მიიღოს კალციის შემცველი პროდუქტები: რძე, ხაჭო; არ მიეძალოს ყავას.

\* კირჩხიბი პატრიოტია, მაგრამ სიამოვნებით მიირთმევს სხვა ქვეყნის კერძებსაც. ყოველთვის აკონტროლებს წონას და არასდროს სუქდება. უყვარს რძისა და ზღვის პროდუქტები.

კირჩხიბი კარგი მზარეულია და სუფრასთან გემრიელი, ლამაზად გაფორმებული კერძები მიაქვს. სასმელებიდან ხილის ღვინოებსა და მსუბუქ კოქტეილებს ანიჭებს უპირატესობას.

\* ლომს ნივრით შეზავებული კერძები არ უყვარს, უპირატესობას სუნელებსა და ეგზოტიკურ სანელებლებს ანიჭებს. თუ ლომი სტუმრად დაპატიჟეთ, სუფრაზე მდიდრული, გემრიელი კერძები დაახვავეთ. უნდა მიეძალოს ხილს, თხილსა და კაკალს, რძის პროდუქტებს, ფრინველის ხორცს. სასმელიდან ნითელი ღვინო ან კონიაკი მიირთვას.

\* ქალწულს ხილი და მაგარი ალკოჰოლური სასმელები უყვარს. ხილიდან უპირატესობა უნდა მიანიჭოს ბანანს, ნესვს, ლიმონსა და ფორთოხალს. ვურჩევთ, ვიტამინების დოზა ხილითა და ბოსტნეულით შეივსოს. ძალიან უყვარს შოკოლადი და თხილი, მაგრამ უნდა ახსოვდეს, რომ ეს პროდუქტები ალერგიულია და ზედმეტი რაოდენობისგან თავი შეიკავოს.

\* სასწორს შეუძლია, სადილის ნაცვლად ტკბილეული მიირთვას. განსაკუთრებით მოსწონს მიხაკით, დარიჩინითა და ვანილით შეზავებული კერძები და დესერტი. ხილს შამპანურს აყოლებს. უარი უნდა თქვას ცხიმთან და შემწვარ კერძებზე.

\* მორიელი ცხიმთან, ცხარე საკვებას

და მაგარ ალკოჰოლურ სასმელს ეტანება. უმჯობესია, თუ ბოსტნეულითა და თევზეულით ისადილებს და რაციონს ხილით, თხილითა და ჩირით გაამდიდრებს. უფრთხილდით მშვიდ მორიელს. თუ გსურთ, თქვენს ჭკუაზე ატაროთ, გემრიელი სადილი მოუმზადეთ.

\* მშვიდდოსანი თევზებივით მალე თვრება, ამიტომ სასმლის დოზა უნდა აკონტროლოს. უმჯობესია, მსუბუქი კოქტეილი მიირთვას, კერძებიდან კი უპირატესობა მიანიჭოს ყველს, ბატკნისა და ფრინველის ხორცს, ბოსტნეულსა და ბრინჯს.

\* თხის რქას შეუძლია, მთელი დღე მშვიდი იყოს, მაგრამ ერთხელ და საფუძვლიანად ისადილოს. რაციონი უნდა გაამდიდროს კალციისა და ცილის შემცველი, ხილითა და ზღვის პროდუქტებით. კარგია, თუ კერძებს ჯინს, მარტინსა და მშრალ ღვინოს დააყოლებს.









\* მერწყული ვეგეტარიანულ კერძებს ანიჭებს უპირატესობას. უყვარს ხილი, ბოსტნეული, ჩირი. ალკოჰოლსა და გაზიან სასმელებს კომპოტები და ნატურალური წვენები ურჩევნია. ძალიან მოძრავი ნიშანია და ამიტომ არასდროს სუქდება.

\* თევზებს ხმაურიან წვეულებებს რომანტიკული საღამოები ურჩევნია. უყვარს სხვადასხვა სასმლის დაგემოვნება და ძალიან მალე თვრება. ნუნია ხასიათის მიუხედავად, გურმანია, სუფრაზე უნდა ჰქონდეს ყველი, თევზეულის, ხორცეულის ასორტი.





# ფოტოკუჩიონები





# შვიდნოთ ნიბნის მალაზიბში!



ქართული პრინციპის საგანმებური




ქართული პრინციპის საგანმებური



ქართული პრინციპის საგანმებური




ქართული პრინციპის საგანმებური




ილია ჭავჭავაძე  
პრინციპის საგანმებური

15




გიორგი მერაბიშვილი  
ჩაბი ნიბნი

16



ლევან ტიშკარიძე  
ყინციპის საგანმებური

17



აკაბ მორილაძე  
შინი თამაზალაზალა

18



ქართული პრინციპის საგანმებური




ქართული პრინციპის საგანმებური



ქართული პრინციპის საგანმებური




ქართული პრინციპის საგანმებური




ვასილ ჭავჭავაძი  
ყინციპის საგანმებური

19



თამაზ ჭიგილაშვილი  
ჩაბი კითხულინა

20



კოტე ნინოშვილი  
შინი თამაზის საგანმებური

21



ნიკო ლემელაშვილი  
ნინაპრთა არსულინი

22



ქართული პრინციპის საგანმებური



ქართული პრინციპის საგანმებური



ქართული პრინციპის საგანმებური




ქართული პრინციპის საგანმებური



გურბაგ ვაშინაშვილი  
თვალის საგანმებური

23




კონსტანტინე ჭავჭავაძის  
მთვარის მთავარი

24 კარი I



კონსტანტინე ჭავჭავაძის  
მთვარის მთავარი

25 კარი II



კონსტანტინე ჭავჭავაძის  
მთვარის მთავარი


26 კარი III




ქართული პრინციპის საგანმებური



ქართული პრინციპის საგანმებური



თეიმურაზ გვიშვილი  
ყინციპის საგანმებური



გიორგი გვიშვილი  
ყინციპის საგანმებური

# თქუნი შვიდნის თვის

Handwritten notes in Georgian script, including 'და ა-137ნი' and other illegible text.

# პერსენი

კატაბალასა, პიტნა, გარამბო

თქვენი და თქვენი შვილების სიმშვიდისათვის!

ბ 16/35



**პერსენი - მცენარეული დამამშვიდებელი, გამოიყენება ბავშვებში და მოზრდილებში შემდეგი ჩივილების დროს:**

მომატებული გაღიზიანებადობა, აგრესიულობა, ჭირვეულობა, ტირილისადმი მიდრეკილება, ძილის დარღვევა, გადატვირთული დღის გრაფიკი, ადვილად დაღლა.



**დოზირება:** ბავშვებში 1 ტაბლეტი 1-3-ჯერ დღეში  
მოზრდილებში 2 ტაბლეტი 2-3-ჯერ დღეში

**SANDOZ**  
პრეპარატის გამოყენების წინ გაცანით ინსტრუქციას,  
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური  
ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

**NOVARTIS**  
ნოვარტისი, შვეიცარია  
გ. ტაბიძის ქ. №18, ტელ.: 98 27 30; 98 27 50